

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ისტორიის,
არქეოლოგიის,
ეთნოლოგიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

Series
of History,
Archeology,
Ethnology
and
Art History



თბილისი
Tbilisi

2. 2021

მთავარი რედაქტორი
Editor-in-Chief

როინ მეტრეველი
Roin Metreveli

პასუხისმგებელი რედაქტორი
Editorial Manager

გონელი არახამია
Goneli Arakhamia

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ნანა გელაშვილი, ომარ გოგიაშვილი, მარიამ დიდებულისძე, სერგო ვარდოსანიძე, ბუბა კუდავა, დავით ლორთქიფანიძე, ჰიროტაკე მაედა (იაპონია), ლია მელიქიშვილი, დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჟორდანია, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია, ბერნარ უტიე (საფრანგეთი), კიაზო ფიცხელაური, კახა შენგელია.

Editorial Board:

Zaza Abashidze, Zurab Abashidze, Zaza Aleksidze, David Braund (Great Britan), Mariam Didebulidze, Nana Gelashvili, Omar Gogiashvili, Buba Kudava, David Lordkipanidze, Hirotake Maeda (Japan), Lia Melikishvili, David Muskhelishvili, Bernard Outter (France), Kiazoo Pitskhelauri, Gocha Saitidze, Jaba Samushia, Kakha Shengelia, Sergo Vardosanidze, Otar Zhordania.

ლიტერატურული
რედაქტორი:

ვალერიან ასათიანი

Literary editor:

Valerian Asatiani

კომპიუტერული
უზრუნველყოფა:

პაატა ქორქია

Computer design:

Paata Korkia

© საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2021
© Georgian National Academy of Sciences, 2021

ISSN-0132-6058

სარჩევი

ჩვენი ჟურნალი 50 წლისაა.....	5
ისტორიული თარიღები	
როინ მეტრეveli – გვირგვინი საქართველოს გაერთიანებისა	7
საქართველოს ისტორია	
ლია გაბლიშვილი – საქართველო და „აბრეშუმის დიდი გზა“ გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ზოგადი მიმოხილვა.....	26
მარიამ გურუშიძე – მეფე ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ	47
რუსუდან ლაბაძე – ვინ იყო საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ლეგენდარული გმირის დიმიტრი ამილახვრის პაპა?	59
თამარ ფარჩუკიძე – იოანე პეტრიწის დრო - ძველი და ახალი თვალსაზრისები	80
სერგო ვარდოსანიძე – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ანტიდასავლური მოწოდებანი 1924-1930 წლებში.....	106
ეროვნული სიწმინდეების კვალდაკვალ	
ვაჟა ლორთქიფანიძე – ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოძიების შესახებ.....	117
კავკასიის ისტორია	
ზაურ გუმაშვილი – ალანები და ვაინახები VII-IX საუკუნეებში.....	133
განათლება	
ავთანდილ ჯორბენაძე, თენგიზ ვერულავა – სამედიცინო განათლების რეფორმა საქართველოში: გამოცდილება, მომავლის ხედვა	140
კულტუროლოგია	
ქეთევან ახოზაძე – კულტურულ-ისტორიული ურბანული ლანდშეფტის მართვის გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და XXI საუკუნის ურბანული გამოწვევები (ავსტრალია, ჩინეთი, ეკვატორი, პაკისტანი, ტანზანია, იტალია, ნიდერლანდები და საქართველო).....	163
წყაროთმცოდნეობა	
დავით სართანია, დალი ნიკოლაიშვილი, ავთანდილ უჯმაჯურიძე – ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიებისათვის შედგენილი დავთრების კლასიფიკაციის საკითხისათვის	192
საარქივო საქმე	
მანანა მახატელი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივის „გზამკვლევი“	212
რედაქციას პროზაიკოს-მხატვარი ეწვია	
რეზო ადამია – ქრისტიანული საოცრება: „სუმელას“ მონასტერი თურქეთში	221
ქრონიკა და ინფორმაცია	
სიახლეები ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.....	228
ახალი წიგნები	230
მეგზური ავტორებისთვის.....	235

CONTENT

Our Journal is - 50	5
---------------------------	---

Historical Dates

Roin Metreveli – The Crown of the unification of Georgia	7
--	---

Georgian History

Lia Gablishvili – Georgia and the great silk road in late antiquity and the middle ages - general overview	26
Mariam Gureshidze – The foreign policy implemented by the King Heraclius II	47
Rusudan Labadze – Who was the ancestor of Dimitri Amilakvari – the iconic figure of the french foreign legion?	59
Tamar Parchukidze – The time of jon Petritsi – old and new views	80
Sergo Vardosanidze – Anti-western appeals of the georgian orthodox church in 1924-1930	106

In the footsteps of national relics

Vazha Lordkipanidze – About searching holy relics of Ketevan the Martyr	117
--	-----

History of Caucasus

Zaur Gumashvili – Alans and Vainakhs in 7 th -9 th centuries.....	133
---	-----

Aducation

Avtandil Jorbenadze, Tengiz Verulava – Medical education reform in Georgia: experience & vision for the future	140
---	-----

Culturology

Ketevan Akhobadze – Cultural-historical urban landscape management experience in different countries of the world and 21 st century urban challenges (Australia, China, Ecuador, Pakistan, Tanzania, Italy, the Netherlands and Georgia)	163
--	-----

Sources

Davit Sartania, Dali Nikolaishvili, Avtandil Ujmajuridze – For the question of clasification of the registers (defters) compiled for the territories of Georgia conquered by the ottomans	192
---	-----

Archival Case

Manana Makhateli – The “Guide” of archive of the Georgian National Academy of Sciences	212
---	-----

The Artist Visited

Rezo Adamia – Christian wonder: “Sumela” monastery in Turkey.....	221
---	-----

Chronicle and information

News N. Berdzenishvili Kutaisi state historical museum	228
New books	230
Guide for Authors.....	235

ჩვენი ჟურნალი 50 წლისაა

მიმდინარე წელს ჟურნალი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) 50 წლის გახდა. ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ ჟურნალის მთავარ რედაქტორს აკადემიკოს როინ მეტრეველს.

– ბატონო როინ, როგორ დაიბადა ჟურნალი, როგორი იყო მისი პირველი ნაბიჯები?

– ჟურნალი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მას წინ უძღოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯერ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“ (1960-1963), შემდეგ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე“ (1964-1970). ორივე გამოცემა მოიცავდა აკადემიაში წარმოდგენილ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა დარგს. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსთვის აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, გაიზარდა პროფესიონალ მკვლევართა კორპუსი, გაფართოვდა კვლევის თემატიკა, ჩამოყალიბდა ახალი მიმართულებები და, შესაბამისად, გაიზარდა სამეცნიერო პროდუქცია. აშკარა გახდა, რომ ერთი ჟურნალი ვეღარ აკმაყოფილებდა სამეცნიერო კვლევის შედეგების პუბლიკაციებზე გაზრდილ მოთხოვნილებას. ამის გათვალისწინებით მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო დროული და ადეკვატური გადაწყვეტილება, რომ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნეს“ ბაზაზე შექმნილიყო „მაცნეს“ რამდენიმე სერია, მონათესავე პროფილის მიმართულებების მიხედვით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაარსდა „მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1971 წელს. ჟურნალის პირველი რედაქტორი ბრძანდებოდა გამოჩენილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი. უპრიანია გავიხსენოთ სარედაქციო კოლეგიის პირველი შემადგენლობა: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა, რ. კიკნაძე, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი.

– როგორ შეაფასებდით ჟურნალის ნახევარსაუკუნოვან გზას, როგორია მისი წვლილი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში?

– შეიძლება ითქვას, რომ „მაცნე“ ერთგვარი მატიანეა ქართული ისტორიული მეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის), ხელოვნების ისტორიის განვითარებისა ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში აღნიშნული დარგების მიღწევების გააზრება წარმოდგენილია „მაცნეში“ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების გარეშე. ჟურნალი, მართალია, მეცნიერებათა აკადემიის

გრიფს ატარებს, მაგრამ ის თანაბრად მისაწვდომი იყო და არის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მკვლევართათვის. ჟურნალი ტრადიციულად ღირსეულ ადგილს უთმობს ქვეყნის რეგიონებში შექმნილ სამეცნიერო პროდუქციას. ძნელია დაასახელო აღნიშნულ დარგებში დასმული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემა, რომლის კვლევის შედეგები არ აისახება „მაცნეს“ ფურცლებზე. ჟურნალში კუთვნილი ადგილი ეთმობა დისკუსიას ამა თუ იმ აქტუალური პრობლემის გარშემო, სამეცნიერო ცხოვრების ქრონიკას, გამოჩენილ მეცნიერთა ღვაწლის წარმოჩენას და ა.შ. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჟურნალი ოპერატიულად ეხმაურება საქართველოს ისტორიის გაყალბების მცდელობებს. ძნელია იმ წვლილის დეტალურად აღწერა, რაც „მაცნეს“ შეაქვს ქართველოლოგიის შესაბამისი დარგების წარმატებაში. ეს საკითხი საგანგებო ისტორიოგრაფიული კვლევის საგანია. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ, უწინარეს ყოვლისა, შესადგენია „მაცნეს“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რაც მკვლევრებს გაუადვილებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ჟურნალში გამოქვეყნებული მასალით სარგებლობას.

– რა სიახლეებია „მაცნეს“ ცხოვრებაში?

– უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა ახალი შესაძლებლობები შეუქმნა სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელებას. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული შრომატევადი სამუშაო – „მაცნეს“ ციფრული ვერსიების შექმნა და ინტერნეტსივრცეში, ციფრული ბიბლიოთეკის „ივერიელის“ კოლექციაში განთავსება. უკვე გაციფრებულია ჟურნალის ნომრები 2015 წლის ჩათვლით. დღეს ამ მნიშვნელოვან სამუშაოს უძღვება ქალბატონი ქეთი თომამძე, რომელთანაც ჩვენი რედაქცია მჭიდროდ თანამშრომლობს.

გვაქვს სიახლე ჟურნალისთვის რეფერირებადი გამოცემის სტატუსის მოპოვების მიმართულებითაც. ეს პროცესი დავიწყეთ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ევროპული საცნობარო ინდექსის (ERRI-HPLUS) ბაზაში ჟურნალის ჩასართველად მოსამზადებელი სამუშაოებით. მიმდინარე წლის პირველი ნომერი გამოიცა იმ კრიტერიუმების დაცვით, რასაც ERRIHPLUS-ი მოითხოვს. ამავე პრინციპით მომზადდა წინამდებარე ნომერიც. აქვე მინდა მადლობა მოვახსენო ავტორებს, რომლებიც გაგებით შეხვდნენ სტატიების ტექნიკური გაფორმების ახალ პრინციპებს. მალე განაცხადს წარვადგენთ აღნიშნულ ბაზაში ჩართვის შესახებ. შემდგომ სამიზნედ Scopus-ის ბაზა გვესახება.

– გმადლობთ.

ინტერვიუ მიჰყავდა გ. არახამიას.

ისტორიული თარიღები

**გვირგვინი საქართველოს გაერთიანებისა
(ედღენება დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავს)**

**The Crown of the unification of Georgia
(the Battle of Didgori is 900 years old)**

Roin Metreveli

Academician, Vice-President of National Academy of Georgia, Professor

Abstract

The paper is dedicated to the Battle of Didgori, its causes and the great victory of the Georgians on 12 August 1121. In the 12th century the major political problem of the Georgian state was the final strengthening of the country. David IV the Builder (1089-1125) carried out important reforms, such as reorganization of the army, ecclesiastical reform as well as the judicial and financial reforms. He took an important step for cultural development of the country. He joined the cities of Samshvilde (1110), Rustavi (1115), Gishi (1117) Lore (1118) and others to the country. David resettled 40 thousand families of Kipchaks in Georgia and, increased and strengthened his army. In 1121, David IV the Builder used tactical and technical novelties in the Battle of Didgori, and with his army of 55,600 warriors defeated the coalition army of Muslims. In 1122 he conquered Tbilisi and moved the capital of Georgia from Kutaisi to Tbilisi. The victory in the Battle of Didgori was of greatest international importance.

Key words: Tactical and technical novelties, coalition army, warrior, Shihna.

როინ მეტრეველი

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი

აბსტრაქტი

ნარკვევი ეძღვნება დიდგორის ბრძოლას, გამომწვევ მიზეზებსა და შედეგს - ქართველთა ძლევამოსილ გამარჯვებას 1121 წლის 12 აგვისტოს. XII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხი. დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა - ლაშქრის რეორგანიზაცია, საეკლესიო რეფორმა, სასამართლო და ფინანსური რეფორმები. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის კულტურული განვითარების საქმეში. შემოუერთა ქალაქები: სამ-

შვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.) ლორე (1118 წ.) და სხვ. ჩამოასახლა ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახი და ლაშქარი გაზარდა და განამტკიცა.

დავით IV აღმაშენებელმა 1121 წლის დიდგორის ბრძოლაში, სადაც 55 600 მოლაშქრით გამოვიდა, გამოიყენა ტაქტიკური და ტექნიკური სიახლეები და მუსულმთა კოალიციური ლაშქარი დაამარცხა. 1122 წელს აიღო ქ. თბილისი და დედაქალაქი ქუთაისიდან აქ გადმოიტანა. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

საკვანძო სიტყვები: ტაქტიკური და ტექნიკური სიახლეები, კოალიციური ლაშქარი, მოლაშქრე, შიჰნა.

შესავალი

„...მამული და ახლად მოგებული ღვაწლითა ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსიდგან დარუზანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდან... არეგაწადმდე“.

ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.)

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაზალა-განმა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ მომხდურ თურქ-სელჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მოსაზრება ამოძრავებდათ – განედევნათ სელჩუკი დამპყრობლები თავიანთი მიწა-წყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა. გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.

მეთოდი

მსჯელობა ეფუძნება ისტორიოგრაფიაში აპრობირებულ ისტორიულ-შედარებით მეთოდსა და წერილობითი წყაროების შინაგანი და გარეგანი კრიტიკის ხერხებს.

შედეგები

ქართველთა ჯარმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით 1121 წლის 12 აგვისტოს მუსლიმურ კოალიციურ ჯარებთან მეტად რთულ და, ამა-

ვე დროს, არსებითად გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისათვის მეზრდოლი ქართველი ხალხის გამარჯვება იყო; გამარჯვება, რომელიც ძალუმად ეხმაურებოდა კავკასიის ხალხთა ინტერესებს – მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

მსჯელობა და დასკვნები

საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა აწონ-დაწონილი სამხედრო რეფორმების გატარების დიდი მნიშვნელობა და ისიც გეგმაზომიერად, შეუდგა ამ საქმეს. დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ლაშქრის გაზრდა-გამრავლებას, სათანადოდ შეიარაღებასა და საგანგებოდ გაწვრთნას; მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დისციპლინის განმტკიცებას.

ახალგაზრდა მეფემ „განამრავლნა სპანი“, აღჭურვა იარაღითა და ცხენებით და მათ წვრთნას შეუდგა. დავით აღმაშენებელი ახალისებდა თავდადებულ ერთგულ მოლაშქრეებს, ამასთან იგი შეუბრალებელი იყო ჯაბანთა მიმართ. მკაცრი სამხედრო წესრიგი დამყარდა: „ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 336).

საქართველოს სამეფო კარმა მოქმედების სისწრაფისათვის ქვეითი ჯარი შეცვალა ცხენოსანი რაზმებით, რომლებიც ყველა დროს მზად უნდა ყოფილიყვნენ. ესოდენ გადახალისებულ-გარდაქმნილი ჯარი მტერს ახალი ტაქტიკით უნდა შეებოდა. მის ხელმძღვანელობასაც ახალი სტრატეგიული ხერხები უნდა გამოეყენებინა. სამეფო ხელისუფლებამ ძლიერი საპოლიციო აპარატი შექმნა, რომელსაც დავით აღმაშენებელმა სათავეში მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი (მანდატურთა – შინაგანი პოლიციის მსახურთა უფროსი) ჩაუყენა სათავეში. დავით აღმაშენებლის დროს მანდატურთუხუცესის თანამდებობა დიდგვაროვან ქართველ ფეოდალებს – ჯერ ვარდანისძეებს, შემდეგ ორბელებს ეკავათ.

დავით აღმაშენებელმა თავისი ლაშქარი სწრაფად მანევრირებადი გახადა. კარგად იყო აწყობილი სამოხილიზაციო სისტემა. მუდმივ მზადყოფნაში იყო სასიგნალო კოშკები, პირდაპირი და ესტაფეტის წესით მოქმედი „ქენებითმავალნი“, რომელთა საშუალებით წვევის წიგნები ანუ მეფის ბრძანება გადაიცემოდა. ქართული ჯარის ასე სწრაფი თავმოყრისა და პირდაპირი გალაშქრებისათვის მუდმივი მზადყოფნა, როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური მასშტაბის დარტყმათა დასწრების დიდ შესაძლებლობას ქმნიდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზს უსვამს, „ხოლო თვთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორითუზახებდა, ვითარცა ერთიმთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს

ყოველთასა თვთ წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ჳმითა მალლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა” (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 311-312). ქართული ლაშქრის სრული რეორგანიზაცია, ჯარის ახალი სახეების შექმნა აუცილებელს ხდიდა სამხედრო საქმეთა განსაგებლის რეორგანიზაციასაც. ამ ახალმა მოთხოვნებმა განაპირობა საქართველოს სახელმწიფოში საგანგებო სამხედრო უწყებისა და მისი მეთაურის – ამირსპასალარის (მთავარსარდლის) თანამდებობის შექმნა.

დავით აღმაშენებელი გეგმაზომიერად ატარებდა ღონისძიებებს ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზაციისა და სამხედრო ძლიერებისათვის. 1110 წელს აღებულ იქნა ქ. სამშვილდე („სიმარჯვთ მოიპარეს სამშვილდე”), რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო. 1110 წელსვე შემოერთებული იქნა ქ. ძერნა. 1115 წელს, ქ. რუსთავი აიღეს. 1117 წელს ციხე-ქალაქი გიში. იმავე წელს დავით აღმაშენებელმა თავისი ძე დემეტრე შირვანს გაგზავნა „სპითა ძლიერითა” სალაშქროდ. დემეტრე დავითის ძემ, „ქმნა ომნი საკვრველნი, რომლითა განკვრვნა მხილველნი და მსმენელნი”, აიღო ციხე ქალამორი, ურიცხვი ტყვე წამოიყვანა და დიდძალი ალაფი წამოიღო. 1118 წელს, ადრე გაზაფხულზე, დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ გაილაშქრა და რახსის (არაქსის) პირას მდგომ სელჩუკებს დაესხა თავს, „მოსრა სიმრავლე მათი, და წამოიღო ტყუე და ალაფი ურიცხვ”.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1118 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ციხე-ქალაქ ლორეს აღებას. ეს ქალაქი 1065 წლიან კვირიკიანების დინასტიის მიერ შექმნილი ტაშირ-მორაკერტის სამეფოს ცენტრი გახდა. ლორე თავისი მიმდებარე ტერიტორიით საქართველოს შემოუერთდა და განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო ამირსპასალართა რეზიდენციად იქცა. 1118 წლის ივლისში აიღეს აგარანი.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ზეაღმავალი საქართველო-სათვის, რომლის საშინაო და საგარეო გეგმები სულ უფრო მზარდი და მრავლისმომცველი იყო, აუცილებელი იყო ლაშქრის გამრავლებისათვის ქმედითი, გონივრული ზრუნვა. სახელმწიფოსა და მისი მეფის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი არ იყო ის ღონისძიებები, რომელიც დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო საქმის ორგანიზაციის მიზნით გაატარა. ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო მრავალი ციხე-ქალაქი. რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხოზრივად შეამცირა.

ამოცანა დიდი და მნიშვნელოვანი იყო – ლაშქარი რიცხოზრივად უნდა გამრავ-ლებულიყო, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ აიღეს გეზი. ყივჩაყების ყოფა-ცხოვრებაში საქართველოს მეფემ და სამეფო კარმა შენიშნა ის ფაქტორები,

რომლებმაც განაპირობეს სწორედ ყივჩაყებისაკენ (და არა სხვა ხალხისკენ) გეზის აღება. ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში XII საუკუნეში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ტომებად ცხოვრობდნენ. ყივჩაყები ცნობილნი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით, ამასთან – ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი. დავით აღმაშენებელმაც კარგად „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 318-319). გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ დავით აღმაშენებელსცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მეფის ათრაქა შარადანისძის ასული გურანდუხტი.

დავით აღმაშენებელმა ყივჩაყთა მოსაწვევად გაგზავნა „კაცნი სარწმუნონი“. ყივჩაყები სიხარულით შეხვდნენ ამ მოწოდებას, საქართველოს მეფეს გადმოსახლებაზე თანხმობა შემოუთვალეს და მოითხოვეს ოსეთზე უსაფრთხოდ გამოვლის უზრუნველყოფა („გზა მშვიდობისა ოვსთაგან“). მეფე თვითონ გაემგზავრა ოსეთს (არსებობს პავლე ალექსოელის ცნობა ყივჩაყთა გადმოსახლების თაობაზე. დავით აღმაშენებლის მიერ ვლადიმერ მონომახთან მოლაპარაკების შესახებ). როგორც ჩანს, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყივჩაყთა ჩამოსახლებასთან ერთად ოსეთთან ურთიერთობას და არ არის შემთხვევითი, რომ მან თან გაიყოლა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. საქართველოს ძლიერი მეფის სტუმრობა ოსთათვის დიდი მოვლენა იყო. შევიდა თუ არა დავით აღმაშენებელი ოსეთში, „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 319). დავით აღმაშენებელმა ოსები და ყივჩაყები შეათანხმა და „ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა“. ამ შეთანხმების სიმტკიცის საწინდრად დავით აღმაშენებელმა მძევლები ჩამოართვა ორივე მხარეს, თვითონ კი „აღიხუნა ციხენი დარიალსა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისანი და შექმნა გზა მშვიდობისა – ყივჩაყთათვის“.

დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულთა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 320). ე.ი. სამეფო კარმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი („დედა-წულთა მათითა“). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ, ისე კი ამბობს „ადგილთა მათ მარჯუეთა“ დააყენაო დავით აღმაშენებელმა. ჩვენი აზრით, საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ა. კიკვიძე და სხვ.), რომ ყივჩაყების

დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის ინტერესებში იყო.

ამგვარად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის გაზრდის პრობლემა. ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, ისინი ორმოცი ათასი იყვნენ. მათ გარდა მუდმივ ლაშქარში, ცხადია, ქართველებიც იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ჰყავდა სამოციანთასიანი მუდმივი ლაშქარი. აქედან თუკი ორმოცი ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა. ვახუშტი ამ ლაშქარს „მარადის მცველს“ უწოდებს, იოანე ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს „ყოველთვის მზად ჰყვა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი“.

1120 წლისათვის საქართველოს ძლიერი ლაშქარი სრულ სამარ მზადყოფნაში იყო. მუდმივი ლაშქრის შექმნამ, საგანგებო გაწვრთნამ და მკაცრი დისციპლინის შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს: ქვეყანა გაამაგრა, გააძლიერა, გარეშე მტრებს კი თავზარი დასცა.

* * *

**„... ხელი მაღლისაჲ შეეწეოდა და ძალი ზეგარდმოჲ
ჰფარავდა მას; და წმიდაჲ მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა უძღოდა
მას და მკლავითა თვსითა მოსვრიდა... უსჯულოთა“**

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“

ქართველი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას. ამ ომს იმთავითვე მიუქცევია ისტორიკოსების განსაკუთრებული ყურადღება. ამიტომაც, რომ ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ისტორიკოსების ნაშრომებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, არაბი აჰმად იბნ მუსლეჰ იბნ ყალი აღ-აზრაჰ აღ-ფარიკი, იბნ აღ-ასირი (ამ ავტორის „მსოფლიო ისტორია“ დაამუშავა ფრანგმა აღმოსავლეთმცოდნემ მ. დეფრემერიმ), გოტიე, მატეოს ურჰაეცი – აი, არასრული სია იმ ავტორებისა, რომლებიც დიდგორის ბრძოლას შეეხნენ. არ არის შემთხვევითი, რომ აღნიშნული ბრძოლის მრავალმხრივ მნიშვნელობას, სამხედრო თუ სხვა თვალსაზრისით, შეეხო ფეოდალური საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი.

ფართო მასშტაბის ენერგიული ღონისძიებების გატარების შემდეგ, საქართველოს სამეფო კარი აქტიური ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს მომხდური მტრის დასამარცხებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად (საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული). 1120 წლიდან დავით აღმაშენებელმა საბრძოლო მოქმედება საქართველოს ფარგლებს გარეთ (ზორტია, ყაბალა, აშორნია, სევგელამეჯე, ბარდავი, ხუნანი) გადაიტანა.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში ძირითად საკითხად მაინც თურქ-სელჩუკების პრობლემა იდგა. სწორედ აქედან გამომდინარეობდა და განისაზღვრებოდა დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა, კერძოდ ის ურთიერთობები, რომლებიც საქართველოს ჰქონდა რუსეთთან, ბიზანტიასთან, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან, აღმოსავლეთის ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებთან.

თურქ-სელჩუკთა უკიდურესი შევიწროება XII საუკუნის ოციან წლებში მიაჩნია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს დიდგორის ბრძოლის გამომწვევ მიზეზად: „ესევეთართა ჭირთაგან შეიწროებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე ხელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მოოთხრეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თვსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორისა მათსა” (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 323-324).

სომეხი ისტორიკოსი მატეოს ურჰაეცი ასახელებს 1121 წელს სელჩუკთა დიდი ლაშქრის დამარცხებას დავით აღმაშენებლის მიერ, გადმოგვცემს, რომ ამ მარცხის შემდეგ „დარჩენილებმა თურქთა ჯარისაგან დიდი უბედურების გამო შემოიხიეს ტანისამოსი, მიწას იყრიდნენ თავში და შავად შემოსილნი თავდაუზურავნი ხმამალა მოთქვამდნენ, განძაკში თავიანთ სულთანთან მელიქ ტაფარის ძესთან ხმამალა ჩიოდნენ და ტიროდნენ თავიანთ დაღუპვას, ხოლო სხვებმა მიაღწიეს არაჰკთა ოლქს კარმიანის ქვეყანაში, ამირა ხაზის არდუხის ძეს და დიდი ტირილით თავიანთი მომხდარი დაღუპვა უამბეს”. ამ უკანასკნელმა კი ბრძანა შეკრება დიდი ლაშქრისა და საქართველოზე გალაშქრება. მატეოს ურჰაეცის ცნობა სელჩუკთა დიდი ლაშქრის (30000) დამარცხების შესახებ ჩვენთვის მეტად მვირფასია, რადგან იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს არ მოეპოვება. უტყუარი ფაქტია, რომ საქართველოს სამეფო კარის შეტევითი ბრძოლების წყალობით მართლაც მძიმე დღეში ჩავარდნენ თურქ-სელჩუკები და სრულიად არ არის გასაკვირი, რომ მოამზადეს კოალიციური ლაშქრობა დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. სხვა ისტორიული წყაროებიც ქართველთა მიერ მუსლიმთა შევიწროებას ასახელებენ დიდგორის ბრძოლის გამომწვევ მიზეზად.

ასეთი საერთო საფუძვლის მიღმა დიდგორის ბრძოლას გააჩნდა

უფრო კონკრეტული მიზეზები, რაც გამოხატული იყო დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში, მის დამოკიდებულებაში საქართველოს ქალაქებთან და კერძოდ, თბილისთან (შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 87). დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ წარმატებით წარმართული ბრძოლების პარალელურად იწყებს ბრძოლას ქალაქ-რესპუბლიკების, კომუნების გაუქმება-დამორჩილებისათვის. კომუნების არსებობა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ქალაქებში კანონზომიერი, იმ პერიოდის საშინაო და საგარეო პროცესთა მიერ გაპირობებული მოვლენა იყო. სამეფო ხელისუფლება გარკვეულ პერიოდში თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ქალაქებს (მათ შორის ქალაქ-კომუნასაც) – ამ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ძალას – ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაპირისპირებულ დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში (შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 81). ქალაქები, თავის მხრივ, ხელს უწყობდნენ ერთიანი ხელისუფლების გამდიერებას, ცდილობდნენ ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობასა და ქვეყნის გაერთიანებას.

მიუხედავად დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულებისა თბილისისადმი, ქალაქის იმდროინდელმა ხელისუფლებამ – „უზუცესებმა“ კარგად იგრძნეს დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხე და ყველანაირად ცდილობდნენ თავიდან აეცდინათ იგი. ქალაქების დამორჩილების ახალი ეტაპი იყო დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლის დაწყება თბილისისათვის, რაც პრაქტიკულად 1120 წლიდან ხდება (ამ დროიდან იწყება დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შევიწროება). პირველი წარმატება თბილისის შემოერთების გზაზე იყო ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ თბილისელებმა (საქალაქო თვითმმართველობამ) ათი ათასი დინარი ხარკი იკისრეს საქართველოს მეფის სასარგებლოდ და ამასთანავე შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან თბილისში უნდა ყოფილიყო მეფისნაცვალი ათი მხედრით („შიჰნა“). ყოველივე ეს იმის დასტური იყო, რომ თბილისი საქართველოს მეფის მფარველობას აღიარებდა. დავით აღმაშენებელი ქ. დმანისის მიმართაც მსგავს პოლიტიკას ატარებდა. საქართველოს სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის მდგომარეობა უკიდურესად მწვავედებოდა. „ქალაქთა კავშირის“ ძალები არ იყო საკმარისი საქართველოს ძლიერი ლაშქრის გასამკლავებლად, ამიტომ ეს უკანასკნელნი დახმარების ხელს მეზობელი მუსლიმური ქვეყნებისაკენ იწვდიან.

ამგვარად, საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ერთი მხრივ, საქართველოდან ფეხამოკვეთილი თურქ-სელჩუკები, ხოლო, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი ქალაქები. ამ ვითარებამ განაპირობა არსებითად დიდგვარის ბრძოლა.

ალ-ფარიკის მიხედვით, თბილისის მმართველობის წარმომადგენლებმა 1121 წელს თხოვნით მიმართეს მარდინისა და მაიაფარიკინის

პატრონს – ნეჯმ-ად-დინ ილღაზის, რათა მოსულიყო და ქალაქს და-პატრონებოდა. ილღაზის დიდძალი ლაშქარი შეუკრებია და თბილისა-კენ წამოსულა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებით, დიდგორის ბრძოლის გამომწვევი მიზეზი იყო არა მხოლოდ თურქ-სელჩუკების შევიწროება („ჭირთაგან შევიწროებული თურქმანნი“), არამედ ასევე შევიწროებული „ვაჭარნი განძელ-თბილელ-დმანელნი“, რომლებიც დახმარების სათხოვნელად წარვიდეს სულტანსა წინაშე“. ქალაქებს არ სურდათ თვითმმართველობის და, აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობის დაკარგვა. მართებულად მიუთითებს შ. მესხია, რომ „... ქალაქის ბრძოლამ თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, ე.ი. მისი მოსახლეობის კლასობრივმა ინტერესებმა განსაზღვრეს ქალაქის ამგვარი (მუსლიმან მფლობელებზე გეზის აღება, - რ.მ.) ორიენტაცია“ (შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 89). საქალაქო ცხოვრებაში ამ დროისათვის თბილისში ქრისტიანული (ძირითადად ქართული, ნაწილობრივ სომხური) მოსახლეობის ძლიერი ფენა იყო. არც ის უნდა უგულვებელყოთ, რომ თბილისში დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო ებრაული მოსახლეობაც. მუსლიმურ მოსახლეობას რომ მნიშვნელოვნად სჭარბობდა ქრისტიანული მოსახლეობა იქიდანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელმა თბილისის შემოერთების უმაღლეს სწორედ მოსახლეობის ამ ნაწილისგან მოითხოვა, არ შეევიწროებინათ მუსლიმები. საერთოდ, ყველა ერის მოსახლეობას, რომელიც თბილისელად, ქალაქის მკვიდრად ითვლებოდა, ერთი ინტერესი ჰქონდა. ამ ინტერესებს კი ძირითადად მათი კლასობრივი პოზიცია განსაზღვრავდა. ივ. ჯავახიშვილმა სრულიად მართებულად მიუთითა ქალაქის (თბილისის) სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის ინტერესთა ერთობლიობის შესახებ.

დავით აღმაშენებელი, ცხადია, თბილისის მთლიანად დამორჩილებისათვის ემზადებოდა, ქალაქი კი თავის მხრივ მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. ამიტომ იყო, რომ ქალაქის მცხოვრებნი (რა თქმა უნდა, ძირითადად მისი ზედაფენები) საქართველოს ძლიერი მეფის წინააღმდეგ დამხმარე ძალას ქვეყნის საზღვრებს გარეთ ეძებენ. ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ გამოდის არა მხოლოდ თბილისი, არამედ დმანისიც (აქამდე ჯერ მეფეს არ მიუღწევია, მაგრამ, როგორც ჩანს, დმანელები გრძნობენ ამგვარ საშიშროებას) და კიდევ უფრო მეტი, საქართველოს მეზობელი ქვეყნის ქალაქებიც, კერძოდ განძა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, თურქ-სელჩუკების მსგავსად „კ უ ა ლ ა დ ვ ა ჭ ა რ ნ ი გ ა ნ ძ ე ლ - ტ ფ ი ლ ე ლ - დ მ ა ნ ე ლ ნ ი“ შევიწროებული არიან საქართველოს მეფისაგან.

დახმარების საძებნელად დაძრული თურქ-სელჩუკები და განძელ-თბილელ-დმანელნი, პირველ რიგში, სპარსეთის სულთანთან მივიდნენ, ხოლო შემდეგ სხვა მუსლიმან მფლობელებს მიმართეს. მუსლიმანთა

გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერასის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მოჰამედის ძე (1117-1131 წწ.). იგი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა თბილისელთა თხოვნას. მან მიმართა მუსლიმანებს: „ვინც კი სადმე იყო დამასკო და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლელებს“ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, „სულტანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეიზს, სადაყას ძეს და მოსცა ძე თავისი ძალიქი და ყოველი ძალი მისი, და აჩინა სპასალარად ელლაზი ძე არდუხისი... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგს განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირათა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, მატეოს ურჰაეცის, იბნ ალ-ჯაუზისა და იბნ ალ-ასირის ცნობათა შეჯერების შედეგად დგინდებიან კოალიციური ლაშქრის მეთაურები:

ნეჯმ ად-დინ ილლაზი - ბაღდადის გამგებელი, ციხე-სიმაგრე მარდინისა და ალეპოს მფლობელი.

დურბეიზ (დუბეის) სადაყასძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და მატეოს ურჰაეცის ცნობით, არაბეთის მეფე.

თოდრულ-მოჰამედის ძე, ყაზვინის, ზეჯანის, გილანის, ახანისა და განძის გამგებელი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულთანზე ყოფილა.

თულან არსლან კუზიანი, თურქი ამირა, ბითლისისა და არზანის პატრონი.

განძის ათაბაგი, რომელიც სულთნის ბრძანებით, „მისითა ძალითა“ გამოსულა. როგორც მიიჩნევენ, იგი განძის იმდროის მფლობელის – თოდრულ მოჰამედის ძის ათაბაგი ქენ-თოდდი უნდა იყოს.

კოალიციური ლაშქრის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისასახელებს „ყ ო ვ ე ლ თ ა ს ო მ ხ ე თ ი ს ა ა მ ი რ ა თ ა“. ესენი არიან სომხეთის ტერიტორიის ცალკეული გამგებლები – ამირები, რომლებიც სულთნის ბრძანებით ლაშქრობენ საქართველოს წინააღმდეგ. როგორც ჩანს, კოალიციური ლაშქრობის მონაწილეთა შორის ერთგვარი წინააღმდეგობაც ყოფილა, რის გამოც, ალ-ფარიკის ცნობით, არზრუმში (ეს ქალაქი იყო მოლაშქრეთა პაემნის ადგილი) მოლაშქრეებს ჩამოსცილებიან ქ. მარდინის ყადი აბულ-ფათხი და ვეზირი აბულ-თამამ-იბ-აბდუნა. ამგვარად აშკარაა, რომ სულთნის მოწოდებითა და ბრძანებით თავი მოუყრია „... სადღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოდმართ, ყოველსა მხედრობად შემძლელებსა“. ამ დიდი ლაშქრის მთავარსარდალი ილლაზი იმ დროისათვის განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა და მის სარდლად დანიშნას სულთნის ბრძანება ფორმალურად სჭირდებოდა, თორემ იყო შემთხვევები, როცა იგი თვით სულთანსაც არ უდებდა ტოლს. ილლაზს ემორჩილებოდა ყველა ზემოჩამოთვლილი სარდალი თავისი ლაშქრითურთ.

მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მტრის მოლაშქრენი „შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვსა, რომლითა აღივსო ქვეყანა“ (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 324). მუსლიმთა ლაშქრის სიმრავლეს ყველა სხვა ისტორიკოსიც (ალ-ფარიკი, მატეოს ურჰაეცი, გოტიე, იბ-ალ-ასირი) ადასტურებს.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ დაწვრილებით ცნობებს იძლევა სომეხი ისტორიკოსი მატეოს ურჰაეცი. მისი სიტყვით, ილღაზს 150 000 მოლაშქრე ჰყავდა, „არაბთა მეფეს“ დურბეიზ (დურბეის) სადაყას მეს 10 000 კაცი გამოუყვანია. „ამავე დროს, - აღნიშნავს სომეხი ისტორიკოსი, - გამოვიდა განძაკის სულთანი მელიქი 400000 მამაცი ცხენოსნით, გაემურა უდიდესი ლაშქრით და შევიდა ქართველთა ქვეყანაში“ (ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 245). როგორც ვხედავთ, კოალიციური ლაშქარი მატეოს ურჰაეცის მიხედვით შეადგენდა $150000+10000+400000=560000$ კაცს. რა თქმა უნდა, ეს ცნობა გაზვიადებულია; წარმოუდგენელია, რომ ასე დიდი რაოდენობის ლაშქარი გამოეყვანა სამ მუსლიმ მფლობელს. ასევე გადაჭარბებულია ანტიოქიის სამთავროს კანცლერის ფრანგი გოტიეს ცნობა, რომელიც მიიჩნევს, რომ კოალიციურ მოლაშქრეთა რიცხვი 600 000-ს აღწევდა (იხ. გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“, წიგნში – ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), გარემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 66).

ზემოდასახელებულ ავტორთა მიერ მოცემული ციფრობრივი მონაცემები მტრის ლაშქრის რაოდენობის შესახებ ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა იმასაც შევნიშნავთ, რომ იმავე პირთა ცნობით, მოწინააღმდეგის ლაშქარი რამდენიმეჯერ აღემატებოდა საქართველოს სამეფოს ლაშქარს, ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას დაახლოებით 300 000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

რამდენი მოლაშქრე გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80 000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვიადებული ჩანს. უფრო დასაჯერებელია მატეოს ურჰაეცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მისი მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55 600 მოლაშქრე, აქედან - 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი.

დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდესი უმრავლესობა (ორი მესამედი) ქართველებისაგან შედგებოდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გადამწყვეტ მომენტში ძირითად ძალას ქართულ ლაშქარში სწორედ სამეფო სპა-ქართველები შეადგენდნენ, ყივჩაყთა 40 ათასი მუდმივი მოლაშქრიდან მხოლოდ 15 000 იქნა გამოყვანილი.

ალანები, რომლებიც საქართველოს ლაშქარში იბრძვიან, უნდა შეადგენდნენ დაქირავებულ ლაშქარს, ე.წ. „როქის სპას“. შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის გაღება მაშინ, როცა მეფეს რეზერვში საკმაო რაოდენობის მუდმივი მოლაშქრეები ჰყავდა. ეს, ალბათ, დავით აღმაშენებლის სათანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ასევე გარკვეული მიზნით იყვნენ ქართველთა ლაშქარში „ფრანგნი“. ესენი, როგორც ჩანს, ჯვაროსნული ომების დროს სხვადასხვა გზით საქართველოში მოხვედრილი ევროპელები იყვნენ (ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1942, გვ. 217).

ისტორიკოსები (თ. დადემკელიანი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. მესხია და სხვ.), ვინც კი საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს, სრულიად მართებულად მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნები იღებდნენ მონაწილეობას. კანცლერ გოტიესაც აქვს მინიშნებული დავითის ლაშქარში „ფრანგების“ ყოფნის შესახებ. ამგვარად, წყაროების მონაცემები, ისტორიკოსთა დაკვირვებანი და ჯვაროსნებისა და ქართველების იმდროინდელი ურთიერთობა სრულიად დამაჯერებელს ხდის ჯვაროსნების მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში.

თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა, როგორც ყველა წყარო მიუთითებს, დ ი დ გ ო რ თ ა ნ გაიმართა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი დაწვრილებით გადმოგვცემს იმ გზას, რომელიც გაიარეს მუსლიმანთა კოალიციის ჯარებმა. ისინი შემოსულან მანგლისის მიდამოებში და თრიალეთის გზას დასდგომიან. დათქმული იყო, რომ მთელი ლაშქარი თბილისის შესასვლელთან შეყრილიყო. თრიალეთისა და დიდგორის შერჩევა შეკრების ადგილად არ იყო შემთხვევითი. აქედან მტერი ადვილად წამოვიდოდა თბილისისკენ, დიდგორი თბილისის ერთ-ერთი კარი იყო, საიდანაც შეიძლებოდა მცხეთის შემოვლით შიდა ქართლში შესვლა. ცხადია, მუსლიმური კოალიციის წევრებმა თრიალეთის ბუნებრივი პირობებიც გაითვალისწინეს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი“... ე.ი. თრიალეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრის განსალაგებლად სრულიად ხელსაყრელი ადგილი იყო.

საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს განალაგა. დიდგორსა და მანგლისისკენ მიმავალი გზა ნიჩბისის ხევს მიჰყვება. მატეოს ურჰაეცი და გოტიე მიუთითებენ, რომ დავით აღმაშენებლის

ლაშქარმა ორ მთას შუა დაიბანაკა. „ესე მეფე დავით, წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი... ერთ ხეობაში დადგა ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტრები შემოტევას უპირებდნენ“ (გოტიე). ალ-ფარიკი გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ლაშქრის ნაწილი ერთ-ერთ მთაზე იყო და-ბანაკებული და საჭირო შემთხვევაში იქიდან მზადდებოდა მტერზე მოულოდნელი, სწრაფი თავდასხმა. პირველი ბრძოლა უნდა მიეღო ძირითად ნაწილს, სადაც თვით დავით აღმაშენებელი იდგა.

დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა. დიდგორი ბაგრატ IV-ის დროიდან მაინც მეფეთა საზაფხულო სადგომი იყო და მისი დიდმნიშვნელოვნება სტრატეგიული თვალსაზრისით არაერთგზის დამტკიცდა. თურქ-სელჩუკთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი, მანგლისშიც უნდა ჩამდგარიყო. მას უნდა შეესრულებინა სელჩუკთა ფრონტის შუაწელის შემაკავშირებელი რგოლის ფუნქცია და თვალი ფხიზლად სჭეროდა მთელი დაჯგუფების ზურგზე (ივ. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალთახედვით, წიგნში: დიდგორის ბრძოლა, გვ. 79).

ფრანგი გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: „... მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტოთ“.

დავით აღმაშენებლის სიტყვიდან აშკარა ხდება, რომ ქართული ლაშქარი იდგა ხეობაში, რომლის შესასვლელიც საგანგებოდ ჩაუხერგავთ. ეს, რასაკვირველია, საგანგებო ღონისძიება იყო. ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა – ან გამარჯვება, ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი. ამგვარი ქცევა საერთოდ გახდა პატრიოტი ქართველებისათვის ნორმა და უკვე შემდგომი დროის ისტორიკოსები მას წარმოგვიდგენენ როგორც დაკანონებულ წესს: „ა რ ა რ ს წ ე ს ი ჩ უ ე ნ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა , უ კ ე თ უ ვ ი ხ ი ლ ო თ მ ტ ე რ ი ჩ უ ე ნ კ ე რ ძ ო მ ო მ ა ვ ა ლ ი , შე უ ბ მ ე ლ ა დ ზ უ რ გ ი შე ვ ა ქ ც ი ო თ და ღ ა თ უ ი ყ ო ს ს ი კ უ დ ი ლ ი ” (ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 604). დიახ, ზურგშეუქცევლობა ოდითგანვე

მოსდგამდათ ქართველ პატრიოტებს და როცა ჟამთააღმწერელი ამბობს „არა არს წესიო“ იქნებ სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდგომ პერიოდს გულისხმობს იგი.

როდის გაიმართა დიდგორის ბრძოლა?

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს XV და XVIII საუკუნეების ხელნაწერებში 18 აგვისტოა დასახელებული. ს. ყაუხჩიშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს თარიღია - „და ა ა გ ს ტ ო ს ა თ უ რ ა მ ე ტ ს ა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“ (ტ. I, გვ. 341). XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის ზოგიერთ ხელნაწერში 12 აგვისტოა მითითებული ბრძოლის დაწყების თარიღად. როგორც ვარაუდობენ, დავით აღმაშენებლის თხზულების თავდაპირველ ხელნაწერში სწორედ 12 აგვისტო ყოფილა. ამ მოსაზრებას ამაგრებს ის ფაქტი, რომ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს სომხურ თარგმანში, რომელიც, მკვლევართა აზრით, XII საუკუნეშივეა შესრულებული, 12 აგვისტოა დასახელებული ბრძოლის თარიღად. აქ საგულისხმოა მატეოს ურჰაეცის მონაცემებიც, რომელიც არა მარტო რიცხვსა და თვეს, არამედ ბრძოლის დღესაც ასახელებს, მისი მიხედვით დიდგორის ბრძოლა ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათ დღეს მომხდარა. 1121 წლის აგვისტოში, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათი დღე იყო თორმეტი რიცხვი. ამგვარად, ქართული და სომხური წყაროების შეჯერების შედეგად ზუსტად განისაზღვრა დიდგორის ბრძოლის თარიღი – 1121 წლის 12 აგვისტო.

ჩვენ ვერ ვხედავთ წინააღმდეგობას დიდგორის ბრძოლის დაწყების შესახებ წყაროთა მონაცემებში. გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ რაზმებს თავისი ადგილი მიუჩინა. ფრანგი (ჯვაროსნები) მეომრები მოწინავეში დააყენა პირველ დაკვრათა მისაცემად. მცირე ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და ამბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულოები ზარდამცემი ბაირაღებით ჩნდებიან, და იმავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურს მთა და ბარი ბანს აძლევენ, ხოლო მეფე დავით მოთმინებითაა. თავისიანებს ამხნევებს და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ ურჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმიდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უაღრესი ყიჟინით თავს დაესხნენ მათ. ხოლო უფლის ძალით, პირველ შეტაკებისთანავე ბრმავდებიან და გაქცეულნი იფანტებიან. ბოროტნი ქრისტეს-მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიან; ომის მნახველთა ცნობით, სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ.

თვით ელდაზი თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, ღვთის ნებართვით მცირეოდენ ლტოლვილით უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა ნახევრად მკვდარი

(გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“, წიგნში: ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 67).

მოყვანილი მასალიდან ნათელია, რომ დავითის მოლაშქრეებმა გარკვეულ მანძილზე მოუშვეს მტერი და შემდეგ „თავს დაესხნენ მათ“. ე.ი. გოტიეს ცნობით, შეტევაზე პირველნი ქართველნი მოლაშქრეები გადავიდნენ (შდრ. შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 111).

მატეოს ურჭაეცის, ალ-ფარიკის, იბნ-ალ-ასირის ცნობებითაც, შეტევა ქართველ მოლაშქრეებს დაუწყიათ. იბნ-ალ-ასირი მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ლაშქრობის დაწყების შესახებ. არაბი ისტორიკოსის თხზულების პ. ჟუზესელ რუსულ თარგმანში ასეა მოცემული: „Встретившись, обе армии выстроились, чтобы сразиться. Выступили вперед двести человек кипчаков. Мусульмане подумали, что они хотят сдаться по аману и поэтому не приняли необходимых мер предосторожности, смешались с ними и были встречены стрелами. Ряды мусульман пришли в расстройство и поэтому те, которые стояли дальше, вообразив, что началось бегство, обратились (также) в бегство. Войска бежали друг за другом, и из-за сильной давки, сшибали друг-друга, вследствие чего многие из них были убиты.“

იბნ-ალ-ასირისა და გოტიეს ცნობები 200 მეომრის დაწინაურებისა და მათგან ბრძოლის დაწყების შესახებ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა გოტიე ამ მეომრებს ფრანგებად (ჯვაროსნებად) მიიჩნევს, ხოლო იბნ-ალ-ასირი – ყივჩაყებად. დავით აღმაშენებელს, როგორც ჩანს, მართლაც გამოუყენებია ეს ტაქტიკური ხერხი, საქართველოს მეფის ამ ჩანაფიქრს ყურადღება მიაქცეის სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევრებმა და ამგვარი ნაბიჯი ბრძოლისას იმ ეფექტურ ნაბიჯად მიიჩნიეს, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა წარმატებას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.

მართებულად მიგვაჩნია შ. მესხიას დაეჭვება ორასი მეომრის ვინაობის შესახებ. დავით აღმაშენებლის მიერ ღრმად ჩაფიქრებული ეს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის წარმართვისა და შედეგისათვის, ამასთან დიდ წვრთნასთან ერთად რისკსა და თავგანწირვასაც მოითხოვდა, ძნელად დასაჯერებელია, ყივჩაყებისათვის ან ფრანგებისათვის (ჯვაროსნებისათვის) მიენდოთ. რაც შეეხება გოტიეს მიერ მათ ფრანგებად (ჯვაროსნებად) მოხსენიებას, ეს არის ანტიოქიის ფრანგი კანცლერისაგან გასაკვირი; ხოლო თუ იბნ-ალ-ასირის თხზულებას ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ იგი მთელ ქართულ ლაშქარს „ყივჩაყთა ჯარს“ უწოდებს და მისთვის, ბუნებრივია, მეწინავე 200 მეომრად ყივჩაყები იყვნენ.

დავუბრუნდეთ დიდგორის ბრძოლის მსვლელობას. როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებლის მიერ წარგზავნილმა ორასკაციანმა რაზმმა თავისი მისია შეასრულა: დააბნია მტერი და არევ-დარევა შეიტანა მის

რიგებში. მაშინ საქართველოს ლაშქარმა მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია. „მეფემან დავით უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა... წინა განაწყო სპა მისი, და... ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 324). ალ-ფარიკის მიხედვით, დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. მთავარ ძალას მეფე ედგა სათავეში, ხოლო ლაშქრის ნაწილს მეფის მემკვიდრე დემეტრე დავითის ძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და მთის ძირას დაბანაკებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია. მატეოს ურჰაეცი ხატოვნად გადმოგვცემს ბრძოლის მიმდინარეობას: „იქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მთის შორის, ისე, რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთები იძახოდნენო“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღფრთოვანებით წერს, რომ მეფემ „წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“ ბრძოლის საქმე. პირველი შებრძოლებისთანავე მტრის ბანაკი შეირყა, აიყარა და გაიქცა. ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობებს მატეოს ურჰაეციც ადასტურებს. სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ „იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხეხები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნენ“. თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის მწარე მარცხს ვერც მუსლიმი ისტორიკოსები ფარავენ. ალ-ფარიკი აღნიშნავს, რომ „მოიკლა მუსლიმთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეული იქნენო“. იბნ ალ-ასირის ცნობით, „მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე“.

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი მიუთითებს იმ დიდ ზარალზე, რომელიც თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა განიცადა. დიდძალი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ ქართველებმა („რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ“).

დავით აღმაშენებლის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა „მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითაც აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“. რა თქმა უნდა, საქართველოს მოლაშქრეთა შორისაც იქნებოდა გარკვეული მსხვერპლი, მაგრამ ეს მტრის ლაშქართან შედარებით იმდენად მცირე ყოფილა, რომ ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, დავით აღმაშენებელმა „თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებლადო“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდი აღტაცებით გადმოგვცემს: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა, ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა თვთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამ-

ზარეულოთათა, - რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად!” (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 325).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით დიდგორის ძირითადი ბრძოლა სამ ჟამამდე (საათამდე) გაგრძელდებოდა. შემდგომში დროის ისტორიკოსები ადასტურებენ, რომ დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული არაბთა მეფისათვის - დუბეისისათვის წართმეული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი, დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს („ისტორიანი და ზმანნი შარავანდედთანი“). „ღმრთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკვირველისა“ დავით აღმაშენებელს გელათისათვის სხვაც მრავალი ძვირფასი ნივთი და ბევრი ტყვე შეუწირავს. ქართველთა ლაშქრისა და მისი სარდლობის დამსახურება ის იყო, რომ გაქცეულ მტერს შეკავშირებისა და გაერთიანების საშუალება არ მისცა. ასე რომ, დამარცხებულთა დევნა მნიშვნელოვანი ეტაპია დიდგორის ბრძოლაში. ზოგი ცნობით, საქართველოს მოლაშქრეებმა ილღაზის ჯარებს ანისის საზღვრამდე რვა დღეს სდიეს (მატეოს ურჰაეცი). გოტიეს ცნობით, დევნა სამ დღეს გაგრძელდა, რომლის დროსაც მტერმა უფრო დიდი ზარალი ნახა, ვიდრე ბრძოლის დროს. იბნ ალ-ასირის მიხედვით, ქართველებს მტერი საზღვრიდან 10 ფარსაგის (დაახლოებით 70 კმ) მანძილზე გაუდევნიათ. ქართველთა ამ მოქმედებამ მტერს კონტრშეტევის ყოველგვარი საშუალება მოუსპო და მისი სრული მარცხი განაპირობა.

ქართველთა ჯარმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით 1121 წლის 12 აგვისტოს მუსლიმურ კოალიციურ ჯარებთან მეტად რთულ და, ამავე დროს, არსებითად გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის გამარჯვება იყო; გამარჯვება, რომელიც ძალუმად ეხმაურებოდა კავკასიის ხალხთა ინტერესებს – მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ამას თურქ-სელჩუკთა დამცრობა-დასუსტება და შესაბამისად ჯვაროსანთა წარმატებები მოჰყვა. დიდგორის ბრძოლამ და მისმა შედეგებმა (თბილისის შემოერთება და სხვ.) განაპირობა „იმ ძლიერი პოზიციის გაშლა, რომლის საშუალებით, არაბთა დროიდან დაწყებული, და მერე თურქთა გაძლიერებით მაჰმადიანთ მათი ბატონობა ამიერკავკასიის შუაგულში უზრუნველყოფილი ჰქონდათ“ (ზ. ავალიშვილი, გარშემო ერთი ომისა, გვ. 46). გოტიემ კარგად გამოხატა ჯვაროსანთა თვალსაზრისი, რომლებიც დავით აღმაშენებელსა და მის ლაშქარს თავიანთ მოკავშირედ მიიჩნევდნენ, თავიანთ ქრისტიანულ ძმებად თვლიდნენ და მათ უყურებდნენ, როგორც თანამებრძოლებსა და მშველელებს.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის გამარჯვება დიდგორის ბრძოლაში ჯვაროსნებმა მიიჩნიეს როგორც საკუთარი წარმატება. დიდ-

გორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებას „ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თურქების ძლიერება-უძლეველობას უკვე სახელი გაუტყდა, ქართველები კიდეც უფრო გამხნევდნენ, ხოლო მანამდე თურქთა უღელქვეშ მყოფ ხალხებს განთავისუფლების ნამდვილი იმედი აღეძრათ“ (ნ. ბერძენიშვილი).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დიდგორთან ძლევამოსილ გამარჯვებას „ძლევად საკვირველი“ უწოდა. შემთხვევითი არ არის, რომ დიდგორის ქედზე აღმართულ ერთ-ერთ მთას „დავითის მთა“ ეწოდება. „დიდგორობის“, ამ ხალხური ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნა ყოველწლიურად აგვისტოში, მარიამობის მომდევნო კვირას ხდებოდა – იგი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა, დიდგორის გმირების ხსოვნას ეძღვნებოდა.

* * *

„... აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი... ოთხას წელ ქონებული სპარსთაჲ და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“.

„ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“

დიდგორის ბრძოლის წარმატებით მოგების შემდეგ საქართველოს სამეფოსათვის თბილისის შემოერთებას წინ აღარაფერი უდგა. დავით აღმაშენებელმა არა მხოლოდ მუსლიმთა კოალიციურ ლაშქარზე გაიმარჯვა, არამედ დამოუკიდებელ ქალაქებზე და მათ კავშირზეც. საქართველოს მეფისათვის ნათელი იყო, რომ დამოუკიდებელი ქალაქებისათვის ძნელი იყო თავისუფლების დაკარგვა (განძელ-თბილელ-დმანელთა მოქმედების შედეგი იყო თვით დიდგორის ბრძოლა!), ამიტომ დაყოვნება არ შეიძლებოდა და დავით აღმაშენებელმა გეზი თბილისზე აიღო. საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო: „მეორესა წელსა (1122 წ. - რ.მ.) აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 326).

დიდგორის ბრძოლის დამთავრებისა და თბილისის აღების შემდეგ ფაქტობრივად დასრულდა საქართველოს სამეფოს მიერ წარმოებული ქვეყნის შემომატების პროცესი. თბილისის საბოლოო შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელსა და სამეფო კარს მუსლიმური მოსახლეობის, საერთოდ სხვა ეროვნების ხალხისა და სხვა სარწმუნოების აღმსარებლების მიმართ შემწყნარებლური პოლიტიკა გაუტარებია. თითქმის მთელი სამხრეთ კავკასიის მიწების შემოერთების შემდეგ, საქართველოს საზღვრებში მოექცა საერთაშორისო სავაჭრო გზები და

ქალაქები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ. XII საუკუნის საქართველოში, რომელიც წინა აზიის განვითარებული საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული კავშირების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, იმატა უცხოელთა (ვაჭართა, მისიონერთა, მოგზაურთა) რიცხვმა. უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმები) იყვნენ. XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულთშემწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, მეტად უჩვეულო მოვლენა იყო.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მომდევნოების საქმეში და საქართველო საერთაშორისო მასშტაბით მაღალი ღირსებით წარმოაჩინა.

К 900 летию Дидгорской битвы

Роин Метревели

Академик, Вице-Президент Национальной Академии Наук Грузии,
Профессор

Резюме

Очерк посвящен Дидгорской битве, ее причинах и итогах – выдающейся победе грузин над сельджуками 12 августа 1121 года. В XII веке важнейшим вопросом государственной политики Грузии было окончательное воссоединение страны. Давид IV Строитель (1089-1125 гг.) осуществил значительные реформы – реорганизацию войска, церковную реформу, судебную и финансовую реформы. Значительные шаги предпринял в области культурного развития страны. Присоединил города: Самшвилде (110 г.), Рустави (1115г.), Гиши (1117г.) Лоре (1118г.) и др. Переселил в Грузию 40 тыс. семей кипчаков (половцев), тем самым увеличил и укрепил регулярное войско.

Давид IV Строитель в Дидгорской битве 1121 года, где он выступил с 55600 бойцами, использовал тактические и технические новинки и победил коалиционную армию мусульман. В 1122 году освободил г.Тбилиси и перенес сюда из Кутаиси столицу. Победа в Дидгорской битве имела большое международное значение.

Ключевые слова: тактические и технические новинки, коалиционная армия, бойцы, Шихна

საქართველოს ისტორია

საქართველო და „აბრეშუმის დიდი გზა“ გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში

Georgia and the great silk road in late antiquity and the middle ages

Lia Gablishvili

PhD student of Sokhumi State University

ORCID ID 0000-0002-5305-298X

E-mail: likagablishvili@gmail.com

tel.: + 995 595-09-22-46

Abstract

The article focuses on the materials covering the operation of the Great Silk Road, the routes thereof, as well as Georgia's involvement in trade relations between East and West carried out through this large-scale international major artery. Georgia had been involved in the international trade long before the emergence of the Great Silk Road. There had been reports on Greek imports in Colchis and Iberia as early as in the archaic and classical periods. It had contributed to the development of the roads that later became part of the Great Silk Road. The article offers the analysis of the data provided by Patroclus, Strabo, Marcus Terentius Varro, Menander, Pei Zui (a Chinese historian) and others. Iran and the Byzantine Empire had been engaged in wars to dominate the roads crossing the North Caucasus for centuries. It is noteworthy that starting from the second half of the sixth century, the main traffic transit load fell on the Caucasus section of the Silk Road, whereas at the end of the sixth century the North Caucasus direction eventually became a regularly operating main trade route. Archaeological excavations have revealed that the Chinese traders themselves used to travel along this route. An entire complex of Chinese items, including the fragments of Chinese embroidered silk and personal trade record of the merchant, dating back to the Tang era was found in a tomb located in the upper reaches of the Bolshaya Laba river, a tributary of the Kuban River. Alongside the Chinese textile, Chinese porcelain was also imported from the Far East to the West through Asia Minor. This is evidenced by the so-called 'Celadons', the fragments of which were found during the excavations in the large trading city of Anisi and the city of Dmanisi. This particular type of Chinese porcelain was made in the twelfth- thirteenth centuries. The only Chinese coin dating back to the 1200, which was found in Mtskheta in 1993, is also of particular importance.

Key words: Silk Road, China, Caucasus, Georgia, Byzantine Empire.

ლია გაბლიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ORCID ID 0000-0002-5305-298X

E-mail: likagablishvili@gmail.com

ტელ.: + 995 595-09-22-46

აბსტრაქტი

სტატიაში გადმოცემულია დაკვირვებები გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აბრეშუმის დიდი გზის ფუნქციონირებაზე, მის მარშრუტებსა და საქართველოს ჩართულობაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ამ მასშტაბური საერთაშორისო მაგისტრალის მეშვეობით. საუბარია აბრეშუმის გზის საქართველოს ტერიტორიებზე გავლის დამადასტურებელ ცნობებზე. საქართველო აბრეშუმის გზის ამოქმედებამდე გაცილებით ადრე იყო ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში, უკვე არქაულ და კლასიკურ ხანაში ბერძნული იმპორტი დაფიქსირებულია კოლხეთსა და იბერიაში. ამან ხელი შეუწყო ისეთი გზების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომში აბრეშუმის დიდი გზის შემადგენლობაში შევიდნენ. ამ პერიოდში იბერიის ტერიტორიაზე, წამყვან მაგისტრალურ მნიშვნელობას იძენდა მტკვრის გასწვრივ არსებული გზა. წინამდებარე სტატიაში განხილულია პატროკლეს, სტრაბონის, მარკუს ტერენციუს ვარონის, მენანდრეს, ჩინელი ისტორიკოსის პეი ძუს და სხვათა მონაცემები, რომლებიც დიდი სავაჭრო-საქარავნო გზის საქართველოში შემოსვლას ადასტურებს. ირანსა და ბიზანტიას საუკუნეების განმავლობაში ომები ჰქონდათ ჩრდილეთ კავკასიიდან გადმომავალ გზებზე გაბატონებისათვის. აღსანიშნავია, რომ VI ს. II ნახევრიდან ძირითადი სატრანსპორტო სატრანზიტო დატვირთვა აბრეშუმის გზის კავკასიურ მონაკვეთებზეა, VI ს. ბოლოდან კი მისი ჩრდილოკავკასიური მიმართულება იქცა რეგულარულად მოქმედ სავაჭრო მაგისტრალად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, ამ გზით თვით ჩინელი ვაჭრებიც მიმოდით. მდ. ყუბანის შენაკადის ბოლშაია ლაბას ზემო წელში მდებარე სამარხში (Мошчевая Балка) თანის ეპოქის ჩინური ნივთების მთელი კომპლექსი, ჩინური ამოქარგული აბრეშუმისა და ამ ვაჭრის პირადი სავაჭრო ჩანაწერის ფრაგმენტი აღმოჩნდა. ჩინური ქსოვილების გარდა წინა აზიის გავლით შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოდის ჩინური ფაიფურიც. საუბარია „სელადონებზე“, რომელთა ფრაგმენტები აღმოჩნდა მსხვილი სავაჭრო ქალაქის ანისისა და ქალაქ დმანისის გათხრების დროს. ჩინური ფაიფურის ეს სახეობა მზადდებოდა XII-XIII საუკუნეებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე 1993 წელს მცხეთიჯვარში აღმოჩენილ ერთადერთ ჩინურ მონეტას, რომელიც 1200 წლით თარიღდება.

საკვანძო სიტყვები: აბრეშუმის გზა, ჩინეთი, კავკასია, საქართველო, ბიზანტია.

შესავალი

თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. საქართველოს ეს ისტორიული ფუნქცია ვლინდებოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ სოციალურ-კულტურულ სფეროებში. ამ ასპექტში სრულიად განსაკუთრებულია საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა საერთაშორისო-სავაჭრო ურთიერთობებში. უძველესი დროიდან საქართველო-კავკასიაზე გადიოდა სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალები. ერთ-ერთი მათგანი იყო გვიანანტიკური ხანიდან აბრეშუმის დიდი გზის სახელით ცნობილი ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც აკავშირებდა შორეულ ჩინეთს რომაულ-მედიტერანული სამყაროსთან და მიმდებარე ქვეყნებთან. დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველო წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს აღნიშნულ სავაჭრო მაგისტრალზე და უშუალოდ იყო ჩართული ამ გზაზე მიმდინარე სავაჭრო ოპერაციებში. ქართველი მკვლევრები (ისტორიკოსები, არქეოლოგები და ა.შ.) ყოველთვის იჩენდნენ გარკვეულ ინტერესს აბრეშუმის დიდი გზის ქართული სეგმენტის კვლევის საქმეში. ქვეყნდებოდა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომელთაგან გამოსაყოფია გივი ზვიადაძის, ვახტანგ გოლიაძის, ოთარ ლორთქიფანიძის, გიორგი ივანიძის, ემილ ავდალიანისა (გოლიაძე, 1997; ლორთქიფანიძე, 1999; ავდალიანი, 2019) და სხვა მკვლევართა პუბლიკაციები. წარმოდგენილი სტატია არის აბრეშუმის დიდი გზის მარშრუტების დადგენისა და ამ გზის მეშვეობით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში საქართველოს ჩართულობის ირგვლივ არსებული სამეცნიერო შემკვიდრეობის კრიტიკული გააზრება-შეჯამების მოკრძალებული ცდა.

მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდოლოგიური ხერხები, მიდგომები და ინსტრუმენტები, რომლებიც ემყარება თანამედროვე საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგიის ფუნდამენტურ საფუძვლებს, მათ შორის:

- ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და წყაროთა ჰერმენევტიკის მეთოდს;
- ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდს;
- რაოდენობრივ-თვისებრივი შედარების მეთოდს.

შედეგები

წარმოდგენილი მასალა მეტ-ნაკლებად ავსებს ქართულ ისტორიო-გრაფიაში არსებულ ცოდნას აბრეშუმის გზის ფუნქციონირების შესახებ საკვლევ პერიოდში.

მსჯელობა

ჩინეთის ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებთან დამაკავშირებელი „აბრეშუმის დიდი გზის“ სახელით ცნობილი საერთაშორისო საქარავნო-სავაჭრო მაგისტრალის ამოქმედების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. II ს. 30-20-იანი წლები, როდესაც ჩინელი მოგზაური და დიპლომატი ჭანგ ციენი იმპერატორ უ-დი-ს (ძვ. წ. 141-87 წწ.) დავალებით საგანგებო მისიით იმყოფებოდა შუა აზიაში (Хенниг, 1961: 264-279). ტერმინი „აბრეშუმის დიდი გზა“ სამეცნიერო ლიტერატურაში გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიხტოფენმა /1833-1905/ შემოიტანა. აბრეშუმის გზაზე ძირითად ყიდვა-გაყიდვის საგანს აბრეშუმი წარმოადგენდა ამ გზის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ლათინურად აბრეშუმს ეწოდებოდა – „Serica“ და ამიტომაც რომაელები ჩინეთს სწორედ ასე ეძახდნენ – „სერিকা“ (Pliny, 1961: 378). ამ საქარავნო-სავაჭრო გზით აბრეშუმი და ბევრი სხვა ვაჭრობის საგანი შუა აზიის, ირანის, ამიერკავკასიის და საქართველოს გავლით ვრცელდებოდა შავი და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში (ზვიადაძე, 1989: 16).

პეკინიდან და შანხაიდან სავაჭრო გზები სწორედ აბრეშუმის გავრცელების ცენტრში – ქალაქ სიანთან იყრიდა თავს, იქიდან კი ლანჭოუს გავლით ჩადიოდა ქალაქ დუნხუანში, სადაც გზა ორად იყოფოდა, ერთი განშტოება ქალაქ ტურფანზე მეორე კი ხოტანისა და იარკენდის გავლით ქალაქ კაშგარში ჩადიოდა. „ქ. კაშგარიდან აბრეშუმის გზა კიდევ ორ განშტოებად მიემართებოდა: 1) ჩრდილოეთის გზა სამარყანდის გავლით, მდინარე ამუდარიით არალის ზღვამდე და იქიდან კასპიის ზღვისაკენ მიემართებოდა. კასპიის ზღვიდან კი ერთერთი გზა უკავშირდებოდა ამიერკავკასიას, მტკვრისა და სურამის უღელტეხილით, მდინარე ფაზისით (რიონ-ყვირილის მაგისტრალით) გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისთან (ფოთი) შავი ზღვით ბიზანტიონსა და რომამდე აღწევდა...“ (ზვიადაძე, 1989: 19-20).

ცნობილია, რომ, კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროებზე ბერძნული კოლონიები, რომლებიც ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის აღმოცენებული ბერძნული პოლისებისაგან განსხვავებით, სავაჭრო ფაქტორიებს წარმოადგენდნენ, ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში აღმოცენდნენ (Лордкипанидзе, 1979: 187-25), რაც იმას ადასტურებს, რომ საქართველო ოდითგანვე, აბრეშუმის გზამდე გაცილებით ადრე, იყო ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში. VI-IV საუკუნეებში ბერძნული ნაწარმი გვხვდება მტკვრისა და რიონ-ყვირილის მთელ მაგისტრალზე /

ფაზისი, ვანი, დაბლაგომი, ქუთაისი, საჩხერე, იხთვისი/ (ლორთქიფანიძე, 1999: 27). შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს ქალაქი ფაზისი წარმოადგენდა. ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობები მიუთითებენ ფაზისის სამხრეთაღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო ნავსადგურებთან კავშირზე (ლორთქიფანიძე, 1999: 27). ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ბერძნული იმპორტი დადასტურებულია მთელი საქართველოს მასშტაბით მდინარეების, რიონის, მტკვრისა და არაგვის გაყოლებაზე აღმოჩენილი მრავალფეროვანი ბერძნული კერამიკული და მინის ნაწარმით და სხვა ნიმუშებით (ლორთქიფანიძე, 1999: 27-28). ამრიგად, უკვე არქაულ და კლასიკურ ხანაში ბერძნული იმპორტი დაფიქსირებულია კოლხეთსა და იბერიაში, რამაც ხელი შეუწყო ისეთი გზების ჩამოყალიბებას, რომლებიც შემდგომში აბრეშუმის დიდი გზის შემადგენლობაში შევიდნენ (ლორთქიფანიძე, 1999: 28). იბერიის ტერიტორიაზე, ამ დროს, წამყვან მაგისტრალურ მნიშვნელობას იძენდა მტკვრის გასწვრივ არსებული გზა.

ამ გზის იბერიული მონაკვეთის სახმელეთო ხასიათზე მიგვითითებს სტრაბონის ცნობა: „აღბანიიდან (იბერიაში – ლ. გ.) შემოსასვლელი ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი...“ (ყაუხჩიშვილი, 1957: 129; Страбон, 1964: 511), აგრეთვე, უფლისციხის დიდი კლდეკარი, რომელიც ანტიკური ხანის კავკასიის ერთ-ერთ უდიდეს საგზაო ნაგებობას წარმოადგენდა და გამართული იყო საჭაპანო ქარავნებისა და ბორბლიანი ტრანსპორტის სამოძრაოდ (ხახუტაიშვილი, 1964: 68-69; მელიქიშვილი, 1970a: 633). ცნობილი რომაული საგზაო რუკა – *Tabula Peutingeriana* /მკვლევართა აზრით, შედგენილია ძვ. წ. I – ახ. წ. V საუკუნეებში/ (Подосинов, 2002: 287-298) იბერია-ქართლის ტერიტორიაზე უჩვენებს არაერთ გზას, რომლებიც, უეჭველია, ამავე დროს სავაჭრო მაგისტრალებს წარმოადგენდა (მელიქიშვილი, 1970b: 535). ასევე, სტრაბონის მონაცემებით, მცხეთაზე გადიოდა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან შავიზღვისპირა ქალაქებისკენ, კერძოდ ფაზისისაკენ მიემართებოდა. შუა აზიის გამოვლით ინდური საქონელი ჩამოჰქონდათ კასპიის ზღვაში, აქედან აღბანეთზე გაატარებდნენ და მტკვრის ხეობით გაიტანდნენ დას. საქართველოში (ყაუხჩიშვილი, 1970: 128-129).

დადგენილია, რომ სტრაბონს, ისევე როგორც სხვა შედარებით გვიანი პერიოდის მწერლებს, ასეთი ცნობები აღებული აქვთ უფრო ძველი წყაროებიდან, რომელთა შორისაა პატროკლეს (ძვ. წ. IV- III საუკუნეთა მიჯნაზე სელევკისა და ანტიოქოს I-ს დროს, განაგებდა სამხრეთ კასპიისპირა რაიონებს) ჩანაწერები (ყაუხჩიშვილი, 1970: 148; Грацианская, 1988: 6-175). მან კასპიის ზღვის გარშემო იმოგზაურა და აღნიშნა, რომ არის გზა, რომლითაც საქონელი კასპიის ზღვიდან აღბანეთის (მტკვრის და მისი მიმდებარე ტერიტორიების) გავლით აღწევს შავ ზღვამდე (Ямпольский, 1956: 162). პატროკლეს ცნობებს

იმეორებენ არისტოტელე და ერატოსთენე. შემდგომში ამ გზის შესახებ ცნობებს გვაწვდის მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ. წ. 116-27), რომელიც მონაწილეობდა პომპეუსის ლაშქრობაში ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ, მისი ცნობები შემონახულია პლინიუსთან. პლინიუსი წერს, რომ ვარონის ცნობის მიხედვით, პომპეუსის ლაშქრობის დროს დადგინდა, რომ ინდოეთიდან შვიდი დღის სავალზეა ბაქტრია, მდინარე ბაქტრი, რომელიც ჩაედინება მდინარე ოქსში, და რომ ამ მდინარით, კასპიის ზღვით და მდინარე მტკვრის გავლით გადმოტანილი ინდური საქონელი მაქსიმუმ ხუთ დღეში სახმელეთო გზით ჩადის პონტში ფასისთან (Плиний, 1949: 307; Ямпольский, 1956: 163; Алимова, Ртвеладзе, Абдурасулов, 2009: 10).

ფიქრობენ, რომ რომაელებმა პირველად გაიგეს აბრეშუმის შესახებ იმ დროს, როდესაც პომპეუსი ჩაუდგა სათავეში მეკობრეთა დარბევას, მცირე აზიაში (Хлезов, 2005: 326-331), ანუ, მაშინ როდესაც მარგალიტი და ძვირფასი ქვები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი რომისთვის (Хенниг, 1961: Гл. 23). მეტიც, ცნობილი გერმანელი გეოგრაფის კარლ რიტტერის აზრით, პომპეუსმა მხოლოდ საქართველოს აღმოჩენის შემდეგ გაიგო პონტოდან ინდოეთში მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების შესახებ (Риттер, 1854: 80; Хенниг, 1961: Гл. 23). მიუთითებენ აგრეთვე, რომ მდინარე ოქსი, დღევანდელი ამუდარია, არა კასპიის არამედ არალის ზღვას უერთდებოდა და შესაბამისად ინდური საქონელი, რომელიც მდინარე ოქსით მოდიოდა ვერ მოხვდებოდა კასპიის ზღვაში. თუმცა ისიც ცნობილია, რომ მდინარე ოქსი ხშირად იცვლიდა კალაპოტს (Олдрихт, 2009: 84-89). წყაროები მოწმობენ ამუდარიის არამდგრადობას, აქედან გამომდინარე, ასკვნიან, რომ მდინარე ამუდარიამ რამდენიმეჯერ იცვალა მიმართულება (Гозалишвили, 1956: 157). პატროკლეს ცნობით, რომელიც საკმაოდ სანდოდაა მიჩნეული, რადგან მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა კასპიის ზღვის შესწავლა მისი სანაოსნოდ ვარგისიანობის დადგენის მიზნით, კასპიის ზღვიდან ალბანეთის და შემდეგ მტკვრის და მისი მიმდებარე ტერიტორიების გაყოლებაზე გადიოდა გზა, რომლითაც საქონელი შემოდიოდა შავ ზღვაში (Ямпольский, 1956: 162). აქ ყველგან საუბარია ინდურ საქონელზე, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ჩინელი მოვაჭრეებიც სარგებლობდნენ ამ გზით, რომელიც მდინარე ოქსიდან უკავშირდებოდა კავკასიას.

მკვლევართა ნაწილი, რომელიც „აბრეშუმის დიდი გზის“ მარშრუტში საქართველოს არ მოიაზრებს, იშველიებს პომპეუსის თანამებრძოლის თეოფანე მიტილენელის ცნობას, იმის შესახებ რომ მტკვარი სანაოსნოდ ვერ გამოდგებოდა. შესაძლოა რომაელებმა თავისი წარუმატებლობის რეაბილიტაციის გამო გადმოცემულ ცნობებში განგებ დააკნინეს მტკვრისა და კასპიის საზღვაო გზის სანაოსნოდ ვარგისიანობა. გარდა ამისა, რომაელები გვიან ზაფხულში იყვნენ მდინარე მტკვარზე,

როდესაც წყლის დონე დაწეული იყო და შესაძლოა ამანაც მოახდინა მათზე შთაბეჭდილება (Ямпольский, 1956: 168). ამასთანავე, სირიელი ავტორების ტრადიციის კვალდაკვალ, არაბი და სხვა IX-X საუკუნეების არაბულენოვანი გეოგრაფები ერთხმად მიუთითებენ მტკვრის სანაოსნოდ ვარგისიანობაზე (Ямпольский, 1956: 170).

მინგეჩაურიდან არც თუ ისე შორს სოფელ ბეიუკ-დეგნთან ახლოს მდებარეობს ძველი ქალაქი, სადაც ერთ-ერთ ნაგებობაში ჩატანებულ ქვაზე ბერძნული წარწერაა გაკეთებული ელია იასონის სახელით, რომელიც სწერს ვინმე ევონს. სახელი იასონი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, ხოლო მეორე სახელს კი ატარებდნენ სწორედ იმ აორსების მეთაურები, რომლებსაც გადაჰქონდათ ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელსაც მიდიელებისა და სომხებისგან იღებდნენ (Ямпольский, 1956: 180). ბეიუკ-დეგნთან მდებარე ეს ქალაქი შესაძლოა ძველი სახმელეთო გზის საყრდენი პუნქტი ყოფილიყო, რადგან ის აერთიანებდა დიდი კავკასიის მთისწინეთს, მინგეჩაურისა და მტკვრის მეშვეობით მთავარ გზასთან და ენიანის (იუნანის) მეშვეობით კასპიის ზღვასთან. მინგეჩაურის (ან ევლახის) შემდეგ მტკვრიდან მიდიოდა ოთხი დღის სავალი სახმელეთო გზა დასახლებულ პუნქტ შორაპანამდე, საიდანაც იწყებოდა სანაოსნო გზა მდინარე რიონზე ვიდრე შავ ზღვამდე (Ямпольский, 1956: 180). „თუ გავითვალისწინებთ I-II სს. სომხეთის ასპარეზზე რომისა და პართიის გააფთრებულ ბრძოლებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერიასა და კოლხეთში გამავალი გზები, შორეულ აღმოსავლეთთან დასავლეთის ვაჭრობის მაგისტრალად დროდადრო მაინც გამოიყენებოდა. ამ მიზნით ამიერკავკასიის გზებით, როგორც ითქვა რომაელები მაშინათვე დაინტერესდნენ, როდესაც პირველად შემოდგეს აქ ფეხი“ (მელიქიშვილი, 1970a: 536).

როგორც აღვნიშნეთ, აბრეშუმის გზის ცალკეული განშტოებები უძველესი დროიდანვე გადიოდა საქართველოზე. ირანსა და ბიზანტიას საუკუნეების განმავლობაში ომები ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალ გზებზე გაბატონებისათვის (Прокопенко, 1999: 93). პროკოპი კესარიელი ასახელებს დარიალის ხეობის მმართველს ვინმე ამბაზუკს – „შთამომავლობით ჰუნს“ (კესარიელი, 1965: 46-47; Кесарийский, 1993: 30-31; Кесарийский, 1976: 112-113). სახელი ამბაზუკი ირანული წარმოშობისაა, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ დარიალის გასასვლელი V ს. მიწურულს და VI ს. დასაწყისში კონტროლდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომელიც მოხერხებულად აწარმოებდა ვაჭრობას ირანსა და ბიზანტიასთან (თოგოშვილი, 1978: 12; Ковалевская, 1984: 109). ჩრდილოეთ კავკასიის მობინადრენი ხან ერთს უჭერდნენ მხარს, ხანაც მეორეს, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი შესთავაზებდა მეტ სიმდიდრეს. მაგალითად, ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ალანები, როგორც წესი, მერყეობდნენ ამ

მხრივ, ხოლო დასავლეთის ალანები ძირითადად ბიზანტიას უჭერდნენ მხარს (Ковалевская, 1984: 133-134). თავის მხრივ, ბერძენი ვაჭრებიც არჩევდნენ გაეცლოთ პრობიზანტიურად განწყობილი ალანური ტომების ტერიტორიებზე, ისინი კი როგორც ითქვა უღელტეხილზე გატარებისათვის გასამრჯელოსაც იღებდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით (Прокопенко, Чаплыгина 2017: 73), მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მგზავრებს უხდებოდათ აქ ცხენების შეცვლა, გადასახადს კი იხდიდნენ აბრეშუმის ნაჭრებით, მძივებით და ა.შ. (Иерусалимская, 1972: 5; Лихтер, 1994: 117; Иерусалимская, 2012: 350-351; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 66).

აღსანიშნავია, რომ VI ს. II ნახევრიდან ძირითადი სატრანსპორტო სატრანზიტო დატვირთვა აბრეშუმის გზის კავკასიურ მონაკვეთებზეა, VI ს. ბოლოდან კი მისი ჩრდილოკავკასიური მიმართულება იქცა რეგულარულად მოქმედ სავაჭრო მაგისტრალად (Прокопенко, 1999: 93; Колесникова, 2016: 118-122; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 5-30). საროსის (დასავლეთის ალანების მეთაური, რომლის მფლობელობაშიც შედიოდა ყუბანი, პიატიგორიე და ამჟამინდელი ბალყარეთი) მოკავშირულ ქმედებებს მკვლევრები უკავშირებენ VI-VII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ისეთი დასახლებების გაჩენას, რომელიც ჩრდილოეთის უღელტეხილებისკენ მომავალი გზების გასწვრივ კარგად ორგანიზებულ დაცვას უზრუნველყოფდა (Ковалевская, 1984: 134-135). დასავლეთის ალანების გეოგრაფიული მდებარეობა, იგულისხმება მდ. ყუბანის ზემო წელი, ხელს უწყობდა მათ ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ლაზიკასთან და აბაზგიასთან ახლო მეზობლობაში. მეორე მხრიდან კი საროსის სამფლობელო ესაზღვრებოდა სტეპებს, რომლებიც სხვადასხვა მომთაბარე ტომებს ეკავათ და შესაბამისად სამხრეთ-დასავლეთის სატრანსპორტო მიმართულება გამზადებული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთთან შესაერთებლად (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 56).

VI საუკუნეში მომთაბარე ჰუნებს ცვლის თურქთა სახაკანო. ეს იყო მომთაბარეებისგან შემდგარი დიდი იმპერია, რომელიც მოიცავდა სოგდიანას, სამარყანდს და სემიგორიეს (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 56. თურქთა ამ დიდი იმპერიის შესახებ ვრცლად იხ.: Гумилев, 2003). ისინი დაკავებულები იყვნენ აბრეშუმითა და აღმასებით ვაჭრობით, აქტიურად იყვნენ ჩართულები და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ ჩინეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში (Кузнецов, 1993: 11; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 56-57). ეს ის პერიოდია, როდესაც სასანიდურმა ირანმა აკრძალა თავისი ტერიტორიის გავლით აბრეშუმის დასავლეთში გატანა და მეტიც, მის ტერიტორიაზე აბრეშუმით თავისუფლად ვაჭრობაც კი. ამან სოგდიელები აიძულა გადაედგათ დიპლომატიური ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მათმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა, რის შემდეგაც, მათ გადაწყვიტეს

რომს დაკავშირებოდნენ. როგორც მენანდრე აღნიშნავს, მათ გაიარეს ბევრი ქვეყანა და კავკასიის გავლით მიღწიეს ბიზანტიას (Менандр, 2003: 269; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 57).

ჩინეთისა და დასავლეთის ურთიერთობის შესახებ მენანდრეს მასალებს ერთგვრად ავსებს VI-VII საუკუნეების მიჯნაზე (589-621 წწ.) მოღვაწე ჩინელი ისტორიკოსის პეი ძუის (სუის დინასტიის მემკვიდრე) (Ся, 1962: 180; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 57) მიერ შედგენილი დასავლეთის ქვეყნების ატლასის მონაცემები. მართალია, ატლასი დაკარგულია, მაგრამ მისი წინასიტყვაობაა შემონახული, სადაც ნათქვამია რომ ჩრდილოეთის გზა, რომელიც იწყება ქ. ხამიდან და მიემართება „დასავლეთის ზღვისკენ“, გაივლის ბარკულის ტბას, თურქთა კაგანატის ბანაკს (ისიკ-კულის ტბასთან ახლოს), და ლუიხეშუის მეშვეობით ჩადის ბიზანტიამდე და აღწევს დასავლეთის ზღვას (Ся, 1962: 179-180; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 58). მკვლევართა დაკვირვებით, პეი ძუის მიერ ჩრდილოეთის გზის აღწერაში ირეკლება იმ ძველი აღმოსავლურ-თურქესტანული და სოგდიური ცენტრების გავლით შავი ზღვის სანაპიროებისკენ მიმავალი სავაჭრო გზების განახლების დასაწყისი, რაც სწორედ რომ დიდ აბრეშუმის გზაზე სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციების ცვლილებასთანაა დაკავშირებული (Лубо-Лесниченко, 1995: 93-94; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 58).

ცენტრალურ აზიაში მოზინადრე თურქთა გაერთიანებები ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი ზეკარებით უკავშირდებოდნენ ბიზანტიას. ამის შესახებ მენანდრეს მიერ დაცულ ცნობებს (Менандр, 2003: 268-269) ადასტურებს ჩრდილოეთ კავკასიაში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალაც, რომელმაც მკაფიოდ აჩვენა, რომ აღნიშნულ მარშრუტზე აქტიურად მიმდინარეობდა აბრეშუმით ვაჭრობა (Иерусалимская, 1972: 3; Иерусалимская, 2012: 21; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 75; გოილაძე, 1997: 34). ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში აღმოჩნდა უცხოეთიდან შეტანილი აბრეშუმის ნაწარმი, რომლის მსგავსს ევროპაში მეფეები და უმაღლესი საერო თუ სასულიერო პირები იყენებდნენ (Иерусалимская, 1972: 5; გოილაძე, 1997: 34). ძვ. წ. II საუკუნეში ჩინეთიდან დასავლეთში გატანილი აბრეშუმი ძალიან ფასობდა (Кузнецов, 1993: 10-11. Прокопенко, Чаплыгина, 2017: 53; Петров, 1995: 48). ცხადია, სავაჭრო გზაზე მოძრავი სხვადასხვა ძვირფასი საქონელი მთლიანად არ გადაიზიდებოდა ბიზანტიაში ან შუა აზიაში, არამედ ადგილზეც რჩებოდა (გოილაძე, 1997: 34) სწორედ ჩრდილოეთიდან საქართველოში გადმოსასვლელელებზე არსებულ სამარხებშია აღმოჩენილი აბრეშუმის ნივთები, რაც იმის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საზღვარზე მცხოვრები მოსახლეობა ქარავნებს ემსახურებოდა, რის სანაცვლოდაც გასამრჯელოსაც იღებდა (გოილაძე, 1997: 35).

თუ რა სახით ხდებოდა ქარავნების გატარებისთვის გასამრჯელოს გადახდევინება, ამაზე გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდიან XVIII საუკუნეში კავკასიაში მყოფი მოგზაურები /იაკობ რაინეგსი, ლეონტი შტედერი, იოანე გულდენშტედტი/ (Калоева, 1967: 20, 33, 97, 99; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 65). ისინი უთითებენ განსაკუთრებულ გადასახადზე, რომელსაც უხდიდნენ უხუცესებს და ადგილობრივ „მთავრებს“, ასევე თავდაცვითი კოშკების ცალკეულ მფლობელებს და უშუალოდ ქარავნების უღელტეხილზე გატარებაში მონაწილე ყველა პირს (Иерусалимская, 2012: 95). უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელებზე ადგილობრივი მოსახლეობა ქარავნებისგან აბრეშუმის გარდა გადასახადებს ნიჟარებითა და მძივებით იღებდნენ (Мастыкова, 1997: 84-85; Лихтер, 1994: 117; Иерусалимская, 2012: 349-351). არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, ამ გზით თვით ჩინელი ვაჭრებიც მიმოდითდნენ. მდ. ყუბანის შენაკადის ბოლშაია ლაბას ზემო წელში მდებარე სამარხში (Мощевая Балка) თანის ეპოქის ჩინური ნივთების მთელი კომპლექსი, ჩინური ამოქარგული აბრეშუმისა და ამ ვაჭრისპირადისავაჭროჩანაწერის ფრაგმენტი აღმოჩნდა (Иерусалимская, 1972: 7; გოილაძე, 1997: 35). ა. იერუსალიმსკაიას აზრით, ეს არის ვაჭრის დღიური სადაც თავის შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავდა ჩინელი ვაჭარი (Иерусалимская, 2012: 368-369). მანვე დაადგინა იმიერკავკასიის ტერიტორიაზე მოხვედრილი აბრეშუმის ჩინური, ბიზანტიური და შუააზიური წარმოშობა, რომელთაგან 60% იყო სოგდიური, ხოლო 18-20% – ჩინური, 25% კი ბიზანტიური წამოების (Иерусалимская, 1967: 55-78). ა. იერუსალიმსკაიას დაკვირვებით, დასავლეთიდან (ხმელთაშუა ზღვა, ეგვიპტე, სირია-პალესტინის რეგიონი) აღმოსავლეთში დასავლეთის ჩრდილოკავკასიური უღელტეხილებით გადაიზიდებოდა შალის გობელენები და სადა თხელი ქსოვილები, სამი სახეობის აბრეშუმის ქსოვილები (წარმოდგენილია 30-ზე მეტი ნახჭი), ფიჭვისგან დამზადებული მოხატული ყუთები, შუმის მძივები, მინის ჭურჭელი, რომელიც აბრეშუმის დიდ გზაზე ყველაზე მოთხოვნადი საქონელი იყო (Иерусалимская, 2012: 351).

საპირისპირო მიმართულებით, აღმოსავლეთიდან (ჩინეთი, ცენტრალური და შუა აზია) დასავლეთში ამ დასავლეთის ჩრდილოკავკასიური უღელტეხილების გავლით გადაიზიდებოდა: 1) აბრეშუმის ქსოვილები (ქსოვის სულ მცირე ცხრა სახეობის, სხვადასხვა შეფერილობის და ნახჭის); 2) ბამბის ქსოვილები; 3) აბრეშუმის ნედლეული; 4) შორეული აღმოსავლეთის ოკეანის დიდი პერლამუტრის ნიჟარები და კაური (Иерусалимская, 2012: 349-350). ნიჟარების გარდა ჩინელი ვაჭრები ცისქვეშეთის ცენტრებიდან მძივებსაც ეზიდებოდნენ. კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – წებელდის სამარხში აღმოჩნდა სუის დინასტიის (VI ს.) დროინდელი ქვის მძივი, რომელზეც

დატანილია ჩინური იეროგლიფი „ბენ“ („იმპერატორი“) (Воронов, 1975: 82). მიაჩნიათ, რომ ამ მძივებს ჩინელი ვაჭრები იყენებდნენ უღელტეხილებზე გადასვლისას გასამრჯელოს სახით (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 76). აბრეშუმის ქსოვილების ნაშთები საქართველოში გათხრილ სამარხებშიცაა აღმოჩენილი და განეკუთვნება ახ. წ. II საუკუნეს. აბრეშუმის ფრაგმენტები გვხვდება აგრეთვე IV საუკუნის და მომდევნო ხანის სამარხებშიც (ივანიძე, 2002: 66) ჩინური ქსოვილების გარდა წინა აზიის გავლით შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოდის ჩინური ფაიფურიც. საუბარია „სელადონებზე“, რომელთა ფრაგმენტები ნამდვილად აღმოჩნდა მსხვილი სავაჭრო ქალაქის ანისისა და ქალაქ დმანისის გათხრების დროს. სელადონებში იგულისხმება ჩინური კერამიკის ნივთები, უმეტესად საკმაოდ სქელკედლიანი ლანგარები და ლარნაკები, რომლებიც განკუთვნილი იყო ჩინეთიდან საღვაო და საქარავნო გზით გასატანად. ჩინური ფაიფურის ეს სახეობა მზადდებოდა XII-XIII საუკუნეებში. ერმიტაჟის კოლექციებში ინახება რამდენიმე ნივთი, რომელიც წამოღებულია კავკასიიდან და მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ ეპოქას (Кверфельдт, 1938: 188; გოილაძე, 1997: 11).

ელინისტური ხანის მრავალრიცხოვანი მონეტების აღმოჩენა ქართლის ტერიტორიაზე და ისიც, რომ ქართლში იჭრებოდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტის მინაბადები, ალექსანდრე მაკედონელის დრაქმა, ეგვიპტის მმართველის პტოლემეოს ფილომეტორის (181/180-145) სპილენძის მონეტა, სელევკიდების სირიის მეფეების დემეტრე I სოტერისა და ანტიოქოზ ევერგეტის სპილენძის მონეტები, მითრიდატე ევპატორის ამასტრიაში მოჭრილი მონეტები და სხვა მეტყველებს იბერია-ქართლის აქტიურ და ინტენსიურ სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან. ამის ირიბი დადასტურებაა უცხოური მონეტების საქართველოს ტერიტორიაზე ბრუნვა შემდგომი პერიოდში /V-VIII სს./ (Джалагания, 1979: 12-13). ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ამ მონეტებს შორის გვხვდება ჩინური მონეტაც.

აღნიშნული მონეტა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში, აღმოჩენილ იქნა 1993 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის განყოფილების ექსპედიციის (ხელმძღვანელები – ზურაბ ბრაგვაძე და ამირან დავითაშვილი) მიერ ხაშურის რაიონის სოფელ მცხეთიჯვარში, ალის ციხის მახლობლად, „გასაყიდლიანთ ვენახში“ წარმოებული გათხრითი სამუშაოებისას (ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46). მონეტა ბრინჯაოსგანაა დამზადებული, ოთხკუთხედააა გახვრეტილი, მონეტის ორივე მხარეს შესრულებულია ჩინური წარწერები, რომელიც „ერმიტაჟის“ ჩინური მონეტების მცველმა ნ. ივოჩკინამ ამოიკითხა: „ცინ იუან ტუნ ბაო“ – „ბედნიერი წამოწყებების ეპოქის მთავარი მონეტა“ (ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46). დადგენილია, რომ მონეტა ჩინეთში

სუნის დინასტიის მმართველობის ხანაში, კერძოდ კი, სამხრეთ სუნის დინასტიის (1127-1279) მმართველობის პერიოდშია მოჭრილი, მონეტაზე მოჭრის თარიღიცაა აღბეჭდილი, მასზე დატანილი ნიშანი „ლიუ“ – ნიშნავს 6-ს, რაც ნიშნავს, რომ მონეტა მოჭრილია მმართველობის მე-6 წელს, ე.ი. 1200 წელს (ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46). მცხეთიჯვარში მოპოვებულ ჩინურ მონეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება XII-XIII საუკუნეების საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით (ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 47). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ეს მონეტა აღმოჩნდა შუა საუკუნეების ცნობილი ქართული ქალაქის ალის მიდამოებში, სწორედ იქ, სადაც, მკვლევართა დაკვირვებით, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გადიოდა დიდი სავაჭრო სატრანზიტო გზა (ნადირაძე, 1990: 98-122; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46).

როგორც ცნობილია, ფეოდალური საქართველოს ქალაქები არამარტო ხელოსნობის, არამედ სავაჭრო პუნქტებსაც წარმოადგენდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საშინაო თუ საგარეო ვაჭრობაში, ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან და მათ შორის ჩინეთთანაც (მესხია, 1979: 108; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46-47). ქალაქ ალში კი 1925 წელს აღმოჩნდა წერილი მონეტებისგან შედგენილი განძი, რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ XIII საუკუნეს განეკუთვნება (მესხია, 1979: 110; ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 46-47). ალი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქი იყო, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს (ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 47). მიუხედავად იმისა, რომ არ გამოირიცხება 1200 წელს მოჭრილი ჩინური მონეტის საქართველოში შემოტანა უკავშირდებოდეს მონგოლთა შემოსვლას საქართველოში, მკვლევარები მაინც უპირატესობას ანიჭებენ ამ მონეტის შემოღწევას ქვეყანაში ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გზით (ბრაგვაძე, დავითაშვილი, 1993: 47).

საგულისხმოა, რომ მონეტებთან ერთად დარიალის ხეობით ხაზარეთში და ალანებთან შედიოდა კაურის ნიჟარები და მძივები. IX ს. I ნახევარში დარიალის ხეობას აკონტროლებდნენ არაბები (Дзаттиаты, Туаллагов, 2010: 115-116; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 69). იმიერკავკასიაში ქრისტიანული საგნების გავრცელება VIII-IX საუკუნეებში (Прокопенко, 2015: 80; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 70) და ქვემო არხიზში ნაპოვნი ქრისტიანული მისიონერული ბეჭდის (რომელზეც გამოსახულია ჯვრის ფორმის ვოკაციური მონოგრამა „ღვთისმშობელო შეეწიე „მონას შენსას“ – VIII-IX სს./ (Малахов, 2014: 95; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 70) აღმოჩენა, მკვლევარებს აფიქრებინებენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალით ამ

პერიოდში ქრისტიანი მისიონერებიც სარგებლობდნენ. არსებობს მოსაზრება იმის შესახებაც, რომ VII-IX საუკუნეებში ამ რეგიონში ფუნქციონირებდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (Кузнецов, 2002: 30; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 70).

სავაჭრო მაგისტრალზე გადაიზიდებოდა ისეთი საქონელიც, რომელიც არ იყო გათვლილი შუა აზიის და ჩინეთის ბაზრებისათვის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის მიზნით იყო შეტანილი. საუბარია საქართველოს რეგიონებიდან, მათ შორის თანმედროვე აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოტანილ ნივთებზე (მაგ. კოლხური ბზისგან დამზადებულ ორმხრივ სავარცხლებზე), რომელთა ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში (Туаллагов, 2005: 269-270; Иерусалимская, 2012: 363; Прокопенко, 2011: 104-105; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 77) უხვად აღმოჩენაც, ადასტურებს ზემოხსენებულ ფაქტს. თანამედროვე აფხაზეთის (კონკრეტულად ისტორიული აფშილეთი-აფსილიის) ტერიტორიიდან შემოტანილად ითვლება ბზის რელიქვიური ნივთი, რომელის კედლებზე მაღალი ოსტატობითაა გამოსახული ქრისტიანულ ისტორიოგრაფიაში უკვდავების სიმბოლოდ ცნობილი სცენა: ფარშევანგები რომლებიც ჭურჭლიდან სვამენ, ხოლო სახურავზე გამოსახულია ჯვარი (Иерусалимская, 2012: 357; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 78).

საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში შეჰქონდათ აგრეთვე ნახევრადმცირფასი ქვებით ინკრუსტირებული ნაკეთობები: ვერცხლის ქინძისთავეები ალმანიდის ბურთისებრი მძივით გაფორმებული (Чижова, 2006: 192; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 78-79) და სერდოლიკის /ზოგიერთზე დატანილი იყო წარწერაც/ (Ковалевская, 2005: 173-174; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79) და გიშრის მძივებით დამზადებული სამკაულები (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). გიშრის მოპოვების რაიონად მიჩნეულია დასავლეთი საქართველო, კერძოდ, დიოსკურია-სოხუმის მიდამოები (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79), საიდანაც ხდებოდა გიშრის მძივების ექსპორტი მთელ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და იმიერკავკასიაში, ასევე ვოლგის რეგიონშიც (Шилов, 1959: 440; Иерусалимская, 2012: 349; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). მკვლევართა დაკვირვებით, ქართული წარმოების მინის ნაკეთობები იმიერკავკასიაში შედიოდა ორი მარშრუტით – დარიალის ხეობის გავლით და დიოსკურიიდან (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). მაგალითად, ითვლება, რომ „მოშევაია ბალკას“ სამარხში აღმოჩენილი თაფლისფერი შუშისგან დამზადებული ჭურჭლის ფრაგმენტები დამზადებული უნდა ყოფილიყო ერთერთ ქართულ მინის სახელოსნო ცენტრში, სავარაუდოდ ორბეთში VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე (Иерусалимская, 2012: 348; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). ა. ჩიქოვას დასკვნითაც, ჩრდილო ოსეთის სამარხებში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის ნაწილი, მაგალითად, როგორიცაა ტიტის ფორმის ჭიქები, შესაძლოა

დამზადებული ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის ქალაქებში (Чижова, 2017: 46; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). ამიერკავკასიიდან ჭურჭელთან ერთად ეზიდებოდნენ მინისთვლიან (მინის) ბეჭდებს (Доде, 1994: 12; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). მინის ნაწარმის გარდა აქედან ალანთა დასახლებებში თიხის ნაწარმიც შედიოდა (Ковалевская, 2015: 173; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79).

VIII ს. I ნახევარში არაბ-ხაზართა პერმანენტული ომების დროს, რომელშიც ხაზარების მთავარ მოკავშირეებად ბიზანტია, იბერია-ქართლი და ალანები მოგვევლინნენ. ისტორიოგრაფიაში ეჭვს არ იწვევს, რომ არაბ-ხაზართა კონფრონტაციის ინსპირატორი იყო ბიზანტიის იმპერია, რომელიც ამ დაპირისპირებაში აშკარად ხაზარებს ლობირებდა (Новосельцев, 1990: 178-184; პაპასქირი, 2008: 448). ზოგიერთი მკვლევარი ამ დაპირისპირების ერთერთ მიზეზად თვლის მონაწილე მხარეების, პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიის სწაფვას შეენარჩუნებინა კონტროლი აბრეშუმის დიდი გზის ტრასებზე. მაგ., ვ. კუზნეცოვის აზრით, არაბებს შეეძლოთ ამ ტრასებზე გადაზიდვების შეწყვეტა რითაც დაზარალდებოდნენ ბიზანტიაც, ალანებიც და ხაზარებიც, რამდენადაც ვერ მიიღებდნენ შემოსავალს ამ გზის ფუნქციონირების წყალობით (Кузнецов, 1984: 109; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). თუმცა ეს მთლად ასე არ უნდა იყოს, რადგან ამ დაპირისპირების დასკვნითი სტადიისათვის შეინიშნება აბრეშუმის დიდი გზის ყველაზე დიდი გამოცოცხლება (Mako, 2010: 48-49). მართლაც, VIII-IX საუკუნეებისათვის შესამჩნევია მაგისტრალური ტრასების ფუნქციონირების გაძლიერება, რომელიც ხაზართა სახაკანოს ცენტრალური იმიერკავკასიის ქალაქურ დასახლებებს აკავშირებდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან და ყირიმთან (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 79). ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია ისევე, როგორც ცენტრალური იმიერკავკასია იყო გასაღების ბაზარი ქართული წარმოების ნაკეთობებისთვისაც. საქართველოდან შესული საქონლიდან, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ბეჭდები. დაღესტნის ძეგლებში გამოიყოფა ასეთი სამკაულების ჯგუფი, რომელიც თარიღდება VIII-IX საუკუნეებით (Гусев, 1992: 13; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 82).

IX ს. მიწურულისათვის თვალში საცემია ჩინური აბრეშუმის ექსპორტის შემცირება, მაგრამ აბრეშუმით დასავლეთის მომარაგებისთვის გამოყენებული ძირითადი ტრასები ისევ მოთხოვნადია. აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავკასიის სავაჭრო ურთიერთობები გრძელდება, თუმცა ხანის, სუის და თანის ეპოქებთან შედარებით ნაკლებად აქტიურად. შეინიშნება აბრეშუმის გზის ტრასების შემოკლება, მაგრამ საერთო ჯამში ისინი აგრძელებენ ფუნქციონირებას (Плетнева, 1996: 150; Прокопенко, Чаплыгина, 2019: 83). X საუკუნეში ხაზართა სახაკანოს განადგურების შემდეგ ცენტრალური იმიერკავკასიის ტომებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ტრანსკავკასიური მაგისტრალის გზაჯვარ-

რედინზე დაიწყეს აქტიური ეკონომიკური ურთიერთობები კიევის სა-ხელმწიფოსთან, რისთვისაც ის სავაჭრო გზები გამოიყენებოდა, რომელთა მეშვეობით IX საუკუნიდან აღმოსავლეთ სლავებთან შედიოდა არაბული დირხემები (Прокопенко, 1997: 30-32; Прокопенко, 1999: 120; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84).

მაგისტრალი, რომელიც ამიერკავკასიას დარიალის ხეობის გავლით აკავშირებდა მდინარე დონის ქვემოწელში მდებარე რაიონებთან ერთერთი ძირითადი მიმართულებად რჩებოდა (Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84), რის დადასტურებად მიჩნეულია ახლოაღმოსავლური ლითონის ჭურჭლის და კუფიური მონეტების აღმოჩენა დარიალის ხეობის მიდამოებში (Кесати, 1940: 12-13; Крупнов, 1948: 43; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84). ვარაუდობენ, რომ ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი აფრიკული მონეტის სიქის ნიმუშები, აღმოსავლეთ საქართველოდან იყო შეტანილი, რადგანაც მთისძირისა და ფიჩხოვანის სამარხებში აღმოჩენილია ჩრდილოაფრიკული დინასტიის იდრისიდის მონეტები (Джалагания, 1979: 37; Прокопенко, Чаплыгина, 2017: 84-85). ნუმიზმატიკის ა. ნიკიტინისა და ა. ფომინის დაკვირვებითაც აღმოსავლეთ ევროპაში ლევანტის (აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის) და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან შედიოდა აფრიკული მონეტები (Никитин, Фомин, 1992: 48-49; Фомин, 1992: 32-33).

დასკვნა

ასეთია ძირითადად ჩვენი დაკვირვებები გვიანანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აბრეშუმის დიდი გზის ფუნქციონირებაზე, მის მარშრუტებსა და საქართველოს ჩართულობაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ამ მასშტაბური საერთაშორისო მაგისტრალის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Avdaliani, E. (2019). *sakartvelo da abreshumis savach'ro gzebi (VI-XIII ss.)*. Tbilisi: gamomtsemloba „meridiani“. (ავდალიანი, ე. (2019). საქართველო და აბრეშუმის სავაჭრო გზები (VI-XIII სს.). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

Bragvadze, Z. Davitashvili, A. (1993). *chinuri monet'a mtskhetyjvidan. dze-glis megobari*, №1 (89). (ბრავვაძე, ზ. დავითაშვილი, ა. (1993). ჩინური მონეტა მცხეთიჯვრიდან. *ძეგლის მეგობარი*, №1 (89).

Goiladze, V. (1997). *abreshumis didi savach'ro gza da sakartvelo*. Tbilisi, 1997 (ვ. გოილაძე, (1997). აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო. თბილისი).

Inadze, M. (1982) *aghmosavlet shavizghvisp'iretis berdnuli k'olonizatsia*. Tbilisi, gamomtsemloba: „metsniereba“, (ინაძე მ., (1982). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი).

Kaukhchishvili, T. (1957). *st'rabonis geograpia*. Tbilisi. (ყაუხჩიშვილი, ს. (1957). სტრაბონის გეოგრაფია. თბილისი).

Khakhutaishvili, D. (1964). Uplistsikhe. I. 1957-1963 *ts'its' arkeologiuri k'vleva-dziebis shedegebi*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ (ხახუტაიშვილი, დ. (1964). უფლისციხე. I. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. თბილისი: „მეცნიერება“).

Kesarieli, (1965). De Bello Persico. *Georgik'a. bizant'eli mts'erlebis tsno-bebi sakartvelos shesakheb. t'. II. t'ekst'ebi kartuli targmaniturt gamotsa Simon K'aukhchishvilma*. Tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“. (კესარიელი, (1965). De Bello Persico. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

Lordkipanidze, O. (1999). vach'roba shav zghvaze – «abreshumis gzis» ist'oriuli ts'inamdzhvreb. *vach'robashavzghvaze arkaulsa da k'lasik'ur khanashi: abreshumis gzis ist'oriuli p'ersp'ekt'iva. shavizghvisp'iretis dzv. ist'oriisa da arkeologiis IX saertashoris simp'oziumi*. Vani. 1999 ts'lis 20-23 sekt'emberi. Tbilisi. (ლორთქიფანიძე, ო. (1999). ვაჭრობა შავ ზღვაზე – «აბრეშუმის გზის» ისტორიული წინამძღვრები. ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში: აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა. შავიზღვისპირეთის ძვ. ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი. 1999 წლის 20-23 სექტემბერი. თბილისი.

Mako, 2010 - G. Mako. The Possible Reasons for the Arab-Khazar Wars. – Archi-vum Eurasiae Medii Aevi. Harrassowitz Verlag. Wiesbaden, 2010.

Meskhia, Sh. (1979) kalakebi, khelosnoba da vach'roba. *sakartvelos ist'oriis nark'vevebi*. t'. III. Tbilisi, gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“, 1979. (მესხია, შ. (1979). ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

Nadiradze, j. (1990). Sairkhe sakartvelos udzvelesi kalaki. Tbilisi, gamomtsemloba „sakartvelo“, 1990. (ნადირაძე, ჯ. (1990). საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“).

Papaskiri, Z. (2008). k'idēv ertkhe sakartvelos sagareo-p'olit'ik'uri mdgomareobis shesakheb VIII sauk'uneshi. – sokhumis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi. V. humanit'arul da sotsialur-p'olit'ik'ur metsnierebata seria. Tbilisi, Sokhumis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. 2008. (პაპასკირი, ზ. (2008). კიდევერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).

Pliny, (1961). Natural History. With an English translation in ten volumes, Volume II, Libri III-VII. Translated by H. Rackham. London, Harvard University Press, MCMLXI, first printed 1942, reprinted 1947, 1961 (<https://archive.org/stream/naturalhistory02plinuoft#page/378/mode/2up>).

Richthofen, F. (1883). China. Ergebnisse Eigener Reisen Und Darauf Gegründete Studien. Erster Band, X. Capitel. Entwicklung Des Auswärtigen Verkehrs. 58-150. Chr, Berlin 1877.

Togoshvili, G. (1978). alan-osebi da bizant'ia. – matsne. ist'oriis, arkeologiis, etnografiis da khelovnebis ist'oriis seria. sakartvelos metsnierebata ak'ademia, №2, 1978. (თოგოშვილი გ., (1978). ალან-ოსები და ბიზანტია. – მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, №2).

Zögner, L. (1983). Ferdinand Freiherr von Richthofen 1833-1905, Berlin, 1983 (http://www.richthofen.de/fileadmin/richthofen/downloads/personen/ps_ferdinand-fvr_china.pdf).

Zviadadze, G., (1989). abreshumis didi gza sakartvelos t'erit'oriaze gadioda. tbilisi 1989 (გ. ზვიადაძე, (1989). აბრეშუმის დიდი გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა. თბილისი).

Алимова А., Ртвеладзе Э., Абдурасулов У., (2009). Средняя Азия – Закавказье – Рим: о значении водного пути по Амударье через Каспийское море в Закавказье. – Дорога Страбона как часть Великого Шёлкового пути. Материалы международной конференции (Баку, 28-29 ноября 2008 г.). Сборник докладов. Самарканд-Ташкент, МИЦАИ, SMI-ASIA.

Воронов, Ю. Н. (1975). Тайна Цебельдинской долины. Москва, издательство: «Наука» 1975 (http://apsnyteka.org/1056-voronov_taina_tsebelinskoy_doliny.html).

Гозалишвили Г. К. (1956). О древнем торговом пути в Закавказье. – sakartvelos ssr metsnierebata ak'ad. iv. javakhishvilis sakh. ist'oriis inst'it'ut'is shromebi. Т. II. Tbilisi, 1956. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბილისი, 1956.

Грацианская, Л. И. (1988). «География» Страбона. Проблемы источниковедения. – Древнейшие государства на территории СССР: Материалы и исследования. 1986 год. Издательство: «Наука». Москва, 1988.

Гумилев, Л. Н. (2003). Древние тюрки. История образования и расцвета Великого тюркского каганата (VI-VIII вв. н.э.). Издательство: «Кристалл». Санкт-Петербург, 2003.

Гусев, С. В. (1992). Экономические связи средневекового Дербента (VI-XIV вв.). Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук. Москва, 1992

Джалагания И. Л. (1979). Иноземная монета в денежном обращении Грузии V-VIII вв. Издательство: «Мецниереба». Тбилиси, 1979.

Дзаттиаты Р. Г., Туаллагов А. А. (2010). К вопросу об алано-арабских связях. – Проблемы хронологии и периодизации археологических памятников и культур Северного Кавказа. XXVI «Крупновские чтения» по археологии Северного Кавказа. Магас. 26-30 апреля 2010 г. Тезисы докладов Международной научной конференции. Магас. Издательство: ООО «Пилигрим», 2010.

Доде З. В. (1994). Находки в могильнике Подорванная Балка как свидетельство функционирования Шелкового пути. – Международное сотрудничество археологов на великих торговых и культурных путях древности и средневековья. Кисловодск, 1994.

Иерусалимская А. А. (1972). Великий Шелковый путь и Северный Кавказ. Москва, 1972.

Иерусалимская А. А. (2012). Мошевая Балка. Необычный археологический памятник. Санкт-Петербург. Издательство Государственного Эрмитажа, 2012.

Иерусалимская А. А. (1967). О северокавказском «Шелковом пути» в раннем средневековье. – Советская археология, № 2, 1967.

Калоев Б. А. (1967). Осетины глазами русских и иностранных путешественников XIII-XIX вв. Составление, вводная статья и примечания Б. А. Калоева. Перевод части текстов И. С. Зевакиной. Северо-осетинское книжное издательство. Орджоникидзе, 1967.

Кверфельдт Э. К. (1938). Китайская керамика XII-XIII вв. на Кавказе. – Памятники эпохи Руставели.. Ленинград. Издательство АН СССР, 1938.

Кесарийский Прокопий (1993). Война с персами. Война с вандалами. Тайная история. Перевод, статья, комментарии А. А. Чекаловой. Издательство «Наука». Москва, 1993.

Кесарийский Прокопий (1876). Прокопия Кесарийского история войн римлян с персами, вандалами и готами. Перевод с греческого Спиридона Дестуниса, комментарий Гавриила Дестуниса. Книга I. – Записки историко-филологического факультета С.-Петербургского университета. Ч. I. Санкт-Петербург. Типография Императорской Академии Наук, 1876.

Кесати Р. (1940). Бронзовая фигура орла. – Сообщения государственного Эрмитажа. Т. I. Ленинград, 1940.

Ковалевская В. Б. (1984). Кавказ и аланы. Века и народы. Москва. Издательство: «Наука», 1984.

Ковалевская В. Б. (2005). Кавказ – скифы, сарматы, аланы I тыс. до н.э. – I тыс. н.э. Пушкино: ОНТИ ПНЦ РАН (Отдел научно-технической информации Пушкинского научного центра Российской академии наук), 2005.

Колесникова М. Е. (2016). Северокавказская трасса великого шелкового пути: к историографии вопроса. – Историко-культурное наследие Великого шелкового пути и продвижение туристских дестинаций на Северном Кавказе. Материалы международной научно-практической конференции (Ставрополь 28–29 сентября 2015 г.). Ставрополь. Издательство СКФУ (Северо-Кавказского федерального университета), 2016.

Крупнов Е. И. (1948). Археологические памятники верховьев р. Терек и бассейна р. Сунжи. – Труды Государственного исторического музея (ГИМ). Археологический сборник. Вып. XVII. Москва.

Кузнецов В. А. (1993). «Великий шелковый путь» и Северный Кавказ. – В. А. Кузнецов. Алано-осетинские этюды.. Владикавказ. Издательство Северо-Осетинского института гуманитарных исследований.

Кузнецов В. А. (2002). Христианство на Северном Кавказе до XV в. Владикавказ. 2002, (https://blagos.ru/sites/default/files/kuznetsov_2002_1.pdf).

Кузнецов В. А. (1984). Очерки истории алан. Орджоникидзе.

Лихтер Ю. А. (1994). Бусы из могильника Мошевая Балка. – Боспорский сборник. #5. Москва.

Лордкипанидзе, О. (1979). К проблеме греческой колонизации Восточно-го Причерноморья (Колхиды). – Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо – 1977. Тбилиси.

Лубо-Лесниченко Е. И. (1995). Великий Шелковый путь. – Вопросы истории. #9.

Менандр, (2003). Менандра Византийца продолжение истории Агафиевой. – ზოგზბო: Византийские историки: Дексипп, Эвнапий, Олимпиодор, Малх, Петр Патриций, Менандр, Кандид, Ноннос и Феофан Византиец. Афиней. Пирующие софисты. Текст подготовлен по изданию: Византийские историки. Дексипп, Эвнапий, Олимпиодор, Малх, Петр Патриций, Менандр, Кандид, Ноннос и Феофан Византиец. Переведенные с греческого Спиридоном Дестунисом. Примечания Гавриила Дестуниса. Санкт-Петербург, 1860. Рязань. Издательство: «Александрия», (<http://www.bgconv.com/docs/index-160613.html?page=32>).

Малахов С. Н. (2014). Материалы к церковной археологии Алании. – Из истории культуры народов Северного Кавказа. Сборник научных статей. Вып. 6. Ставрополь.

Мастыкова А. В. (1997). К изучению роли Кавказа в системе восточноевропейских торговых связей второй половины I тыс. н.э. (по материалам салтово-маяцкой культуры). – Историко-археологический альманах. Вып. 3, Армавир-Москва.

Никитин А. Б., Фомин А. В. (1992). Новый клад сасанидских и куфических монет перв. пол. IX в. – Труды Государственного исторического музея. Нумизматический сборник. Ч. XI. Москва.

Новосельцев А. П. (1990). Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. Москва. Издательство: «Наука».

Олбрихт Марек Ян (2009). Страбон и Ох: некоторые замечания по рекам античной Центральной Азии. Дорога Страбона как часть великого шелкового пути. – Материалы Международной Конференции (Баку, 28–29 ноября 2008 г.). Сборник докладов. Самарканд–Ташкент: МИЦАИ, SMI-ASIA (https://vk.com/doc-23433303_279372939).

Петров А. М. (1995). Великий Шелковый путь. Москва.

Плетнева С. А. (1996). Саркел и «Шелковый путь». Воронеж.

Плиний Гай (1949). Естественная история. – В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. – Вестник древней истории, №2.

Подосинов А. В. (2002). Восточная Европа в римской картографической традиции. Тексты. Перевод. Комментарий. – Древнейшие источники по истории Восточной Европы. Москва. Издательство: «Индрик», 2002 (http://dgve.ru/bibl/Svod_20_Podosinov_2002.shtml).

Прокопенко Ю. А. (1999). История северокавказских торговых путей IV в. до н.э. – XI в. н.э. Ставрополь.

Прокопенко Ю. А. (1997). К вопросу о находках в Центральном и Восточном Предкавказье куфических монет VIII–IX вв. – Вестник Ставропольского государственного университета (СГУ). № 9. Исторические и социально-гуманитарные науки. Ставрополь

Прокопенко Ю. А. (2011). К вопросу о характере торговли и транспортных магистралах, связывавших Центральное Предкавказье и древнерусские княжества. – Историко-археологический альманах. Вып. 10. Армавир-Краснодар-Москва.

Прокопенко Ю. А. (2015). Этапы распространения предметов христианской символики в Центральном Предкавказье в VI – XIII вв. – Археология и этнология Северного Кавказа. Вып. 5. Нальчик.

Прокопенко Ю. А., Чаплыгина С. Ф. (2017). Центральное Предкавказье в пространстве влияния Великого Шелкового пути и других транскавказских торговых магистралей в V – начале XIII в. Ставрополь. Издательство: «Печатный Двор». 2017.

Риттер К. (1854). История землеведения и открытий по этому предмету. Санкт-Петербург.

Страбон (1964). География. В 17 книгах. Перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского. Под общей редакцией проф. С. Л. Утченко. Ленинград. Издательство „Наука“.

Ся Най (1962). Золотая византийская монета, найденная в могиле периода династии Суй. – Византийский временник, т. XXI.

Туаллагов А. А. (2005). Самшитовые гребни из аланских памятников. Четвертая Кубанская археологическая конференция. Тезисы и доклады. Краснодар.

Утченко С. Л. (1964). Ленинград. Издательство „Наука“.

Фомин А. В. (1992). Новгородские клады куфических монет. – Труды Государственного исторического музея. Нумизматический сборник. Ч. XI. Москва.

Хенниг Р. (1961). Неведомые земли, т. I. Перевод с немецкого Е. К. Краснокутской и А. Д. Раихштейна. Предисловие и редакция А. Б. Дитмара. Москва. Издательство: «Иностранная литература» (<http://annales.info/other/hennig/030.htm>).

Хлевов А. А. (2005). Морские войны рима. Санкт-Петербург. Издательство С.-Петербургского Университета, 2005.

Чижова А. А. (2006). Связи раннесредневековых аланских племен Северного Кавказа со странами Ближнего Востока и Юго-Восточной Азии (некоторые виды погребального инвентаря). – XXIV «Крупновские чтения» по археологии Северного Кавказа. Тезисы докладов конференции. Нальчик.

Чижова А. А. (2017). Стекланные изделия в археологии и этнографии Северного Кавказа. – Археология и этнография Кавказа и Крыма. Научная конференция (6- 8 апреля 2017 года). Тезисы докладов. Санкт-Петербург.

Шилов В. П. (1956). Калиновский курганный могильник. – МИА (Материалы и исследования по археологии СССР). № 60. Древности Нижнего Поволжья. Т. I. Итоги Сталинградской археологической экспедиции. Москва.

Ямпольский З. И. (1956). К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю. – sakartvelos ssr metsnierebata ak'ad. iv. javakhishvilis sakh. ist'oriis inst'it'ut'is shromebi. Т. II. Tbilisi, 1956. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II. თბილისი.

Грузия и великий шелковый путь в эпоху поздней античности и средневековья

Лия Габлишвили

Докторант Сухумского государственного университета

ORCID ID 0000-0002-5305-298X

E-mail: likagablishvili@gmail.com

Тел.: + 995 595-09-22-46

Резюме

В статье рассматриваются материалы, освещающие функционирование Великого шелкового пути, его маршруты, а также участие Грузии в торговых отношениях между Востоком и Западом, осуществляемых через эту крупную международную магистраль. Грузия была вовлечена в международную торговлю задолго до возникновения Великого шелкового пути. Сообщения о греческом импорте в Колхиду и Иберию поступали еще в архаический и классический периоды. В статье предлагается анализ данных Страбона, Марка Теренция Варрона, Менандра, Пей Дзуи (китайский историк) и других. Иран и Византийская империя веками вели войны за господство на путях, пересекающих Северный Кавказ. Начиная со второй половины VI века основная транзитная нагрузка приходилась на кавказские участки Великого шелкового пути, а с конца того же столетия регулярно действующим основным торговым маршрутом становится северокавказское направление. Археологические раскопки показали, что по этому маршруту ездили китайские торговцы. В гробнице, расположенной в верховьях реки Большая Лаба, притока Кубани, был обнаружен целый комплекс китайских предметов, в том числе фрагменты вышитого китайцами шелка и личная торговая запись купца, относящаяся к эпохе Тан. Наряду с китайским текстилем, китайский фарфор также импортировался с Дальнего Востока на Запад через Среднюю Азию. Об этом свидетельствуют так называемые «селадоны», фрагменты которых были обнаружены при раскопках в большом торговом городе Ани и городе Дманиси. Этот особый вид китайского фарфора был изготовлен в XII-XIII веках. Особое значение придается также единственной китайской монете, найденной в Мцхете в 1993 году, датированной 1200 годом.

Ключевые слова: Великий шелковый путь, Китай, Кавказ, Грузия, Византия.

საქართველოს ისტორია

მეფე ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ

The foreign policy implemented by the King Heraclius II

Mariam Gureshidze

PHD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State

University Faculty of Humanities History

ORCID iD :0000-0002-9825-0651

mariagureshidze@gmail.com+995 551 127 855

Abstract

The Treaty of Georgievsk between Georgia and the Russian Empire became the subject of my interest and restudy. It is gripping to deduce, was a bilateral treaty concluded between the Russian Empire and the eastern Georgian kingdom of Kartli-Kakheti on July 24, 1783 the one of the ways to change the vector of foreign policy. According, in particular, with which countries, he perceived the relations as an alternative to an alliance with Russia and what internal and external factors led to his final decision.

After reconciliation of documents, launched in national Archive of Georgia with the materials established by the scientists, bent that Heraclio II was focused not only on one country and had flexible diplomacy. Heraclio II tried to get help not only from Russia, but also from other countries, for example: from the Emperor of Austria, the King of France and also from the governments of Sardinia, Naples and Venice.

In the article, is particularly discussed, which components determined the conquest policy of the Russian Empire, which was coming from the importance of Silk Road and why it's distance in Caucasus was most important for the world's actors at that time. Heraclio II carefully made a choice of main world actors who could support and develop the Silk Road for the Georgia economic benefits.

Key words: Georgia, Heraclio II, Treaty of Georgievsk, World Actors, Silk Road.

მარიამ გურეშიძე

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ORCID iD:0000-0002-9825-0651

mariagureshidze@gmail.com +995 551 127 855

აბსტრაქტი

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის იმპერიასთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი ჩემი ინტერესის და კიდევ ერთ-ხელ შესწავლის საგანი გახდა. დაკვირვების თემად ეს ფაქტი სწორედ იმ მიზეზით იქცა, რომ გავარკვიოთ იყო თუ არა რუსეთთან ტრაქტატის დადება საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილების ერთადერთი გზა. შესაბამისად განვიხილავ, თუ რომელ ქვეყნებთან ურთიერთობას მოიაზრებდა მეფე ერეკლე II რუსეთთან კავშირის ალტერნატივად და რა შიდა და გარე ფაქტორებმა განაპირობეს მისი საბოლოო გადაწყვეტილება.

საქართველოს ეროვნულ არქივში გამოვლენილი დოკუმენტის და მეცნიერების მიერ დასაბუთებული კვლევების შეჯერების შემდეგ დადგინდა, რომ ერეკლე II მხოლოდ ერთ ქვეყანაზე არ იყო ორიენტირებული და მოქნილ დიპლომატიას აწარმოებდა. იგი რუსეთის გარდა ცდილობდა დახმარება მოეპოვებინა სხვა ქვეყნებიდანაც მაგ: დახმარებისათვის მიმართა ავსტრიის იმპერატორს, აგრეთვე, საფრანგეთის მეფეს, სარდინიის, ნეაპოლისა და ვენეციის მთავრობებს.

სტატიაში განხილულია, თუ რა კომპონენტები განსაზღვრავდა რუსეთის იმპერიის დამპყრობლურ პოლიტიკას აბრეშუმის გზის მნიშვნელობიდან გამომდინარე და რატომ იყო კავკასიაზე გამავალი მისი მონაკვეთი მსოფლიოს მაშინდელი აქტორებისათვის უმნიშვნელოვანესი. ერეკლე II ზუსტად შეარჩია ის მთავარი აქტორები, რომელთაც შეეძლოთ აბრეშუმის გზის შენარჩუნება-განვითარება და ამით საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ერეკლე II, გეორგიევსკის ტრაქტატი, მთავარი აქტორები, აბრეშუმის გზა.

შესავალი

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და მსოფლიო ვაჭრობის ცენტრების გადანაცვლებამ, როგორც ცნობილია, განაპირობა ოსმალეთის გაბატონება ძველ სახმელეთო და საზღვაო გზებზე. აღმოსავლეთის ვაჭრობის დაქვეითება აიხსნება ოსმალეთის ექსპანსიით, რასაც მოჰყვა ოსმალეთის ბატონობის გავრცელება დიდ ტერიტორიაზე, რომლის მეშვეობით ინტენსიური სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები იყო დამყარებული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (კაკაბაძე, 1920:165).

ოსმალების მიერ ბოსფორზე ფეხის მოკიდებამ დააჩქარა ევროპიდან ინდოეთისაკენ საზღვაო გზის აღმოჩენა. 1498 წ. პორტუგალიელმა ვასკო-და-გამამ ზღვით შემოუარა აფრიკას და მიაღწია ინდოეთს. ამით გაიხსნა ევროპასა და შორეულ აზიას შორის ახალი სავაჭრო გზა, რომელიც პირველად გაითავისეს პორტუგალიელებმა და შემდეგ ჩაკეტეს მეწამული ზღვა სამხრეთით (1509 წ.) ამგვარად გადაჭრეს ეგვიპტეზე მიმავალი სავაჭრო გზის პრობლემა და ისინი ცდილობდნენ ინდოეთის ვაჭრობის მთლიანად ხელში ჩაგდებას (კაკაბაძე, 1920:3). ვენეციელებმა, რომელთაც კონსტანტინოპოლის ოსმალების მიერ დაპყრობით დაკარგეს მთავარი სავაჭრო გზა, თავისი, აზიის ვაჭრობისკენ მიპყრობილი ყურადღება მიმართეს სახმელეთო სავაჭრო გზის განვითარებაზე, რომელიც ინდოეთისკენ მიემართებოდა (კაკაბაძე, 1920:4). იმხანად ლევანტის ვაჭრობა საფრანგეთის ხელთ იყო (ოსმალეთთან დადებული კაპიტულაციის საფუძველზე). მსოფლიო ვაჭრობის სარბიელზე გამოსული ინგლისი და ჰოლანდია ასევე იყვნენ დაინტერესებული ახალი გზების ძიებით (გაბაშვილი, 1966:178-179) და ასევე ამ მიზნის განსახორციელებლად ინგლისის ინტერესებში შედიოდა ჩრდილოეთ კავკასიაზე გავლენის მოპოვება.

XVI საუკუნის II ნახევარში ჩრდილო კავკასიაში გაჩნდა რუსული ახალშენები და ციხესიმაგრეები (თერგის, სუნჯისა და სხვა.). XVIII საუკუნის I ნახევარში რუსეთი შესამჩნევად გააქტიურდა, მაგრამ კავკასიაში ფეხი მტკიცედ მხოლოდ ამ საუკუნის II ნახევარში მოიკიდა. ამ დროს დაარსდა ქალაქები ყიზლარი, მოზდოვი, ვლადიკავკაზი (ზალესკი, გუგუშვილი, 1980:303). რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის გაფართოება და სხვადასხვა ტომის ხალხთა დამორჩილება. იმპერიის დამპყრობლური ომის წარმოებას სამი ძირითადი კომპონენტი განსაზღვრავდა: 1. კავკასიაზე ინტერესი-როგორც სავაჭრო გზის სისტემა, 2. ბაზარი, 3. პოლიტიკური და სტრატეგიული პოზიცია (სსცა, ფონდი-1505, საქმე-15: 1).

მეთოდი

სტატიაში განხილული საკითხის შესწავლის მიზნით გამოყენებულია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტებისა და სათანადო სამეცნიერო წყაროების ურთიერთ შეჯერება-შესავლაზე დაფუძნებული ისტორიულ-შედარებითი, შინაარსობრივი ანალიზისა და კვლევის მეთოდი.

შედეგები

კვლევამ ცხადყო, რომ რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე მეფე ერეკლე II საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის და ურთიერთობის ერთადერთ გზად მხოლოდ რუსეთს

არ მოიაზრებდა. სათანადო კვლევის შედეგად ნათელი გახდა თუ რა სუბიექტურ-ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობეს საბოლოოდ რუსეთთან და არა ევროპის სხვა სახელმწიფოებთან კავშირის დამყარება.

მსჯელობა

1783 წლის 24 ივლისს დაიდო ხელშეკრულება-გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომელსც ხელი მოაწერეს გენერალმა პავლე პოტიომკინმა, ივანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. რატიფიცირებული იქნა ერეკლე II-ის მიერ 1784 წლის 24 იანვარს. ტრაქტატის მიხედვით, ერეკლე II უარს ამბობდა ირანის ან სხვა სახელმწიფოსგან რაიმე დამოკიდებულებაზე, ცნობდა რუსეთის იმპერატორის უზენაეს მფარველობას, აღუთქვამდა მას ერთგულებას, მზადყოფნას თავისი ჯარით რუსეთის იმპერატორის სამსახურში და მზად იყო დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესები; ურთიერთობა არ დაემყარებინა სხვა ქვეყნებთან ჩრდ. კავკასიაში მყოფ რუსთა ჯარების სარდალთან და საქართველოში დანიშნულ რუსეთის რეზიდენტებთან შეუთანხმებლად; ასევე უცხოეთის ელჩებისთვის მიეფეს პასუხი რუსეთთან წინასწარი შეთანხმებით უნდა გაეცა (ბერძენიშვილი, ცინცაძე, ჯავახიშვილი, 1978: 86). ჩვენი კვლევის მიზანი არის გავარკვიოთ იყო თუ არა რუსეთთან ტრაქტატის დადება ერეკლე II საგარეო პოლიტიკური ვექტორების ცვლილების ერთადერთი გზა. შესაბამისად უნდა აიხსნას თუ რომელ ქვეყნებთან ურთიერთობას განიხილავდა იგი რუსეთთან კავშირის ალტერნატივად და რა შიდა და გარე ფაქტორებმა განაპირობეს მისი საბოლოო გადაწყვეტილება.

რუსეთისთვის კავკასია იყო, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის-გზააღმოსავლეთისკენ, ისლამურცივილიზაციასთან დაკავშირებისა და კონტაქტის მხარე და ასევე ბუნებრივი დამცავი ბარიერი სახელმწიფოს სამხრეთ საზღვარზე. ჩრდილო კავკასიის ომამდე დაიგო საქართველოს სამხედრო გზატკეცილი, რომელიც თბილისს აკავშირებდა ვლადიკავკაზში რუსების მიერ აშენებულ ციხესიმაგრესთან. ბუნებრივია გაჩნდა საკითხი ჩრდილო კავკასიის რუსეთთან მიერთებისაც, რომელსაც ასევე უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფუნქცია ჰქონდა. ვინაიდან კავკასიაში რუსეთი სრულად ვერ დაამყარებდა კონტროლს, თუ კი არ მოიპოვებდა გავლენას ჩრდილო კავკასიაზე. კავკასია მთლიანად უნდა მოქცეულიყო ერთ სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ არეში. აღნიშნულმა ისტორიულმა ფაქტორმა გააძლიერა კავკასიაში რუსული ინტერესები. უმნიშვნელოვანესი როლი ეჭირა ეკონომიკურ და სავაჭრო საკითხებს და არა რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოების სურვილს. მოგვიანებით კი ინგლისი ცდილობდა ცალკე მოეპოვებინა გავლენა ჩრდილო კავკასიაზე, რასაც ხელს უწყობდა ოსმალეთის იმპერიის მოკავშირეობა, იგულისხმება იმამ შამილის მიერ წარმოებუ-

ლი ომი მეფის რუსეთის წინააღმდეგ (1817-64 წწ). მართალია, ოსმალეთ-მა მოკავშირე ყირიმი დაკარგა, მაგრამ შავ ზღვაზე მაინც ინარჩუნებდა გავლენას (1853-56 წწ.) ასევე აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის გამოყენება სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით მაქსიმალურად იქნებოდა მომგებიანი, თუ იგი ჩრდილო კავკასიის გზით დაუკავშირდებოდა კასპიის ზღვას.

ს. მაკალათია თავის წიგნში - „ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება“ აღნიშნავს: „საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მე-17-18 საუკუნის მიჯნაზე განსაცდელში იყო. სახელმწიფოებრივი მთლიანობა ამ დროს უკვე დაიშალა და დაქუცმაცებული საქართველოს სამეფოები და სამთავროები განიცდიდნენ ოსმალეთ-სპარსეთის პოლიტიკურ ბატონობას. ორივე ეს საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფო იბრძოდნენ საქართველოს დასაპყრობად, რომ ამით ხელში ჩაეგდოთ შავი და კასპიის ზღვის სანაპიროები და აქედან მიმავალი სავაჭრო გზები“ (მაკალათია, 1942:7).

ახლა საჭიროა გავიხსენოთ საქართველოს XVIII საუკუნის პერიოდში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების გამო, როგორ წარმართა მეფე ერეკლე II ქვეყნის მომავალი პოლიტიკა და რატომ იყო მის მიერ წარმოებული პოლიტიკა განვითარების გზა.

მაშინდელ საქართველოში არსებულ ვითარებას, სხვა უამრავ წერილობით წყაროსთან ერთად, დამატებით კარგად ასახავს საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული შემდეგი დოკუმენტი, რომელიც მეფე ერეკლემ პოტიომკინს გაუზავნა. წარმოვადგენ დოკუმენტის მოკლე ვარიანტს: „უმაღლესისა კარისათვის მრავალჯერ მოგვიხსენებია რომ ამ სამს წელიწადში რამდენი დააკლდა ჩვენს ქვეყანას განჯა წაგვერთვა შამქორი და აგრეთვე რომელნიც ჩვენს ქვეყანაში მაჰმადიანნი იმყოფებიან ისინიც სულ გაორგულებულნი არიან და აღარც განწესებულს ხარკს გვაძლევენ. ახალციხის ფაშა დღესაც შერიგებას გველაპარაკება მაგრამ იმისგან ჩვენთან ლაპარაკი ნიადაგ პოლიტიკა და ტყუილი არის. რომელნიც ჩვენის ქვეყნის ვაჭარნი სპარსეთსა ოსმალს ქვეყანაში და დაღისტინის მახლობელს ადგილებში იმყოფებიან იჭერენ, სცარცვიან ჰკვლენ და ზოგთა ჰყიდიან.

არხიმანდრიტი გაიოზ და მაიორი გაბრიელ უმაღლეს კარზე წარგზავნეთ და აქამომდე არც ერთის მეორის პასუხით აღარ დაგვიბრუნდნენ. იმისმა უდიდებულესობამ უმოწყალესობით ზარბაზნები და ჯაბახანა გვიბოძა და ამდენი ხანი დარჩა და აღარ მოგვივიდა. ჩვენ თანამდებობისათვის დიდად მოვერიდებით უმაღლესის კარის მრავალჯერ თავისშეწყენას მაგრამ ამისთანის დამჭირნეობაში ვის შევეხვეწნეთ.

მე სწორედ განუუცხადებ უმაღლეს ვაზირს, რომ თუ ამავე ზაფხულში რუსეთის მფარველობამ ჩვენის ქვეყნის დაცვისათვის არ იზრუნა, ყოველს ბედნიერობით მდგომარეობას მოაკლდება.

ჩვენს ქვეყანაში მსახლობელნი კეთილშობილნიცა და გლეხნიც საზოგადოდ სასოწარკვეთილებაში არიან შესულნი რომ რუსეთიდან შეწევნის ძალი ველარა ნახეს რა და გრძლად საიმედოს შეწევნის მოცდა აღარ შეუძლიანთ. ესენი ყველა უმაღლესის ვაზირისათვის მრავალჯერ მოგვიხსენებია მაგრამ დამჭირნეობისაგან იძულებულმა სამჯობინრად განვსაჯე რომ ხშირად მოვახსენოთ და ეს უწყება ამისათვის წარმოიგზავნა” (სსცა ფ-1449, საქმე-2834:1).

„ოსმალების გაძლიერებამ მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან საქართველო მოსწყვიტა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს; ოსმალებმა ჩაკეტეს შავი ზღვის სანაპიროები და ამან შეასუსტა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. ასევე სპარსელების მრავალი შემოსევებით ქართლ-კახეთი განადგურებული შეიქმნა. მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართლ-კახეთი მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ლეკებმა ოსმალების წაქეზებით და დახმარებით დაიწყეს განსაკუთრებით ძლიერი გამანადგურებელი თავრეშები“ (მაკალათია, 1942:8-9).

ასეთ რთულ ვითარებაში მეფე ერეკლე II მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე. მის ეკონომიკურ კონცეფციებში შედიოდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაც. რასაც მოწმობს შემდეგი გარემოება: ვინაიდან კერძო ინიციატივები არ არსებობდა და იმდროინდელ რეალობაში ვერც აღმოცენდებოდა, სამეფო კარმა გადაწყვიტა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში თავად გამხდარიყო წარმმართველი ძალა (თაბუაშვილი, 2010:26). ერეკლე II ვაჭრობის გაფართოებისკენ სწრაფვას დადებითად ეხმაურება ყირიმში მყოფი საფრანგეთის კონსული პეისონელი. იგი წერდა: „ქართველები ახლა (იულისხმება XVIII საუკუნის 50-იანი წლები) ძალიან მოკლებული არიან ფულს, ამიტომ ისინი სიამოვნებით შეხვდებიან ვაჭრობის დამკვიდრებას, რომელიც დაატრიალებს მათში ძალიან დიდ ფულს“ (თაბუაშვილი, 2010:28) სერგი მაკალათია აღნიშნავს, რომ „1753 წელს პარიზში გამოვიდა წიგნი საფრანგეთის ყირიმელ ელჩის პეისონელისა „სპარსეთისა და საქართველოს ეხლანდელი არეულობათა შესახებ“. ამ წიგნის ავტორი დაინტერესებული იყო ქართლ-კახეთის სამეფოს გამოყენებით საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის გზის გასაკაფავად სპარსეთსა და აღმოსავლეთის ბაზრებისკენ. ამის გამო იგი დიდი სიმპათიით უყურებდა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ეს, რომელსაც თვლიდა ევროპელებისა და ფრანგების მომხრედ და მასზე ამყარებდა იმედებს საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის გასაძლიერებლად სპარსეთში“ (მაკალათია, 1942:18). კაკაბაძის და მაკალათიას მოსაზრებას ამყარებს შემდეგი რეალობაც, კერძოდ, მეფე ერეკლეს საგარეო პოლიტიკური ვექტორის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ეკონომიკა და სავაჭრო გზებში ქვეყნის ჩართულობა იყო; კერძოდ, „თბილისელი ვაჭრები სავაჭრო ურთიერთობით დაკავში-

რებული იყვნენ ირანის, ინდოეთის, ოსმალეთის, ერაყის, სირიისა და ეგვიპტის ქალაქებთან. საქართველოს ქალაქების აღმავლობა თუ დაქვეითება XVI-XVII სს. მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მათი სავაჭრო-სატრანზიტო გზებთან სიახლოვე-სიშორით და, საზოგადოდ, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მოცულობით” (გაბაშვილი, 1966:184-186).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, კერძოდ, კახეთის ქალაქების კავშირი აღმ. ამიერკავკასიის „აბრეშუმის გზასთან“. კახეთიდან ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ აბრეშუმი, ხალიჩები, ოქროსქსოვილები, საღებავი მცენარეები, ღვინო, გაჰყადათ ცხენები (მთელ აღმოსავლეთში „გურჯის“ სახელით ცნობილი), ცხვრები, ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ კახთა მეფეები („მეფე-ვაჭრები“). ამ მხრივ მეტად საგულისხმოა მათი სავაჭრო აგენტების მოლაპარაკება უცხოელ, კერძოდ კი ინგლისელ ვაჭრებთან (გაბაშვილი, 1966:174-175).

რუსეთის იმპერიის გაბატონებამ ყირიმში (1783 წ.) და მისმა გამოსვლამშავ ზღვაზენიადაგი შეამზადა ფართო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებისათვის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის (გაბაშვილი, 1966:192-193), ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლოგიკური იქნება შემდეგი ვარაუდის დაშვება, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში შესაძლოა საკმაოდ დიდი როლი ჰქონდეთ შესრულებული საქართველოში მცხოვრებ სომხებსაც, ვინაიდან არსებობდა სავაჭრო ინტერესები, ბუნებრივია სომხებს გააჩნდათ საკუთარი მიზნებიც, რადგან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ვაჭრობის სადავები კარგა ხნის განმავლობაში ფაქტობრივად სომეხთა ხელში იყო. გერონტი ქიქოძე აღნიშნავს: ევროპელი მოგზაურები და რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ თბილისს მეთვრამეტე საუკუნეში საკმაოდ გაცხოველებული აღებ-მიცემა ჰქონდა არა მარტო მეზობელ ხალხებთან, არამედ რუსეთსა, სპარსეთსა და თვით შორეულ ინდოეთთან, რომ ის ქარავნებით ძვირფას ინდურ და სპარსულ შალეულობა-ფარჩეულობას, აგრეთვე ფაიფურის ჭურჭელს ღებულობდა, ხოლო თვითონ უცხოეთში სპილენძის ჭურჭელს, ცხენის მოსართავს, იარაღს, ბამბის ქსოვილს და ტყავის ნაწარმს გზავნიდა; ქალაქს მრავალი სახელოსნო და რამდენიმე პატარა სამანუფაქტურო ფაბრიკა ჰქონდა, სადაც აბრეშუმის, მატყლის და ბამბის ქსოვილებს ამზადებდნენ, უფრო ფართო მოხმარებისთვის გამოსადეგს. მაგრამ თბილისის ვაჭრობა-მრეწველობა უცხო ელემენტების, განსაკუთრებით, სომხების ხელში იყო (ქიქოძე, 1942:122-123). აღსანიშნავია ისიც, რომ ირანის საგარეო ვაჭრობაც სომეხი ვაჭრების ხელში იყო, ხოლო ოსმალეთის სომეხი, ბერძენი და სირიელი ვაჭრების (გაბაშვილი, 1966:190) თუმცა ასევე საგულისხმოა, რომ არც ცალკეული პირების ინიციატივით ხდებოდა ქვეყნის შემდგომი

ბედის გადაწყვეტა, რაზეც ჯოზეფ ემინის¹ საქართველოში მოგზაურობა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელების სურვილი მეტყველებს. გ. ბეი მამიკონიანი აღნიშნავს: „ემინის ახლო დამოკიდებულება მეფე ერეკლესთან, მათი ხშირი საუბარი სახალხო განათლების, სამხედრო რეფორმების, ინგლისური სახელმწიფოებრივი სისტემის, სომხური ოლქების განთავისუფლების გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ ვერ დარჩებოდა საიდუმლოდ და ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია მწვავე მტრობა მათი, ვისაც დაუპატიჟებელი სტუმრის შეხედულებანი, გეგმები და რჩევანი ვერაფრად ეპიტნავებოდათ. ემინის წინააღმდეგ ამხედრდნენ ქართველ დიდგვართა გამოჩენილი წარმომადგენლები, საქართველოს სომხური სამღვდელოება, და ყველაზე უფრო კი - ექმიაძინის ახლად არჩეული პატრიარქი-კათალიკოსი სიმონ ერევნელი. მათ გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდან, აეძულებინათ მეფე გაეძევიან საქართველოდან ემინი, ეს მებაირახტე სახიფათო აზრებისა, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვიათ სერიოზული გართულებანი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან დამკვიდრებულ ურთიერთობაში“.

1763 წლის მიწურულს ემინი ტოვებს საქართველოს და მიდის დაღესტანში, მთიელებმა იგი მეტად გულთბილად მიიღეს და შემდგომ თავის ერთ-ერთ ბელადადაც აირჩიეს. მან იქ დაჰყო 1766 წლამდე და ამ წელს თავისი თავგადასავალის დაღესტნური ციკლი დაამთავრა დიდი თარეშით განჯაში (ბეი-მამიკონიანი, 1944:199).

¹ ჯოზეფ ემინი დაიბადა ქ. ჰამალაში 1726 წელს, სომეხი ვაჭრის ოჯახში, რომელთან ერთად მას მავშვოზაშივე მოუხდა ინდოეთს გადასახლება. სამხედრო ცოდნის შეძენის მიზნით იგი 1751 წელს, მამის სურვილის წინააღმდეგ, ინგლისს გაემგზავრა. მრავალი-ტანჯვა წამების შემდეგ, იგი ედმონდ ბერკის (ლორდ ნორთუმბერლენდისა) და სხვა გავლენიანი მფარველების დახმარებით, ბოლოს მოეწყო ვულიჯის სამხედრო აკადემიაში. 1760 წელს ემინი მიდის ახლო აღმოსავლეთში და თითქმის ერთ წელს რჩება თურქეთის სომხეთში, სადაც ადგილობრივ ეცნობა ეროვნული განთავისუფლების შესაძლებლობას და პერსპექტივებს, ეს წინასწარი დაზვერვა მას საბოლოოდ უმტკიცებს რწმენას, რომ მისი პატრიოტული ზრახვების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფეთა მფარველობის საშუალებით, სომეხი და ქართველი ხალხების პოლიტიკურ ინტერესთა მჭიდრო დაკავშირების გზით. 1761 წლის შემოდგომაზე ემინი გაემგზავრა პეტერბურგს და რუსეთის მთავრობის მეშვეობით, წარუდგინა თავისი გეგმები და პროექტები იმ დროს რუსეთში მყოფ თეიმურაზ II. ეს პროექტები დიდი გულისხმიერებით იქნენ მიღებული, მაგრამ იმ დროს შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, საქართველოსკენ მგზავრობა ძნელი საქმე იყო და ემინმა თბილისში ჩამოსვლა მხოლოდ 1763 წლის გაზაფხულზე მოახერხა (ბეი-მამიკონიანი, 1944: 198).

მეფე ერეკლეს ამ რეგიონში ინტერესების მქონე აქტორებთან კავშირის დამყარება ეფუძნებოდა საქართველოში მომქმედი სომეხი ვაჭრების გამოცდილებასა და კავშირებს, ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება, არ იყო სომეხი ვაჭრების ცალმხრივი სურვილი და წარმოადგენდა მაშინდელი ვაჭართა გაერთიანების და საქართველოს სამეფო კარის ერთობლივ ინტერესებს.

როგორც ირკვევა, მეფე ერეკლე II მხოლოდ ერთ ქვეყანაზე არ იყო ორიენტირებული და მოქნილ დიპლომატიას ახორციელებდა. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტები, რომ საქართველოს მაშინდელი რთული ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა ერეკლე II აიძულებდა სხვადასხვა ქვეყნებისგან მიეღო დახმარება. მაგ., 1773 წ. იანვარში საქართველოდან პეტერბურგში საელჩოს ჩასვლის შემდეგ, ერეკლე II ოსმალეთთან კავშირის დამყარებას ეცადა, მას ჰქონდა იმედი როგორც ქართლ-კახეთის საერთო მდგომარეობის განმტკიცების, ისე აზერბაიჯანის უმეტეს ნაწილზე თავისი გავლენის დამყარების, ამას ოსმალეთის იმპერიის დადებითი რეაქცია მოჰყვა და 1778 წ სულთნის სახელით მას ორჯერ გაეგზავნა დიდი საჩუქრები (კაკაბაძე, 1920:124). ასევე იგი რუსეთის გარეშე ცდილობდა დახმარება მოეპოვებინა და ამ აზრით მან 1782 წ. მიმართა ვენაში იმპერატორს, აგრეთვე საფრანგეთის მეფეს, სარდინიის, ნეაპოლისა და ვენეციის მთავრობებს. მეფე თხოულობდა დახმარებას ჯარით ან ფულით და თავის მხრივ პირობას დებდა, რომ შეუსრულებდა დახმარე სახელმწიფოს ყოველივე მოთხოვნილებას სპარსეთის დასაპყრობად, თუ ოსმალეთის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალით იმოქმედებდა (კაკაბაძე, 1920:127-128). ერეკლე მეფის წერილები: ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ს, პრუსიის მეფესთან, საფრანგეთის მეფესთან, ნეაპოლისა და სიცილიის მეფესთან, სარდინიის მეფისა და სხვათა სახელზე, კარდინალი ჰრზანის წერილი რომიდან ერეკლეს წერილების შინაარსის შესახებ და სხვა“ (ტაბაღუა, 1979:84-124) აშკარად მეტყველებს, რომ მოქნილი დიპლომატი იყო და რაც მთავარია ეძებდა მუდმივ საიმედო მოკავშირეს. სავარაუდოდ როცა სპარსეთისა და ოსმალეთისგან ვერ იღებდა მყარ გარანტიებს, იგი მიმართავდა ევროპის სახელმწიფოებს და სამხედრო თანამშრომლობაზეც თანხმდებოდა, თუ კი მისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის რეალურ და ძლიერ პარტნიორს გაიჩენდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ საზოგადოების განვითარებასთან პირდაპირ პროპორციულია ვაჭრობის განვითარება. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ ვაჭართა კლასი რა თქმა უნდა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ემსახურება და ასევე გლობალურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკურ ინტერესებსაც მოიცავს. ერეკლე II მიერ დადებული ტრაქტატი არ იყო მხოლოდ რუსეთის იმპერიის მფარველობის აღიარება, არა-

მედ საქართველო მოიპოვებდა ჰაბის ფუნქციას, რომელიც დააკავშირებდა ორ ცივილიზაციას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კუთხით. ამ მიზანს ხელი შეუშალა შემდეგმა გარემოებამ, კერძოდ, რუსეთმა და სხვა აქტორებმაც (საფრანგეთი, ვენეცია, პორტუგალია) შემდგომში ვერ მოახერხეს ინგლისისა და ოსმალეთის ალიანსით გამოწვეული შემაფერხებელი გარემოებების გადალახვა ბოლომდე, სამხედრო ან დიპლომატიური გზით, ვინაიდან ბრიტანეთის ხელშეწყობითა და ოსმალეთის დახმარებით ჩრდილო კავკასიელები ებრძოდნენ რუსეთის იმპერიას. ამ მოსაზრებას ამყარებს კვლევა: „რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არქივის მასალების მიხედვით (1783-1787 წწ). სადაც აღიმუწულია შემდეგი ფაქტი: „თურქეთის პორტამ, -საქართველოდან ჩვენი ჯარების გამოსადევნად „განავრცო თავისი ჩაგონებანი ხარბ დაღესტნელებზე, ... ფულისა და დაიმედობის მეშვეობით იმოქმედონ ახალციხის მხრიდან კავშირში, დაარწმუნა ავარიის უმა-ხანი (იგულისხმება ომარ-ხანი-დ.მ) მთიელთა შესაძლებელი ძალების შეყრით აშკარა ომით წამოვიდეს მეფეზე“. ომარ-ხანმაც „მოაგროვა რა სხვადასხვა მთიელ ხალხთაგან 11000-მდე, მოვიდა მდინარე ალაზანზე და შეუერთდა რა აქ მთიელებსა და ველაქნელებს, საქართველოს შეურიგებლ მტრებს, გაძლიერდა 20000-მდე“ და საქართველოში შემოიჭრა“ (მერკვილაძე, 2012:78). ხოლო ამ უკანასკნელმა ვერ მოახერხა მთლიანად კავკასიაში შემოსულიყო არა როგორც დამპყრობელი ძალა, არამედ როგორც პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე და პარტნიორი.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, მეფე ერეკლეს სიღრმისეული შორსმჭვრეტელობით ხედვიდან ჩანს: 1. აბრეშუმის გზა და ცხადია კავკასიაზე გამავალი მისი მონაკვეთი მსოფლიოს მაშინდელი აქტორებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო, ხოლო მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ამ გზის არა შენარჩუნება, არამედ მისი დაცვა და განვითარება. 2. საფიქრებელია, რომ მსოფლიო აქტორების მიერ ზემოხსენებული მიზნების მიღწევისას თავისთავად მოხდებოდა კავკასიის ამ რეგიონის აღორძინება-განვითარება, გაძლიერება და გაერთიანება საერთო ინტერესების გარშემო. 3. ამ შემთხვევაში საქართველო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა და გადაამწყვეტ როლს ითამაშებდა ევროპისა და აზიას შორის ვაჭრობის, კულტურის, დიპლომატიის, ეკონომიკური კავშირების განვითარებაში. 4. ერეკლე II ზუსტად ამოიცნო ის მთავარი აქტორები, რომელთაც შეეძლოთ აბრეშუმის გზის შენარჩუნება-განვითარება და ამ გზით მსოფლიოსათვის სიკეთეების უზრუნველყოფა. მეფე ერეკლე II მართებულად მიიჩნია, რომ საქართველოს განვითარებისათვის იმ პერიოდში უფრო მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთი, ვენეცია, რუსეთი, ვიდრე ოსმალეთი და სპარსეთი. ამავდროს უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან ეკონომიკური და სამხედრო

კავშირი უფრო მეტი სარგებლის მომტანი იყო, რაც მეფე ერეკლე II შემდეგ ვერავინ ვერ გააცნობიერა. აქვე უნდა დავძინოთ და ცხადი იყო მსოფლიოს მაშინდელი მთავარი აქტორების პოზიცია-რუსეთის ჩართულობის აუცილებლობა. რუსეთის აუცილებელი ჩართულობა იყო გარანტი საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებისა. ასევე საფიქრებელია, ერეკლე II ხვდებოდა, რომ რაც არ უნდა ძლიერი ყოფილიყო მსოფლიოს კონკრეტული აქტორი, იგი შეძლებდა აბრეშუმის გზის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთის გაკონტროლებას. ასე, რომ ამ გზის სხვადასხვა მონაკვეთის გავლენის მქონე რიგი სახელმწიფოებისთვის დღის წესრიგში დადგებოდა ერთობლივი შეთანხმებული მოქმედება, ხოლო საქართველოც ამ ერთობლიობაში ჩართვით შეიძენდა მნიშვნელოვან ფუნქციას მსოფლიო არენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

Berdzenishvili, N. Tsintsadze, I. Javakhishvili, Iv. (1978). Georgievskis Traqtati. *Qartuli Sabchota Entsiklopedia*. 3. Tbilisi. (ბერძენიშვილი, ნ. ცინცაძე, ი., ჯავახიშვილი, ივ. (1978). გეორგიევსკის ტრაქტატი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 3. თბილისი).

Kakabadze, S. (1920). *Saqartvelos mokle istoria*. Tbilisi. (კაკაბაძე, ს. (1920). საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. თბილისი).

Gabashvili, V. (1966). *Narkvevebi Makhlobeli Agmosavletis Qalaqebis Istoriidan*. Tbilisi. (გაბაშვილი, ვ. (1966). ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. თბილისი).

Zaleski, S. Gugushvili, P. (1980). Kavkasia. *Qartuli Sabchota Entsiklopedia*. 5. Tbilisi. (ზალესკი, ს. გუგუშვილი, პ. (1980). კავკასია. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 5. თბილისი).

საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 1505. საქმე 15.

Makalatia, S. (1942). *Erekle Meoris Gmiroba da Tavdadeba*. Tbilisi. (მაკალათია, ს. (1942). ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება. თბილისი).

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ-1449. საქმე N 2834.

Tabuashvili, A. (2010). *Erekle Meoris ekonomikuri kontsepciebi da repormebi qveknis mmartvelobis modernizaciistvis*. Tbilisi. (თაბუაშვილი, ა. (2010) ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისთვის. თბილისი).

Qiqodze, G. (1942). *Erekle Meore*. Tbilisi. (ქიქოძე, გ. (1942). ერეკლე მეორე. თბილისი).

Bei-Mamikoniani, G. (1944). XVIII s. Nakhevradi daviwkebuli memuaristi Erekle Meoreze da misdroindel qartvelebze. *Saqartvelos SSR Metsnierebata Akademiis Moambe*. V. N2. (ბეი-მამიკონიანი გ. (1944). XVIII ს. ნახევრად დავიწყებული მემუარისტი ერეკლე მეორეზე და მისდროინდელ ქართველებზე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V. N2).

Tabagua, I. (1979). *Saqartvelo saertashoriso arenaze XVIII saukunis meore nakhe-varshi* (Erekle II-is sagareo politikis istoriidan). Gamomcemloba "Metsniereba". Tbilisi. (ტაბაგუა, ი. (1979). *საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში* (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი).

Merkviladze, D. (2012). *Rusul-Qartuli urtiertobebi polkovnik Burnashevis ar-qivis masalebis mikhedvit* (1783-1787). Istoriul-Etnografiuli dziebani XIV. Tbilisi. (მერკვილაძე, დ. (2012). *რუსულ-ქართული ურთიერთობები პოლკოვნიკ ბურნაშევის არქივის მასალების მიხედვით* (1783-1787 წწ.). *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძეგლები XIV*. თბილისი).

Царь Ираклий II и его внешняя политика

Мариам Гурешидзе

Докторант гуманитарного факультета Тбилисского государственного университета имени Иване Джавахишвили

ORCID ID: 0000-0002-9825-0651

mariagureshidze@gmail.com

+995 551 127 855

Резюме

Георгиевский трактат, заключённый между царём Ираклием II-м с Российской империей стал предметом моего интереса и ещё раз его изучения. Темой наблюдения стал этот факт по причине того, чтобы установить, был ли трактат, заключённый Ираклием II-м с Россией, одним из путей изменений вектора внешней политики. В соответствии с этим, в частности, рассмотрим взаимоотношения с какими странами он обдумывал альтернативу, связи с Россией и какие внутренние и внешние факторы обусловили его окончательное решение.

Обнаруженные документы в Национальном архиве Грузии, и после сравнения с документами исследований учёных установлено, что Ираклий II не был ориентирован только на одну страну и вёл гибкую дипломатию. Кроме России он пытался добиться помощи других стран. Например: Ираклий II за помощью обратился к Австрийскому императору а также королю Франции, к правительствам Сардинии, Неаполиса и Венеции.

В статье рассмотрено, исходя из значения Шёлкового пути, в частности какие компоненты определили захватническую политику Российской империи, а также, почему был значительнейшим проходящий отрезок пути по Кавказу для тогдашних мировых акторов. Ираклий II точно отобрал эти главные акторы, которые могли сохранить и развить Шелковый путь и усилить Грузию как на политическом, так и на экономическом уровне.

Ключевые слова: Грузия, Ираклий II, Георгиевский трактат.

საქართველოს ისტორია

ვინ იყო საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ლეგენდარული გმირის დიმიტრი ამილახვრის პაპა?

**Who was the ancestor of Dimitri Amilakhvari –
the iconic figure of the french foreign legion?**

Rusudan Labadze

Doctor of History

Georgian National Academy of Sciences

ORCID ID: 0000-0001-5735-5417

rusudan.labadze@tsu.ge

+995 593 394 393

Abstract

The biography of Dimitri (“Bazorka”) Giorgi Amilakhvari (1906-1942), the commander of the 13th Demi-Brigade of the French Foreign Legion, who died in the Battle of El Alamein during the World War II North Africa campaign, contains a number of unspecified facts. In September 2020, the French publishing house (Lemme Edit), which publishes historical literature on famous military and political figures, issued the book “Dimitri Amilakhvari - The Fighting Prince”. It was the first book in France to honor the memory of Lieutenant Colonel Dimitri Amilakhvari. The author of the book cites information about the noble house of Zedginidze-Amilakhvari. According to this information Ivane Amilakhvari (1829-1905), general of the cavalry of the Imperial Russian Army, who distinguished himself in the Russo-Ottoman and Caucasus wars, is named as the ancestor of Dimitri Amilakhvari. Dimitri Amilakhvari is mentioned as Ivane Amilakhvari’s grandson on the website of the French Ministry of Armed Forces.

The issue of Dimitri Amilakhvari’s ancestors has not been specially studied in Georgian research literature. The scholars either do not address this issue at all or refer to him as the grandson of Ivane Amilakhvari. There are also a variety of Internet resources, family tree and genealogy archives which under the influence of multilingual online encyclopedia (mostly the Russian Wikipedia and the English Wikipedia), represents Dimitri Amilakhvari as a descendant of Ivane Amilakhvari, the famous general of the Imperial Russian Army. Finally, the book of the French historian Nicolas Ross “Between Hitler and Stalin: White and Soviet Russians in Europe during World War II”, reprinted in February 2021 in France, in which Dimitri Amilakhvari is considered as the representative of the Russian White Emigration.

In fact, who was Dimitri Amilakhvari's father – Giorgi son of Ivane Amilakhvari or Giorgi son of Otar Amilakhvari? Is it a coincidence that the name of Ivane (Niko) Amilakhvari is connected with the other branch of the noble house of the Amilakhvari? And what is the significance of establishing this fact?

Through the documentary sources, genealogical lists of the Amilakhvari family, and information of genealogiy websites in the article is established that the ancestor of Dimitri Amilakhvari was not Ivane Amilakhvari, general of the cavalry of the Imperial Russian Army, but Otar Amilakhvari, descendant of another branch of this princely family.

Key words: Dimitri Amilakhvari, French Foreign Legion, El-Alamein, the noble house of Amilakhvari, Ivane Amilakhvari

რუსუდან ლაბაძე

ისტორიის დოქტორი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ORCID ID: 0000-0001-5735-5417

rusudan.labadze@tsu.ge

+995 593 394 393

აბსტრაქტი

მეორე მსოფლიო ომის ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიის დროს ელ ალამეინის ბრძოლაში დაღუპული საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადის მეთაურის - დიმიტრი („ბაზორკა“) გიორგის ძე ამილახვრის (1906-1942) ბიოგრაფიაში არაერთი დაუზუსტებელი ფაქტია. 2020 წლის სექტემბერში, საფრანგეთში გამომცემლობა Lemme Edit-მა, რომელიც ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ ისტორიულ ლიტერატურას გამოსცემს, დაბეჭდა წიგნი „დიმიტრი ამილახვარი - მეზრდოლი პრინცი“. ეს პირველი წიგნი იყო, რომლითაც საფრანგეთმა ვიცე-პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვრის ხსოვნას პატივი მიაგო. წიგნის ავტორს მოჰყავს ცნობები ზე[ვ]დგინიძე-ამილახვართა საგვარეულოს შესახებ, რომლებშიც დიმიტრი ამილახვრის წინაპრად რუსეთის არმიის კავალერიის გენერალს, კავკასიისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში სახელგანთქმულ ივანე ამილახვარს ასახელებს. დიმიტრი ამილახვრის პაპად არის ივანე ამილახვარი მოხსენიებული აგრეთვე საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ ბიოგრაფიაშიც.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიმიტრი ამილახვრის წინაპრების საკითხი საგანგებოდ გამოკვლეული არ არის. მკვლევრები ამ საკითხს ან საერთოდ არ ეხებიან, ანდა მას ივანე ამილახვრის შვილიშვილად მოიხსენიებენ. ამას ემატება მრავალფეროვანი ინტერნეტ-რესურსები, გენეალოგიური პორტალები და სხვ. რომლებიც უცხოენო-

ვანი ვიკიპედიის (ძირითადად, რუსული და ინგლისური) გავლენით დიმიტრი ამილახვარს მეფის რუსეთის არმიის გენერლის შთამომავლად წარმოაჩენს. სულ ბოლოს კი, აღსანიშნავია, 2021 წლის თებერვალში, ისევ საფრანგეთში დაბეჭდილი ნიკოლა როსის წიგნი „ჰიტლერსა და სტალინს შორის: თეთრი და საბჭოთა რუსები ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დროს“, რომელშიც ფრანგი ისტორიკოსი დიმიტრი ამილახვარს რუსული თეთრი ემიგრაციის წარმომადგენლად განიხილავს (!).

სინამდვილეში ვინ იყო დიმიტრი ამილახვარის მამა - გიორგი ივანეს ძე ამილახვარი თუ გიორგი ოთარის ძე ამილახვარი? შემთხვევითია თუ არა ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარის (1829-1905) ოთარშენელ ამილახვრებთან დაკავშირება და რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ფაქტის დადგენა?

სტატიაში დოკუმენტური წყაროების, თავად ამილახვართა გენეალოგიური ნუსხებისა და გენეალოგიური პორტალების გამოყენებით დადგენილია, რომ დიმიტრი ამილახვარის პაპა რუსეთის საიმპერატორო არმიის კავალერიის გენერალი ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარი კი არ იყო, არამედ ოთარ გიორგის ძე ამილახვარი, თავად ამილახვართა სხვა შტოს წარმომადგენელი.

საკვანძო სიტყვები: დიმიტრი ამილახვარი, საფრანგეთის უცხოური ლეგიონი, ელ-ალამეინი, თავად ამილახვართა საგვარეულო, ივანე ამილახვარი

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლა ენერგორესურსებისთვის ბრძოლის პრიზმაში, ერთი შეხედვით, უცნაურად გამოიყურება. ბანალურ შეკითხვაზე, რა დარჩენოდა ნაცისტურ გერმანიას ლიბიის უდაბნოში, პასუხიც მარტივი და ბანალურია - სუეცის არხის ხელში ჩაგდება და ამ გზით ახლო აღმოსავლეთის ნავთობის საბადოებზე გასვლა. ჩრდილოეთ აფრიკის რამდენიმე კამპანიას წლების განმავლობაში გერმანული არმიის ერთ-ერთი საუკეთესო ტაქტიკოსი გენერალ-ფელდმარშალი ერვინ რომელი წარმართავდა. სწორედ ჩრდილოეთ აფრიკის ბრძოლებში გაითქვა სახელი საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ვიცე-პოლკოვნიკმა დიმიტრი ამილახვარმა.

1921 წელს საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ამილახვრების ოჯახმა ქვეყანა დატოვა და სტამბოლში გაემგზავრა. საფრანგეთის ვიზების მისაღებად მათ რამდენიმე თვე თურქეთში გაატარეს. 1922 წლის დასაწყისიდან ამილახვრებმა პარიზში დაიდეს ბინა. ოჯახს რომ დახმარებოდა, 16 წლის დიმიტრის სხვადასხვა სამუშაოს შესრულება უხდებოდა. ერთხანს სიტროენის კომპანიაში მანქანების მრეცხავად და მუშა-მექანიკოსადაც მუშაობდა (Huet, 2021: 27;

<http://divisionfrancaiselibre.eklablog.com/portrait-du-lieutenant-colonel-dimitri-amilakvari-13-d-b-l-e-1906-1942-a117553850>).

18 წლის ასაკში დიმიტრი ამილახვარმა სამხედრო კარიერა აირჩია და სენ-სირის სპეციალურ სამხედრო სკოლაში შესვლა გადაწყვიტა. ეროვნებისა და დიდგვაროვანი წარმომავლობის გამო, იგი პირდაპირ დაუშვეს უცხოელ მოსწავლე-ოფიცრად. საქართველოს მისიის მხარდაჭერით, სენ-სირის უმაღლეს სამხედრო სკოლაში უცხოელის სტატუსით სასწავლებლად ამილახვარი ოფიციალურად იქნა შერჩეული¹. 1924 წლის 13 ოქტომბერს დიმიტრი ამილახვარი სენ-სირის 111-ე გამოშვებას შეუერთდა (Huet, 2021: 28-29). “მოსწავლე-ოფიცერმა ამილახვარმა სენ-სირში გამოჩენისთანავე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო ტანადი ახალგაზრდა (1,82 მ სიმაღლის) მოხდენილი ფიგურით: წაბლისფერი თმა, კაუჭა ცხვირი, ცისფერი თვალები და გამჭოლი მზერა, დაჯილდოებული ბუნებრივი ელევანტურობით. მომხიზვლელი «ამილაკი», როგორც მას მეგობრები ეძახდნენ, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, სიმწიფის უკმარობას არ განიცდიდა“ (Huet, 2021: 31).

1924-1926 წლების გამოშვებარიფის სახელსატარებდა². საფრანგეთის მოქალაქეობის არქონის გამო, უმცროსმა ლეიტენანტმა დიმიტრი ამილახვარმა სენ-სირის სპეციალური სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ, უცხოური ლეგიონი აირჩია და მის ელიტურ ნაწილს, ერთ-ერთ ყველაზე ძველ პოლკს, ალჟირში, სიდი-ბელ-აბესში შეუერთდა. 1929 წლიდან დიმიტრი ამილახვარი „თეთრკეპიანთა“³ მე-4 უცხოური პოლკის რიგებშია. პოლკოვნიკი კატრუს წინამძღოლობით 1932-1934 წლებში ამილახვარი მაროკოს „დამშვიდების“ რამდენიმე კამპანიაში მონაწილეობდა.

1 სენ-სირის სპეციალური სამხედრო სკოლა ყოველ გამოშვებაში, პირდაპირი დაშვების წესით, მოსწავლე-ოფიცერთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10 % უცხოელს იღებს.

2 ელ-რიფი - ქედი ჩრდ. მაროკოში ატლასის მთათა სისტემაში. 1921-1926 წწ. ესპანეთისა და შემდეგ საფრანგეთის კოლონიურ იმპერიებს შეიარაღებული კონფლიქტი ჰქონდათ თვითგამოცხადებული რიფის რესპუბლიკის ბერბერულ ტომებთან, რომელსაც აბდ ალ-ქარიმი ედგა სათავეში.

3 თეთრი ქუდი (კეპი) უცხოური ლეგიონისადმი კუთვნილების სიმბოლოა. XX ს-ის დასაწყისში ლეგიონერები ლურჯ-ხოლიან წითელ ქუდეებს ატარებდნენ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ხაკისფერმა შეცვალა. ლაშქრობების დროს მზისგან დასაცავად ჯარისკაცები ქუდზე თეთრ ნაჭერს იფარებდნენ. ლეგიონის ას წლისთავთან დაკავშირებით, 1930 წელს ლეგიონერთა ტრადიციული სამოსის აღდგენა გადაწყვიტეს და პოლკები ერთმანეთისგან რომ განესხვავებინათ წითელი, ლურჯი და თეთრის კეპები შემოიღეს. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს თეთრი კეპები უკვე ყველა პოლკზე გავრცელდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ დიმიტრი ამილახვარმა საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, რათა მისი სიკვდილის შემთხვევაში მეუღლისა და შვილებისთვის უცხო ქვეყანაში უსაფრთხო მომავალი უზრუნველყო.

1940 წლის აპრილში, მოკავშირეებისთვის რომ დაესწრო, რომლებიც ნორვეგიის ჩრდილოეთში, ქალაქ ნარვიკში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნას გეგმავდნენ, გერმანიამ დანიისა და ნორვეგიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო. მოკავშირეთა მიზანი შვედური მდაროებიდან გერმანული ინდუსტრიისთვის რკინის მადნის ტრანსპორტირების შესაძლებლობის მოსპობა იყო. გერმანიის მძიმე მრეწველობისთვის რკინის ტრანსპორტირება ნარვიკის პორტით ხორციელდებოდა, რადგან ზამთარში ბალტიის ზღვაზე ოთხ-ხუთთვიანი ყინულის გამო ნავიგაცია შეფერხებული იყო. კაპიტანი ამილახვარი უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადის შემადგენლობაში ნორვეგიის კამპანიაში (9 აპრილი - 10 ივნისი) ჩაერთო. მე-13 ნახევარბრიგადა ფრანგულ-პოლონური საექსპედიციო კორპუსის ნაწილი იყო. გარდა ამისა, ნორვეგიის კამპანიაში მოკავშირეთა ძალებს ბრიტანელთა საექსპედიციო კორპუსი და ნორვეგიული დივიზია წარმოადგენდა.

მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეებმა პირველი გამარჯვება ნარვიკში მოიპოვეს, რომელიც, ამავდროულად, ხანმოკლე აღმოჩნდა. ნარვიკის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისთვის დიმიტრი ამილახვარი გენერალ ვეიგანის 1940 წლის 31 აგვისტოს #299 ბრძანებით საპატიო ლეგიონის კავალრის ორდენით დააჯილდოვეს (Huet, 2020: 65).

1940 წლის 16 ივნისს დიმიტრი ამილახვარი საექსპედიციო კორპუსთან ერთად ნორვეგიიდან ბრეტანში დაბრუნდა. ნაცისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში ბრძოლის გაგრძელება უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომ 19 ივნისს ამილახვარი მე-13 ნახევარბრიგადის რამდენიმე ოფიცერთან და მეთაურთან, პოლკოვნიკ მონკლართან ერთად სენ-ჟაკიუ-დე-ლა-მერში გაემგზავრა. იქიდან კი, 20 ივნისს სამხედრო გემით ინგლისში ჩავიდა. „ინგლისში ჩვენ გავეცანით შარლ დე გოლის მიმართვას⁴. მონკლარი, კენიგი და ამილახვარი ეწინააღმდეგებიან სამხედრო მეთაურების ბრძანებას, რომელიც სასწრაფოდ მაროკოში გამგზავრებისკენ მოგვიწოდებს. მათ მიემხრობა 15 000-დან ინგლისში მყოფი 1100 ლეგიონერი, რომლებიც თავისუფალი საფრანგეთის ძალების ბირთვს შეადგენენ. პოლკოვნიკი მონკლარი ამბობს: „საფრანგეთის

4 იგულისხმება საფრანგეთის სამხედრო მინისტრის მოადგილის, გენერალ შარლ დე გოლის 1940 წლის 18 ივნისის მიმართვა, რომლითაც გენერალმა ლონდონიდან, ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანიის რადიოთი ფრანგებს წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყებისკენ მოუწოდა.

სახელით, მისი ღირსებისა და ერთგულების გამო, ჩვენ შევძლებთ ბოლო ვაზნების გასროლას“. კენიგი მზადაა ბრიტანულ ჯარშიც კი იმსახუროს, ამილახვარი განაცხადებს: „მე ვალში ვარ საფრანგეთის წინაშე და არ მივატოვებ, როცა ყველაზე მეტად ვჭირდები“, - ვკითხულობთ გენერალი ბერნარ სენ-ჰილიეს სიტყვაში, რომელიც 1992 წლის 24 ოქტომბერს დიმიტრი ამილახვრის გარდაცვალებიდან 50-ე წლისთავზე გათავისუფლების ორდენის რეზიდენციაში წარმოთქვა (<http://amalep.free.fr/le/grands/amilakvari/amilakvari03.htm>). მაშინ დიმიტრი ამილახვარმა ემიგრანტისთვის ურთულესი გადაწყვეტილება მიიღო, ვიშის რეჟიმს გაემიჯნა და რეზისტანსის მთავრობას - თავისუფალ საფრანგეთს შეუერთდა.

1941 წლის გაზაფხულზე მოკავშირეთა სამხედრო ოპერაციები ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობდა. ამ კამპანიებში დიმიტრი ამილახვარი ჯერ ერთრეაში იტალიელების წინააღმდეგ იბრძოდა, შემდეგ სირიაში. სირიის კამპანიის განმავლობაში, თავისუფალი საფრანგეთის ძალებთან შეერთების შემდეგ, 1941 წლის 25 სექტემბერს მას ლეიტენანტ-კოლონელის (ვიცე-პოლკოვნიკის) სამხედრო წოდება მიენიჭა. უფრო ადრე, 16 სექტემბერს ამილახვარი მე-13 ნახევარბრიგადის მეთაურად დაინიშნა. მე-13 ნახევარბრიგადა ამ დროს სამი ბატალიონისგან შედგებოდა. ამილახვარმა ნახევარბრიგადის დროშა გენერალ კატრუსგან სირიაში მიიღო.

დიმიტრი ამილახვარი 1942 წელს ლიბიის კამპანიაში თავისუფალი საფრანგეთის 1-ლი ბრიგადის მეთაურის გენერალი კენიგის თანაშემწე იყო. ლიბიის უდაბნოში, ბირ-ჰაკეიმის ბრძოლაში ღერძის ძალების წინააღმდეგ ამილახვარი ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალის, ერვინ რომელის დივიზიებზე კონტრშეტევებს ხელმძღვანელობდა. ბირ-ჰაკეიმის ბრძოლისთვის 1942 წლის 10 აგვისტოს შარლ დე გოლმა ეგვიპტეში, ელ-ტაგის სამხედრო ბანაკში „გათავისუფლების ჯვარი“⁵ გადასცა (De Gaulle, 1990: 22).

1942 წლის 23 ოქტომბერს ეგვიპტეში, ელ-ალამეინის ბრძოლაში ვიცე-პოლკოვნიკი ამილახვარი თავისუფალი საფრანგეთის პირველ

5 გათავისუფლების ორდენი - მეორე მსოფლიო ომის დროს გენერალ დე გოლის მიერ დაწესებული ჯილდო საფრანგეთისა და მისი იმპერიის გათავისუფლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ორდენის რევერსზე გამოსახულია ორმაგი, ე.წ. „ლოტარინგიული ჯვარი“. ორდენის დაწესების ბრძანების თავდაპირველ ტექსტში ორდენის წევრები „თავისუფლების ჯვაროსნებად“ იწოდებოდნენ. ბრძანების გამოქვეყნებამდე მასში ცვლილებები შევიდა და „ჯვაროსნები“ „თანამებრძოლებით“ შეიცვალა.

ორდენს სულ 1038 კავალერი ჰყავს. გათავისუფლების ორდენი საპატიო ლეგიონის ორდენის შემდეგ მეორე ფრანგული ეროვნული ჯილდოა. გათავისუფლების უკანასკნელი თანამებრძოლი, პოლიტიკოსი იუბერ ჟერმენი ა.წ. 12 ოქტომბერს 101 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბრიგადასთან ერთად კარეტ-ელ-ჰიმეიმატის მთის გადალახვას ცდილობდა (De Gaulle, 1990: 75-76). პლატოს ნაწილი უკვე დაკავებული ჰქონდათ, როცა 24 ოქტომბრის დილას ფელდმარშალ რომელის ტანკები შეტევაზე გადავიდნენ, დიმიტრი ამილახვარი ჭურვის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა. „ოთხ ლეგიონერს მხრებით თავიანთი მეთაურის სხეული მოაქვთ. გენერალ კენიგს ისინი კარავში შეჰყავს. წითელი მზის ჩასვლასთან ერთად ლეგიონერები ჩირაღდანს ანთებენ. შორიდან ისმის ჩვენი არტილერიის ტყვების ქვემეხთა ზალპები. ეს გრანდიოზული და უსაზღვროდ სამწუხაროა. ასე გარდაიცვალა დიმიტრი ამილახვარი, ქართველი პრინცი, გათავისუფლების თანამებრძოლი“, - იხსენებს გენერალი სენ-ჰილიე⁶ (<http://amalep.free.fr/le/grands/amilakvari/amilakvari03.htm>).

დიმიტრი ამილახვარი თავდაპირველად ელ-ჰიმეიმატთან დაკრძალეს და მის საფლავზე ხის ჯვარი აღმართეს. დაკრძალვის ცერემონიას კათოლიკე მღვდელი, უცხოური ლეგიონის სამხედრო კაპელანი, გათავისუფლების თანამებრძოლი ჟიულ ირლემანი და გენერალი კენიგი წარმართავდნენ⁷. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს დიმიტრი ამილახვარი ელ-ალამეინის (ეგვიპტე) ბრიტანული სამხედრო სასაფლაოს ფრანგულ ზონაში გადაასვენეს (Huet, 2021: 185).

მეთოდი

ნაშრომში დიმიტრი ამილახვრის წინაპრების საკითხის დადგენის გარდა, განხილულია მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი. უცხოური ლეგიონის ოფიცრის შესახებ მიმოქცევაში არსებული ცნობები გადამოწმებული და დაზუსტებულია მისი თანამებრძოლებისა და შთამომავლების მოგონებების საფუძველზე. კვლევა დაფუძნებულია ისტორიულ-შედარებით და ემპირიულ მეთოდებზე, რაც საკვლევი მასალის კრიტიკულ ანალიზსა და გააზრებას გულისხმობს.

შედეგები

დიმიტრი ამილახვრის სახელი საისტორიო საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მის ბიოგრაფიაში არაერთი თეთრი ლაქაა. ეს შეეხება არა მხოლოდ მისი ცხოვრების ფრანგულ პერიოდს, რაც საფრანგეთის სამხედრო არქივების დამუშავებას მოითხოვს, არამედ

6 2004 წლის 28 ივლისს, სიკვდილის წინ დიმიტრი ამილახვრის მეგობარსა და თანამებრძოლს, გენერალ ბერნარ სენ-ჰილიეს უთქვამს: „ამილახვან მივდივარ. ის მე მეძახის“ (Huet, 2021: 187).

7 სენ-სირის სპეციალური სამხედრო სკოლის 1954-1956 წწ., 141-ე გამოშვებას ლეიტენანტ-კოლონელის დიმიტრი ამილახვრის სახელი - “Amilakvari” მიენიჭა. იმ დროს საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი კენიგი იყო.

ამილახვრის წარმომავლობასა და მისი წინაპრების საკითხს. ამიტომ ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით მითსა და რეალობას შორის არსებულ სინამდვილეს, რომელიც კრიტიკულ შესწავლასა და დადგენას საჭიროებს.

სტატიაში თავად ამილახვართა საგვარეულოს გენეალოგიის, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული საბუთისა და უცხოენოვან გენეალოგიურ პორტალებზე არსებული ცნობების მიხედვით, დადგენილია დიმიტრი ამილახვრის წინაპრების ვინაობა; გამორკვეულია, რომ გენერალი ივანე ამილახვარი არ არის დიმიტრი ამილახვრის პაპა და მათ ნათესაურ კავშირზე აპელირება არასწორია; ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რატომ ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში, ბეჭდურ და ონლაინ გამოცემებში ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ვიცე-პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მსჯელობა და დასკვნები

ქართულ სამეცნიერო დისკურსში დიმიტრი ამილახვარი მე-20 საუკუნის 70-იან წლებში შემოდის. 1975 წელს გამოცემული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ტომში, სტატიაში დიმიტრი ამილახვრის შესახებ, რომლის ავტორი პროფ. გივი ჟორდანიას, გენერალი ივანე ამილახვარი საერთოდ არ არის ნახსენები (ჟორდანია, 1975: 391-392). იქვე, ენციკლოპედიის იმავე გვერდზე, ივანე ამილახვარს ცალკე სტატია ეძღვნება და დიმიტრი ამილახვართან ნათესაურ კავშირზე არაფერია ნათქვამი (მაგრაქველიძე, 1975: 392). გ. ჟორდანიას სტატია უცვლელად შევიდა „ენციკლოპედია საქართველოს“ პირველ ტომში, რომელიც 1997 წელს გამოვიდა (საქართველო, 1997: 129).

უფრო ადრე 1970 წელს გაზეთ «Молодёжь Грузии»-ში დაიბეჭდა ისტორიკოსების ილია ტაბაღუასა და ედუარდ მენაბდის სტატია, რომელიც დიმიტრი ამილახვრის შესახებ მოგვითხრობდა. მასშიც ამ კავშირის შესახებ არავითარი ცნობა არ არის (Молодёжь Грузии, 1970: 10 მარტი). პროფ. ილია ტაბაღუამ საფრანგეთსა და ალჟირში ყოფნის დროს საინტერესო მასალები შეაგროვა დიმიტრი ამილახვრის შესახებ. ეს საგაზეთო სტატიაც იმ მასალებზეა დაფუძნებული.

რატომ არ გვამცნობს არც ერთი ავტორი იმის შესახებ, რომ საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი რუსეთის არმიის კავალერიის გენერლის, ივანე ამილახვარის შვილიშვილია? იმიტომ, რომ მათ შორის ნათესაური კავშირი არ არსებობდა. შემდეგდროინდელ გამოცემებში მკვლევრებს აღარ გაუთვალისწინებიათ ეს ლიტერატურა, მაგრამ სამეცნიერო თუ პოპულარულ სტატიებში დაუსაბუთებლად, ხაზგასმით მიუთითებდნენ მათი ნათესაობის შესახებ.

რის საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დიმიტრი ამილახვრის პაპა არ ყოფილა ივანე ამილახვარი? პირველი და უმთავრესი არგუმენტი თავადი ამილახვრების გენეალოგიური ნუსხებია. ამ ნუსხების მიხედვით, დიმიტრის მამა, გიორგი ამილახვარი არის ოთარ გიორგის ძე ამილახვრისა და ქეთევან იოსების ასულ ჯორჯადის ვაჟიშვილი (ჩიქოვანი, 2010: 10-12). ოთარ გიორგის ძე ამილახვარს (1827-1877) პირველ ქორწინებაში ცოლად ჰყავდა თამარ ივანეს ასული ამილახვარი, მისივე გვარის ქალი. თამარ ამილახვრის მხოლოდ დაბადების თარიღია ცნობილი (1829), როდის გარდაიცვალა, არ ვიცით⁸. 1870 წელს ოთარ გიორგის ძე მეორე ცოლად შეურთავს ქეთევან იოსების ასული ჯორჯადე. გიორგი, დიმიტრი ამილახვრის მამა, იმავე წელს დაიბადა (ჩიქოვანი, 2010: 10). გიორგის გარდა, ოთარ ამილახვარსა და ქეთევან ჯორჯადეს ჰყავდათ ქალიშვილი - ანა, რომელიც ჩვილობაში გარდაიცვალა.

გიორგი ოთარის ძე ამილახვარსა (1870-1924) და მის მეუღლეს ნინო კონსტანტინეს ასულ ქსნის ერისთავს⁹ ექვსი შვილი ჰყავდათ (ჩიქოვანი, 2010: 10).

მშობლები:

♂ ოთარ გიორგის ძე ამილახვარი 1827-1877

♀ ქეთევან იოსების ასული ჯორჯადე 1845- ?

ქორწინება:

♀ ნინო კონსტანტინეს ასული [ქსნის] ერისთავი 1876-1935

შვილები

♂ კონსტანტინე 1901-1943

♀ ელენე 1903-1928

♂ ოთარი 1904-1924

♂ დიმიტრი 1906-1942

♂ დავითი 1909-1967

♀ ნატალია (დოდო) 1912-1945

8 თამარ ამილახვრის მამა პრაპორშჩიკი ივანე (იოანე) ნიკოლოზის ძე იხსენიება აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა ოჯახების 1850 წლის სიაში (ქართლ-კახეთის თავადები... 2005: 65). ამ სიაში ოჯახის უფროსის გარდა, ჩამოთვლილი არიან ოჯახის სხვა წევრებიც, კერძოდ, ივანე ამილახვრის პირველი ცოლი, მართა კალატოზიშვილი და შვილები: დიმიტრი, ვლადიმერი, თამარი და ნინო.

1849 წელს ივანე ამილახვარმა და მისმა სიძემ, თამარის პირველმა ქმარმა, ივანე ერისთავმა ყაჩაღობაში მიიღეს მონაწილეობა (ფოსტა გამარცხეს). მათ წოდებები და ტიტულები ჩამოართვეს და ციმბირში გადაასახლეს, ივანე ამილახვარი 10 წლით, ივანე ერისთავი - 5 წლით (ჩიქოვანი, 2010: 21). თამარი ამის შემდეგ, 1857 წელს ცოლად გაჰყვა ოთარ გიორგის ძე ამილახვარს. პირველ ქორწინებაში მას ერთი ვაჟი, შანშე (1850-?) ჰყავდა.

9 ნინო კონსტანტინეს ასული ქსნის ერისთავი სოლომონ I-ის შთამომავალია, V თაობა სოლომონ მეფისგან (ჩიქოვანი, 2020: 106).



სურ.1

ამილახვრების ოჯახი. პირველ რიგზე სხედან: მარცხნიდან - დიმიტრი ამილახვრის დედის დედა ნატალია ალმასხანის ასული ნიჟარაძე (1850-1913), დავითი (დათუნა), დოდო (ნატალია), დედა - ნინო ერისთავი ამილახვრისა, ოთარი, დიმიტრი. უკან დგანან: კონსტანტინე (კოტიკო), ელენე (ელიკო).

ამილახვართა გენეალოგიური ხის მონაცემების გარდა, საგულისხმოა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ფონდში, დიმიტრი ამილახვრის საარქივო მასალებს შორის დაცული ერთი საბუთი. ეს არის ოთარშენის კანტორის ქვითარი, რომელიც გაცემულია სოფელ ტინისხიდელ გლეხზე, ფიქო იორამაშვილზე (გსიემ 7613-15). ქვითარის გამცემის ადგილას მითითებულია: «Отаршенская экономия по всем имениям Н.К. Урождённой Эристовой княгини Амилохори». ადგილი მისახვედრია, რომ ინიციალები „ნ.კ.“ ქალიშვილობის გვართ - ერისთავი, ნინო კონსტანტინეს ასული ქსნის ერისთავი, დიმიტრი ამილახვრის დედაა. საბუთი დათარიღებულია 1910 წლის 12 ქრისტეშობისთვით, ხელს აწერს გიორგი ამილახვარი. საბუთს უზის ბეჭედი, რომლის ზედა კიდეზე გამოსახულია ამილახვრების გერბი, ცენტრში ინიციალები „გ.ო.“, ქვემოთ რკალურად აწერია - „ამილახვარი“ (გსიემ 7613-15). ქვითარში აღნიშნულია ოთარშენის ეკონომია¹⁰, რომლის კანტორის მფლო-

10 ეკონომია - 1917 წლამდე მემამულის მსხვილი მამული; ამგვარი მამულის წარმოების ადმინისტრაციულ-საკანცელარიო განყოფილება, კანტორა.

Отаршенская экономія по всеѣмъ имѣніямъ
Н. К. Урожд. Эристовой кн. Амилухори
КВИТАНЦІЯ № 236

Имя, отчество и фамилія просителя *Григоріи Михайловна*

Жит. сел. уѣзд. губ. *Чкаловска*

На какой предметъ *забрать изъ Чкаловска въ село
Звеница 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб.
за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб.
за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб.*

Цѣна *1000 руб.*

Получено *1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб.*

Осталось *1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб. за 1000 руб.*

Подпись получателя *[Signature]*

с. *Чкаловск* 1910 г. 10 мая

Григоріи Михайловна 1910 г. 10 мая



სურ. 2

საბუთი გაცემული ოთარშენის მეზატონის
გიორგი ამილახვრის მიერ ფილო იორამაშვილზე.

ბელი წინო ერისთავია და იგი (ქვითარი რ.ლ.) გიორგი ოთარის ძე ამილახვრის ბეჭდით არის დადასტურებული. ამდენად, ამილახვართა წესსა რომ თავი დავანებოთ, ამ დოკუმენტს ვერსად გავექვევით. იგი ამტკიცებს, რომ დიმიტრი ამილახვრის მამა გიორგი ოთარის ძე იყო და არა გიორგი ივანეს ძე.

1927 წლის 25 აგვისტოს 21 წლის დიმიტრი ამილახვარი მასზე ორი წლით უფროს ირინე იოსების ასულ დადიანზე დაქორწინდა¹¹. ირინე დადიანი დედის, თამარ გრიგოლის ასული თარხან-მოურავის ხაზით, სოლომონ I-ის შთამომავალი იყო. მათი ქორწინება პარიზის მე-7 რაიონის მერიაში შედგა, შემდეგ კი ალექსანდრე ნეველის რუსულ ეკლესიაში მთელი ქართული ელიტის თანდასწრებით ჯვრისწერა ჩატარდა (Huet, 2021: 38-39). დიმიტრი ამილახვარსა და მის მეუღლეს სამი შვილი შეეძინათ¹². როგორც ამილახვრის მეგობარი, უცხოური ლეგიონის გენერალი სენ-ჰილიე მოგვითხრობს, დიმიტრი ამილახვარს უფროსი შვილი, გიორგი ალჟირში, სიდი-ბელ-აბესში გარდაეცვალა (<http://amilakvari.free.fr/le/grands/amilakvari/amilakvari02.htm>). მომდევნო ვაჟი, ოთარი მაროკოში, ქალაქ აგადირში დაიბადა, ქალიშვილი თამარი - პარიზში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ოჯახი დროგამოშვებით ჩრდილოეთ აფრიკაში ცხოვრობდა, სადაც დიმიტრი ამილახვარი მსახურობდა¹³.

11 ირინე (ზეზა) დადიანი იოსები ულონის ძე დადიანისა და თამარ გრიგოლის ასული თარხან-მოურავის ოჯახში დაიბადა. მათ ექვსი ქალიშვილი ჰყავდათ. იოსებ დადიანი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში. 1917 წლის რევოლუციამდე, როგორც სამთო ინჟინერი, ბაქოში ნობელების ფირმაში მუშაობდა. ირინე დადიანი ბაქოში დაიბადა.

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა და პარიზში დასახლდა. იოსებ დადიანს განსაკუთრებული როლი მიუძღვის პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ დაფუძნებაში.

12 საგაზეთო სტატიებში, დოკუმენტურ ფილმებში, რომლებიც დიმიტრი ამილახვრის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება შეცდომით არის მითითებული, რომ მას ორი შვილი ჰყავდა.

13 დიმიტრი ამილახვრის გარდაცვალებიდან ორ წელიწადში, 1944 წლის 27 დეკემბერს ირინე დადიანი ავტოკარიის დროს დაიღუპა (მასთან ერთად დაიღუპა მისი და, ელისო დადიანიც). მცირეწლოვანი ოთარი და თამარი დადიანების ოჯახში, დეიდასთან იზრდებოდნენ.

როგორც სიკვდილის შემდეგ მეგობარს დაჰპირდა, გენერალი კენიგი დიმიტრი ამილახვრის შვილების მეურვე გახდა (Huet, 2021: 186). მათ შესანიშნავი განათლება მიიღეს. თამარი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში მუშაობდა. იგი 1958 წელს ჩეხ იმუნობიოლოგზე, რეპროდუქციული იმუნოლოგიის დამფუძნებელ რადსლავ კინსკიზე დაქორწინდა. რადსლავ კინსკი (1928-2008) უძველესი ჩეხური არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი იყო (https://cs.wikipedia.org/wiki/Radslav_Kinsk%C3%BD#cite_note-novinky-5). 1992 წელს რესტიტუციის შედეგად, კინსკების ოჯახს მორავიაში, ჟდია-ნად-საზავოუში საგვარეულო ციხე-დარბაზი, მთელი ქონება და გრაფის ტიტული დაუბრუნდა. თამარსა და მის მეუღლეს ორი ვაჟი ჰყავთ: კონსტანტინ ნორბერტ და კარელ მიკულაშ (მიშელ ნიკოლა) კინსკები.



სურ. 3
დიმიტრი ამილახვარი



სურ. 4
ირინე დადიანი,
დიმიტრი ამილახვრის
მეუღლე



სურ. 5
თამარ დიმიტრის
ასული ამილახვარი-
კინსკა

დიმიტრი გიორგის ძე ამილახვარი (ჩიქოვანი, 2010: 10-12).

მშობლები:

♂ გიორგი ოთარის ძე ამილახვარი 1870-1924

♀ ნინო კონსტანტინეს ასული [ქსნის] ერისთავი 1876-1935

1927 ქორწინება: ირინე (ბეზა) იოსების ასული დადიანი 1904-1944

შვილები¹⁴:

♂ გიორგი 1928-1929

♂ ოთარი 1931-2002

♀ თამარი 1935-2019

ახლა გადავხედოთ ივანე ამილახვრის შთამომავლებს და შევადაროთ მონაცემები:

ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარი 1829-1905 (ჩიქოვანი, 2010: 18).

მშობლები:

დიმიტრი ამილახვრის შუათანა ვაჟი, ოთარი დიპლომატი იყო. მან პარიზის პოლიტიკური მეცნიერებების ინსტიტუტი, შემდეგ ადმინისტრაციის ნაციონალური სკოლა დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ალჟირში - საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივნის, მრჩეველის პოზიციებზე; ბრიუსელში - ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივ მისიაში და ა.შ. დაქორწინებული იყო მარგერიტ ჟანე მაიეზე, შთამომავლობა არ დარჩენიათ. ოთარ ამილახვარი დაკრძალულია პარიზის ბანიოს სასაფლაოზე. ამავე სასაფლაოზე დაკრძალული არიან: თამარი, მათი დედა, ირინე დადიანი, მისი დები და მშობლები.

14 დიმიტრი ამილახვრისა და ირინე დადიანის შვილები დედისა (ირინეს დედის, თარხან-მოურავების მხრიდან) და მამის ხაზით (დიმიტრის დედის, ქსნის ერისთავების მხრიდან) სოლომონ I-ის შთამომავლები არიან (ჩიქოვანი, 2020: 102).

♂ გივი (ეგორ) ბარძიმის ძე ამილახვარი 1810-1877

♀ ანასტასია ლუარსაბის ასული [ქსნის] ერისთავი 1809-1886

ქორწინება:

♀ ანა ალექსანდრეს ასული [ქსნის] ერისთავი 1848-1934

შვილები:

♂ მიხეილი 1870-1872

♀ ნინო 1873-1933

♂ გივი 1874-1943

♀ მართა 1875-1937

♂ ალექსანდრე 1876-?

♂ კონსტანტინე 1877-1927

♀ ელენე 1880-1883

♀ ანასტასია 1883-?

როგორც ვხედავთ, ივანე ამილახვარს საერთოდ არ ჰყავდა ვაჟი სახელად გიორგი. ადვილი მისახვედრია, რომ ამილახვრების სხვადასხვა შტოსთან გვაქვს საქმე. საგვარეულო სახელთაგან არც ერთი ივანე და გივი არ არის დიმიტრი ამილახვრის შტოში და, პირიქით, არც ერთი გიორგი და ოთარი ივანე ამილახვართან¹⁵.

საგულისხმოა ერთი ცნობა, რომელიც გაამყარებს ჩვენს დასკვნას. ერთ-ერთ გენეალოგიურ პორტალზე დიმიტრი ამილახვრის ქალიშვილის, თამარის შესახებ ვკითხულობთ, რომ მისი ნათლობა შედგა პარიზში, ხოლო ნათლია გივი ივანეს ძე ამილახვარი იყო (<https://nobility.pro/genealogy/individual.php?pid=I6047&ged=tree&lang=fr>). გივი ამილახვარი იმ ივანე ამილახვრის შვილია, რომელიც შეცდომით დიმიტრის პაპად არის მიჩნეული (<https://nobility.pro/ru/statya/770-amilakhvari-gi-vi-ivanovich.html>). პირველი მსოფლიო ომის გმირი, გივი ამილახვარი რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალ-მაიორი იყო, საფრანგეთში ემიგრირების შემდეგ, პარიზში ტაქსის მძღოლად მუშაობდა¹⁶. თუკი

15 გენერალ-ადიუტანტი ივანე ამილახვარი 1905 წელს ქალაქ ბაქოსა და ბაქოს გუბერნიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მალე გორში დაბრუნდა, იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიაში.

16 გივი ამილახვარმა (1874-1943) 1892 წელს თბილისის კადეტთა კორპუსი დაამთავრა, 1896 წელს - სანქტ-პეტერბურგის პაჟთა კორპუსი. წარმატებით დაასრულა აგრეთვე სანქტ-პეტერბურგის კავალერიის ოფიცერთა სკოლა. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში, დაჯილდოებულია წმ. ანას მე-4 ხარისხისა და წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენებით. 1905-1914 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ადიუტანტი იყო. პირველ მსოფლიო ომში დაღესტნის მე-2 პოლკს სარდლობდა; მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება, დააჯილდოვეს წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენითა და რუსეთის იმპერიის გამორჩეული ჯილდოთი, სასაჩუქრე იარაღით - ოქროს

ივანე ამილახვარს დიმიტრის წინაპრად მივიჩნევთ, გამოდის, რომ მისი უმცროსი შვილი თამარი ბიძამ, მამის ძმამ მონათლა. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლობა არ კრძალავს ახლო ნათესავის ნათლობას, ქართული ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, საზოგადოდ ასეთი პრაქტიკა მიღებული არ არის.

ქართლის მსხვილი სათავადოს, საამილახოროს (მდ. ლეხურასა და ლიახვს შორის ტერიტორია) მფლობელები, მეფის მიერ დანიშნული მოხელენი - ამილახვრები, როგორც ცნობილია, ზევდგინიძეთა საგვარეულოდან მომდინარეობენ: „ხოლო შიდა ქართლს - ამილახორი, არამედ არა არს გვარი, გარნა წესი მეჯინიბეთუხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარით ზედგინიძე არს, და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი“ (ვახუშტი, 1973: 34). თავდაპირველად, XV-XVI სს-ში მათ ზევდგინიძე-ამილახვრებად მოიხსენიებენ, XVII საუკუნიდან უკვე ამილახვრებად იწოდებიან. ჯერ კიდევ ზევდგინიძეთა საგვარეულოში დამკვიდრდა მათ მიერ ამილახორისა და გორის მოურავის სახელოების ფლობა და ზემო ქართლის სადროშოს სარდლობა (იოანე ბატონიშვილი, 1997: 19). ამას გარდა, ამილახვრებს მეფის კარზე სხვადასხვა დროს ეკავათ ემიკადასბაშის, ბოქაულთუხუცესის, ჩუხჩარეხის, მოლარეთუხუცესისა და სხვა თანამდებობები. საამილახოროს ცენტრი XIV-XVI სს-ში ზევდგინიძეების მიერ სამემკვიდრეოდ მიღებული სხვილოს მამული იყო. მოგვიანებით, XVII ს-ის დასაწყისიდან სათავადოს რეზიდენციამ ქვემო ჭალაში გადაინაცვლა. ამილახვართა მფლობელობაში შედიოდა შიომღვიმისა და სამთავისის მონასტრები, რომლებიც მათ საგვარეულო საძვალეებს წარმოადგენდნენ.

დიმიტრი და ივანე ამილახვრების წინაპრების უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად მივყვეთ თავად ამილახვართა გენეალოგიას. იოანე ბატონიშვილი თავის გენეალოგიურ შრომაში მოგვითხრობს,

ხმლით „მამაცობისთვის“ (1720 წელს ჯილდოს დაწესებიდან უკანასკნელად დაჯილდოებამდე 1917 წელს, სულ გაცემულია 2500-მდე ოქროს იარაღი). ოქტომბრის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე გენერალ-მაიორის წოდებამიიღო. 1923 წელს საფრანგეთში ემიგრაციაში წავიდა. ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველად ანა გრიგოლის ასულ კუზნეცოვაზე, მეორედ - ნ. იუნგერზე, მთამომავლობა არ დარჩენია. გივი ამილახვარი დაკრძალულია სენტ-ჟენევიე-დე-ბუას რუსულ სასაფლაოზე. ამავე სასაფლაოზე, რომელიც პარიზიდან 25 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, დაკრძალული არიან სხვა ქართველებიც (<https://nobility.pro/genealogy/placelist.php?parent%5B%5D=France&parent%5B%5D=Paris&parent%5B%5D=Sainte%20Genevieve%20des%20Bois&ged=tree>), მათ შორის, მერი შერვაშიძე და მისი მეუღლე გენერალი გიორგი (გიგუშა) ერისთავი, მისი ძმა გენერალი ალექსანდრე ერისთავი, ნინო მხეიძე, მერი შერვაშიძის დედა და სხვ.

რომ ამილახვარნი „განიყოფებიან სხვა-და-სხვა სახლად: 1) რევაზის შვილებად; 2) ქაიხოსროს შვილებად; 3) ბეჟანის შვილებად; 4) ერასტის შვილებად და იმის ძმის წულუბად; 5) გივის შვილებად. ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახრობა სპასპეტობა იყო რევაზის შვილთა, რომელნიც უფროსნი იქმნებოდენ სახლში, ხოლო სხვათა აქვნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი“ (იოანე ბატონიშვილი, 1997: 19). „ისტორიული საბუთების მიხედვით, XVII ს-ის მეორე ნახევარში საამილახორო სახლის უფროსი გივი იოთამის ძე ამილახვარია. 1656 წელს როსტომ მეფემ მას ზემო ქართლის სარდლისა და გორის მოურავის სახელოები უწყალობა, რომლებიც მანამდე ანდუყაფარ ამილახორისთვის ჰქონდა ნაბოძები, მაგრამ გაცემულ საბუთზე ბეჟდის დასმამდე ანდუყაფარი გარდაიცვალა და ეს სახელოები მის ძმას, გივის (?-1700) გადასცა (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991: 119-120). სხვა საბუთით დასტურდება როსტომ მეფის მიერ სასარდლო სარგოს გაჩენაც (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991: 120). საბუთებიდან ირკვევა, რომ გივი ამილახორი დამდურებია თავის ძმისწულებს, იოთამსა და ავთანდილს. სახლიკაცებთან იგი მეფე ნაზარალი-ხანს, ქრისტეფორე მთავარეპისკოპოსსა და ქართლის დიდებულებს შეურიგებიათ, დაუდგენიათ ამილახორობა სახლის რიგი და სახლის უფროსად ისევ გივი დაუტოვებიათ (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991: 121). გივი ამილახორის ძის, ანდუყაფარის (1665-168?) შვილი იყო ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახორი, საამილახოროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი (ჩიქოვანი, 2010: 3). რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი ივანე ამილახვარი ქართლის აჯანყების გამირის, გივი ამილახვრის მეხუთე თაობაა.

გივი (1689-1754)

დავით (დათუნა)(?-1800)

ბარბიმ (1781-1861)

გივი (1810-1877)

ივანე (1829-1905)

გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარს ჰყავდა ძმა, ოთარი, რომლისგანაც იღებს სათავეს დიმიტრი ამილახვრის შტო. ოთარ ანდუყაფარის ძიდან მოყოლებული დიმიტრი მეშვიდე თაობაა (ჩიქოვანი, 2010: 10).

ოთარი (?-1741)

რევაზ (1738-1775)

ოთარი (1756-1828)

გიორგი (1794-1853)

ოთარ (1827-1877)

გიორგი (1870-1924)

დიმიტრი (1906-1942)

XVII ს-ის მეორე ნახევრიდან საამილახვროს უფროსობა, ზემო

ქართლის სადროშოს სარდლობა და გორის მოურაობა, ძირითადად ივანე ამილახვრის წინაპრებს შორის გვხვდება. დიმიტრი ამილახვრის შტოში XVIII ს-ის მეორე ნახევარში სათავადო სახლის უფროსად ჯერ რევაზ ოთარის ძე ამილახვარი ჩანს¹⁷, შემდეგ ოთარ რევაზის ძე (1756-1828), კრწანისის ომის მონაწილე, იულონ ბატონიშვილის ცოლისძმა (ტუხაშვილი, 1975: 392). ამ უკანასკნელის მხარდაჭერის გამო, ბატონიშვილებს შორის ტახტისთვის ბრძოლაში, 1801 წელს მან ამილახვრობა დაკარგა, სამაგიეროდ, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის წოდება მიიღო.

ახლა პასუხი გავცეთ კითხვის მეორე ნაწილს - შემთხვევითია თუ არა ივანე ამილახვართან დიმიტრი ამილახვრის დაკავშირება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 70-იან წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში ივანე და დიმიტრი ამილახვრების ნათესაობის საკითხი არ დამდგარა. ეს კავშირი ბოლო დროს მრავალრიცხოვან ინტერნეტგამოცემებში, ვიკიმედიის პლატფორმის პროექტებსა და ბეჭდურ მედიაში გაჩნდა. რუსულენოვან რესურსებში ყველგან, სადაც კი ივანე ამილახვრის შესახებ არის მოთხრობილი, მითითებულია, რომ იგი ლეიტენანტ-კოლონელის დიმიტრი ამილახვრის პაპაა. ზოგჯერ დიმიტრი ამილახვარი საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის რუს გმირად სახელდება.

დიმიტრი ამილახვრის ბიოგრაფიაში არის ერთი დეტალი, რომელიც უნებურად ხელს უწყობს ამ ტენდენციის გავრცელებას. დიმიტრი დაიბადა ჩრდილო კავკასიაში, სოფელ ბაზორკინოში. ბაზორკინო (დღევანდელი ჩერმენი) დღეს ჩრდილო ოსეთის საზღვრებშია, მაშინ ჩეჩნეთის პატარა დასახლებული პუნქტი იყო. თამარ ამილახვრის მოგონებიდან ცნობილია, რომ მისი ბებია ფეხმძიმობისას 1905 წლის რევოლუციის დროინდელ არეულობას გორიდან გაარიდეს (Huet, 2020: 17). არც ის არის გამორიცხული, რომ გიორგი ამილახვარი ამ დროს ჩრდილო კავკასიაში მსახურობდა და ოჯახიც მასთან ერთად იყო. ყოველ შემთხვევაში, დიმიტრი ამილახვრისთვის დაბადების ადგილის მიხედვით, ოჯახის მიერ შერქმეული მეტსახელი „ბაზორკა“, მას სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა. ჟან-პოლ უეტი შენიშნავს, რომ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში დიმიტრი ამილახვრის დაბადების ადგილად მითითებულია გორი და არა ბაზორკინო. ამას კი იმით ხსნის, რომ ნათლობის მოწმობამ დაბადების მოწმობა ჩაანაცვლა (Huet, 2020: 17).

აღსანიშნავია, რომ ოფიცრის სარეგისტრაციო ბარათში, რომელიც დაცულია დიმიტრი ამილახვრის პირად საქმეში (41/37248, საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების არქივი), ჩა-

17 რევაზ ოთარის ძე ამილახვრის ქალიშვილი, სალომე ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ის ვაჟს, იულონ ბატონიშვილს.



სურ. 6

დიმიტრი ამილახვრის სამხედრო მოწმობა. აქ დაბადების ადგილად გორი წერია, თუმცა რიცხვი და თვე 31 ოქტომბერია მითითებული.

სწორებულია დაბადების თვე და რიცხვი (ძვ. სტილით 31 ოქტომბერი შეცვლილია 12 ნოემბრით), დაბადების ადგილად კი ბაზორკინოს ნაცვლად გორია მითითებული. სამოქალაქო აქტში შესწორება 1-ლი უცხოური პოლკის მეთაურის 1939 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით არის ნებადართული (Huet, 2020: 18).

საფრანგეთში არც ახლა და მით უმეტეს, არც დიმიტრი ამილახვრის სიცოცხლეში ექვეყნებ არავის დაუყენებია მისი ქართული წარმომავლობა. ამას მოწმობს ჩვენ მიერ არაერთგზის ციტირებული

ჟან-პოლ უეტის წიგნი, რომლის პირველ, ბავშვობისა და ყრმობის ამსახველ თავში, მოთხრობილია ამილახვართა საგვარეულოს წარმომავლობის, გერბის, აგრეთვე იოთამ ზედგინიძის გმირობისა და გიორგი VIII-ის შესახებ¹⁸.

დიმიტრი ამილახვრის ბიოგრაფიაში არაერთი უზუსტობაა. მაგალითად, ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამილახვარი საპატიო ლეგიონის ორდენით სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს. სინამდვილეში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, საპატიო ლეგიონის კავალერის ორდენზე იგი 1940 წელს იყო ნომინირებული. აგრეთვე ხშირად აღრეულია ელ-ალამეინის ადგილმდებარეობა. ელ-ალამეინი ეგვიპტეში მდებარეობს და არა ლიბიაში და იქვე სამხედრო სასაფლაოზე არის დაკრძალული დიმიტრი ამილახვარი. ამ დეტალებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესი მაინც მიმოქცევაში მისი წინაპრების შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის შემოტანაა¹⁹. ეს ინფორმაცია კი, პირველ

18 მაგრამ, ამავე დროს, 1999 წლიდან საფრანგეთში გამოდის სერია „რუსული ემიგრაცია ფოტოსურათებში, საფრანგეთი 1917-1947“, გამოცემის ავტორია ანდრეი კორლიაკოვი. სერიის ერთ-ერთმა ალბომმა 2006 წელს ვერიტასის პრემია მიიღო საუკეთესო ისტორიული ნაშრომისთვის. სწორედ ამ წიგნში ანბანურად დალაგებულ სხვა რუს ემიგრანტთა გვარებს შორის გვხვდება ამილახვრების ოჯახი. სერიის გამოცემაში „პატივი და ღირსება“ რუსული ემიგრაციის იმ წარმომადგენლების ფოტოები და ანოტაციებია, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საფრანგეთის ისტორიაში, მათ შორისაა დიმიტრი ამილახვარიც.

19 რამდენიმე თვის განმავლობაში ვთანამშრომლობდი ზემოხსენებულ გამომცემლობასთან (Lemme Edit), რომელმაც დაბეჭდა პირველი წიგნი დიმიტრი ამილახვრის შესახებ. სულ ახლახან გამოვიდა წიგნის მეორე შევ-

რიგში, უნდა აისახოს სამეცნიერო გამოცემებში, აგრეთვე ბეჭდურ და სოციალურ მედიაში, ქართულ და უცხოენოვან ვიკიპედიებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

vakhush'ti bat'onishvili. (1959). *aghts'era sameposa sakart'velosa. kart'lis tskhovreba*. t'. IV. t'ekst'i dadgenili q'vela dziritadi khelnats'eri mikhedvit s. q'aukhchishvilis mier. tb.: gamomtsemloba "merani". (ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: გამომცემლობა „მერანი“).

gsiem 7613-15. sergi makalatias sakhelobis goris istoriul-etnografiuli muzeu-mi. (გსიემ 7613-15, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი).

ioane bagrat'ioni. (1997). *shemoklebit aghts'era sakart'velosa shina mtskhovreba tavadta da aznaurta gvarebisa*. tb. (იოანე ბაგრატიონი. (1997). *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა*. თბ.).

magrakvelidze, r. (1975). *amilakhvari ivane gives dze. kartuli sabtchota entsiklopedia*. t'. 1, tb. (მაგრაქველიძე, რ. (1975). *ამილახვარი ივანე გივის ძე*. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1, თბ.).

pirta anot'irebuli leksik'oni. (1991). XI-XVII ss. kart'uli ist'oriuli sabutebis mikhedvit. t'. I. tb.: gamomtsemloba "metsniereba" (პირთა ანოტირებული ლექსიკონი. (1991). XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტ. I. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“).

zhordania, g. (1975). *amilakhvari dimitri giorgis dze*. t'. 1, tb. (ჟორდანია, გ. (1975). *ამილახვარი დიმიტრი გიორგის ძე*. ტ. 1, თბ.).

zhordania, g. (1997). *amilakhvari dimitri giorgis dze. entsik'lop'edia "sakart'velo"*. t'. 1, tb.: (ჟორდანია, გ. (1997). *ამილახვარი დიმიტრი გიორგის ძე*. ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. 1, თბ.).

t'ukhashvili, l. (1975). *amilakhvari otar revazis dze. kse*. t'. 1, tb.: (ტუხაშვილი, ლ. (1975). *ამილახვარი ოთარ რევაზის ძე*. კსე. ტ. 1, თბ.).

kartl-k'akhetis tavadebi da aznaurebi. (2005). pot'ot'ipiuri gamotsema. z. ch'umburidzis redaktiit. tb.: gamomtsemloba "art'anuji". (ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები. (2005). ფოტოტიპირი გამოცემა. ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბ.: გამომცემლობა „არტანუჯი“).

სებულის და გადამუშავებული გამოცემის 1-ლი სპეციალური ტირაჟი - მე-13 ნახევარბრიგადა. ამ თანამშრომლობის შედეგად, გასწორდა ბევრი უზუსტობა, დადგინდა ამილახვართა ისტორიის დეტალები, დაემატა ფოტოები, რომლებიც სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. მათთვის უცნობი იყო აგრეთვე მორის როსტანის სონეტი დიმიტრი ამილახვრისადმი. რევაზ თაბუკაშვილის ფილმის („ფურცლები ფრანგული დღიურიდან“) წყალობით, მოვახერხე სონეტის ტექსტის აღდგენა, რომელიც ასევე შევიდა წიგნში. მეორე გამოცემა 2022 წლის დასაწყისშია დაგეგმილი.

chikovani, i. (2010). *tavad amilakhvarta sagvareulo*. tsipruli bibliotek'a "iverieli". iuri chikovani's k'oleksia. (ჩიქოვანი, ი. (2010). *თავად ამილახვართა საგვარეულო*. ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“. იური ჩიქოვანის კოლექცია. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/8443>

chikovani, i. (2020). mepe solomon I da misi shtamomavloba (genealogiuri gamokvleva). tb.: gamomtsemloba "griponi". (ჩიქოვანი, ი. (2020). მეფე სოლომონ I და მისი შთამომავლობა (გენეალოგიური გამოკვლევა). თბ.: გამომცემლობა „გრიფონი“).

gazet'i "Молодёжь Грузии" (1970). #30 (6959). (გაზეთი „Молодёжь Грузии“ (1970). #30 (6959).

De Gaulle, C. (1990). *Mémoires de guerre, Tome 2 «L'Unité - 1942-1944»*, Presses Pocket.

Huet, J.-P. (2020). *Dimitri Amilakvari, un prince combattant*. Lemme Edit.

Huet, J.-P. (2021). *Dimitri Amilakvari, un prince combattant*. 2^e éd. revue et augmentée. (2^e édition, 1^{er} tirage spécial 13^e DBLE). Lemme Edit.

Ross, N. (2021). *Entre Hitler et Staline - Russes blancs et Soviétiques en Europe durant la Seconde Guerre mondiale*. Editions des Syrtes.

<http://divisionfrancaiselibre.eklablog.com/portrait-du-lieutenant-colonel-dimitri-amilakvari-13-d-b-l-e-1906-1942-a117553850>

<http://amalep.free.fr/le/grands/amilakvari/amilakvari03.htm>

<https://nobility.pro/genealogy/individual.php?pid=I6047&ged=tree&lang=fr>

<https://nobility.pro/ru/statya/770-amilakhvari-givi-ivanovich.html>

<https://nobility.pro/genealogy/placelist.php?parent%5B%5D=France&parent%5B%5D=Paris&parent%5B%5D=Sainte%20Genevieve%20des%20Bois&ged=tree>

https://cs.wikipedia.org/wiki/Radslav_Kinsk%C3%BD#cite_note-novinky-5

Кто был дедом Дмитрия Амилахвари – легендарного героя Французского Иностранного легиона?

Русудан Лабадзе

Доктор истории

Старший специалист Национальная академия наук Грузии

ORCID ID: 0000-0001-5735-5417

rusudan.labadze@tsu.ge

+995 593 394 393

Резюме

В биографии командира 13-й полубригады Французского Иностранного легиона - Дмитрия («Базорка») Амилахвари (1906-1942), убитого во время Североафриканской кампании второй мировой войны в Эль-Аламейне, немало непроверенных фактов. В сентябре 2020 года

французское издательство Lemme Edit, издающее историческую литературу об известных военных и политических деятелях, выпустило книгу «Дмитрий Амилахвари - Сражающийся принц». Это первая книга, которой Франция почтила память подполковника Дмитрия Амилахвари, «Соратника Освобождения». Автор книги цитирует исторические сведения о княжеском роде Зедгинидзе-Амилахвари, а Дмитрия Амилахвари представляет внуком Ивана Амилахвари (1829–1905), генерала от кавалерии Русской Императорской Армии, героя Кавказской войны. Иван Амилахвари упоминается дедом Дмитрия Амилахвари и в его биографии, размещенной на веб-сайте Министерства вооруженных сил Франции.

Вопрос о предках Дмитрия Амилахвари специально не исследовался в грузинской научной литературе. Ученые либо вообще не обращаются к этому вопросу, либо называют его внуком Ивана Амилахвари. К этому можно добавить множество Интернет-ресурсов, которые под влиянием Википедии (в основном русской и английской) также утверждают, что Дмитрий Амилахвари потомок известного генерала. Наконец, следует отметить, что в феврале 2021 года во Франции вышла книга Николая Росса «Между Гитлером и Сталиным: белые и советские русские в Европе во время Второй мировой войны», в которой среди других представителей русской «белой эмиграции» (!) рассмотрена биография Дмитрия Амилахвари.

На самом деле, кто же отец Дмитрия Амилахвари - Георгий Иванович Амилахвари или Георгий Отарович Амилахвари? Случайно ли, то что Ивана Гивича Амилахори, князя из Квемо-Чала связывают с Амилахварами другой ветви, из Отаршени и почему так важно установить достоверность этого факта?

В статье с использованием документальных источников, генеалогических таблиц княжеского рода Амилахвари и генеалогических порталов установлено, что дедом Дмитрия Амилахвари был не генерал от кавалерии Иван Гивич Амилахвари, а Отар Георгиевич Амилахвари, потомок другой линии этого старинного рода.

Ключевые слова: Дмитрий Амилахвари, Французский Иностранный легион, Эль-Аламейн, княжеский рода Амилахвари, Иван Амилахвари.

იოანე პეტრიჭის დრო - ძველი და ახალი თვალსაზრისები

The time of Jon Petritsi – old and new views

Tamar Parchukidze

PHD in Histori

ORCID ID: 0000-0002-5413-427X

Parchukidze@yahoo.com.

+995 599 194 794

Abstract

Medieval Georgian Neoplatonist Jon (Ioane, Iohannes) Petritsi was persecuted all his life for his progressive ideas. Hidden for centuries, his name became known to the Georgian public in the XVIII century, and the scientific study of philosophical-theological heritage began in the first years of the XX century.

Studies in the field of petritsology are mainly conducted in the philosophical and philological directions. Our aim is to study the problem from a historiographical point of view.

According to the established conditions, Jon Petritsi was a contemporary of David the Builder (XI - XII centuries). It was recently suggested that he was living a century later (XII-XIII centuries); However, the modern research has shown further references and artifacts that might reinforce the previous traditional view.

This work is the third in a series of articles published in this journal dedicated to the life and work of Jon Petritsi. This time, we look at the part of the current study that deals with the Petritsi work time problem. To do this, we review the old, modern and recent versions of the case; We refer to the main conclusions and hypotheses of the previous two publications; In order to present the new facts obtained as a result of the current research.

The main results of the research are presented in the paper for deeper discussion and further scientific processing: educational symbols of Petritsoni (1083) and Gelati monasteries (1106-1110); Comparative analysis of Georgian historical information and Rhodope rock artefact; First Epistle of Theophylact Bulgarian ("to the Divine Jon"); The recently researched epistle of Theophylact Bulgarian ("Jon the Philosopher") and the problem of the dialectician "Someone Jon."

The chronology of the listed issues and the information presented in them correspond to the theological-philosophical concepts of Jon Petritsi and the previously accepted time of his activity (XI - XII centuries).

We believe that new information and hypotheses related to the biography of Jon Petritsi need further scientific elaboration, a different understanding of specific issues, and a revision of the problem of the working time of the great philosopher and theologian.

Key words: Petritsi, Neoplatonism, symbol, Rhodope inscription, Theophylact, “Dialectician Jon.”

თამარ ფარჩუკიძე

ისტორიის დოქტორი

ORCID ID: 0000-0002-5413-427X

Parchukidze@yahoo.com.

+995 599 194 794

აბსტრაქტი

შუა საუკუნეების ქართველი ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწი სიცოცხლეშივე იდევნებოდა პროგრესული იდეების გამო. ასწლეულობით დაფარული მისი სახელი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა XVIII საუკუნეში, ხოლო ფილოსოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა დაიწყო XX საუკუნის პირველი წლებიდან.

პეტრიწოლოგიის დარგის კვლევები, ძირითადად, წარმოებს ფილოსოფიური და ფილოლოგიური მიმართულებით. ჩვენი მიზანია პრობლემის ისტორიოგრაფიული თვალთახედვით შესწავლა.

დამკვიდრებული თვალსაზრისით, იოანე პეტრიწი იყო დავით აღმაშენებლის თანამედროვე (XI – XII სს.). უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი მოღვაწეობდა ერთი საუკუნით გვიან (XII – XIII სს.). თანამედროვე კვლევამ კი გვიჩვენა, რომ არსებობს ცნობები და არტეფაქტები, რომლებმაც, შესაძლოა, განამტკიცოს ტრადიციული შეხედულება.

წინამდებარე ნაშრომი რიგით მესამეა ამ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ციკლიდან, რომელიც ეძღვნება იოანე პეტრიწის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამჯერად, განსახილველად შემოგვაქვს მიმდინარე კვლევის ის ნაწილი, რომელიც ეხება პეტრიწის სამოღვაწეო დროის პრობლემას. ამისათვის მიმოვიხილავთ საკითხთან დაკავშირებულ ძველ, თანამედროვე და უახლეს ვერსიებს; მოვიხმოთ წინა ორი პუბლიკაციის ძირითად დასკვნებსა და ჰიპოთეზებს; წარმოვადგენთ მიმდინარე კვლევის შედეგად მოპოვებულ ახალ ფაქტებს.

ნაშრომში განხილვისა და შემდგომი მეცნიერული დამუშავებისათვის წარმოდგენილია კვლევის ძირითადი შედეგები: პეტრიწონისა (1083 წ.) და გელათის მონასტერთა (1106-1110 წწ.) საგანმანათლებლო სიმბოლოები; ქართული ისტორიული ცნობისა და როდოპის

კლდოვანი არტეფაქტის შედარებითი ანალიზი; თეოფილაქტე ბულგარელის პირველი წერილი („ღვთაებრივი იოანესადმი“); თეოფილაქტე ბულგარელის ახლადმოკვლეული ეპისტოლე („იოანე ფილოსოფოსისადმი“) და „ვინმე იოანე“ დიალექტიკოსის პრობლემა.

ჩამოთვლილი საკითხების ქრონოლოგიადა მათში გადმოცემული ცნობები შესატყვისობაშია იოანე პეტრიწის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ კონცეფციებთან და მოღვაწეობის ადრე მიღებულ დროსთან (XI – XII სს.).

მიგვაჩნია, რომ იოანე პეტრიწის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ახალი ცნობები და ჰიპოთეზები საჭიროებს შემდგომ მეცნიერულ დამუშავებას, კონკრეტული საკითხების განსხვავებულად გააზრებას და დიდი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის სამოღვაწეო დროის პრობლემის კიდევ ერთხელ გადასინჯვას.

საკვანძო სიტყვები: პეტრიწი, ნეოპლატონიზმი, სიმბოლო, როდოპის წარწერა, თეოფილაქტე, „დიალექტიკოსი იოანე.“

შესავალი

მონაცემთა სიმცირისა და განსხვავებულობის გამო, იოანე პეტრიწის მოღვაწეობის დრო რთულად დასადგენი საკითხია. სავარაუდო ქრონოლოგია მერყეობს XI-XIII საუკუნეებს შორის. პრობლემის თანამედროვე სურათი ასეთია:

- XX საუკუნის დასაწყისიდან ითვლება, რომ იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა XI–XII საუკუნეებში (Mapp 1909: 54-113; იოანე პეტრიწი, შრომები, 1937: XIV);
- პეტრიწი XII ს. მოღვაწედ მოხსენიება „სიფრთხილის გამო“ (ალექსიძე 2008:4);
- XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა განსხვავებული თვალსაზრისი. არსებობს მტკიცებულებითი ფორმით გამოთქმული მოსაზრებები, რომ: ა) მეფე დავითის თანამშრომლობა არ განიხილება, რადგან ამ მოსაზრების მიხედვით, მათ „ახლო ურთიერთობაზე... მინიშნებაც კი არ გვაქვს“ (კოპლატაძე 2009: 503); ბ) „არავითარი მონაცემი იოანე პეტრიწის XI ს-ის II ნახევრისა და XII ს-ის I მეოთხედში მოღვაწეობის შესახებ არ მოგვეპოვება.“ მის მემკვიდრეობაში „...შთამბეჭდავად დამადასტურებელი მონაცემების მთლიანობა გარკვევით მიგვითითებს XII ს-ის მიწურულსა და XIII ს-ის დამდეგზე“ (ჭელიძე 1995).

სადღეისოდ, მოღვაწეობის დროის დადგენის ერთადერთ საშუალებად მიღებულია ენათმეცნიერული კვლევის მეთოდი. რომლის მიხედვით, არსებული დათარიღება იცვლება და ხდება უფრო გვიანდელი. თუმცა, ჩვენ მიერ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განხორციელებ-

ბულმა თანამედროვე კვლევამ წარმოაჩინა პირველი ვერსიის, ანუ ადრინდელი დათარიღების სასარგებლო არგუმენტები. ნაშრომში წარმოდგენილია განსხვავებულად დანახული ზოგიერთი არსებული მტკიცებულება, ახლადმოკვლეული ქართული და ბულგარული არტეფაქტები, ეპისტოლარული წყაროები და სამეცნიერო-ლიტერატურული ცნობები, რომლებიც, ერთი მხრივ, ამყარებს ტრადიციულ მოსაზრებას პეტრიწის XI-XII საუკუნეებში მოღვაწეობის თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, საფუძველს იძლევა ახალი ჰიპოთეზების ჩამოყალიბებისა და მათი შემდგომი დამუშავებისათვის.

პეტრიწის სამოღვაწეო დროის ირგვლივ არსებული ბოლოდროინდელი თვალსაზრისების განხილვისა და ზოგადი სურათის ფონზე, ჩვენი მიზანია პრობლემის კიდევ ერთხელ რეაქტუალიზაცია, ჭეშმარიტების დადგენის გზაზე, ალტერნატიული მტკიცებულებების შემოთავაზება და შემდგომი განხილვა.

მეთოდი

იოანე პეტრიწის სამოღვაწეო დროის დასადგენად, წარმოდგენილ ნაშრომში ვსარგებლობთ კვლევის ისტორიოგრაფიული დასხვა ზოგად-სამეცნიერო მეთოდებით.

ახლადმოკვლეული ფაქტების დასამუშავებლად პირველად შემოგვაქვს ისტორიის რესტავრაციის მეთოდი, რომლის საშუალებითაც, განვიხილავთ მოკვლეულ ცნობებსა და არტეფაქტს, შეძლებისდაგვარად აღვადგენთ რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ ისტორიებს, წარმოვადგენთ დასაბუთებულ სავარაუდო სურათს.

პრობლემის მთლიანობაში დასანახად ვისარგებლებთ: მეცნიერული აბსტრაქციის, სისტემურ-კომპლექსური, ანალოგიისა და შედარების, ლოგიკური და რეტროსპექტიული კვლევის მეთოდებით. თეორიული სინთეზის მეთოდის გამოყენებით, მოვახდინეთ ცალკეულ საკითხთა დაჯგუფება და განზოგადება, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა განსხვავებული დასკვნები, წარმოგვეჩინა შესასწავლ საკითხთა ფართო წრე.

შედეგი

საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, რომ:

– პეტრიწონისა (1083 წ.) და გელათის (1106-1110 წწ.) აკადემიებს ჰქონდათ ანალოგიური საგანმანათლებლო ემბლემები (სურათი N1), რომელთა ავტორად მივიჩნევთ იოანე პეტრიწს.

– პეტრიწონის მონასტერთან ახლოს, როდოპის კლდოვან მასივში მდებარეობს გამოქვაბული - უცნობი წარწერით (სურათი N2). ჩვენი ვარაუდით, არსებობს პირდაპირიკავშირი ბულგარულ არტეფაქტსა და იოანე პეტრიწის ბიოგრაფიული დეტალების შესახებ იოანე ბა-



სურათი N1

პეტრიწონის (1083) და გელათის (1106-1110) ემბლემები



სურათი N2

კლდოვანი წარწერის ფოტო (<http://www.trinitas.ru/rus/doc/0021/001a/00211059.htm>)

ტონიშვილისეულ ცნობას („თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზედწოდებით პეტრიწისა, ჭიმჭიმელისა“) შორის.

– თეოფილაქტე ბულგარელის წერილი „ღვთაებრივი იოანესადმი“ და ნეტარი თეოფილაქტეს მეორე, ჩვენ მიერ მოძიებული წერილი შესაძლებელია იქცეს სურთიერთგანმამტკიცებელ არგუმენტებად პეტრიწის იდენტიფიკაციისა და მისი სამოღვაწეო დროის დადგენისათვის;

– განსახილველად შემოგვაქვს ჰიპოთეზა,

– რომ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცისათვის საინტერესო და უცნობი, XII საუკუნეში მოღვაწე დიალექტიკოსი - „დიალექტიკოს სკოლის ფუძემდებელი“, „ვინმე იოანე“ შესაძლოა იყოს იოანე პეტრიწი. წარმოდგენილი შედეგები შესაბამისობაშია იოანე პეტრიწის მოღვაწეობის დროის ტრადიციულ (XI-XII სს.) თვალსაზრისთან.

მსჯელობა

„არცა ყოველი გონებაჲ ეხების ღმერთსა, არამედ უერთებრივესი და უუმწუერვალესი გონებათაჲ. იოანე პეტრიწი (პრ., კავშ., 111; 68.32-33)

ექვსსაუკუნოვანი „გაუჩინარებისა“ და ისტორიულ დოკუმენტებში მისი კვალის წაშლის მცდელობის შემდეგ, XVIII საუკუნეში ანტონ პირველმა ხელახლა „აღმოაჩინა“ და ღირსეულად წარმოაჩინა იოანე

პეტრიწის მნიშვნელობა. XX საუკუნის დასაწყისიდან კი, ხანძრის შედეგად განადგურებული ძიმითის ხის ეკლესიის ნამწვავებში გადარჩენილ ყუთში ნაპოვნი „კავშირის“ ხელნაწერით („ივერია“ 1901) დაიწყო ფილოსოფოსის მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა. 1984 წელს მისი ორიგინალური ნაშრომის - „კომენტარები პროკლეს ფილოსოფიაზე“ თარგმანი (ი. ფანცხავა) გაიცნო რუსულენოვანმა სამეცნიერო საზოგადოებამ, სადაც მაღალი შეფასება მიეცა ქართველი ნეოპლატონიკოსის მნიშვნელობას ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში.

პეტრიწოლოგიის დარგის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კვლავაც აქტუალურია იოანე პეტრიწის ბიოგრაფიის, იდენტობის, მისი შრომების ავთენტურობისა და ქრონოლოგიის საკითხები. მათ შორის, დაუდგენელია „პეტრიწად“ სახელდების, „ჰიმჰიმელთან“ იგივეობისა და მოღვაწეობის დროის პრობლემები. აღნიშნული თემებით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერთა ღვაწლით, აქტიურად მიმდინარეობს შემორჩენილ თხზულებათა ფილოსოფიური და ენათმეცნიერული კვლევები. ჩვენი მიზანი კი პრობლემის ისტორიოგრაფიული თვალთახედვით შესწავლაა.

ჟურნალ „მაცნეს“ წინა ნომრებში გაგაცანით ამ თვალსაზრისით განხორციელებული კვლევის შედეგების ერთი ნაწილი: წარმოვადგინეთ ახალი ტიპის საგანმანათლებლო სასწავლებლის იდეის გამომხატველი პეტრიწონისა (1083 წ.) და გელათის მონასტერთა (1106-1110 წ.წ.) ორიგინალური სიმბოლოები, შევეცადეთ განგვემარტა მათი შინაარსი, განვიხილეთ მათ შორის მსგავსებისა და მემკვიდრეობითობის საკითხი (ფარჩუკიძე 2018). ქართული ცნობისა და ბულგარული არტეფაქტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება, რომ არსებობს საგულისხმო თანხვედრა იოანე ბატონიშვილის ცნობასა („თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზედწოდებით პეტრიწისა, ჰიმჰიმელისა“) და როდოპის კლდოვანი წარწერის ისტორიას შორის (ფარჩუკიძე 2019).

ახლადმოკვლეული ფაქტების დამუშავებამ განსხვავებულ დასკვნებთან ერთად, წარმოშვა შესაბამისი ვარაუდები, მათ შორისაა: პეტრიწონისა და გელათის მონასტერთა ემბლემების საღვთისმეტყველო და სამეცნიერო კონცეფციების, მათი შესაძლო ავტორის, პეტრიწონის სავანისათვის ადგილის შერჩევის, დაარსებისა და მისი სახელდების წინაისტორიის, იოანე პეტრიწის „პეტრიწად“ წოდების, სამოღვაწეო დროის განსაზღვრისა და სხვა. ამჯერად, შევჩერდებით ამ უკანასკნელზე.

XX საუკუნის დასაწყისში, იოანე პეტრიწის მემკვიდრეობის პირველმკვლევარებმა (ნ. მარი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ნუცუბიძე და სხვ.) ფილოსოფოსის მოღვაწეობის დროდ განისაზღვარეს XI–XII საუკუნეები. ჰიპოთეზის საფუძველი გახდა:

– პეტრიწის «ბოლოსიტყვაობის» ტექსტი, სადაც მინიშნებულია დავით აღმაშენებელის „გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომის“ შესახებ;

– XVIII ს-ის ქართველ მწერლთა მონაცემები (იოანე ბაგრატიონი, ანტონ კათალიკოსი, დავით რექტორი, გერმანე ხუცესმონაზონი, ზაქარია გაბაშვილი და სხვ.);

– ბიზანტიელი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის იოანე იტალოსის მიერ „აბაზგი გრამატიკოსისადმი“ მიწერილი ეპისტოლე, რომლის ადრესატი „აბაზგი გრამატიკოსად“ მიჩნეულია იოანე პეტრიწი;

გასული საუკუნის 90-იან წლებში სამივე ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოვიდა პროფ. ე. ჭელიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ პირველი: «ბოლოსიტყვაობაში» (მისი მოსაზრებით, – „ფსალმუნთა“ წიგნის „წინასიტყვაობაში“) ნახსენები „დავითი“ არის არა დავით აღმაშენებელი, არამედ, დავით მეფესალმუნე; მეორე: ბიზანტიელი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის იოანე იტალოსის მიერ «აბაზგი გრამატიკოსისადმი» მიწერილი ეპისტოლეს ადრესატი «აბაზგი» არის არა ქართველი (იბერიელი ანუ აფხაზი) იოანე პეტრიწი – ეთნონიმით „აბაზგი“, არამედ, ეს არის ადამიანის სახელი „აბასგი“ და მისი თქმით: „ეს გარემოება აქარწყლებს ლეგენდას.»

რაც შეეხება XVIII ს-ის ქართველ მწერლთა მონაცემებს, ე. ჭელიძეს მიაჩნია, რომ ისინი, „საზოგადოდ, ...მოკლებულია მყარ თარიღობრივ ანდა ფაქტობრივ საფუძვლებს და უმრავლეს შემთხვევაში სრულიად მცდარია.“ ყოველივე ზემოთქმულისა და ღრმა ტერმინოლოგიურ-სტრუქტურულ საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგად, ე. ჭელიძეს შემოაქვს იოანე პეტრიწის სამოღვაწეო დროის საკუთარი დათარიღება – XII – XIII საუკუნეები (ჭელიძე 1995).

ამ უკანასკნელი პოზიციის გასაზიარებლად ხელს გვიშლის ის, რომ ქართველ მწერლთა წყაროებში პეტრიწის სამოღვაწეო დროდ სხვადასხვა თარიღის დასახელება ყველას სიმცდარეს არ უნდა ნიშნავდეს. აქედან ერთ-ერთი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა რომ ზედმიწევნით ასახავდეს სინამდვილეს. უახლესი მონაცემებით, პეტრიწონის მონასტრის სიახლოვეს კლდოვანი წარწერის არსებობა და მასთან დაკავშირებული დეტალები შესაბამისობაშია იოანე ბატონიშვილის ცნობაში დასახელებულ ფაქტებთან (ფარჩუკიძე 2019).

ე. ჭელიძის ხსენებულ პოზიციას არ იზიარებდა აწ განსვენებული აკადემიკოსი გურამ თევზაძე, რომელიც მიიჩნევდა, რომ „ეს თვალსაზრისი უფრო მეტ და ძნელ პრობლემებს ქმნის, ვიდრე ამოხსნის“ (თევზაძე 2006: 7). ე. ჭელიძის პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან ორი ათწლეულის შემდეგ, საკითხს გამოეხმაურა დ. მელიქიშვილი, მისივე რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომში „პროკლე დიადოხოსი პლატონური ფილოსოფოსი, „კავშირნი ღმრთისმეტყველებისანი,“ რომელ-

შიც იოანე პეტრიწის მემკვიდრეობის ლიტერატურულ, ტექსტობრივ, ენობრივ-სტილურ და ტერმინულ-სტრუქტუროლოგიურ ანალიზთან ერთად, აკადემიკოსი შეეხო პეტრიწის სამოღვაწეო დროის საკითხსაც.

უკავშირებს რა, ქართველი ნეოპლატონიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ბიზანტიაში პროკლეს ფილოსოფიით გატაცებულთა ახალ ტალღას, დ. მელიქიშვილი წერს: „ყოველივე ზემოთქმულისა და ე. ჭელიძის ტერმინოლოგიური მიეზების შედეგად მიღებული საყურადღებო დასკვნის: „პეტრიწი „ეფუძნება“ და არა „აფუძნებს“ XII საუკუნის გელათის საღვთისმეტყველო სკოლას და ქრონოლოგიურად მასზე უგვიანესია“ შემდგომ, ვფიქრობთ, იოანე პეტრიწის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლების საკითხი მართლაც მოითხოვს გადასინჯვას“ (მელიქიშვილი 2016: 578).

საზოგადოდ, დ. მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ „გელათის სკოლაში ყალიბდება სრულიად გამოკვეთილი და თავისთავადი „გელათური“ ენობრივი სტილი, რომლის თეორიული საფუძვლები გამოიმუშავა იოანე პეტრიწმა.“ იგი წერს: „გელათის ფილოსოფიურ-ლიტერატურული სკოლა ახალი ეტაპია ქართული ფილოსოფიური(თეოლოგიური) ტერმინოლოგიის განვითარების გზაზე... ამ საქმეს ერთი ხელი და ერთი გონება სჭირდებოდა... სწორედ ასეთი პიროვნება... იყო „იოანე პლატონური ფილოსოფოსი“ - ზედწოდებით „პეტრიწი“ (მელიქიშვილი 2013)

ხსენებულ მეცნიერთა უკვე ქრესტომათიულად მიჩნეული მრავალწლიანი შრომები ჭეშმარიტად დიდი შენამენია იოანე პეტრიწის მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის ისტორიისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, პეტრიწის სამოღვაწეო დროის საკითხი, ჯერ კიდევ ექვემდებარება განსჯას. ამის იმედს გვაძლევს საკითხისადმი, თავადვე, ხსენებულ ავტორთა და იოანე პეტრიწის სხვა მკვლევართა ფრთხილი, აკადემიური დამოკიდებულება, რაც ცხადად იგრძნობა მათ მიერ ტექსტების ავთენტურობა-იდენტურობის მიმართულებით განხორციელებულ მრავალწლიან, სკურპულოზური შრომებში.

ცხადი ხდება, რომპრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია ორი სახელმძოხვეჭილი მეცნიერის დ. მელიქიშვილისა და ე. ჭელიძის აზრთა შეჯერებაზე. მათი ვარაუდების შესაძლო თანხვედრა, დიდი ალბათობით, შეიცავს „პეტრიწის დროის“ ახალი თვალსაზრისის ტრადიციად დამკვიდრების ნიშნებს. საგულისხმოა, რომ საჭირო შემთხვევაში, უცხოელი კოლეგები უკვე იმოწმებენ ე. ჭელიძისეულ ვარიანტს - XIII საუკუნეს (ქვემოთ განვიხილავთ ერთ ასეთ მაგალითს).

რამდენად იქნება ეს ჭეშმარიტებასთან მიახლოებული თარიღი, თუკი პეტრიწის სამოღვაწეო დროის დადგენის ერთადერთ, - ენათმეცნიერული კვლევის გზაზე, ტერმინოლოგიურ-ლექსიკური და ენობრივი სტილის საფუძველზე ჩამოყალიბებული თვალსაზრისები მეც-

ნიერთა შორის, ჯერ კიდევ, არ არის საბოლოოდ შეჯერებული და უნიფიცირებული?

არსებულ ვითარებაში, განსახილველად შემოგვაქვს ახალი მონაცემები, რომლებიც ვვარაუდობთ, რომ უშუალოდაა დაკავშირებული პეტრიწონთან და პეტრიწის ბიოგრაფიასთან. შესაძლოა, რომ მათი დადასტურების შემთხვევაში ნათელი მოეფინოს საკითხთან დაკავშირებულ ახალ დეტალებს. ესენია:

- გელათის აკადემიის ცნობილი და პეტრიწონის მონასტრის ახლადმოკვლეული ემბლემები;

- ბულგარული არტეფაქტისა და ქართული ცნობის შეპირისპირებითი ანალიზი;

- „ვინმე იოანეს“ პრობლემა დასავლურ ფილოსოფიაში;

- თეოფილაქტე ბულგარელის მეორე „წერილი იოანესადმი.“

- კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით „აბაზგი გრამატიკოსის“ საკითხს და რ. სირამის ცნობას პეტრიწონული მასალებიდან.

იოანე პეტრიწის სამოღვაწეო დროის საკითხზე მსჯელობისას ჩვენი ნიშანსვეტია ემბლემები, რომელთა „შუქი“ იოანე პეტრიწთან დაკავშირებულ ყველა განსახილველ პრობლემას ეფინება და გვაიძულებს, რომ ყველამოვლენას, ახლა უკვე, მხოლოდ ამ „თვალისმომჭრელი მზეების“ სინათლეზე შევხედოთ. XI საუკუნის ქართულ მონასტერთა საგანმანათლებლო სიმბოლოების ერთგვაროვნება საფუძველს იძლევა განვაკითხოთ რამდენიმე ახალი თვალსაზრისი და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

პირველ წერილში ვრცლად განხილული ამ საკითხიდან მოკლედ გავიხსენოთ, რომ გელათის (1106–1110 წ.წ.) აკადემიის ანალოგიური, წინმსწრები ემბლემა გვქონია პეტრიწონის (1083 წ.) მონასტერშიც. ორივე სიმბოლო შედგება გადაშლილი წიგნისა და მზის ნიშნებიანი პიქტოგრამებისაგან. მათში იკითხება იდეური, ფუნქციური, საღვთისმეტყველო-ქრისტოლოგიური, ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური, სოციალური, მითოლოგიური, საკულტო და სხვა მნიშვნელოვანი კონტექსტები.

მონასტერთა საგანმანათლებლო ნიშნებისნათლად ჩამოყალიბებული სიმბოლური სახისმეტყველებით გამოხატულია, ერთი მხრივ, საღვთისმეტყველო (წიგნი და მზე, ანუ ღვთისმშობელი და იესო-ლოგოსი) და მეორე მხრივ, მსოფლმხედველობრივი (იერუსალიმი და ათენი ანუ რწმენისა და ცოდნის სინთეზი) კონცეფციები.

მსოფლიოს ხალხთა უძველესი ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელ ამ სიმბოლოებში გადმოცემულია კაცობრიულ ცოდნათა უწყვეტობისა და მემკვიდრეობითობის ზედროული, ზერელიგიური, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იდეა. ამასთან, მინიშნებულია ეპოქისათვის დამახასიათებელი ახალი ტრადიცია - პლატონური სა-

წყისებით განპირობებული ნეოპლატონური ფილოსოფიის უპირველესი ნიშნები: მზითმეტყველების ესთეტიკა, მოძღვრება სიმბოლურ აზროვნებაზე, შემმეცნებელი სუბიექტისა და შესამეცნებელი ობიექტის ურთიერთმიმართებაზე, მდაბლიდან ამაღლებულისაკენ ზესვლაზე, იდეებისა და მათი განსხეულებული ფორმების ერთიანობაზე, სამყაროს აგების უნივერსალურ პრინციპზე.

ქართულმონასტერთადაღ-ნიშნულებშიმკაფიოდაასახულიიოანე პეტრიწისეული დიალექტიკური მრწამსი: პლატონის კოსმოლოგიისა და ეთიკის, როგორც უმაღლესი სიკეთის შესახებ მოძღვრების ერთგულება და იდეის მატერიალიზების, მისი განსხეულების შესაძლებლობა. ემბლემებში გადმოცემულია დიალექტიკის, როგორც აბსოლუტური ცოდნის ძიების გზაზე, მიზნის მიღწევის მთავარი მეთოდის მახასიათებლები: შემეცნების, აზრისა და არსის ერთიანი საფუძვლებისა და საფეხურებრიობის გააზრება, რიცხვთა სიმბოლიკა და თავად ეროსის (უფრო ზუსტად, აღაპოს)- საღმრთო ტრფიალების იდეაც კი.

ემბლემათა იდეამერთიმხრივ, გეომეტრიული ფიგურებით განასხეულა, მეორემხრივკი, ახალ საფეხურზე აიყვანა სამყაროს შემეცნებისა და სიკეთის იდეალური საწყისის ხედვა. ნათლის ესთეტიკით განმსჭვალული, ღმად გააზრებული, - რეფლექსირებული აზროვნებით მათში სიმბოლურადაა წარმოდგენილი ზეციერ და მიწიერ სამყაროთა ჰარმონიზაცია, პლატონის იდეალისტურ და არისტოტელეს მატერიალისტურ მსოფლხედვათა ერთიანობა.

სიმბოლურ-სემანტიკური, უნივერსალური ფორმისა და შინაარსის ამ ნიშნებში გამოხატულია საქართველოს ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს ინტერკულტურული ბუნებით აღბეჭდილი რელიგიურ – მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტები: ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში გააზრებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რჯულმემყნარებლობა, უმაღლეს სასწავლებელთა საერო, საყოველთაო და ინტერნაციონალური ხასიათი. რაც მიგვანიშნებს სხვადასხვა კულტურათა, რელიგიათა და უძველეს ცივილიზაციათა საუკეთესო ნააზრევის შეკრებისა და ქრისტიანული რწმენის პრიზმაში მათი ხედვის ამოცანას, საკაცობრიო ცოდნათა უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობას.

სავარაუდოა, რომ შემდგომი პერიოდის ევროპულ საუნივერსიტეტო ემბლემებში დამკვიდრებული წიგნისა და მზის გამოსახულებების ტრადიცია სათავეს იღებს, სწორედ, პეტრიწონისა და გელათის ინოვაციური სიმბოლოებიდან. ჩვენი მოკვლევით, თანადროული ევროპის განათლების სფეროში არარსებობს პეტრიწონის ემბლემაზე ადრეული სიმბოლო. ყველაზე უადრესი საგანმანათლებლო ადგილი, რომელსაც წარწერილი ჰქონდა კონცეპტუალური სიმბოლო, ეს იყო პლატონის აკადემია („ვინც გეომეტრია არ იცის, აქ ნუ შემოვა“).თუმცა, აკადემიის „წმინდა ჭალის“ წარწერა საჭიროებდა მხოლოდ წაკითხვას და გაგებას,

ჩვენი წინაპრების მდუმარე გზავნილების აღსაქმელად კი საჭირო იყო გააზრება და მათ არსში წვდომა.

საკითხის კვლევისას გაჩნდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შესაძლებელია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიაში ამ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენას, ორივე შემთხვევაში, ჰყავდეს ერთიდაიგივე ავტორი და ეს იყოს იოანე პეტრიწი. ვფიქრობთ, რომ იმხანად, მხოლოდ მას შეეძლო მსგავსი უნიკალური სიმბოლოების შექმნა.

ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის მიერ ემბლემებში ვიზუალურად წარმოჩინდა მის მემკვიდრეობაში სინთეზირებული სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი კონცეფცია, მისთვის ნიშანდობლივი ორიგინალური აზროვნება, მეტაფორული ხერხებისა და ცნებითი განსჯების ტენდენცია. შესაძლოა, ამ ნიშნებით პეტრიწმა თქვა უფრო მეტი, ვიდრე დაწერა.

კვლევის იმ შედეგებმა, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, დაგვარწმუნა, რომ ემბლემათა შემოქმედისა და იდეის სავარაუდო ავტორის ალტერნატიული ვერსიის განხილვის შემთხვევაში, მოგვიწევს სხვა, ასეთივე ორიგინალურად მოაზროვნე, ნოვატორი და გაბედული შემოქმედის ძიება იმჟამინდელ მოღვაწეთა შორის, რაც სამწელო საქმედ გვჩვენება. მართებული არ უნდა იყოს იმის დაშვებაც, რომ პირველი ემბლემა შეიქმნა ჯერ გელათში, ხოლო შემდეგ, მისი მიმსგავსებით - პეტრიწონში. აქ ხელს შეგვიშლის ორი ფაქტორი: პირველი: მონასტერთა ქრონოლოგიური რიგითობა პეტრიწონი აგებულია 23-27 წლით ადრე) და მეორე: ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრანტობის დროინდელი, ახლახანს აღმოჩენილი წერილი, რომელშიც ავტორი გარკვევით მოგვანიშნებს, რომ გელათის აკადემია შეიქმნა „პეტრიწონის მოდელით“ (ლაბაძე 2014: 512), რაზეც წინა სტატიაში უკვე ვისაუბრეთ.

იოანე პეტრიწის სამოღვაწეო დროის განმსაზღვრელ მეორე არგუმენტად განვიხილავთ ჟურნალ „მაცნეს“ წინა ნომერში წარმოდგენილ საკითხს, რომელშიც ვისაუბრეთ დაუმსახურებლად მივიწყებულ ერთ ქართულ ცნობასა და ბულგარულ არტეფაქტზე. იოანე ბატონიშვილის მონათხრობისა („თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზედწოდებით პეტრიწისა, ჭიმჭიმელისა“) და როდოპის კლდოვანი წარწერის ისტორიის შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენამონაცემთა საგულისხმო თანხვედრა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ახლებურად გაგვეაზრებინა პეტრიწის მოღვაწეობის სავარაუდო დროის განსაზღვრისა და პეტრიწონის მონასტერის ისტორიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

პეტრიწონის მონასტრის სიახლოვეს, დღესაც არსებობს კლდე უძველესი წარწერით, რომლის წაკითხვასაცათეულობით წელია ცდილობს სლავიანური სამეცნიერო საზოგადოება (Христов 1973). ბულგარული

არტეფაქტის ნიუანსებისა და იოანე ბატონიშვილისეული ცნობების დეტალების თანხვედრა გვაფიქრებინებს, რომ ეს ის ადგილია, სადაც იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ბიზანტიელმა სწავლულებმა „ახალგაზრდა იოანე ჭიმჭიმელს“ უჩვენეს „ციხისა კედელთა ზედა დაწერილნი“ და ტექსტის წაკითხვის შემდეგ, აღტაცებულმა პედაგოგებმა არნახული პატივი მიაგეს და უწოდეს „პეტრიწი“ – „კლდის მჩხრეკველი“ ანუ „კლდეზე კარგად წამკითხველი“ (ლოლაშვილი 1982: 162).

სავარაუდოდ, „როდოპული ავტოგრაფი“ მნიშვნელოვანი შინაარსისა უნდა იყოს საქართველოს ისტორიისათვის. შესაძლოა, რომ ეს არის ჩვენი შორეული წინაპრების წერითი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი – უძველესი დამწერლობით, რომლის შესახებ იმ დროს ჯერ კიდევ არსებობდა ცოდნა. ამ მოვლენას ჩვენ ვაკავშირებთ უძველესი თრაკიის მიწაზე პროტოქართველური ტომების ცენტრალური ევროპისაკენ მიგრაციის კვალთან (იხ. ო. ჯაფარიძე, „ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან“, 2006; რ. გორდეზიანი, „მედიტერანულ-ქართული მიმართებები“, 2007).

ვფიქრობთ, რომ განუსაზღვრელი ძალაუფლებისა და არჩევანის მრავალფეროვნების პირობებში, სახელგანთქმულმა ძმებმა აბაზ და გრიგოლ ბაკურიანისძეებმა, მიუხედავად საქართველოს მიმართ არაერთგზის დამტკიცებული სიყვარულისა, სამუდამო სამყოფელად ხსენებული ადგილი აირჩიეს მიმავლის თვალთახედვით, საქართველოს უძველესი ისტორიის „შენახვის“ შორსმჭვრეტელოვანი მიზნებით. ამასთან, გადაწყვიტეს რომ: ა) წარწერიან კლდესთან ახლოს აეშენებინათ მონასტერი და საძვალე (ამ რეგიონში მათ უკვე ჰქონდათ სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი); ბ) დაეარსებინათ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლო ცენტრი; გ) სათანადო სამუშაო პირობები შეექმნათ ახალგაზრდა, თუმცა, უკვე სახელმოხვეჭილი თანამემამულისათვის; დ) მიუხედავად ტიპიკონის მიხედვით დადასტურებული პეტრიწონის მონასტრის არაელინური გარემოსი, სავანისათვის ეწოდებინათ ბერძნულფუძიანი სახელი – „პეტრიწონი“, ახლადგურსდამთავრებული იოანეს „პეტრიწად“ სახელდებისა და კლდესთან დაკავშირებული ფაქტის გამო.

მაშასადამე, პეტრიწონის მონასტერთან ახლომდებარე კლდეზე წარწერილის ამოკითხვის ისტორია და პეტრიწონისა და გელათის ემბლემების (1083 წ. და 1106-1110 წწ.) ერთგვაროვნება, ჩვენთვის იოანე პეტრიწის იდენტიფიკაციისა და მისი სამოღვაწეო დროის მაქსიმალურად მიახლოებული თარიღის მიმანიშნებელი მტკიცებულებებია.

შემდეგი საკითხი გახლავთ „აბასგი გრამატიკოსის“ პრობლემა, როგორც იოანე პეტრიწის ბიოგრაფიის დადგენის ერთ-ერთი არგუმენტი. პეტრიწის პირველმკვლევარმა ნ. მარმა თ. უსპენსკის მიერ გამოქვეყნებული (იხ. Успенский Ф. И., Синодик в неделю православия,

1893) XI ს-ის II ნახევრის ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის იოანე იტალოსის მიერ „აბაზგი გრამატიკოსისადმი“ გაგზავნილი წერილის (N 64) ადრესატად მიიჩნია იოანე პეტრიწი. ეს მოსაზრება შემდგომში ტრადიციულად იქცა და მას დღემდე იზიარებენ ჩვენშიაც და უცხოურ სამეცნიერო წრეებშიც.

ეს ჰიპოთეზა ეჭვს არ იწვევდა, რადგან VIII ს. 80-იანი წლებიდან ბიზანტიელი, არაბი და სპარსი ავტორები მთელ დასავლეთ საქართველოს წერილობით წყაროებში „აბაზგიად“ („აფხაზეთი“, „იბერია“) მოიხსენიებენ, ხოლო „აბაზგი“ ნიშნავდა როგორც საკუთრივ აფხაზს, აფსილს, ისე ყველა დასავლელქართველს (ლორთქიფანიძე, 1990:46.). ამასთან, ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც, ბერძნული „აბაზგ“ ითვლება ქართული „აფხაზ“ და „აბხაზას“ ფონეტიკურ სახეცვლილებად (ნ. მარი, თ. გამყრელიძე და სხვ.).

უკანასკნელ ხანს, ტრადიციად ქცეული ამ მოსაზრების მიმართ გაჩნდა ორი ალტერნატიული აზრი. ერთი ეკუთვნის დ. მელიქიშვილს, რომელიც განასხვავებს იოანე პეტრიწსა და იოანე იტალოსს შორის საღვთისმეტყველო დოგმატურ საკითხებზე არსებულ კონცეპტუალურ პოზიციებს და მიიჩნევს, რომ „ვარაუდი პეტრიწის, როგორც იტალოსის უერთგულესი მოწაფის შესახებ, ეჭვქვეშ დგება“ (მელიქიშვილი 2016: 670). როგორც ვხედავთ, აქ მათი მოღვაწეობის დროზე არაფერია ნათქვამი (საკითხის ასე დასმას მივიჩნევთ ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ. შევეცდებით, რომ პუბლიკაციების შემდგომ ნაწილში წარმოვადგინოთ პატივცემული აკადემიკოსის თვალსაზრისის განმამტკიცებელი არგუმენტები. თუმცა ქვემოთ მოყვანილი ფაქტებით, ნაწილობრივ, ეს უკვე ამავე ნაშრომში მოხდება).

მეორე ვერსიის ავტორია ე. ჭელიძე, რომელსაც ეთნონიმთან მიმართებით აქვს ტრადიციულის საწინააღმდეგო მოსაზრება და ცდილობს „ლეგენდის გაქარწყლებას.“ იგი წერს, რომ წერილში „Προς τον Ἀβασγὸν τὸν γραμματικόν. Ἀπορίαί περί τίνων τῆς γραμματικῆς“ - გრამატიკის ზოგიერთ საკითხში არსებული სირთულეების შესახებ, „აბასგი“ არის არა ეროვნების აღმნიშვნელი, არამედ საკუთარი სახელი ადრესატისა... ტექსტი ქართულად ითარგმნება არა როგორც „აბაზგი გრამატიკოსის მიმართ,“ არამედ: „აბასგის, გრამატიკოსის მიმართ“ ანდა „გრამატიკოს აბასგის მიმართ“, ე.ი. „აბასგი“ არის ადამიანის სახელი, ეს გარემოება კი, ვფიქრობთ, აქარწყლებს ლეგენდას „იოანე აბხაზის“ შესახებ. ხსენებული „აბასგი“ სავსებით შესაძლებელია ბიზანტიელი ყოფილიყო. ჩვენი აზრით, უთუოდ ასეც იყო“ (ჭელიძე 1995).

ამასთანავე, ე. ჭელიძეს მიაჩნია, რომ პეტრიწის ბიოგრაფიის კვლევისათვის „აბაზგის“ საკითხი „ყველაზე არასაიმედოა“ და აქტუალური აღარ არის, რადგან „ბოლო დროს მისი მოხმობა, ჩვეულებრივ, აღარ ხდება.“ ფაქტები კი ცხადყოფს, რომ საკითხთან დაკავშირებით

მსჯელობისას, „აბაზგი გრამატიკოსის“ თემა უმაღლ იჩენს ხოლმე თავს. ამის მაგალითებია უახლესი ქართული (მათ შორის, დ. მელიქიშვილისეული ხსენებული დიპლომატიური გამოცემა) და უცხოური ბიზანტიოლოგიური კვლევები. მაგალითად:

ავსტრალიელი ბიზანტიოლოგი ლინდა ჰარლანდი და ამერიკელი სტეფან რაპპი 2006 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში „მართა-მარია ალა-ნიელი“ განიხილავენ ბიზანტიის ქართველი დედოფლის მრავალმხრივ მოღვაწეობას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა იგი, სხვა ქართველთა მსგავსად, ზრუნავდა „იოანე პსელოსის მოსწავლესა და იოანე იტალოსის მეგობარ ქართველ ნეოპლატონიკოსზე.“ შემდეგ კი, გაზიარებული თვალსაზრისის შესაბამისად, აკეთებენ განმარტებას: „ვისაც იტალოსი მოიხსენიებდა აბაზგ გრამატიკოსად, რომელიც გაიგივებულია პეტრიწთან“ - „She was also probably a patron of the Georgian neo-Platonist John Petrici“ (Petritsi), who was a pupil of Psellus and a friend of Italus who addressed an essay to an ‘Abasgian grammarian’ who has been identified with Petrici“ (Garland, Rapp:2006).

„აბაზგი გრამატიკოსისა“ და პეტრიწის იგივეობის საკითხში, პროფესორები ჰარლანდი და რაპპი ეყრდნობიან ქართველ და არაქართველ ბიზანტიოლოგთა მონაცემებს, ესენი არიან: ბერძენი (პ. იოჰანუსი, Ioannes Italos: Quaestiones Quodlibetales, Ettal, 1956, Quaestio 64; M. 1956 წ.), გერმანიაში მოღვაწე მ. თარხნიშვილი (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, Studi e Testi, 185, Vatican City, 1955 წ.), ინგლისელი ნ. ვილსონი (Scholars of Byzantium, London, 1983) და ქართველი ნ. მელიქიშვილი (მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, 1988წ.).

როგორც ვხედავთ, პეტრიწისადმი დედოფლის მზრუნველობას ავტორები ვარაუდობენ, მაგრამ „აბაზგისა“ და „ქართველის“ იგივეობის საკითხში დარწმუნებით ენდობიან მეცნიერთა ინტერნაციონალურ ჯგუფს. ისინი, ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენენ, რომ ხსენებული იგივეობის უარყოფის მიზნით, დღეს ჩვენში განსახილველია ბერძნულიდან ქართულ ენაზე „არასწორად“ თარგმანის საკითხი (!!).

ე. ჭელიძის მიმართ პატივისცემის დადასტურებით, გავხედავთ და ვიტყვით, რომ ბერძნული გრამატიკის წესების ამ კონკრეტული შემთხვევის შესახებ, საინტერესო იქნებოდა ძველი ბერძნულის მცოდნე თანამედროვე პეტრიწოლოგთა (დ. მელიქიშვილი, დ. სუმბაძე, ლ. ალექსიძე, ლ. გიგინეიშვილი და სხვ.) შეხედულებებიც, რაც ნათელს მოჰყენდა საკითხს და საბოლოოდ გაარკვევდა იმას, თუ რამდენად სწორად იქნა წაკითხული ხსენებული ტექსტი ქართულად მისი პირველად თარგმნის დროს.

ხსენებული უცხოელი პროფესორებისაგან განსხვავებით, ე. ჭელიძის ახალ დათარიღებას უკვე გამოეხმაურა იტალიელი მეცნიერი ა. ბრუნი. თბილისში გამართულ საღვთისმეტყველო კონფერენციაზე

წარმოდგენილ ნაშრომში მან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ აისახა საქართველოში გვიანანტიკური ხანის ანთროპოლოგიური, ფიზიოლოგიური და სამედიცინო თეორიები და რა ზეგავლენა იქონია ამან ძველი საქართველოს კულტურაზე (ბრუნი2013: 55).

იოანე პეტრიწზე საუბრისას მომხსენებელმა დაადასტურა ქართული ხალხური მედიცინის მრავალათასწლოვან ტრადიციების მიმართ პატივისცემა და თავისი თვალსაზრისების წარმოდგენისას დაეყრდნო ე. ჭელიძისეულ უახლეს დათარიღებას. რის შედეგადაც, პეტრიწის მოღვაწეობის დეტალები მან განიხილა არა ძველი - XI საუკუნის, არამედ, XIII საუკუნის კონტექსტში. შესაბამისად, მოხდა არასათანადო შეფასება იმ მდიდარი მემკვიდრეობისა, რაც კონკრეტულად, იოანე პეტრიწთან და ზოგადად, ხსენებული დარგის მემკვიდრეობასთან არის დაკავშირებული.

განხილული მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ „აბაზგი გრამატიკოსისათვის“ ქართველური შინაარსის გამოცლისტენდენცია კვლავაც გაგრძელდება. ამის კიდევ ერთი მაგალითია აფხაზი მეცნიერის გამოცხადილიც. ისტორიკოსი მ. გუმბა იოანე იტალოსის ადრესატად იოანე პეტრიწის განხილვის შესახებ წერს: „По основательному предположению акад. Н. Я. Марра, под этим «абхазом» следует понимать известного грузинского философа Иоанна Петрици. Действительно, предположить можно, но доказать почти невозможно“ (Гунба1999: 120-121).

„აბაზგის“ პრობლემის მიმართ ხსენებული ექვსის გამოთქმის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. საკითხი კი დღემდე ღიად რჩება. ვინ და როდის უნდა დაადგინოს ზნარგაჩენილი ტრადიციის ჭეშმარიტება თუ ცდომილება, თუ კი ერთ შემთხვევაში (დ. მელიქიშვილი) საუბარია წერილია ავტორსა და ადრესატს შორის (იტალოსი და პეტრიწი)საღვთისმეტყველო-კონცეპტუალურ სხვადასხვაობაზე, მეორეში კი (ე. ჭელიძე) - ბერძნული ენის გრამატიკა-მათლწერის უზუსტობაზე („აბაზგი“ - ეთნონიმი თუ კაცის სახელი)?

არსებული „ლეგენდის გაქარწყლების“ მიზნით, ე. ჭელიძე გვთავაზობს, რომ „აბაზგის“ სახელის სავარაუდო პიროვნება ვეძიოთ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის. ამ სახელის ისტორიული პირი კი (მით უფრო, ფილოსოფოსი, რომელსაც ასეთი დიდი პატივითა და მისგან მხარდაჭერის იმედით მიმართავდა ცნობილი ნეოპლატონიკოსი იოანე იტალი), არათუ ბერძნულ, არამედ, ქართულ სივრცეშიც იშვიათად გვხვდება (კლდიაშვილი 2009). მიმდინარე კვლევამ გვიჩვენა, რომ შესაძლოა ახალმა ფაქტებმა კიდევ უფრო განამტკიცოს პირვანდელი ჰიპოთეზა. ასეთი კი რამდენიმეა:

გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფესორმა რ. სირაძემ წარმოდგენა საყურადღებო ცნობები, რომელიც მან პეტრიწონის მონასტერსა და სოფლის ბიბლიოთეკებში მოიპოვა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია

თეოფილაქტე ბულგარელისწერილი იოანესადმი (სირაძე 1982: 131-132). მოხდა ისე, რომ ეს მნიშვნელოვანი წყარო იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი კვლევებისას, ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

„უფალ იოანე ფილოსოფოსისადმი“ გაგზავნილ ეპისტოლეში დიდი ღვთისმეტყველი განსაკუთრებული პატივისცემითა და სასოებით მიმართავს „ერთ გამონაკლისს,“ - მას, ვისაც „ყველა ფილოსოფოსზე მაღლა აყენებს“ და „ვინც დღეს ფილოსოფიასა ქმნის... მოყვარეს სათნოებს... არადა, თვით ეწამება უკეთურებისაგან.“ ავტორიარაერთიეპიტეტიტ ამკობს მას და მოიხსენიებს „ღვთაებრივ იოანედ.“ „ღვთაებრივს“ კი, როგორც უკვე წინა სტატიაში მოგახსენებდით, ბერძნები მხოლოდ პლატონს უწოდებდნენ სიბრძნის გამო.

მცირე მოცულობის ტექსტში კარგად ჩანს როგორც ავტორის, ისე ადრესატის მსოფლმხედველობრივი ინტერესი - „მაღალ ფილოსოფიასთან დაახლოებისაკენ“ სწრაფვა, რასაც ბრძენი იოანე „სიტყვითაც და საქმითაც განასახოვნებს.“ მაგრამ ეს მხოლოდ „მაღლა ლაჟვარდისა და ცის ზემოთ არწივით ფრენა“ კი არა, „ნათელი გონებაა, მეუფე ყოველივესი, რაც კი ამაღლებულობას ესწრაფვის.“ ასე ახასიათებს მკაცრი მჭერმეტყველებით ცნობილი ნეტარი მამა მისთვის საპატივცემულო იოანეს.

პეტრიწის მემკვიდრეობას გაცნობილი მკითხველი იოანე იტალო-სის მაღალ შეფასებებში უმაღლესი განჭვრეტს ქართველი ფილოსოფოსისეულ სახეებს: მსჯელობას უმაღლესი მიზეზისაგან სამყაროს ქმნადობაზე; შეუცნობელ „უცნაურსა“ და შეცნობად „წარმოარსებულზე“, ხილულ სამყაროს შორის მდებარე ღვთაებრივი რიცხვების, სულისა და გონის საფეხურებზე; „ყოველთაგან ზესთ მდებარე“ ღმერთზე, რომლისაგანაც ხდება ყოველივეს „არსებითი გზავნაი;“ პირველმიზეზი ზეარსის კეთილობაზე, იგივეობა-მსგავსების და მიზეზ-შედეგობრიობას შორის მიმართებაზე და სხვა მრავალ უზადო წიაღსვლას, რომელიც მის „უერთებრივს და უუმწვერვალეს გონებათაგანის“ ნაღვაწს ახასიათებს.

საცნაურია, აგრეთვე, წერილის ის ნაწილიც, რომელიც მიგვა-ნიშნებს ორიგინალური აზროვნების გამო პეტრიწისადმი ანტა-გონისტურად განწყობილ უცხოელთა თუ თანამემამულეთა მხრიდან დევნით განპირობებულ მის პირად ტრაგედიაზე. ეპისტოლეს პირ-ველმკვლევარის მოსაზრებისადმი თანაზიარობისა და ნდობის შემ-თხვევაში, ანუ თეოფილაქტე ბულგარელის წერილის რ. სირაძისეული თვალთახედვით წაკითხვისას, მისი შინაარსი სრულ შესაბამისობაშია როგორც იოანე პეტრიწის მიმართ არსებულ შეფასებებთან, ასევე პეტრიწის მსოფლმხედვასთან და მის მემკვიდრეობაში წარმოჩენილ კონცეფციებთან.

რ. სირაძის აზრით, წერილი იოანე პეტრიწისადმი მიწერილი. მაგრამ თუ მას არ ვენდობით, მაშინ, ჰიპოთეზის უარსაყოფად, ახლა

უკვე, ახლადმოკვლეული ორი უცნობი ფაქტი „შეგვიშლის“ ხელს. აქედან პირველი გახლავთ, იგივე, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის ეპისტოლე „იოანე ფილოსოფოსისადმი.“

ცნობილია, რომ თეოლოგიის ისტორიაში გადაუჭრელად ითვლება ნეტარი თეოფილაქტეს სამოღვაწეო პერიოდები და მისი წერილების ზუსტი დათარიღების საკითხი. ასეთია ჩვენთვის მნიშვნელოვანი წერილიც (Успенский 1879: 6-8), რომელიც პრობლემურია ორი თვალსაზრისით: პირველი - გაურკვეველია წერილის ადრესატი „იოანე“ და მეორე - თარიღობრივი შეუსაბამობაა თეოფილაქტე ბულგარელის მოღვაწეობის პერიოდიზაციასთან.

დასახელებული „იოანე ფილოსოფოსის“ სავარაუდო ვერსიად, ბერძნულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება ნეო-პლატონიკოსი იოანე იტალოსი. თუმცა, მკვლევარები აღიარებენ, რომ სიზუსტისათვის მათ აზრკოლებთ სამი გარემოება: პირველი ის, რომ წერილის შინაარსის მიხედვით, ეპისკოპოსი იმპერატორთან შუამდგომლობას სთხოვს იმხანად უკვე დევნილობაში მყოფ ფილოსოფოსს, რაც ფაქტობრივი შეუსაბამობაა; მეორე: თუ წერილის ადრესატად მაინც ჩაითვლება იოანე იტალოსი, მაშინ პრობლემას ქმნის ნეტარი თეოფილაქტეს ურთიერთობის თემა ეკლესიისაგან განკვეთილ ნეო-პლატონიკოსთან დამესამე: იმ შემთხვევაში, თუ ყველაფრის მიუხედავად, ხსენებულ იოანედ ჩაითვლება იოანე იტალოსი, ახლა უკვე, ბუნდოვანი ხდება ნეტარი მამის ბულგარეთში მოღვაწეობის პერიოდის დასაწყისის დათარიღების საკითხი.

ცხადია, რომ: პირველი - სამიუბელია ვინმე სხვა „იოანე ფილოსოფოსი;“ მეორე - იგი არის იმდენად დიდი ავტორიტეტი, რომელსაც არქიეპისკოპოსი იმპერატორთან შუამდგომლობას სთხოვს; მესამე - ცნობილ ფილოსოფოსთა დევნისასაც კი, სახელმოხვეჭილი ფილოსოფოსი დიდ ავტორიტეტად რჩება; მეოთხე - წერილის ადრესატად სხვა „იოანე ფილოსოფოსის“ განხილვის შემთხვევაში, შესაბამისობაში მოდის მეცნიერთა ვარაუდები ბულგარეთში არქიეპისკოპოსის კათედრაზე თეოფილაქტეს აღსაყდრებისა და ალექსი კომნენოსთან მისი ურთიერთობის ზუსტი თარიღები.

ვფიქრობთ, რომ თავის დროზე, საკითხის მკვლევარები „სხვა იოანედ“ უსათუოდ განიხილავდნენ იოანე პეტრიწსაც, ამგვარი დამკვეთით: ა) ნათელი ეფინება საკითხთან დაკავშირებულ ყველა ჩამოთვლილ „გაუგებრობას;“ ბ) ახლა უკვე მეორე, ანალოგიური პათოსის წერილით გამყარდება რ. სირამისეული ზემოთხსენებული მიგნება და გ) კიდევ ერთი ახალი ფაქტით დადასტურდება ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქსა და ბულგარეთს შორის არსებული ურთიერთობის ისტორიულად კარგად ცნობილი მჭიდრო ურთიერთობა.

ჩვენი მეორე არგუმენტი, აგრეთვე, უცნობი ფაქტი, რომლის შესახებ მოგვითხრობს აკად. თეოდორ უსპენსკი თავის ცნობილ ნაშრომში „ნარკვევები ბიზანტიური განათლების ისტორიიდან.“ წიგნის ერთ-ერთ თავში, ზემოთ უკვე მრავალგზის ნახსენები იოანე იტალოსის შესახებ საუბრისას, აკადემიკოსი ყურადღებას ამახვილებს დასავლეთევროპულ ფილოსოფიაში იმხანად დამკვიდრებულ სწავლებებზე. მათში წვდომა კი სურს იმისათვის, რომ გამოიტანოს შესატყვისი დასკვნები იოანე იტალოსის მიერ ბიზანტიაშიმოღვაწეობის დროს დაარსებული სააზროვნო სკოლის შესახებ.

ავტორი ამისათვის არკვევს იტალოსის აღზრდისა და განათლების გარემოებებსა და იმას, თუ მის ფილოსოფიურ სისტემაში რა არის აღებული მასწავლებლებისაგან და რა - ორიგინალური, საკუთრივ, მისი ნააზრევო. პრობლემის მრავალმხრივი ანალიზისას თ. უსპენსკი განხილავს დასავლეთში განვითარებული ნომინალიზმისა და რეალიზმის ისტორიისა და დიალექტიკის მეთოდის დანერგვის თვალსაზრისებსაც. აქ კი იგი იმოწმებს ფრანგ ისტორიკოსს დუბულეს (1619-1678) და მისი ნაშრომიდან („Historia univers“) ციტირებს, როგორც თავად წერს, - „დიდად საინტერესო, თუმცაღა ფრიად ბუნდოვან“ ცნობას: „...об истории диалектики, называя основателем ее некоего Иоанна. Кто был этот Иоанн, последователем которого был, между прочим, и Росцеллин, это решается различно и вообще неудовлетворительно до такой степени, что основатель знаменитой школы на западе остается совершенно неизвестным“ (Успенский 1891: 178).

როგორც ვხედავთ, დიალექტიკის მეთოდის შემომტანად დასახელებულია „ვინმე იოანე“, რომლის ვინაობის დასადგენად მეცნიერთა მცდელობა იმდენად განსხვავებული და „არადამაკმაყოფილებელია“, რომ „Unbekannter Dialektiker“ და „დასავლეთის ამ ცნობილი სკოლის ფუძემდებელი სრულიად უცნობი“ რჩება. შესაძლო ვარიანტთა მიხედვით, თ. უსპენსკის მაგალითად მოჰყავს გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ იბერვეგის (1826-1871 წწ.) ვარაუდი, რომელიც უარყოფს სავარაუდო ვერსიად იოანე სკოტის (810-877 წწ.) განხილვას და იქვე მიუთითებს, რომ „უფრო გვიანდელი დიალექტიკოსი მათთვის უცნობია.“

ვინ შეიძლება იყოს დიალექტიკის ისტორიაში XI – XII საუკუნეების „დასავლეთის ცნობილი სკოლის“ ფუძემდებელი, „დიალექტიკის მეთოდის შემომტანი“ და „სრულიად უცნობი“ - „ვინმე იოანე“ (დუ ბუ-ლესთან - „Iohannes“)? პეტრიწის მიმართ სადღეისოდ არსებული შეფასებებიდან გამომდინარე, გვაქვს არგუმენტირებული საფუძველი რომ შესაძლო სამიხეულ ვარიანტად განვიხილოთ ქართველი ფილოსოფოსი. თანამედროვე ქართველი და უცხოელი მკვლევარები (აკად. ა. ლოსევი) ერთხმად აღიარებენ, რომ იოანე პეტრიწი, უბადლო დიალექტიკოსია. მაგალითად:

პროკლე დიადოხოსის ქართული თარგმანისას, იოანე პეტრიწი თავისი ფილოსოფიური ტენდენციებით, არღვევს „კავშირის“ ავტორის არგუმენტაციების რიგს და თანმიმდევრული მსჯელობით ესწრაფვის ტექსტის შინაგანი მთლიანობის აღდგენას; სისრულისაკენ სწრაფვის, შესამეცნებელის მნიშვნელობასა და არსში წვდომისაკენ მოუწოდებს იგი თავის მოსწავლეებს, რომელთაც ხშირად მიმართავს, რათა დაეუფლონ დიალექტიკის ხელოვნებას, - ჩაუკვირდნენ დასაბუთების აგებისა და მსვლელობის პროცესს, გონებითი მზერით ჩასწვდნენ აღმოსაჩენ-შესამეცნებელს.

დიალექტიკის მეთოდზეა დამყარებული იოანე პეტრიწის, როგორც სიტყვათშემოქმედისა და დიდაქტიკოსის პრინციპები. თავის ფილოსოფიურ ხედვებში. იგი იყენებს მაგალითებსა და ანალოგიას, რაშიც მას მხარს უჭერს წმიდა მამათა ტრადიცია, სადაც ამგვარი დიალექტიკური განსჯანი მოხმობილია არა სჯულმდებელობის სურვილით და პრეტენზიით, არამედ, აზროვნების, გონების ვარჯიშისა და ძიებისათვის (მელიქიშვილი 2013).

პეტრიწის შემოქმედების განხილვისას, მისი აზროვნების შინაგან დიალექტიკაზე მეტყველებს პროკლე დიადოხოსის „კომენტარების“ ურთულესი თავების „განმარტებანში“ ფილოსოფოსის ღრმა მსჯელობანი (მახარაძე 2013: 174; 228).

იოანე პეტრიწი არამხოლოდ არღვევს არსებულ სააზროვნო, მსოფლმხედველობრივ სტანდარტებს, არამედ, არის ჭეშმარიტი დიალექტიკოსი, ანუ ის, ვინც გამოდის პიროვნული, სუბიექტური სივრციდან და ფიქრობს ისე, როგორც იფიქრებდა მთელი კაცობრიობა. პეტრიწის მიზანია გაიგოს და ახსნას სამყარო არა გარედან მიღებული რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული სქემებით, არამედ საკუთარი, თანდაყოლილი გონიერი პრინციპის ამოქმედებით. „საკუთარი, სუბიექტური აზროვნებით შეიმეცნოს ობიექტურობა, და თანაც უნივერსალურად, საკაცობრიო მასშტაბებში“ (გიგინეიშვილი 2009).

პეტრიწის მიერ მუსიკალური პრობლემატიკის დიალექტიკურ-ლოგიკური მეთოდით განხილვა შეფასებულია როგორც გზა, რომელმაც ქრისტოლოგიურ-ორთოდოქსულ ატრიბუტად ქცეული სამგალობლო მუსიკა გაანთავისუფლა თეოლოგიის სქოლასტიკური დოგმატიზმიდან და ღვთისადმი მიმართვის საშუალებად აქცია (ფირცხალავა 2004);

დიალექტიკური მეთოდის საფუძველზე ანვითარებს პეტრიწი ქვეყნის სამზომილოისა (გეომეტრია) და რიცხუნის (არითმეტიკა) შესახებ მსჯელობას, რითაც საღვთისმეტყველო ახსნას უძებნის ძირითად მათემატიკურ პრინციპებს (ყაუხჩიშვილი 1948: 16-17).

საღვთისმეტყველო-სამეცნიერო კვლევებიდან მოხმობილი ამ მცირე ამონარიდებიდანაც კი, კარგად ჩანს, რომ პეტრიწისის მოღვაწეობის წამყვანი მეთოდია დიალექტიკური აზროვნება, რაც ემსახურება თვით-

განვითარებისა და თვითსრულყოფის პროცესს, ესწრაფვის სამყაროს კანონზომიერებებში წვდომას.

თ. უსპენსკის ხსენებული წიგნი გამოცემულია 1891 წელს, მასში დასახელებული ფრანგი მემატიაწე კი ორი საუკუნის წინ იკვლევდა უცნობი დიალექტიკოსის საკითხს. იმ დროისათვის პეტრიწის ფენომენი უცნობი იყო როგორც სამამულო, ისე ევროპული ფილოსოფიური საზოგადოებისათვის. განიხილავდნენ თუ არა ხსენებული ფრანგი, გერმანელი და რუსი თეოლოგები „ვინმე იოანეს“ სავარაუდო ვარიანტად ქართველ ფილოსოფოსს, თუკი მათთვის ცნობილი იქნებოდა ნეოპლატონიკოსის მემკვიდრეობის შესახებ? ვფიქრობთ, რომ – უსათუოდ.

ამრიგად, ჩვენ წარმოვადგინეთ იოანე პეტრიწის სამოღვაწეო დროის განმსაზღვრელი დღემდე არსებული ვერსიები და ის ახალი ფაქტები, რომლებიც, დიდი ალბათობით, დაკავშირებულია დიდი ფილოსოფოსის ბიოგრაფიასთან. შედეგად, ჩამოყალიბდა რამდენიმე ჰიპოთეზა, გამოიკვეთა კითხვები:

ვინ შეიძლება იყოს მონასტერთა სიმბოლოების კონცეფციისა და მათი ქვაში ამეტყველების იდეის ავტორი? ვის, ქვის ფენომენთან „გაშინაურებულ“ (ვგულისხმობთ „პეტრიწად“ სახელდების ჩვენეულ ვერსიას) რომელ შემოქმედს შეეძლო ეკარნახა მსოფლიოს შემდგომი კულტურისათვის ზოგადსაკაცობრიო სიმბოლიკით გამშვენებული საგანმანათლებლო ემბლემები? ვინ იყო ის ახალგაზრდა ქართველი, ვინც უცნობი დამწერლობის წაკითხვით აღაფრთოვანა მოძღვრები და ვისაც მათგან მხრებზე შემოსმისა და უცნაური აღიარების პატივი ერგო (რაზედაც წინა წერილში მოგითხრობდით)?

რომელ მოაზროვნეს – „ერთ გამონაკლისს“, „ნათელი გონების“, „აზრებში არწივივით მფრენს“ ეძებენ დასავლური სამყაროს მკვლევარები? ვინ არის ევროპელი და რუსი ფილოსოფოსებისაგან აღიარებული და დიალექტიკის ისტორიაში XI-XII საუკუნეების „ცნობილი სკოლის“ დამაარსებელი „Некий Иоанн“ და „Unbekannter Dialektiker?“ შეიძლება, რომ ეს იყოს იმჟამად ქართული და ევროპული ფილოსოფიური წრეებისათვის უცნობი იოანე პეტრიწი? ანუ ის, ვისი მემკვიდრეობის გაცნობის შემდეგაც, ცნობილი რუსი თეოლოგი ა. ლოსევი (ფარული ბერი ანდრონიკე) გელათში მასზე ლოცულობდა და თავს ავედრებდა.

პეტრიწონისა და გელათის დაღ-ნიშნულების დადგინების შემდეგ, ჩვენთვის ყველა სხვა პრობლემა, უკვე ამ სიმბოლოების „შუქზე“ განიხილება. ამიტომ, ზემოთ განხილულ ცნობებში საძიებელ პიროვნებად ჩვენ მივიჩნევთ იოანე პეტრიწს.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვრიცხავთ ჩვენს ვერსიებს, რათქმაუნდა, კვლავ იარსებებს კითხვები, რომლებიც უკვე დაისვა. აქედან, ყველა

შეკითხვა თავს იყრის ერთ პრობლემაში: ვინ არის ის იოანე, რომელმაც, ერთ დროს, შეცვალა ევროპული აზროვნება?

მაშასადამე, იოანე პეტრიწის იგივეობის დადგენისა და სამოღვაწეო დროის განსაზღვრის სასარგებლოდ მიგვაჩნია ჩვენ მიერ ჟურნალ „მაცნეში“ (2018, N2; 2019, N2; 2021, N2) განხილული და შემდგომი მეცნიერული დამუშავებისათვის შემოტანილი არგუმენტები: პირველი: ქართულ მონასტერთა ემბლემები (1083 წ. და 1106-1110 წწ.); მეორე: იოანე ბატონიშვილის ცნობებისა და ბულგარული არტეფაქტის შესატყვისობა; მესამე: თეოფილაქტე ბულგარელის პირველი წერილი „ღვთაებრივი იოანესადმი;“ მეოთხე: თეოფილაქტე ბულგარელის მეორე ეპისტოლე-მიწერილი „იოანე ფილოსოფოსისადმი“ და მეხუთე: „ვინმე იოანე“ დიალექტიკოსის პრობლემა რუსულ და დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

პეტრიწთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შეფასებისას, ვითვალისწინებთ დოკუმენტურად დადასტურებულ და გაზიარებულ თვალსაზრისს ფილოსოფოსის დევნის შესახებ. ახლადმოკვლეული ფაქტები, კიდევ უფრო მეტად გასაგებს ხდის, თუ რატომ ავიწროებდნენ მას, როგორც თავადვე წერს, - „სასაფრთხოდ მომზირალნი,“ - „უმეცრები სასწავლოთაჲთა“ (უცოდინარნი) და „თვისისა უმეცრებისა უმეცარნი“ (საკუთარი უცოდინრობის უცოდინარნი). გაცნობიერებული გვაქვს ის საშიშროებაც, რომ ნებისმიერი უნებლიე შეცდომით, ახლა უკვე ამ საუკუნეში არ ვიქცეთ დიდი მოაზროვნის მორიგ „მდევენელებად.“

ამჟამად, პეტრიწის მონუმენტური ფენომენის სამოღვაწეო დროის დასადგენად, ერთადერთ საშუალებად ითვლება მისი ლინგვისტურ-ენათმეცნიერული „პორტრეტი.“ მკვლევართა მიმართ დიდი პატივისცემის დადასტურებით, გავხედავთ და ვიტყვით, რომ ზოგ შემთხვევაში, ჭეშმარიტების დადგენად ამ მეთოდის უნიკალურობაში ექვს იწვევს წამყვან სპეციალისტთა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციები.

მიგვაჩნია, რომ იოანე პეტრიწის სამოღვაწეო დროის ერთი საუკუნით გვიან გადმოტანას, თუ ის ზედმიწევნით არ აკმაყოფილებს სწორედაც „მეცნიერული აკრიბიის“ (ე. ჭელიძე) წესებს, უსათუოდ ახლავს ისტორიულ რეალობათა რიგი დანაკარგები, რომელთა გამოსწორება, შესაძლოა, შემდგომში გვიან ან საერთოდ ვეღარ მოხერხდეს.

იოანე პეტრიწის მემკვიდრეობის შესწავლისადმი უცხოელ მკვლევართა მზარდი ინტერესის პირობებში, ქართველ პეტრიწოლოგთა მიერ გამოთქმული ყოველი ახალი მოსაზრება, შესაბამისად, აისახება საერთაშორისო სივრცეშიც. ამგვარი ვითარება, ცხადია, ერთიორად ზრდის თითოეული ახალი ჰიპოთეზისადმი პასუხისმგებლობას. ამიტომ აქ გამოთქმული თვალსაზრისების მიმართ ყველა შეფასებას, შენიშვნას და კონსტრუქციულ ოპონირებას ჩვენთვის აქვს განსაკუთრებული

მნიშვნელობა. იმედია, ჩამოთვლილ საკითხთა შემდგომი საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლა მოხდება გაფართოებულად, შესაბამისი დარგების სპეციალისტთა მიერ, განხილვისა და აზრთა შეჯერების პირობებში.

აღიარება-დევნისა და დაფასება-დაუფასებლობის ტკბილ-მწარედ ცვალებად გზაზე, პეტრიწის მიერ ფერნაცვალის სააზროვნო სისტემა და „ფრიად ღრიფოი“ (იოანე ჯამბაკურ-ორბელიანი) ენა მტკიცედ დაინერგა ჩვენში. მისი იდეების წყალობით, შესატყვისი სიტყვათქმნადობით ჩამოყალიბდა ახალი სამამულო სამეცნიერო და საღვთისმეტყველო ცნობიერება, რომლის ლიტერატურულ გამოხატულებად იქცა ქართული პოეტური სახარება „ვეფხისტყაოსანი.“

დიდი ფილოსოფოსის სამოღვაწეო დროსთან დაკავშირებით, წიგნში „იოანე პეტრიწი“, გ. თევზამესაუბრობს დასასაბუთებელი ჭეშმარიტების წინასწარ მიღების (*petitio principii*) საფრთხეზე (თევზაძე 2006: 7). თუ რამდენად უსაფრთხოა ჩვენი ჰიპოთეზები, ამას დრო და საკითხის შემდგომი გაღრმავებული შესწავლა გვიჩვენებს. ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე, მოკვლეული მასალების ქრონოლოგია შესაბამისობაშია პეტრიწის სამოღვაწეო დროის ტრადიციულ თვალსაზრისთან, რისი უარყოფა უფრო ძნელია, ვიდრე მხედველობაში მიღება.

ერთადერთი, რაც „პეტრიწის დროსთან“ მიმართებით უდაოა და რასაც მასთან მეტ-ნაკლებად მიახლებული ყველა დაინტერესებული ადამიანი აღიარებს, არის ის, რომ მისი ფენომენი თავად, დრომვე განვინა ყველა დროში, - წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც. საკაცობრიო ცოდნათა ერთიანობის იდეით, ერთი ღმერთის „ცისკროვანებით“ გასხივოსნებულმა მისმა ჭეშმარიტად „უერთებრივესმა და უუმწუერვალესმა“ გონებამ კი ევროპული რენესანსის გარიჟრაჟზე ადრე გაიბრწყინა ჩვენში, სხვათათვის მიუწვდომელ ჭიმჭიმელ-არეას შესწვდა და მარადიული „ცამცა გაიდარბაზა.“

გამოყენებული ლიტერატურა:

Aleksidze, I. (2008), *Ioane Petritsi da antikuri filosofia*, Tbilisi, „Tbilisis universitetis gamomcemloba.“ (ალექსიძე, ლ. (2008) იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“).

Bruni, a, m. (2013), *antikuri periodis meditsina shua saukineebis sakartveloshi, zhurnali logosi*, Tbilisi. (ბრუნი ალესანდრო მარია, (2013), ანტიკური პერიოდის მედიცინა შუა საუკუნეების საქართველოში, *ჟურნალი ლოგოსი*, N7, თბილისი).

Chelidze, e, (1995), *Ioane Petritsis cxovreba da moghvaweoba, zhurnali "religia"* N1,2,3., (ჭელიძე, ე. (1995), იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი: *ჟურნალი „რელიგია“*, 1995 წ. №. 1-2-3).

Garland, I. Rapp, S. H. (2006), *Lynda Garland University of New England, Australia with Stephen H. Rapp Jr Georgia State University, Atlanta, Mart'a-Maria 'of Alania*,

<https://www.romanemperors.org/maryl.htm>. Updated:11 July 2006.

Гунба, М. М. (1999), *Абхазия во II тысячелетии нашей эры (XI—XIII вв.)* Изд., «Алашара» Сухум.

Gigineishvili, I., (2009), *pavles pasazhis neoplatonuri gaasreba ioane petriwtan (teoria materiis shesaxeb, zhurnali "kadmosi, Tbilisi.* (გიგინეიშვილი, ი., (2009) პავლეს პასაჟის ნეოპლატონური გააზრება იოანე პეტრიწთან, ჟურნალი „კადმოსი“, თბილისი).

Ioane Petriwi, shromebi, T. 1, (1940), *Prokle Diadoxosisa platonurisa filosofosisa kavshirni, kartuli teqsti gamosca da gamokvleva da leqsikoni daurro simon yauxchishvilma.*, Tbilisi, universitetis stamba, (იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. 1, (1940), პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი: „უნივერსიტეტის სტამბა“).

Kaukhchishvili, S. (1948), *Gelatis academia, Tbilisi.* (ყაუხჩიშვილი, ს. (1948), გელათის აკადემია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი).

Koplatadze, G. (2008), *Kristianuli eklesiis istoria, sapatriarqos gamomcemloba, Tbilisi.* (კოპლატაძე გ. (2009), „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“, თბილისი: „საპატრიარქოს გამომცემლობა“).

Kldiashvili, D. (2009), *kartuli aristokratia konstantinopolshi, heretisa da kakheyis mmartveleni. Krebuli bizantinologiA-2. WIG.: I.* (კლდიაშვილი, დ. (2009), ქართული არისტოკრატია კონსტანტინოპოლში: ჰერეტიკისა და კახეთის მმართველები. თბილისი, კრებული „ბიზანტიანოლოგია - 2.“ წგნ.: I.).

Labadze, R. (2014), *Eqvtime Tayaishvilis publikaciebi ucxour samecniero gamocemebsi 1927-1938, „didi eqvtime.“* (ლაბაძე, რ. (2014), ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. დიდი ექვთიმე, თბილისი: „არტანუჯი“).

Lolashvili, I. (1982), *mcire uwyebani qartvelta mweraltatvis, Tbilisi, gamomcemloba „mecniereba.“* (ლოლაშვილი, ი. მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

Lortkipanidze, M. (1990), *afkhazebi da afkhazeti, Tbilisi, „inteleqti.“* (ლორთქიფანიძე, მ. (1990) აფხაზები და აფხაზეთი, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“).

Marr, N. H. Я. Марр . Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI – XII века, т. 19, вып. 2-3, 1909. СПб.: Типография Императорской Академии Наук.

Macharadze, M. (2013), *qartuli filosofiuri azrovnebis istoria. batumi.* (მახარაძე, მ. (2013), ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ბათუმი).

Melikishvili, D. (1984), *zveli qartuli logikuri terminologiidan. zveli qartuli enis katedris shromebi, Tbilisi.* (მელიქიშვილი, დ. (1984), ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, თბილისი).

Melikishvili, D. (2016), *Prokle diadoxisi platonuri filosofosi, „kavshirni ghtisme-*

tyvelebitni,“ Tbilisi. (მელიქიშვილი, დ. (2016) პროკლე დიადოხოსი პლატონური ფილოსოფოსი. *კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი*, თბილისი).

Meliqishvili, d. (2010), Ioane Petritsis Rmrtismetyvelebis metodisatvis. *filosofiu-teologiuri mimomxilveli*, Tbilisi. (მელიქიშვილი დ. (2010), იოანე პეტრიწის ღმრთისმეტყველების მეთოდისათვის. *ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმოხილველი* N3, თბილისი).

Meliqishvili, d. (2013), Ioane Petritsis ena. *qartvelologi*. N19. Tbilisi. (მელიქიშვილი, დ. (2013), იოანე პეტრიწის ენა. *ქართველოლოგი*, N19, თბილისი).

Parchukidze, t. (2018), Petritsoni - 935. *Sakartvelos metsnierebata erovnuli akademiiis matsne: istoriis, arqeologiis, etnologiisa da khelovnebis seria*, N1 (ფარჩუკიძე, თ. (2018), პეტრიწონი - 935. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია* N 1. თბილისი).

Parchukidze, t. (2019). Petritsi da Petritsoni. *Sakartvelos metsnierebata erovnuli akademiiis matsne: istoriis, arqeologiis, etnologiisa da khelovnebis seria*, N1 (ფარჩუკიძე, თ. (2019), პეტრიწი და პეტრიწონი. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, N 1, თბილისი).

Pircxelava, n. (2004), Ioane petriwis mnishvnelobis shesaxe qartuki himnografiis istoriashi. *tradiciuli mravalxmianobis meore saertashoriso simpoziumi, moxsenebebi*, Tbilisi, (ფირცხალავა, ნ. (2004). იოანე პეტრიწის მნიშვნელობის შესახებ ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში. *ტრადიციული მრავალხმაინობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებები*. თბილისი).

Siradze, r. (1980), *Sakhismetkveleba*. Tbilisi: gamomtsemloba „nakaduli“ (სირაძე, რ. (1980), *სახისმეტყველება*, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“).

Tevzadze, g. (2007), Ioane petritsi. Tbilisi. (თევზაძე, გ. (2007), იოანე პეტრიწი. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“).

Успенский Ф. И. (1879). *Образование Второго Болгарского царства*. одесса. http://www.byzantium.ru/library/uspenskij_obrazovanie_vtorogo_bolgarskogo.

Успенский Ф. И. (1891). *Очерки по истории византийской образованности*. Москва. Изд., Юрайт.

https://azbyka.ru/otechnik/Fedor_Uspenskij/ocherki-po-istorii-vizantijskoj-obrazovannosti/#0_7

Христов, С. (1973). Каменные письма Родоп, *Техника-молодежи*. N 3. Москва.

Время Иоанна Петрици – Старые и новые точки зрения

Тамара Парчукидзе

Доктор истории

ORCID ID:0000-0002-5413-427x

Parchukidze@yahoo.com.

+995 599 194 794

Резюме

Средневековый Грузинский неоплатоник Иоанн Петрици, хорошо известный в современных византийских богословских и научных кругах, на протяжении всей своей жизни подвергался гонениям за свои прогрессивные идеи. Вплоть до XVIII века, его имя было скрыто и от Грузинского общества. Научное изучение философско-богословского наследия великого мыслителя началось в первые годы XX века.

Исследования в области Петрицологии в основном ведутся по философскому и филологическому направлениям. Наша цель - изучить проблему с историографической точки зрения.

По установленным понятиям, Иоанн Петрици был современником Давида Строителя (XI - XII вв.). Недавно было высказано, мнение что деятельность Иоанна Петрици датируется столетием позже (XII - XIII вв.). Находки и артефакты, полученные нами в результате современных исследований, говорят в пользу традиционной точки зрения и подкрепляют ее новыми аргументами.

Представленная статья является третьей в серии статей, опубликованных в этом журнале, посвященных жизни и творчеству Иоанна Петрици ("Известия" Национальной академии наук Грузии, серия истории, археологии, этнологии и истории искусств: N2, 2018 - Образовательные символы монастырей Петрицони (1083 г.) и Гелати (1106–1110 гг.) N1, 2019 - Сравнительный анализ Грузинских исторических сведений и Родопского наскального артефакта).

На этот раз мы представляем ту часть работы, которая посвящена проблеме времени деятельности Иоанна Петрици и рассмотрим связанные с темой ранние, современные и последние версии.

Для обсуждения и дальнейшей научной обработки в статье представлены основные выводы и гипотезы двух предыдущих публикаций и выявленные нами новые факты в результате текущих исследований: Первое письмо Феофилакта Болгарского (к Божественному Иоанну); Второе послание Феофилакта Болгарского («к Иоанну философу») и проблема

«Некоего диалектика Иоанна» в русской и западной научной литературе.

Хронологические периоды перечисленных вопросов совпадают с ранее установленным временем деятельности Иоанна Петрици (XI - XII вв.). А информация и представленные в них концепции соответствуют теолого-философским воззрениям известного неоплатоника.

Предлагаемые нами новые сведения и гипотезы, связанные с биографией Иоанна Петрици, нуждаются в дальнейшей научной обработке, ином понимании конкретных вопросов и переосмыслении проблемы времени великого философа и богослова.

Ключевые слова: Петрици, неоплатонизм, символ, Родопская надпись, Феофилакт, «Диалектик Иоанн».

საქართველოს ისტორია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ანტიდასავლური მოწოდებანი 1924-1930 წლებში

Anti-Western Appeals of the Georgian Orthodox Church in 1924-1930

Sergo Vardosanidze

PhD, Doctor of Historical Sciences

Professor of Tbilisi Theological Academy and Seminary

ORCID ID: 0000-0003-0579-5458

sergovar@gmail.com +995599575190.

Abstract

In 1921 Georgia was conquered by Bolshevik Russia. In order to blind up the world community, the conquerors, on the spot, set up puppet authorities distinguished for their anti-Georgian activity. In 1921-1922 Georgia, “according to its good-will”, transferred its historic territories to Turkey, Azerbaijan, Armenia, Russian Federation; inside the country they created three autonomous units of Abkhazia, Adzharia and South Ossetia. Georgian Orthodox Apostolic Church was deprived of legal status; they began aggressive atheist propaganda and its implementation that was expressed in closure of churches and monasteries by using administrative measures, persecution of clergy and deprivation of their church property.

The Catholic Council of the Georgian Orthodox Church, Catholic-Patriarch Ambrosi Khelaia spoke out strongly against these illegal, barbaric actions. In 1922 he addressed a special letter to Genoa International Conference demanding withdrawal of occupation forces from Georgia. The occupation authorities arrested Ambrosi Khelaia. It was decided to execute him but vigorous actions of Canterbury Chief Bishop saved the Patriarch. With the help of the inspired by them clergy, who very soon managed to head the Church, Bolshevik authorities began anti-Western propaganda against the Pope of Rome and Anglican Church who demanded from the European countries to keep the Soviet Government responsible for religious persecution in the country. Even in 1924, at the authorities’ bidding, Bishop Christopher, temporary ruler of the Georgian Church, strongly opposed the Georgian emigrants, calling them “adventurers” and in 1930, already in the rank of Catholicos-Patriarch, he reproached the Pope of Rome and Church of England for anti-Soviet criticism; he even declared that freedom of will was protected in Georgia and the authorities always considered the position of the Church. Regrettably, this declaration was mainly calculated for outside use and it did not reflect real situation in Georgia.

It demonstrated well the hard situation of our nation and Church and its subjection to the occupational authorities.

Key words: Georgian Orthodox Apostolic Church, Catholic-Patriarch Ambrosi, Catholic-Patriarch Christopher, Pope of Rome, Anglican Church.

სერგო ვარდოსანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პროფესორი.

ORCID ID: 0000-0003-0579-5458

sergovar@gmail.com +995599575190

აბსტრაქტი

1921 წლის თებერვალში საქართველო დაპყრობილი ქნაბოლშევიკური რუსეთის მიერ, დამპყრობლებმა მსოფლიო საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით ადგილზე შექმნეს მარიონეტული ხელისუფლება, რომელიც გამოირჩეოდა ანტიქართული საქმიანობით. 1921-1922 წლებში საქართველომ „ნებაყოფილობით“ თავისი ისტორიული ტერიტორიები გადასცა თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, რუსეთის ფედერაციას, ქვეყნის შიგნით შექმნა სამი ავტონომიური ერთეული აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის სახით. იურიდიული სტატუსი ჩამოართვა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, დაიწყო აგრესიული ათეიზმის პროპაგანდა და პრაქტიკული განხორციელება, რაც გამოიხატა ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვა, სასულიერო პირების დევნა-შევიწროებასა და საეკლესიო ქონების ჩამორთმევაში. ამ უკანონო-ბარბაროსული ქმედებების წინააღმდეგ ხმა აღიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭომ, კათალიკოზ-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ, პატრიარქმა 1922 წელს საგანგებო წერილით მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციას და მოითხოვა საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანა. საოკუპაციო ხელისუფლებამ კათალიკოზი ამბროსი დააპატიმრა. გადაწყვეტილი ჰქონდა მისი დახვრეტა, მაგრამ კენტებერიის მთავარეპისკოპოსის ენერგიულმა ქმედებებმა პატრიარქი დახვრეტას გადაარჩინა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოახერხა მის მიერ ინსპირირებული სასულიერო პირების მეშვეობით, რომელნიც სულ მალე საეკლესიო მმართველობის სათავეში მოვიდნენ დაეწყო ანტიდასავლური პროპაგანდა რომის პაპის და ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ, რომელნიც ევროპის ქვეყნებს მოუწოდებდნენ მკაცრი პასუხი მოეთხოვათ საბჭოთა მთავრობისათვის ქვეყანაში გაჩაღებული რელიგიური დევნის გამო. ჯერ კიდევ 1924 წელს ხელისუფლების კარნახით საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ მკაცრად გაილაშქრა ქართველი ემიგრან-

ტების წინააღმდეგ და მათ ავანტურისტები უწოდა, ხოლო 1930 წელს უკვე, როგორც კათალიკოზ-პატრიარქმა სპეციალური განცხადებით დაგმო რომის პაპის და ანგლიკანური ეკლესიის ანტისაბჭოთა კრიტიკა, უფრო მეტიც, განაცხადა: რომ საქართველოში დაცული იყო სინდისის თავისუფლება და ხელისუფლება ყოველთვის ითვალისწინებდა ეკლესიის პოზიციებს, სამწუხაროდ ეს განცხადება უფრო გარე მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი და არ ასახავდა საქართველოში არსებულ რეალურ სინამდვილეს. იგი კარგად აჩვენებდა ჩვენი ერის და ეკლესიის მძიმე მდგომარეობას და მის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი მორჩილებას.

საკვანძო სიტყვები: საოკუპაციო ხელისუფლება, კათალიკოზი ამბროსი, რომის პაპი, ანგლიკანური ეკლესია, კათოლიკოსი ქრისტეფორე.

შესავალი

რთულად და მძიმედ დაიწყო 1921 წელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გარდა ბოლშევიკურ რუსეთს უკვე მყარი პოზიციები ჰქონდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, მზადდებოდა საქართველოს ოკუპაცია, რომელიც ისე უნდა განხორციელებულიყო, რომ თითქმის საქართველოს მშრომელები ვერ ეგუებოდნენ მენშევიკურ დიქტატურას, იბრძოდნენ მის წინააღმდეგ და საჭიროებდნენ საბჭოთა რუსეთისაგან დახმარებას, ამ ოპერაციის დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდნენ: იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვები... სამწუხაროდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაუშვა სერიოზული შეცდომები და შედეგად მივიღეთ საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია. სტატიაში არსებული მოგონებების, პრესის და საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების დევნის ფონზე დასავლეთის რელიგიური ლიდერების მხარდაჭერა, მაგრამ ხელისუფლების კარნახით ადგილობრივი სასულიერო ლიდერების მიერ მათი კრიტიკა საქართველოს „შინაურ საქმეებში“ ჩაურევლობის მოთხოვნა.

მეთოდი

სტატია ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, ასევე, ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას.

შედეგები

1. სტატიაში განხილულია ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მიერ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ღონიძიებები.

2. ნაჩვენებია კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამომდინარეობა.

3. განხილულია დასავლეთის რელიგიური ლიდერების, რომის პაპის და ანგლიკანური ეკლესიის მეთაურის მცდელობა დახმარებოდნენ ქართველ ხალხს ხელისუფლების მიერ წარმოებული ანტირელიგიური ისტერიის შეჩერებაში.

4. ნაჩვენებია ხელისუფლების მომხრე სასულიერო პირების ანტი-დასავლური განცხადებების რეალური მიზეზები და მისი უარყოფითი შედეგები.

მსჯელობა

1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, როგორც მოსკოვი, ასევე ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება, ცდილობდა ისეთი პროპაგანდისტული ფონის შექმნას, თითქოს საქართველოსათვის უკეთესი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რაც ქართველი მშრომელების ინტერესებს შეესაბამებოდა. თუმცა მიმდინარე პროცესები საპირისპიროს ამტკიცებდა. გაუქმდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, საქართველოს ტერიტორიაზე „ერთა თვითგამორკვევის“ ლოზუნგით შეიქმნა ორი ავტონომიური რესპუბლიკა (აფხაზეთი, აჭარის ტანი) და ერთი ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთი). ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, ბოლშევიკებმა ქემალისტურ თურქეთს გადასცეს ისტორიული ტაო-კლარჯეთი, ბათუმის ოლქის დიდი ნაწილი, აზერბაიჯანს – კახის, ბელაქნის და ზაქათალის რაიონები, სომხეთს – ლორე-ტაშირის მხარე, რუსეთის ფედერაციას – სოჭის რაიონი. საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო შემდეგ ახალ მოდერნიზებულ რუსულ იმპერიაში – საბჭოთა კავშირში – გააერთიანეს.

ევროპის ქვეყნები შემოფოთებით ადევნებდნენ თვალს ბოლშევიკურ საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე პროცესებს. მათი ინტერესი და ქართველი ხალხისადმი თანადგომა განსაკუთრებით გაძლიერდა გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ამბროსი ხელაიას მიერ გაგზავნილი მემორანდუმის შემდეგ. ბოლშევიკური პროპაგანდა ამ მემორანდუმს ცილისწამებას და პროვოკაციას, ხოლო იმ სასულიერო პირებს, ვინც მემორანდუმის სულისკვეთებას იზიარებდა, ანტისაბჭოელ პროვოკატორებს უწოდებდა. მათი სასამართლო პროცესიც ამ სულისკვეთებით მიმდინარეობდა. უცხოეთში გადახვეწილი ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები ევროპის ქვეყნების მთავრობებს დეტალურ ინფორმაციებს აწვდიდნენ ე.წ. “საბჭოთა საქართველოში” ეკლესია-მონასტრების ნგრევის, სასულიერო პირების დაპატიმრებისა და დახვრეტების, საეკლესიო სიწმინდეთა

ძარცვის შესახებ. ქართველი ერის ეს უმძიმესი განსაცდელი გულთან ახლოს მიიტანეს რომის პაპმა პიუს მეთერთმეტემ და ანგლიკანურმა ეკლესიის მეთაურმა რ. დავითსონმა. ამ უკანასკნელმა კათალიკოზი ამბროსი გადარჩინა დახვრეტის მუხლს, რასაც ბოლშევიკური სასამართლო აპირებდა. 1923-1930 წლებში რომის პაპი და ანგლიკანური ეკლესიის მეთაური თავიანთ გამოსვლებში მიუთითებდნენ ბოლშევიკურ საქართველოში სასულიერო პირების დევნა-შევიწროებაზე. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ვერც კათალიკოზ ამბროსის და ვერც მის მხარდამჭერ საკათალიკოზო საბჭოს წევრებს „ვეროპელი არამკითხე მხარდამჭერების“ წინააღმდეგ ვერაფერს დააცდენინებდა. ამიტომ ეს დავალება მისცა საქართველოს ეკლესიაში საოკუპაციო ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ სასულიერო პირებს, რომელთაც 1927 წელს გადატრიალების გზით, საეკლესიო მმართველობაში მოსვლის შემდეგ, მეოთხე საეკლესიო კრებაზე (1927 წლის 21-27 ივნისი) საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველის, მეოთხე საეკლესიო კრების თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ქრისტეფორე ციცქიშვილის ინიციატივით მიიღეს ასეთი დადგენილება: “მეოთხე საეკლესიო კრება ადასტურებს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება ნაციონალურ ნიადაგზე ვითარდება უფრო წარმატებით, ვიდრე მის წინამორბედი რეჟიმების ხანაში. მეოთხე საეკლესიო კრებას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს გახეთქებში მოთავსებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს - ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის მეთაურობით, ჰყოლიათ წარმომადგენლები რომის პაპთან და ანგლიკანურ ეკლესიასთან, და რომ ასეთ მცდელობებს ჰქონებოდა ადგილი საქართველოს ეკლესიის რომელიმე წარმომადგენლის მხრივ, მაშინ კრება იძულებილი იქნებოდა, იგი განეკვეთა საქართველოს ეკლესიიდან. საქართველოს ეკლესია იყო და არის აღმოსავლეთის ეკლესია, აღსარების ნიადაგზე და იცავს თავის დამოუკიდებლობას ყველა სხვა ეკლესიისაგან და არც ფიქრობს მართლმადიდებლური რომელიმე დოგმატის შეცვლას. ამასთანავე, საქართველოს ეკლესია, რომელიც ქადაგებს მშვიდობიანობას, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურგდება იმ ფაქტს, რომ რომისა და ანგლიკანური ეკლესიების მეთაურნი იჭერენ კავშირს ანტისაბჭოთა პარტიების და ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომელნიც ცდილობენ ხელმეორედ დაარღვიონ ქართველთა მშვიდობიანი ცხოვრება. ეს დეკლარაცია ეცნობოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას და გადაეცეს პრესის წარმომადგენელთა“ (საქართველოს საკათალიკოზო სინოდის უწყებათა კრებული, 1927:18).

ამ განცხადებას აკეთებს ის საეკლესიო კრება, რომლის წევრებმაც კარგად იციან, რა მძიმე ვითარებაშია საქართველოს ეკლესია - 1450

მოქმედი ეკლესიიდან 1921-1927 წლებში ადმინისტრაციული წესით დაიხურა 1000-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი, სხვადასხვა ბრალდებით დაპატიმრებულ იქნა 500-ზე მეტი სასულიერო პირი, რომელთაგან 100 დახვრეტილ იქნა. ანტირელიგიური ისტერიის ფონზე, ოფიციალური სამთავრობო გაზეთი „კომუნისტი“ ყოველდღე აქვეყნებდა ყოფილი სასულიერო პირების განცხადებებს მღვდლობაზე უარის შესახებ. დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ინფორმაციით, იმ დროს ინგლისში სპეციალურად დაუწყიათ თანხების შეგროვება საბჭოთა კავშირში უმძიმეს პოლიტიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილი სასულიერო პირების დასახმარებლად, მაგრამ დეკანოზის მართებული დასკვნით: „კომუნისტური ხელისუფლება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და დევნას აწარმოებს ყოველგვარი რელიგიის, განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ და ეს ხელისუფლება არავის ჩარევას მის ასეთ შინაურ საქმეებში არ მოითმენს“ (თალაკვაძე, 2013:549). ხელისუფლებამ ანტიდასავლურ კამპანიაში ჩართო უკვე საბჭოთა ყაიდაზე გარდაქმნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1930 წლის 19 მარტს ჩატარდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელმაც მოისმინა პროფესორების: შალვა ნუცუბიძისა და კორნელი კეკელიძის გამოსვლები, რომელთაც დაგმეს „დასავლეთის არამკითხე მხარდაჭერა“, განსაკუთრებული კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს რომის პაპი და კენტებერიის მთავარეპისკოპოსი. სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა: „კაპიტალიზმის მთავარი აგენტები ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანენ, გარდა იმათი, ვისაც შეუძლია დაიჯეროს, რომ ეკლესია და მისი მეთაური რომის პაპის ტახტი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თავისუფლების და აზროვნების მტერი იყო, რომელმაც ცეცხლზე დაწვა ჭეშმარიტების და მეცნიერების გმირები... დღეს ერთბაშად აუტოკდა გული ქრისტიანობის დასაცავად საბჭოთა ქვეყანაში... ჩვენ ვეწევით აღმშენებლობას და მშვიდობიანობა გვწადია, ხოლო თუ ვინმემ სულის საცხონებლად თუ ხორცის განცხრომისათვის ომი თავს მოგვახვია, ჩვენი კალამი მახვილად შეიცვლება და ლაბორატორია თოფხანად“ (თალაკვაძე, 2013:626).

1930 წლის 21 მარტს გაზეთ. „კომუნისტი“ ხელისუფლების დაკვეთით დაიბეჭდა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ქრისტეფორე III-ის განცხადება. მისი განცხადება არაფრით განსხვავდებოდა რუსეთში პატრიარქის მოსაყდრის სერგის განცხადებისაგან. როგორც ჩანს, ტექსტის ფაბულა შედგენილ იქნა მოსკოვში და შემდეგ გადაუგზავნეს საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ ორგანიზაციათა ლიდერებს. იმ ფონზე, როდესაც საქართველოს საპატრიარქოში, საერო ადმინისტრაციების კანცელარიებში არაერთი სასულიერო პირის სევდანარევი განცხადებები ინახებოდა. სოფელ თერჯოლის (წუხარელა) მღვდელმა ირაკლი გურგენიძემ სასამართლოზე განაცხადა: „ჩამოიარა თერჯოლის თემის

პარტიის მდივანმა ვასილ ობოლაძემ და გამაფრთხილა: თუ მღვდლობას თავს არ გაანებებ, მიწას წაგართმევო, ამიტომ იძულებული გავხდი განცხადება დამეწერა“ (ვარდოსანიძე, 2001: 108). ვინც ასეთ განცხადებას არ წერდა, მათ ყოველთვიურ გადასახადებს უწესებდნენ, მაგრამ თუ ვერ გადაიხდიდნენ, ან აპატიმრებდნენ, ან აიძულებდნენ უარი ეთქვათ სასულიერო პირობაზე. შექმნილ ურთულეს და გაუსაძლის ვითარებაზე, რომელშიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღმოჩნდა, თვით ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი კათალიკოზი ქრისტეფორე III ალაპარაკდა: „1928 წლის 9 დეკემბერს, ღამით, მოკლეს კახეთში სოფ. მატნის მღვდელი ასათაშვილი, რომელმაც ავადმყოფი აზიარა, 1929 წლის 14 იანვარს მოკლეს გორის მაზრაში მღვდელი აბრამიშვილი, რომელმაც ერთ-ერთ ოჯახში ნათლობის წესი აღასრულა, ასევე უცნობმა ბოროტმოქმედებმა დახოცეს შიომღვიმისა და ზედაზნის ბერები. ანტირელიგიური მუშაობის საბაზით, აქტივისტებმა დაანგრიეს ეკლესიები შემდეგ სოფლებში: ძირულა, კარდენახი, ენისელი, ყარს-უბანი, ეპარქიაში ჩასვლის უფლებას არ აძლევენ ალავერდის ეპისკოპოსს, ოზურგეთიდან გააძევეს ეპისკოპოსი, ხოლო ჭყონდიდელი მღვდელმთავარი სამი დღით დაატუსაღეს... ყველა ეს შევიწროებანი, რომელსაც განიცდის საქართველოს ეკლესია, მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით და ნაძალადევად მოხდეს მისი ლიკვიდაცია“ (ფონდი 284: 11) ხელისუფლება კიდევ უფრო ამკაცრებდა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას. 1928 წელს თბილისში შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი-მუკი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სილიბისტრო თოდრია. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა რელიგიის სრულ მოსპობას. 1928 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძისადმი გაგზავნილ წერილში კათალიკოზ-პატრიარქი ქრისტეფორე წერდა: „მთავრობის დეკრეტები და განკარგულებანი ეკლესიის შესახებ არ სრულდება, ანტირელიგიური პროპაგანდა ბევრს გაგებული აქვს სამღვდელოების, მორწმუნეების შეუზღუდველ დევნად, დაუსჯელად ხდება ეკლესიების ძარცვა, შიგნით მისი მოწყობილობის განადგურება, სამღვდელოებას სრულად ათახსირებენ, აშინებენ რევოლუერის გულზე დადებითაც კი... ეკლესიის შევიწროება ისე ძლიერად არსად არ არის საბჭოთა კავშირში, როგორც საქართველოში“ (ფონდი 284: 12). ამ შინაარსის წერილების ავტორი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში საპირისპიროს ამტკიცებდა: „რელიგიის თავისუფლება საქართველოში უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და დამატებით საქართველოს ცაკ-ის 1924 წლის 21 ნოემბრის N124 დადგენილებით. რასაკვირველია, ჩვენში ადგილი აქვს დამახინჯებებს რელიგიის საკითხებში, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წრეგადასული წარმომადგენლები ხურავენ ეკლესიებს,

როცა ამისათვის არ აქვთ საკმაო საფუძველი, მაგრამ ასეთ მოვლენებს გმობს ცენტრალური ხელისუფლება, კანონიერების ასეთი დაუშვებელი გადახვევების აღმოსაფხვრელად გამოიცემა ოფიციალური მითითებები, ხოლო უცხოური სახელმწიფოების ჩარევა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში, ამ შემთხვევაში რელიგიის საკითხებში, ზედმეტია. ჩვენ ვაღიარებთ საბჭოთა მთავრობის სუვერენიტეტს ყველა შინაურ და საგარეო საკითხების გადაჭრაში და საჭირო შემთხვევებში, საქართველოს ეკლესიის სინოდი ეკლესიის შესახებ უდგენს თავის მოსაზრებებს მთავრობას და ის ითვალისწინებს. რაც შეეხება რომის პაპის, ევროპის და ამერიკის სხვა სასულიერო და სამოქალაქო პირთა გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიის თავისუფლების დამცველებს არ აქვთ არც ფორმალური და არც ზნეობრივი უფლება ასეთი გამოსვლისათვის ანდა როგორ დაუშვებთ მთავრობა, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, ასეთ ჩარევას თავის შინაურ საქმეებში... რელიგიური თავისუფლების დამცველის როლი არ შეეფერებათ რომის პაპებს, რომელნიც არა მარტო შორეულ წარსულში განირჩეოდნენ შეურიგებლობით რელიგიურ მოწინააღმდეგეთა მიმართ... ამას წინათ პოლონეთის ავტოკეფალური ეკლესიის წინამძღოლი, ვარშავის და ვოლნის მიტროპოლიტი დიონისე თავის ძმურ მომართვაში გვატყობინებდა მეტად სამწუხარო ამბავს, თუ როგორ ახდენს რომის ეკლესია „ბეთლემელ ყრმათა“ ამოწმებას პოლონეთში. მიტროპოლიტი დიონისე წერს: რომის ეკლესიას სურს წაგვართვას ჩვენი წმინდა ტაძრების ნახევარი, რომელიც ბეთლემელ ყრმათა გაწმენდას უდრის (ორ მილიონზე მეტი მორწმუნე რჩება სულიერი საზრდოს გარეშე). ასეთი რამ ხდება რომის პაპის მფარველობით და კურთხევით. ეს ცოცხალი მაგალითი რომის პაპების მოღვაწეობიდან ყველასათვის ნათელს ხდის, თუ რა მიზანს ისახავენ რომის პაპი და მისი მოკავშირეები ქადაგებით „ჯვაროსნული ლაშქრობის“ შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათი მიზანი რელიგიური თავისუფლების დაცვაა საბჭოთა კავშირში, თუ სხვა რამ? ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მსაჯულებისაგან, რელიგიური თავისუფლების დამცველებისაგან“ (გაზეთი „კომუნისტი“. 1930). მეოთხე საეკლესიო კრების მიერ მიღებულმა ანტიდასავლურმა განცხადებამ ემიგრანტი ქართველების დიდი გულისწყრომა და იმედგაცრუება გამოიწვია. მათი აზრით, სასამართლო გადაწყვეტილებების მიუხედავად, კათალიკოზი ამბროსი და საკათალიკოზო საბჭოს ის შემადგენლობა, რომელიც საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტის გამო ბოლშევიკური სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, იქიდან გამარჯვებული გამოვიდნენ – გამარჯვებული დარჩა საქართველოს ეკლესიური და სახელმწიფოებრივი თავისუფლების იდეა. „ეს მოსალოდნელი იყო. საქართველოს ეკლესიას ქართველი ეროვნული იდეა ათასწლობით დაუცავს და უცხოველებია, ეჭვი არ იყო, რომ ამ ეკლესიის ღირსეული

წარმომადგენელნი ამ ტრადიციის ღირსნი იქნებოდნენ და სინამდვილემ ეს კიდევაც დაამტკიცა“ – წერდა სპირდონ კედია (შარაძე, 2001:274), ახლა კი რა გამოვიდა – კათალიკოზმა ქრისტეფორემ მიუღებლად მიიჩნია გენუის კონფერენციაზე კათალიკოზ ამბროსის მემორანდუმი, დაიცვა ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების ინტერესები, დაგმო ქართული ემიგრაციის მოქმედებები და დაუპირისპირდა საქართველოს ეკლესიის და ქვეყნის თავისუფლების იდეის მხარდამჭერ რომის პაპის და ანგლიკანური ეკლესიის მესვეურებს. ამ ის გათვალისწინებით ქართულმა ემიგრაციამ მიიღო მტკივნეული გადაწყვეტილება, მათი აზრით, ვინაიდან საქართველოს ეკლესია ოკუპირებული იყო ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ, ხოლო ეკლესიის მეთაური უსიტყვოდ ასრულებდა ხელისუფლების ყველა დაკვეთას, ამიტომ ამიერიდან ეკლესია, რომელიც თავის სამწყსოს ჰყოფდა პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, ეკლესია, რომელიც ამართლებდა საოკუპაციო ხელისუფლების სისხლიან რეპრესიებს, ეკლესია, რომელმაც უღალატა საქართველოს სახელწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლების იდეას, ვერ დარჩებოდა მათთვის დედა-ეკლესიად. 1929 წელს ემიგრაციაში მყოფმა ილმაზ დადემქელიანმა, ლევან ზურაბიშვილმა და იოსებ კემულარიამ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს ომოფორის ქვეშ პარიზში დააფუძნეს წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, რომლის წინამძღვარი გახდა ცნობილი თეოლოგი გრიგოლ ფერაძე. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ინსპირირებულ ანტიდასავლურ კამპანიას, კათალიკოზ ქრისტეფორეს განცხადების პათოსს მალე შეუერთდნენ ქართველ კათოლიკეთა პატრი პეტრე ვარდიძე და სომეხ კათოლიკეთა ეპისკოპოსი კალატოზოვი, რომელთაც 1930 წლის 22 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ კათოლიკური ეკლესია საქართველოში თვითმპყრობელობის დროსთან შედარებით, არა თუ დაჩაგრული არ აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დროს, არამედ უეჭველი უპირატესობაც მიიღო“. რა უპირატესობაზე იყო საუბარი, როდესაც თვით პეტრე ვარდიძესულ მალესაბჭოთა კავშირიდან გაქცევის მცდელობისათვის დააპატიმრეს და მერე დახვრიტეს, ასევე მკაცრად ექცეოდნენ დანარჩენ სასულიერო პირებსაც. სამწუხაროდ ხელისუფლების მიერ წამოწყებული ეს სამარცხვინო კამპანია სახელს უტეხდა საქართველოს ეკლესიას, მის სასულიერო დასს, რომელნიც მორწმუნე მრევლის თვალში ხელისუფლების სურვილების უსიტყვო შემსრულებლებად იქცნენ.

დასკვნა

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1922 წლიდან კათალიკოზ ამბროსის საოკუპაციო ხელისუფლებისადმი შეურიგებლობის, მისი

ანტიქართული ქმედებების მხილების პოლიტიკა, 1924 წლიდან ეკლესიის წიაღში ხელისუფლებისაგან ინსპირირებული მოძრაობის წევრების საოკუპაციო რეჟიმთან თანამშრომლობის და ლოიალობის პოლიტიკით იცვლება, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 1927 წელს მეოთხე საეკლესიო კრებაზე და რომელმაც ხელისუფლების დაკვეთით ანტიდასავლური განცხადებებიც გააკეთა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Gazeti „komunisti“. (1930). 21 marti. Tbilisi. (გაზეთი „კომუნისტი“. (1930). 21 მარტი. თბილისი).

Vardosaidze, S. (2001). Saqartvelos martlmadidebeli samociqulo eklesia 1917-1952 wlebSi. Tbilisi. (ვარდოსანიძე, ს. (2001). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბილისი).

Saqartvelos sakatalikoso sinodis utskebata krebuli. (2007). Tbilisi. (საქართველოს საკათალიკოსო სინოდის უწყებათა კრებული (2007). თბილისი).

Talakvadze, N. (2013). Moqalaqe mgvdlis dgiurebidan. Tbilisi. (თალაკვაძე, ნ. (2013). მოქალაქე მღვდლის დღიურებიდან. თბილისი). pondi 284. Saqartvelos uakhlesi istoriis tsentraluri arqivi. Pondi 284. Saqme 283. (ფონდი 284. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 284. საქმე 283).

Sharadze, G. (2001). Qartuli jurnalistikis istoria. T.1. Tbilisi. (შარაძე, გ. (2001). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ.1. თბილისი)

Антизападные призывы Грузинской Православной церкви в 1924-1930 годах

Серго Вардосანიძე

Доктор исторических наук, профессор.

Профессор Тбилисской Духовной академии и семинарии

ORCID ID: 0000-0003-0579-5458

sergovar@gmail.com +995599575190

Резюме

В феврале 1921 года Грузия была завоевана большевистской Россией. Захватчики, с целью отвода глаз мировой общественности, создали на месте марионеточное правительство, отличающееся антигрузинской деятельностью. В 1921-1922 годах Грузия «добровольно» передала свои исторические территории Турции, Азербайджану, Армении, Российской федерации, внутри страны были созданы три автономные единицы в виде Абхазии, Аджарии и Южной Осетии. Грузинская Православная Апостольская Церковь была лишена юридического статуса, началась агрессивная пропаганда и практическое осуществление атеизма, что выражалось в

административном порядке – закрытии церквей и монастырей, гонении и притеснении духовных лиц и изъятии церковного имущества.

Против этих незаконных, варварских действий выступил Католикос-Патриарх Амвросий Хелая. В 1922 году он специальным письмом обратился в Международную Генуэзскую конференцию и потребовал вывод из Грузии оккупационных войск. Оккупационное правительство арестовало Католикоса Амвросия. Решено было расстрелять его, но энергичные действия Кентерберийского архиепископа спасли Патриарха от расстрела. Большевистское правительство, при помощи инспирированных ими духовных лиц, вскоре оказавшихся во главе церковного правления, начало антизападную пропаганду против Папы Римского и Англиканской церкви, которые призывали европейские страны строго потребовать ответ от Советского правительства по поводу развернувшихся в стране религиозных преследований. Еще в 1924 году, по подсказке правительства, временный управляющий Грузинской церкви, епископ Христофор выступил против грузинских эмигрантов, назвав их «авантюристами», а в 1930 году, уже как Католикос-Патриарх, специальным заявлением осудил антисоветскую критику Папы Римского и Англиканской церкви. Более того, заявил, что в Грузии защищена свобода совести, и правительство всегда учитывает позиции Церкви. К сожалению, это заявление имело более внешний характер и никак не отображало реального положения дел в Грузии. Оно ясно показывало тяжелое положение состояние нашего народа и Церкви и их повиновение оккупационному правительству.

Ключевые слова: Грузинская Православная Апостольская Церковь, Католикос-Патриарх Амвросий, Кентерберийский архиепископ, епископ Христофор, Пап Римский.

ეროვნული სიწმინდეების კვალდაკვალ

ქეთევან წამებული სიწმინდა ნაწილების მოძიების შესახებ

About searching holy relics of Ketevan the Martyr

Vazha Lordkipanidze

Academician of Georgian National Academy of Science,

Professor of I. Javakhishvili Tbilisi State University

ORCID ID 0000-0002-4111-3170

vazha.lordkipanidze@tsu.ge

+995 599 54 09 59

Abstract

Many generations of Georgians have been searching for the sacred relics of the Georgian queen, Ketevan the Martyr, for centuries. She was reportedly tortured on September 22, 1624, in the Iranian city of Shiraz by order of Shah Abbas I. There were numerous references to the martyrdom of the Queen and the location of her sacred parts in both Georgian and foreign historical and literary sources. Completely new, previously unknown sources for Georgia were published in the second half of the twentieth century. First of all, these are the works published by a prominent Portuguese scholar, Father Antonio da Silva Rego, as well as by Roberto Gulbeciani, a well-known Portuguese researcher, owner of Lisbon private archives. According to these works, the resting place of the Queen's sacred parts is the Temple of Agraca in Goa, India. Based on these data, prominent Georgian researcher, writer and public figure Rezo Tabukashvili started searching for Queen Ketevan's resting place. Unfortunately, due to a serious illness, he did not have time to finish this work. To continue his work, a scientific expedition was set up in February 2001, which traveled to Goa. The present paper is an attempt to present the extensive research and exploration work carried out by the expedition. The conclusions and versions concerning the resting place of the Queen's sacred parts are presented. Also, those new references concerning the history of the temple and the reasons for its demolition.

Key words: Ketevan the Martyr, holy relics, martyrdom death, resting place, reasons for torture, scientific expedition, search, A Graca templ, alter, capitulo, window.

ვაჟა ლორთქიფანიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ORCID ID 0000-0002-4111-3170

vazha.lordkipanidze@tsu.ge

+995 599 54 09 59

აბსტრაქტი

ქართველთა არაერთი თაობა საუკუნეების განმავლობაში ემებდა ქართველი დედოფლის, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებს. როგორც ცნობილია, იგი 1624 წლის 12 სექტემბერს შაჰ აბას I-ის ბრძანებით წამებით მოკლეს ირანის ქალაქ შირაზში. წმინდა დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილისა და მისი წმინდა ნაწილების ადგილსამყოფელის შესახებ არაერთი ცნობა არსებობდა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ისტორიულ, თუ ლიტერატურულ წყაროებში.

სრულიად ახალი, საქართველოში მანამდე უცნობი წყაროები გამოქვეყნდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. ზოგიერთი მათგანი ითარგმნა ქართულ ენაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს არის პორტუგალიელი მეცნიერის, მამა ანტონიო და სილვა რეგოსა და ასევე ცნობილი პორტუგალიელი მკვლევარის, ლისაბონის კერძო არქივების მფლობელის, რობერტო გულბეკიანის მიერ გამოქვეყნებული შრომები. აღნიშნული შრომების მიხედვით, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების განსასვენებელ ადგილად მითითებულია ინდოეთში, გოაში მდებარე და გრასას ტაძარი. ამ მოწამეობაზე დაყრდნობით, ქეთევან დედოფლის განსასვენებლის ძიებას შეუდგა გამოჩენილი ქართველი მკვლევარი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე რეზო თაბუკაშვილი. სამწუხაროდ, მძიმე ავადმყოფობის გამო მას არ დასცალდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. მისი საქმის გასაგრძელებლად, 2001 წლის თებერვალში შეიქმნა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც გოაში გაემგზავრა. წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა, თავმოყრილად წარმოადგინოს ექსპედიციის მიერ საკვლევი და სამიუზო სამუშაოები. წარმოდგენილია ის დასკვნები და ვერსიები, რომლებიც ეხება დედოფლის წმინდა ნაწილების განსასვენებელ ადგილს. ასევე, ის ახალი ცნობები, რომლებიც ეხება ტაძრის ისტორიას და მისი დანგრევის მიზეზებს.

საკვანძო სიტყვები: წმინდა ნაწილები, მოწამეობრივი სიკვდილი, განსასვენებელი, წამების მიზეზები, სამეცნიერო ექსპედიცია, ძიება, აგრასას ტაძარი, საკურთხეველი, კაპიტულო, სარკმელი.

1987 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა აკადემიკოს ე. მეტრეველის რედაქტორობით გამოსცეს ცნობილი პორტუგალიელი მკვლევარისა და ლისაბონის კერძო არქივების მფლობელის, რობერტო გულბეკიანის წიგნი „ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ“. წიგნი ფრანგულიდან თარგმნეს პროფ. ი. ტაბალუამ და ც. ბიბილეიშვილმა (გამოიცა თბილისში 1987 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ მანამდე მრავალ ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროშია მოთხრობილი, რ. გულბეკიანის ნაშრომი ბევრი სრულიად უცნობი წყაროსა და ცნობის შესახებ გვაუწყებს. რ. გულბეკიანი ეყრდნობა ევროპაში დაცულ მდიდარ დოკუმენტურ მასალას და უპირველეს ყოვლისა, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის, მამა ამბროზიო დუმ ანჟუმის მიერ დაწერილ შრომას – „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის სახელოვან მოწამეობრივ სიკვდილზე სპარსეთის სამეფოს მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს“. მამა ამბროზიო დუმ ანჟუმი იყო სწორედ ქეთევან დედოფლის წამების უშულო თვითმხილველი.

მამა ამბროზიო დუმ ანჟუმის ნამდვილი გვარია ჟუაო პინტო. იგი დაიბადა ლისაბონში, დაახლოებით 1591 წელს. 1611 წლიდან იყო წმ. ავგუსტინელ განდეგილთა კონგრეგაციაში. 1618 წლიდან, ის ცხრა წლის განმავლობაში ცხოვრობდა სპარსეთში. აქედან შვიდი წელი – შირაზში. (რ. გულბეკიანი-გვ.60) სწორედ მაშინ დაუახლოვდა იგი იქ პატიმრობაში მყოფ ქეთევან დედოფალს. მამა ამბროზიო თანაუგრძნობდა დედოფალთან ერთად მყოფ ქართველებს და ანუგეშებდა მათ. იგი თავყვანს სცემდა ქართველი დედოფლის მაღალ სულიერებას, ქრისტეს რწმენისადმი ერთგულებას, გაუტეხავ სიმტკიცესა და კეთილშობილებას. თავის მხრივ, ქართველი დედოფალიც ხშირად შეეწეოდა ხოლმე ავგუსტინელ მამასა და მის ეკლესიას. თავად პატიმრობაში მყოფი, რაც შეეძლო მფარველობდა მათ. 1628 წლიდან მამა ამბროზიო დუმ ანჟუმი 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში და აქ, გორში დააარსა კათოლიკური მონასტერი.

1630 წელს ის უკვე აქვეყნებს ხსენებულ წიგნს რომში. 1640 წელს, მან რომში წარადგინა მოხსენება საქართველოსა და სპარსეთში გაწეული სამუშაოს შესახებ. იგი აქტიურად ცდილობდა ქეთევან დედოფალი წმინდანად ელიარებინა რომის პაპს. მაგრამ, მან ვერ წარადგინა სათანადო დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ქეთევან დედოფალმა მართლმადიდებლობა დატოვა. საბოლოოდ, როგორც რ. გულბეკიანი წერს, „1640 წელს, რომში ყოფნის დროს, მამა მამა ამბროზიომ ბოლო მოუღო ექვებს და აშკარად აღიარა, რომ ქეთევანს ქართული ეკლესია არ მიუტოვებია“. მამა ამბროზიო დუმ ანჟუმი დაიღუპა 1642 წელს რომსა და

ლისაბონს შორის, გემის კატასტროფის დროს (რ. გულბეკიანის ნაშრომი, გვ. 24).

სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის წამებული დედოფლის სი-
დიადიტა და სიმტკიცით აღტაცებული, იგი განუწყვეტლივ ეძებდა
დედოფლის დაკრძალვის ადგილს და ორი თვისა და 13 დღის მძიმე
მარხვისა და ლოცვის შემდეგ, მიაგნო კიდეც მიწაში დაფლულ მის
ნაწილებს. საერო მორჩილ, ძმა პედრო დუმ სანტუმთან ერთად,
რომელიც მისი მსახური იყო, ქეთევანის წმინდა ნაწილები, რამდენიმე
ლამის განმავლობაში მალულად ამოაბრძანა და ჯერ ისპაჰანში
გადამალა, ხოლო შემდეგ, ისპაჰანში წმ. ავგუსტინელთა მონასტრის
წინამძღვრის, მამა მანოელ და მადრე დე დეუს ხელით, ის ინდოეთში,
გოაში გააგზავნა. (რ. გულბეკიანის ნაშრომი, გვ. 24). მამა მადრე დე დეუმ
წმინდა ნაწილები გოაში 1627 წელს ჩააბრძანა. იმავე წლის 14 ოქტომბერს,
ის რომში პიეტრო დელა ვალეს ატყობინებს, რომ „გოაში ჩამოვედი და
ჩვენი მონასტრისთვის ჩამოვიტანე მთელი ხელი ხორცითურთ“ (რ.
გულბეკიანის ნაშრომი, გვ. 10). ცნობილია, რომ პიეტრო დელა ვალე
1618-1622 წლებში იმყოფებოდა ისპაჰანსა და შირაზში, სადაც ძალზე
დაუახლოვდა იქ მცხოვრებ ქართველებს და პირადად გაეცნო ქეთევან
დედოფალს. მამა ამბროზიო დუმ ანჟუმის „ნამდვილი ცნობები“ ექვსი
თავისაგან შედგება:

თავი I. მიზეზი, რამაც ხსენებული დედოფალი სპარსეთის სამეფოში
ჩამოიყვანა;

თავი II. ტყვეობა, რომლის გამოც ქეთევან დედოფალმა რამდენიმე
წელი სპარსეთში გაატარა;

თავი III. უბრწყინვალესი დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილის
მიზეზის შესახებ;

თავი IV. ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი
სიკვდილი;

თავი V. საფლავი, რომელიც პირველად მიუჩინეს სახელოვანი
წამებულის ნეშტს და მისი გადასვენება ჩვენი წმ. მამის, ავგუსტინეს
მონასტერში.

თავი VI. სასჯელი, რომელიც ჩვენმა უფალმა დაადო შაჰ-აბასს
დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილისათვის.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, როგორც კი გამოჩნდა პრველი
ცნობები ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების გოაში შესაძლო
დაკრძალვის შესახებ, მათ კვლევას შეუდგა გამოჩენილი ქართველი
მწერალი და საზოგადო მოღვაწე რეზო თაბუკაშვილი. ჯერ კიდევ
გასული საუკუნის 80-იან წლებში, პირველად სწორედ მან შეძლო
ინდოეთში, გოაში ჩასვლა და წამებული დედოფლის წმინდა ნაწილების
მოძიების დაწყება. ურთულესი წინააღმდეგობების მიუხედავად, რეზო
თაბუკაშვილმა მოახერხა გოაში სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციის

ორგანიზება და გასამგზავრებლად თანხმობის მიღება, როგორც დელიდან – ინდოეთის მთავრობისგან, ასევე მოსკოვიდან – მაშინდელი საბჭოთა მთავრობისგან. სამწუხაროდ, მძიმე ავადმყოფობის გამო, მან ვერ შეძლო თავისი ბოლო ოცნების განხორციელება. სამაგიეროდ, ანდერძად დაგვიბარა ეს წმინდა საქმე აუცილებლად გაგვესრულებია. მის ვაჟთან, მწერალ ლაშა თაბუკაშვილთან ერთად თავი ვალდებული ვართ ჩავთვალოთ გვეცადა რეზო თაბუკაშვილის ანდერძის შესრულება.

მართლაც, 2001 წლის თებერვალსა და მარტში, ინდოეთში, გოაში განხორციელდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი დედოფლის წმინდა ნაწილების მოძიებას და მისი განსასვენებლის დადგენას. ექსპედიციის შექმნაში დიდად შეგვიწყო ხელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მისმა რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. ჩემი, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელისა და ლაშა თაბუკაშვილის გარდა, მის შემადგენლობაში შევიდა პრაქტიკულად ყველა ის ადამიანი, რომელიც სხვადასხვა დროს ეძიებდა წმინდა დედოფლის ნაკვალევს. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კურთხევით დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა თბილისის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის, ე.წ. ლურჯი მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი მამა დავით შარაშიძე, რომელიც მაშინ საპატრიარქოს პრესამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დიდი საკვლევი სამუშაო, რომელიც მან შესრულა ინდოეთისა თუ პორტუგალიის და ესპანეთის არქივებში, ასევე გოას სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში და რა თქმა უნდა, სასულიერო დაწესებულებებსა და მაღალ სასულიერო პირებთან თანამშრომლობით.

ჩემი თხოვნით და საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კურთხევით, საქმეში ჩაერთო ცნობილი მოღვაწე და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი. მან არა მარტო სრულად და უშურველად დააფინანსა მთელი ექსპედიცია, არამედ უშუალო მონაწილეობა მიიღო მის მომზადებასა და შემდგომ საქმიანობაშიც. ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სამი სხვადასხვა თაობის მამულიშვილები – მეცნიერები, ექსპერტები, რეზო თაბუკაშვილის თანამოაზრეები და მოწაფეები, 2001 წლის თებერვალში, ბადრი პატარკაციშვილის საკუთარი თვითმფრინავით, თბილისიდან ოთხსაათიანი ფრენის შემდეგ პირდაპირ გოაში ჩაფრინდა.

რა ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდა ექსპედიცია, რომელიც გოას გაემგზავრა?

უპირველეს ყოვლისა, ექსპედიცია, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქართველი, პორტუგალიელი, ინდოელი, ესპანელი თუ სხვა ქვეყნის მეცნიერი, ეყრდნობოდა ამ ამბებთან დაკავშირებულ ლისაბონის ტორე დე ტომბოს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერ ორ საბუთს.

პირველი მათგანის სათაურია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მოწამეობრივ სიკვდილზე სპარსეთის სამეფოს მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს აღწერილი შირაზის წმინდა ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერის, მამა, მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუმის მიერ“.

მეორე საბუთია – „მამა, მორჩილი ამბროზიო დუშ ანჟუმის მიერ საქართველოდან 1628 წლის 29 ივნისს გაგზავნილი წერილის“ ასლი. ორივე საბუთი 1630 წელს გამოქვეყნდა. საბუთები 1956 წელს ხელახლა გამოაქვეყნა ცნობილმა მეცნიერმა მამა ანტონიო და სილვა რეგომ.

ამ ცნობებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია და ამის გამო, ის ფრანგულ ენაზე თარგმნა და მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გამოსცა ცნობილმა პორტუგალიელმა მკვლევარმა და მოღვაწემ, პროფესორმა რობერტო გულბეკიანმა.

ქეთევან დედოფლის წამების, მისი წმინდა ნაწილების გოაში წასვენებისა და დაკრძალვის თვითმხილველთა მიერ აღწერილ მოვლენებს, რა თქმა უნდა, უდიდესი დოკუმენტური და სარწმუნო მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, რომ აღნიშნული ცნობების ყოველი ფურცელი ხელმოწერილია იტალიელი რაინდის ხუან ანტონიო ანტიკის მიერ, რომელიც იმ პეროდში გოას საეპისკოპოსო კანცელარიის ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებდა.

ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მამა ამბროზიო დუშ ანჟუმმა 1640 წელს რომში, ვატიკანს წარუდგინა თავისი ოცდაორწლიანი სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის მოგვითხრობს ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილისა და მისი წმინდა ნაწილების გოაში დაკრძალვის შესახებ. ეს მოხსენებითი ბარათი 1910 წელს იტალიაში ფრანგულად გამოაქვეყნა მიხეილ თამარატმა (თამარაშვილმა). 1937 წელს ის ფრანგულად გამოაქვეყნა ნ. სალიამაც, ხოლო 1956 წელს ცნობილმა ინგლისელმა პროფესორმა დევიდ ლენგმა ინგლისურ ენაზე გააცნო მკითხველს.

1720-1723 წლებში, მამა ფრანჩესკო და ფურიფიკასანომ გოაში შეადგინა ქრონიკა, რომელშიც აღწერილია და გრასას მონასტრის სამარხები გოაში. ამ აღწერით, 1627 წელს გოაში ჩატანილი წმინდა ნაწილები დაცული და თავყვანისცემული იყო აგრასას ეკლესიაში. შავი ქვის კუბოში მოთავსებული წმინდა ნაწილები საკურთხეველის მარჯვენა მხარეს, კაპიტელის მეორე ფანჯარაში ინახება იქ, სადაც ბერებს კრძალავენ. ნიშას ასეთი წარწერა აქვს: „ძვლები ღვთის მსახურებისა: მამა მორჩილი ძმის, გილერმ დე სანტო აგოშტინო განდევილისა და ქეთევან დედოფლისა, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენს უფალს იესო ქრისტეს, აგრეთვე ძვლები პორტუგალიის პროვინციის შვილის, იერონიმო და კრუზასი“ (რ. გულბეკიანის ნაშრომი, გვ. 24, 25).

XVIII საუკუნის მეორე ათწლეულის ავგუსტინელთა ორდენის მემკვიდრეები ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების შესახებ აღნიშნავენ, რომ „ახლა ისინი შავ კუბოშია მოთავსებული ჩვენი უფლის და გრასას მონასტრის კაპიტულოში“ (იხ. Faustino Da Graça, Campo do Ermo et “Bravilégio de Notícias”).

მამა მანოელ დე ავე მარია, გოას ავგუსტინელთა პროვინციის ვიკარიუსი ადასტურებს, რომ ეს აკლდამა 1813 წლის თებერვალში იხილა (რ. გულბეკიანის ნაშრომი, გვ. 25).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უტყუარი საბუთი ჩვენმა ექსპედიციამ, ისევე, როგორც ადრე ეს გააკეთა რეზო თაბუკაშვილმა, სავსებით სარწმუნოდ და საკმარისად ჩათვალა იმისათვის, რომ წმინდა ნაწილების ძებნა სწორედ გოას ა გრასას ტაძარში დაეწყო.

აღსანიშნავია ის დიდი დახმარება, რომელიც ექსპედიციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით გაუწია ინდოეთის მთავრობამ, მისმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ და განსაკუთრებით, საქართველოს საპატიო კონსულმა ინდოეთში ბატონმა კულდიფსინგჰინგრამ. განსაკუთრებული იყო ამ საქმეში საქართველოს საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის – ირაკლი მენაღარიშვილისა და ინდოეთის საგარეო საქმეთა მაშინდელი მინისტრის – ჯავანაჰათ სინგჰის დამსახურება.

ექსპედიციამ 25 დღის განმავლობაში დიდი სამიუზო საკვლევი სამუშაოები ჩაატარა თავის ინდოელ კოლეგებთან ერთად. მოძიებული იქნა ექსპედიციისათვის უცნობი ახალი წყაროები ლისაბონის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივებში, ბომბეის, მადრიდის სათანადო არქივებში, გოას ისტორიული კვლევის ჰავიერ ცენტრში, მის ბიბლიოთეკასა და არქივებში.

ექსპედიციამ ფასდაუდებელი ინფორმაცია მიიღო ანტონიო დე სილვა რეგოს მიერ პორტუგალიურ ენაზე გამოცემული ინდოეთის ტაძრების აღწერის დედნის გაცნობით. მას დეტალურად აქვს აღწერილი ავგუსტინელთა ორდენის გოაში მოთავსებული მონასტრები დი მათ შორის, და გრასას ტაძარი. ასევე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ექსპედიციის მიერ მოპოვებული ძველი გოას რუკები, ინდოეთში გამოცემული ინგლისურენოვანი წიგნები, რომლებშიც აღწერილია მე-19 საუკუნეში და გრასას ტაძრის ისტორიის შესახებ და ა.შ.

ექსპედიციას, მისი მუშაობისას, ფართო თანამშრომლობა და უდიდესი დახმარება გაუწიეს: პროფესორმა რობერტო გულბეკიანმა (ლისაბონი), მამა ჯონ ქორეა აფონსომ (ბომბეი), პროფესორმა ლუი ფილიპ ტომასმა (ლისაბონი), დოქტორმა ზავენ ენგოიანმა (ლისაბონი, გულბეკიანის ფონდის დირექტორი).

აქტიური თანამშრომლობისა და ძიებაში უშუალო მონაწილეობისათვის განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებენ დოქტორი შიროტ

კარი (გოა), დოქტორი პერსიველ დე ნორონია (გოა), არქიეპისკოპოსი რაულ გონსალესი (გოა), მამა სოუზა (გოა), მამა ლოიოლა პერეირა (გოა), მამა ლაგრანჟი (გოა), დოქტორი კაეჯატან კოელჰო (გოა), მარია სოუზა, ჰავიერ ცენტრის ბიბლიოთეკის გამგე (გოა), ინდოეთის არქეოლოგიური ცენტრის დირექტორი დოქტორი, ქალბატონი ქომელდ ანანი, ინდოეთის არქეოლოგიური ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე დოქტორი მათური, არქეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი გოაში, დოქტორი რაო და მისი მოადგილე დოქტორი ნიზამედინ ტაჰერი. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ინდოეთის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, მაჰარაჯა ამარეინდერ სინგჰი, რომელმაც საქართველოში ინდოეთის საპატიოკონსულთან, კულდიფსინგ დინგრასთან ერთად, პრაქტიკულად პატრონაჟი გაუწია ჩვენს ექსპედიციას.

აღნიშნულ პირებთან კონსულტაციებითა და თანამშრომლობით, ზემოთ აღწერილი და ახლადმოპოვებული წყაროების ანალიზის ურთიერთშეჯერებით, ექსპედიციამ ზუსტად დაადგინა ეკლესიის შიდა აღწერილობა და საკურთხევლების ზუსტი განლაგება, მათში სარკმელების რაოდენობა და განლაგება. ექსპედიციამ თავის ინდოელ და პორტუგალიელ კოლეგებთან ერთად, მოკვლეულ არგუმენტებზე დაყრდნობით, უტყუარად და დადასტურებულად ჩათვალა, რომ 1627 წლიდან გოაში, აგრასას ტაძრის მოქმედებამდე – 1835 წლამდე (როგორც ექსპედიციამ დადგინა, ამ წელს პორტუგალიის დედოფლის – დონა მარია II-ის მიერ 1834 წელს გამოცემული დეკრეტის შესაბამისად, აგრასას მონასტერმა გოაში საბოლოოდ შეწყვიტა თავისი მოქმედება), ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დაკრძალული იყო აგრასას ტაძრის კომპლექსის ეკლესიაში, მთავარ საკურთხეველში, საკურთხეველისკენ პირით მდგომთათვის მარჯვენა მხარეს (ეპისტოლარულ მხარეს), მეორე სარკმელში მოწყობილ სპეციალურ აკლდამაში (იმას, რომ სწორედ იქ განისვენებდა კუბო წმინდა ნაწილებით, ადასტურებს სარკმლის შემორჩენილი ფორმაც).

აღნიშნულ პირებთან კონსულტაციებითა და თანამშრომლობით, ექსპედიციამ მოიპოვა და გააანალიზა ახალი წყაროები და ცნობები. უსათუოდ უნდა ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი. უპირველესად უნდა დავასახელოთ სილვა რეგოს ხსენებული ნაშრომი, რომლის დედანში წაკითხვამაც ახალი ინფორმაცია მოგვცა და ამავე დროს, გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სიტყვა დედანში სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი. კერძოდ, დედანში იკითხება ფანჯარა (სარკმელი) და არა ნიშა. ასევე კაპიტელის, ტაძრის არქიტექტურული ნაწილის ნაცვლად იკითხება – კაპიტულო, რაც საღვთისმსახუროდ შესაკრებ ადგილს ნიშნავს. როგორც აღვნიშნეთ, სილვა რეგომ თავის ნაშრომში აღწერა ავგუსტინელთა ორდენის გოაში მოთავსებული მონასტრები და მათ შორის დეტალურად აღწერა აგრასას

ტადარი. სწორედ ამ აღწერიდან ჩანს, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები დაკრძალული იყო ა გრასას მონასტრის მთავარ ეკლესიაში. ის დაკრძალული იყო მეორე ფანჯარაში (სარკმელში) და არა ნიშაში. მის ნაშრომში, ასევე მოცემულია, რომ ეს ფანჯარა მოთავსებული იყო ეპისტოლარულ მხარეს (თარგმნილ ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ მოთავსებული იყო მარცხენა მხარეს). კათოლიკური ეკლესიის უზუცესი მღვდლის, მამა ლანგრაჟის დახმარებით ჩვენ შევძელით დაგვედგინა, თუ ზუსტად რომელი მხარე იგულისხმებოდა მარცხენად, რადგან თუ საკურთხევლისაკენ დავდგებით, მარცხენა მხარე მარჯვენად იქცევა. თუ სახით საკურთხევლიდან დავდგებით – პირიქით.

კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურების რეფორმაციამდე არსებული ტრადიციით, საკურთხეველს ჰქონდა ორი მხარე: ევანგელური, ანუ სადაც იდო და იკითხებოდა ევანგელია და ეპისტოლარული, ანუ სადაც იდო და იკითხებოდა ქრისტეს მოციქულთა ეპისტოლეები. ტრადიციულად, ევანგელური მხარე იყო საკურთხევლისაკენ სახით მდგომი მლოცველი მღვდლის მარცხენა მხარე, ხოლო მარჯვენა მხარე კი ეპისტოლარულად იწოდებოდა. ამით საბოლოოდ დადგინდა რომელი მხარე იგულისხმებოდა მარჯვენად ადრე მოძიებულ დოკუმენტებში. ამის დადგენა, თითქოს ძალზე მარტივი ჩანდა, მაგრამ განსხვავებული კონფესიების, სხვადასხვა პერიოდის ტრადიციების გათვალისწინებით, საკურთხევლის მარჯვენა მხარის ზუსტად დადგენა არც ისე მარტივი აღმოჩნდა.

სილვა დე რეგოს ნაშრომის მიხედვით, ჩვენ დავადგინეთ, რომ იმ მთავარ საკურთხეველს, რომელშიც დაკრძალული იყო წმინდა ნაწილები, ჰქონდა სამ-სამი ფანჯარა (სარკმელი) ევანგელურ და ეპისტოლარულ მხარეს. ფანჯარათა სწორედ ეს რაოდენობა და განლაგება აღმოჩნდა მხოლოდ მთავარი ეკლესიის მთავარ საკურთხეველში. ფანჯარათა ასეთი განლაგება და რაოდენობა არ აღმოჩნდა სამონასტრო კომპლექსის არცერთ ნაგებობაში (მათ შორის, არც იმაში, რომელიც დაკრძალვის ადგილად შემდეგში მიიჩნია ინდოელმა არქეოლოგმა ნიზამედინ ტაჰერმა. ის ადგილი ჩვენმა ექსპედიციამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც გათხარა, მაგრამ მაშინ წმინდა ნაწილების კვალს ვერც წარწერიან ქვის კუბოში და ვერც ცალკე, ვერ მიაკვლია).

რობერტო გულბეკიანის ნაშრომის დედნის პორტუგალიურ ენაზე გაცნობითაც დადგინდა, რომ გულბეკიანს თავის წიგნში წმინდა ნაწილების დაკრძალვის ადგილად აღნიშნული აქვს არა ნიშა, როგორც ეს ჩვენთვის ადრე იყო ცნობილი, არამედ – ფანჯარა, (სარკმელი).

სილვა რეგოს აღწერილი აქვს მხოლოდ მთავარი საკურთხეველი და არა სამონასტრო კომპლექსის სხვა ადგილები (კომპლექსის მთლიანი ტერიტორია დაახლოებით 18 ჰექტარს, ხოლო მთავარი ტაძრის – 1,5 ჰექტარს შეადგენს). ამან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სხვა ადგილებში რელიგიური პირები არ უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულები: მართლაც,

ჩვენს მიერ სამონასტრო კომპლექსის სხვა ნაწილების შესწავლისას ვერ აღმოვაჩინეთ რელიგიურ პირთა ვერცერთი სამარხი (რ. გულბეკიანის წიგნში მოცემულია, რომ წმინდა ნაწილები მოთავსებულია იქ, სადაც იკრძალებოდნენ ბერები). ამან განგვიმტკიცა აზრი, რომ წმინდა ნაწილების დაკრძალვის ერთადერთი ადგილი მხოლოდ მთავარი საკურთხეველი შეიძლებოდა ყოფილიყო. ექსპედიციამ მიაკვლია ძველი გოას რუკას, რომელზეც მკაფიოდ არის აღნიშნული ავგუსტინელთა მონასტრის მთავარი საღვთისმსახურო ნაწილი. სწორედ ამ რუკის წაკითხვამ ცხადყო, რომ ღვთისმსახურება მიმდინარეობდა მხოლოდ მთავარ ეკლესიაში და აქედან გამომდინარე, წმინდანთა ნაწილებიც მხოლოდ აქ შეიძლებოდა დაეკრძალათ.

ცნობილი პორტუგალიელი პროფესორი, ლუი ფილიპ ტომასიც გვიდასტურებდა, რომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები სწორედ მთავარ საკურთხეველში იყო მოთავსებული.

ჩვენს ამ მოსაზრებას ამყარებდა ისიც, რომ ქეთევან დედოფალთან ერთად დაკრძალულნი იყვნენ გილერმ დესანტო აგუშტინო და იერონიმო და კრუზა. ვინ იყვნენ ისინი და რატომ იყვნენ ისინი დაკრძალულები წმინდა ქეთევანთან ერთად?

გილერმ დე სანტო აგუშტინო იყო პორტუგალიელი ბერი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა გოასა და სპარსეთში. მან 1610 წელს სომხეთში მოიპოვა წმინდა რიფსიმეს რელიკვიები და საიდუმლოდ ჩაიტანა ისპაჰანში. მამა გილერმ დე სანტო აგუშტინო იმავე 1610 წელს, ან უფრო ადრე, საქართველოშიც იმყოფებოდა და შეხვდა ქეთევან დედოფლის ვაჟს, თეიმურაზ I-ს. იგი მოწამეობრივად აღესრულა სომხეთში. წამების ადგილიდან იგი წამოასვენა მამა პედრო დუშ სანტუმმა. დაიკრძალა ჯერ ისპაჰანში, შემდეგ კი გადაასვენეს გოაში და გრასას ტაძარში.

მამა იერონიმო და კრუზა გარდაიცვალა 1608 წელს ორმუზში. მისი წმინდა ნაწილები ჯერ ამ ეკლესიის მთავარ საკურთხეველში იყო შენახული, შემდეგ კი, 1642 წელსა და 1666 წლებს შორის – გოაში, აგრასას ტაძარში გადაასვენეს (გულბეკიანი, 1987: 58)

ორივე სასულიერო მოღვაწის წმინდა ნაწილები, როგორც უმნიშვნელოვანესი რელიკვიები, მხოლოდ მთავარ საკურთხეველში შეიძლებოდა ყოფილიყო დაკრძალული. ამასთან, ისინი ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებთან ერთად შეიძლებოდა მხოლოდ კედელში ყოფილიყვნენ დაკრძალული და არა მიწაში, რადგან სამ წმინდანს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ერთი საფლავი მიწაში და მითუმეტეს მასზე ერთი საერთო წარწერა ყოფილიყო.

მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ისიც, რომ წყაროებში მითითებული მთავარი ეკლესიის საკურთხეველის მარჯვენა მხარეს, მარჯვენა ფანჯრის

(სარკმლის) ფორმა იმგვარად იყო გამოჭრილი, რომ აშკარად ჩანდა იქ დასვენებული კუბოს ნაკვალევი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა არგუმენტი ექსპედიციამ სარწმუნოდ ჩათვალა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ არცერთი არგუმენტი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა და ერთმანეთს მხოლოდ ავსებდა.

აქედან გამომდინარე, ექსპედიციამ დაასკვნა, რომ წმინდა ქეთევანის წმინდა ნაწილების განსასვენებელი ადგილი გოას ა გრასას ტაძარში, მთავარ ეკლესიაში მიკვლეულად და დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ საქართველოს ექსპედიციის ეს მოსაზრებები სრულად გაიზიარეს ინდოელმა და პორტუგალიელმა კოლეგებმა. უაღრესად მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, რომ თვით რობერტო გულბეკიანიც, რომელთანაც ექსპედიციის წევრებმა სისტემატური კონტაქტი დავამყარეთ, დაეთანხმა ჩვენს დასკვნებს და აღნიშნა, რომ უფრო ახალი ან უფრო დამაჯერებელი წყაროები, ვიდრე ისინი რომლებიც ჩვენ ერთობლივად მოვიძიეთ, ჯერჯერობით არ არსებობს.

ექსპედიციამ დაადგინა ისიც, რომ მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში მიტოვებული და გრასას ტაძრის კომპლექსი თანდათან ინგრეოდა, ხოლო დაახლოებით 80-90 წლით ადრე მთლიანად ჩამოინგრა ეკლესიისა და მისი მთავარი საკურთხეველის ჭერი. ნანგრევების ფენა სავარაუდოდ, 20-25 მეტრის სიმაღლის იყო. მათი გაწმენდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, რეზო თაბუკაშვილის უშუალო ჩარევისა და ძალისხმევის შედეგად დაიწყო და ჩვენი ექსპედიციის ჩასვლამდე მხოლოდ რამდენიმე წლით ადრე დასრულდა. საბედნიეროდ, ჩვენს მიერ ნახსენები ის სარკმელი, რომელშიც მოთავსებული იყო კუბო წმინდა ნაწილებით, ნაწილობრივ გადარჩა, მაგრამ სამწუხაროდ, კუბოს პოვნა უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ექსპედიციის აზრით, 25 მეტრის სიმაღლის ჭერისა და კედლების ჩამონგრევამ ისინი წვრილ ნამსხვრევებად აქცია. თუ ამას დავუმატებთ ყოველწლიურ ე.წ. მუსონურ წვიმებს, რომლებიც ინდოეთში რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება, დასაშვებია, რომ წმინდა ნაწილები მიწასა და ნანგრევებს შეერია. აღწერილი სარკმლის ძირიდან, ე.ი. იქიდან, სადაც სავარაუდოდ კუბო წმინდა ნაწილებით, სულ ცოტა – სამნახევარი საუკუნე იყო მოთავსებული, ამოღებული მიწა, როგორც წმინდა რელიქვია, ექსპედიციამ მიტროპოლიტ დანიელის რჩევითა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით, თბილისში ჩამოასვენა და ის სიონის საკათედრო ტაძარში მიაბრძანა. ამ დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა სიონის ტაძარში საგანგებო პარაკლისი გადაიხადა.

ექსპედიციამ და საქართველოს მთავრობამ, ინდოეთის მთავრობას თხოვნით მიმართეს, გოაში ა გრასას ტაძარში, იმ ადგილას, სადაც

დადგინდა, რომ დაკრძალული იყო ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები, მოთავსდეს სპეციალური მემორიალური დაფა. თანხმობის მიღების შემდეგ, ინდოელ კოლეგებთან შეთანხმებული ქართული და ინგლისური ტექსტებით, შავი მარმარილოს მემორიალური დაფა ექსპედიციის წევრებმა გოაში ყოფნის ბოლო დღეებში დაამზადებინეს და იქვე აღმართეს, ნიშნად წამებული დედოფლის წმინდა სახელისადმი მოწიწებისა და ქართველთა და ინდოელთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა.

მოგვყავს წარწერის ზუსტი ქართული ტექსტი:

1627 წელს გოაში, და გრასას ტაძარში, აქ, ამ ადგილას დაასვენეს ჩვენი უფლის, იესო ქრისტესათვის მოწამეობრივად აღსრულებული ქართველი დედოფლის ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები.

ქართველი დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილის თვითმხილველმა, მამა ამბროზიო დუმ ანჟუმმა და სხვა ღირსეულმა პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მამებმა, უდიდესი თავგანწირვის ფასად დაიხსნეს წამებულის ნეშტი და სპარსეთიდან გოაში ჩამოასვენეს.

ქართველი ერი ქედს იხრის და თაყვანს მიაგებს თავის წამებულ დედოფალს.

ექსპედიციამ დაადგინა ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც: რა იყო მიზეზი ასეთი დიდი მონასტრის დანგრევისა და გაპარტახების. ჩვენამდე იყო მოსაზრება, რომ ტაძრის დანგრევის მიზეზი იყო აფეთქება, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა. ექსპედიციამ კი დაადგინა, რომ ნამდვილი მიზეზი სხვა რამ იყო, ის უკავშირდება ტაძრის მოქმედების ოფიციალურად შეწყვეტას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1835 წელს პორტუგალიის დედოფლის, დონა მარია II-ის მიერ 1834 წლის 31 მაისს გამოიცა დეკრეტი, ე.წ. „მღვდელთა მკვლელობის დეკრეტი“. ამ დეკრეტის მიხედვით, მონასტერში მყოფი ავგუსტინელი მღვდლები ამხილეს სხვადასხვა დანაშაულში და მათ შორის კორუფციაში. ამიტომ ისინი აიძულეს სასწრაფოდ დაეტოვებინათ მონასტრის ტერიტორია. ისინი ისე სასწრაფოდ გააძევეს მონასტრიდან, რომ თან ვერაფრის წაღება მოასწრეს და ამის უფლება მათ არც მისცეს. ტაძარმა ფუნქციონირება შეწყვიტა და ის პორტუგალიის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. სამწუხაროდ, შემდეგში ტაძარი მოუვლელობისა და უფუნქციოების გამო გაპარტახდა და პრაქტიკულად უპატრონოდ მიტოვებული ტაძრიდან ათწლეულების მანძილზე გაჰქონდათ ტაძრის სამშენებლო მასალა. ამდენად, სარწმუნოდ ჩანს, რომ ნგრევა გამოწვეული იყო მოუვლელობით, სამშენებლო მასალების მასობრივი დატაცებით და მარცვით.

ტაძრის დანგრევის მიზეზების დადგენამ შესაძლებლობა მოგვცა უარგვეყო დედოფლის წმინდა ნაწილების გაქრობის კიდევ ერთი ვერსია – კერძოდ, ვერსია იმის შესახებ, რომ ისინი შეეძლოთ გაეტანათ და თან წაეღოთ ავგუსტინელ ბერებს. ეს გამორიცხულად ჩანს, რადგან ბერები,

როგორც დამნაშავენი, ისე სასწრაფოდ გაყარეს, რომ მათ არაფრის წაღების შესაძლებლობას არ მისცემდნენ.

ინდოეთიდან დაბრუნებისთანავე, ექსპედიციის წევრებმა კვლევის შედეგები მოახსენეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს და მისგან მიიღეს კურთხევა, ძიება კვლავ გაგრძელებულიყო.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ბატონი როინ მეტრეველის თხოვნით, ექსპედიციის წევრები საჯარო ანგარიშით წარსდგნენ უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომის წინაშე. ძირითადი მოხსენების გაკეთება, როგორც თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრსა და ექსპედიციის ხელმძღვანელს, მე მომიწია.

ექსპედიციის წევრებს მრავალი საჯარო გამოსვლა ჰქონდათ აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხზე. ექსპედიციის მუშაობის შედეგები ფართოდ გაშუქდა ქვეყნის ბეჭდურ მედიაშიც. მნიშვნელოვანია, რომ ექსპედიციის წევრებმა ექსპედიციის საქმიანობის შესახებ შექმნეს ორი ფილმი. ერთის – დოკუმენტური ფილმის – ავტორები არიან ექსპედიციის წევრები, რეჟისორი ირაკლი ტრიპოლსკი, რეჟისორი ირაკლი პაპავა და ოპერატორი ლერი მიხანაშვილი. მეორე, მხტვრულ-დოკუმენტური ფილმის ავტორია ექსპედიციის წევრი, რეჟისორი გიო მგელაძე. ორივე ფილმის პრემიერა საჯაროდ შედგა და მას ესწრებოდნენ ჩვენი ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. სასიხარულოა, რომ ორივე ფილმის დემონსტრირება დღესაც არც თუ იშვიათად ხდება ტელევიზიის სხვადასხვა არხით.

ექსპედიციის წევრებმა, სხვა ქართველმა მამულიშვილებმა, როგორც საერო, ასევე საეკლესიო მოღვაწეებმა, უწმინდესის ლოცვა-კურთხევით შემდგომშიც გააგრძელეს ქეთევან დედოფლის ჯერ კიდევ მიუკვლეველი წმინდა ნაწილების ძიება. ამ ძიებაში კვლავ დიდი მონდომებით არიან ჩართულნი წმინდა დედოფლის გმირობით მოხიბლული და ანთებული ჩვენი უცხოელი კოლეგებიც. კვლავ დიდი ენთუზიაზმით გააგრძელა გოაში კვლევა ადგილობრივი არქიტექტურული სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელის მოადგილემ, დოქტორმა ნიხამედინ ტაჰერმა, რომელმაც ექსპედიციის წევრებისაგან შეიტყო წმინდა დედოფლის მოწამეობრივი ცხოვრებისა და აღსასრულის შესახებ და ამით აღფრთოვანებულმა ექსპედიციის წევრებთან უშურველად ითანამშრომლა და უდიდესი დახმარებაც გაგვიწია. გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბატონმა ტაჰერმა 2006 წელს შეგვატყობინა ამბავი ქალის მკლავის ნაწილის პოვნის შესახებ და გრასას ტაძრის კომპლექსის არა მთავარი საკურთხეველის ტერიტორიაზე, არამედ, მის სხვა ნაწილში ეს კომპლექსის ის ნაწილია, რომელშიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამსამი სარკმელი საკურთხეველის მარცხენა და მარჯვენა მხარეს, როგორც

ეს ყველა ძირითად წყროშია აღნიშნული, საერთოდ არ აღმოჩნდა). მოსაზრება, რომ წმინდა ნაწილები სწორედ იქ შეიძლება ყოფილიყო დაკრძალული, ბატონმა ტაჭერმა გოაშიც გაგვიზიარა. ყოველი შემთხვევისთვის, ჩვენ მაშინვე შევამოწმეთ ეს ვერსიაც. სამწუხაროდ, ამ ადგილების საგულდაგულოდ გათხრის შემდეგაც ვერაფერს მივაგენით. ბატონი ტაჭერის მიერ ქალის მკლავის ნაწილის აღმოჩენის შეტყობინების შემდეგ მამა დავით შარაშიძემ და მე, კურთხევა ვთხოვეთ პატრიარქს, რომ უფლება გვქონოდა ნაპოვნი ნაწილი, როგორც წმინდანის შესაძლო ნაწილი დნმ-ის ექსპერტიზაზე გაგვეზავნა. პატრიარქისგან ნებართვის მიღების შემდეგ, მე და მამა გიორგი რაზმაძემ, რომელმაც ასევე დიდი შრომა გასწია ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების მოსაძიებლად (ჩვენი ექსპედიციის შემდეგ ის არაერთხელ გაემგზავრა გოაში), ერთობლივი წერილით მივმართეთ რამდენიმე სპეციალურ საკვლევ ლაბორატორიას გერმანიასა და შვეიცარიაში და თან დავურთეთ ქეთევან დედოფლის შთამომავლობის გენეალოგიური ხე. სამწუხაროდ, ყოველი მათგანიდან ერთნაირი პასუხი მივიღეთ, რომ ამ მონაცემებით, იმის დადგენა – ემთხვევა თუ არა დედოფლის დნმ მისი დღევანდელი შთამომავლის დნმ-ს, – შეუძლებელია. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედარება მოხდება მხოლოდ დედოფლის მდედრობითი სქესის ხაზით შთამომავლების დნმ-თან. ამის დადგენა კი დღეს ჩვენი მხრიდან შეუძლებელი იყო და არის.

ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მართალია, გოაში განსვენებული ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები ჯერ ვერ იქნა მიკვლეული, მაგრამ უფალს მრავალი უფრო დიდი სასწაულიც მოუხდენია, მრავალჯერ მომხდარა, რომ წმინდა ნაწილების მანამდე უცნობი განსასვენებელი, საუკუნეების შემდეგ გაცხადებულა. ჩვენ დავიტოვეთ იმედი, რომ თუ შევიქნებით ღირსი ამისა, ქართველ ერს უფლისგან მიეცემა ამ საიდუმლოს შეტყობის შესაძლებლობა. ღმერთმა ინებოს, რომ დოქტორ ტაჭერის ვერსიითა და ძალისხმევით შესრულებული მიგნება, ღმერთის სწორედ ის დიდი სასწაული იყოს.

რობერტო გულბეკიანი თავის წიგნში წერს, რომ „საჭიროა სათანადო ადგილი მივუჩინოთ საკითხს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების გაფანტვისა და ლოკალიზაციის შესახებ“. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევხვოთ საკითხს იმის შესახებაც, გოას გარდა თუ სად შეიძლება იმყოფებოდეს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები

ცნობილია, რომ არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ წმინდა ნაწილები შეიძლება ინახებოდეს ბელგიის ქალაქ ნამიურში. ეს ვერსია შესაძლოა მომდინარეობდეს რობერტო გულბეკიანის მიერ ნახსენები ცნობიდან. იგი აღნიშნავს, რომ წერილს, რომელსაც პიეტრო დელა ვალეს გოადან უგზავნის მამა მანუელ და მადრე დეუსი, და რომელიც ვატიკანის არქივში ინახება, ახლავს თავად პიეტრო დელა ვალეს მინაწერი.

მინაწერში იგი ადასტურებს, რომ მამა დონ პიეტრო ავიტაბილესაგან მიიღო ქეთევან დედოფლის ზოგიერთი წმინდა ნაწილი. იყო ცნობები, რომ შემდეგში ეს წმინდა ნაწილი მოხვდა ქალაქ ნამიურის ერთ-ერთ ტაძარში. 1900-იან წლებში ცნობა ამის შესახებ ქართულ პრესაშიც გამოჩნდა. ერთ-ერთ გაზეთში მაშინ გამოქვეყნებულ ფოტოზე ის ტაძარიც კი იყო მითითებული, სადაც თითქოს ის იყო დაკრძალული. ამ ცნობების კვალს გაჰყვნენ ჩვენი თანამემამულეები, ცნობილი მოღვაწეები ნინო და კალისტრატე სალიები. სამწუხაროდ, წმინდა ნაწილების მოკვლევა მათთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. აღნიშნული ვერსიის შესამოწმებლად ბევრი იღვაწა დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა, მეუფე აბრაამმა. სამწუხაროდ, მანაც კვალს ვერსად მიაკვლია. წმინდა ნაწილის მიგნება ნამიურში, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ვერ შევძელით ვერც მე და ვერც ზურაბ აბაშიძემ – საქართველოს მაშინდელმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბენელუქსის ქვეყნებში, ნატოსა და ევროკავშირში.

ცნობილია იმის შესახებაც, რომ პორტუგალიელმა ავგუსტინელმა ბერებმა ქეთევან დედოფლის ზოგიერთი წმინდა ნაწილი გოადან ჩამოასვენეს და გადასცეს მის ვაჟს, თეიმურაზ მეფეს. ისინი დიდი პატივით ალავერდის ტაძარში იქნენ დაბრძანებული. სამწუხაროდ, დაახლოებით 100 წლის შემდეგ, მტრის შემოსევით გამოწვეული საშიშროების გამო, ისინი ალავერდიდან წამოასვენეს. მაგრამ სამწუხაროდ, ცხენმა, რომელსაც წმინდა ნაწილები მოჰქონდა, ანანურთან, მდინარის გადასვლის დროს წაიფორხილა და წმინდა ნაწილები არაგვის წყალმა გაიტაცა.

ქეთევან დედოფლის ზოგიერთი წმინდა ნაწილი რუსეთშიც უნდა ყოფილიყო გაგზავნილი. ჩვენი ვარაუდით, ის, როგორც დიდი სიწმინდე, რუსეთის მაშინდელ დიდ მთავარს, დიმიტრის, თეიმურაზ მეფემ გაუგზავნა. ამ ვერსიის დაშვების შესაძლებლობას გვაფიქრებინებს მამა ამბროზიო დუმ ანჟუმის წიგნში მონათხრობი იმის შესახებ, რომ თეიმურაზ მეფის თხოვნით, დიდი მთავარი დიმიტრი ცდილობდა დედოფლის დახსნას ტყვეობიდან. მან ასეთი კატეგორიული თხოვნით ირანის შაჰს, აბას I-საც მიმართა და მას ელჩი გაუგზავნა თხოვნით – გაეთავისუფლებინა დედოფალი და ელჩთან ერთად მოსკოვში გაეგზავნა (რ.გულბეკიანი-გვ.35,36).

მის უწმინდესობას, საქართველოს პატრიარქს, ილია II-ს, არაერთხელ უბრძანებია, რომ მას კარგად ახსოვს ის ფაქტი, რომ მისი სერგიევ პოსადის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს სერგიევ პოსადის ტაძარში გამოფენილი იყო ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილი, როგორც წმინდა რელიქვია, და ამის შესახებ სათანადო წარწერაც იყო გაკეთებული.

უთუოდ, ჩვენს მიერ გოაში დაწყებული ძიების შემდეგ, ეს ნაწილი სერგიევ პოსადის ტაძარში თვალსაჩინო ადგილიდან აიღეს, მნახველთაგან გადამალეს.

საბედნიეროდ, მათი მცირე ნაწილის დაბრუნება საქართველოში უკვე მოხდა და ის ინახება თბილისში, გლდანში მდებარე წმინდა ქეთევანის სახელობის ეკლესიაში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია შემდეგ იქედან სხვა ნაწილიც ჩამოაბრძანეს. მიუხედავად დღეს რუსეთთან საქართველოს უკიდურესად დამაბული ურთიერთობისა, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია საკითხი უფრო სრულად და საბოლოოდ გადაწყდეს.

О поисках Святых мощей святой Кетеван

Важа Лордкипанидзе

Академик Национальной Академии Наук Грузии,
профессор Тбилисского государственного Университета

ORCID ID: 0000-0002-4111-3170

vazha.lordkipanidze@tsu.ge +995 599 54 09 59

Резюме

Многие поколения Грузин, на протяжении веков старались отыскать святые мощи мученицы Королевы Кетеван. Как известно, по приказу Персидского царя Шаха Абасса, ей постигла мученическая смерть. Это произошло в сентябре 1622 года в персидском городе Шираз. О мученической смерти святой Королевы и о местонахождении ее мощей, существовало не мало сообщений, как в Грузинских, так и иностранных исторических и литературных источниках. Новые публикации появились во второй половине XX века. Некоторые из них были переведены и на Грузинский язык. В первую очередь, это труды известного португальского ученого, отца Да Сильва Рего, а также известного ученого, владельца частных Лиссабонских архивов, Роберто Гюльбекяна. Согласно опубликованным ими материалам, местом захоронения святых мощей указан монастырь Да Граса, в Гоа, в Индии. На основании этих сведений, к поискам приступил известный Грузинский писатель и общественный деятель Резо Табукашвили. К сожалению, по причине тяжелой болезни, ему не удалось до конца довести дело. Для продолжения его работы, под руководством профессора Важа Лордкипанидзе, была создана научная экспедиция, которая в феврале 2001 года направилась в Гоа. Данный труд, является попыткой в совокупности представить проведенные экспедицией исследовательские и розыскные работы. Представлены те заключения и версии, которые касаются месту захоронения святых мощей. Также некоторые новые сведения касающийся истории Храма Да Граса и причин ее разрушения.

Ключевые слова: святые мощи, мученическая смерть, причины мучения, научная экспедиция, розыскания, Храм Да Граса, альтарь, капитуло, окно.

ალანები და ვაინახები VII-IX საუკუნეებში

Alans and Vainakhs in 7th-9th centuries

Zaur Gumashvili

Doctor of Historical Sciences

Associate Professor

Of Telavi State University

ORCID ID:

E-mail: zaur.gumashvili@tesau.edu.ge

Tel: +995 591 01 25 01

Abstract

The article considers the issue of territorial settlement of the Alans in the North Caucasus in the 7th-9th centuries and it indicates that the area occupied by them is presented schematically in written sources. They occupied the mountainous territories of modern North Ossetia, the Balkars and the Karachays by the 10th century. Here they entered into a rather long and deep conflict with the local indigenous population. As a result of such relations, assimilation processes took place with tribes of different ethnic origins. In this process gaining the dominant position by the Iranian tribes is discussed, which laid the foundation for the process of ethnic formation of the Ossetian people.

“Geography of Armenia in the 7th century” mentions the settlement of Vainakh tribes in the North Caucasus. For this period, the Nakhs are represented as a union of several tribes that spoke a common language. Such tribes included the “Kusts”. In the same historical sources in the 7th century there is a reference to “Gurtsi” - which are Durdzuks and Nakhchmatians are mentioned with them. A special novelty in the article is the existence of another large Vainakh tribal union in the North Caucasus for this period, which is based on interesting considerations. These are the Malkhs, the worshipers of the sun god. Sun - Malkh, in Chechen.

Key words: North Caucasus, Alans, Ethnos, Vainakhs, Malkhi.

ზაურ გუმაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ORCID ID:

E-mail: zaur.gumashvili@tesau.edu.ge

Tel: +995 591 01 25 01

აბსტრაქტი

სტატიაში წამოდგენილია VII-IX საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში ალანების ტერიტორიული განსახლების საკითხი, სადაც მითითებულია, რომ მათ მიერ დაკავებული ტერიტორია წერილობით წყაროებში გადმოცემულია სქემატურად. მათ X საუკუნისათვის დაიკავეს თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის, ბალყარების და ყარაჩაელთა მთიანი მისადგომები. აქ ისინი შედიან საკმაოდ ხანგრძლივ და ღრმა კონფლიქტში ადგილობრივ აზორიგენ მოსახლეობასთან. ასეთი ურთიერთობების შედეგად სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომებთან მიმდინარეობს ასიმილაციური პროცესები. ამ პროცესში ირანული ტომების მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკავებაზეა საუბარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ოსი ხალხის ეთნიკური ფორმირების პროცესს.

„სომხეთის გეოგრაფია VII საუკუნეში“ აღნიშნულია ცნობები ჩრდილო კავკასიაში ვაინახური ტომების განსახლების თაობაზე. აღნიშნული პერიოდისათვის ნახები წამოდგენილია როგორც რამდენიმე ტომობრივი გაერთიანება, რომლებიც საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ. ასეთ ტომებს მიეკუთვნებოდნენ „კუსტები“. ამავე ისტორიულ წყაროებში VII საუკუნეში მოიხსენიება „დურცი“ - რომლებიც დურძუკები არიან, მათთან ერთად მოიხსენიებიან ნახჩმატიანკები. სტატიაში განსაკუთრებულ სიახლეს წარმოადგენს აღნიშნული პერიოდისათვის ჩრდილო კავკასიაში კიდევ ერთი დიდი ვაინახური ტომობრივი გაერთიანების არსებობა, რომელიც საინტერესო მოსაზრებებს ეყრდნობა. ესენი არიან მალხები, მზის ღმერთის თაყვანისმცემლები. მზე - მალხ, ჩეჩნურად.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია, ალანები, ეთნოსი, ვაინახები, მალხები.

შესავალი

I ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილი დაკავებული ჰქონდათ ვაინახებს და ირანულენოვანი ალანების ტომებს. ალანთა მიერ დაკავებული ტერიტორია წერილობით წყაროებში სქემატურად არის ასახული. IV საუკუნის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფის კასტორიეს მიერ შედგენილ „პევტინგერის რუ-

კაზე“ ალანების თაობაზე მითითებულია, რომ ისინი სახლობენ კავკასიის ქედის ჩრდილოეთით, ასევე ლაზების ჩრდილოეთით, ე.ი. დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთით. თუმცა ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ალანებს ადრეული ხანიდან ეკავათ კავკასიისწინა აღმოსავლეთის რაიონები. II საუკუნეში კლავდია პტოლემეი თერგის ბარის დინებას უწოდებდა ალონტას, რომელიც VII საუკუნეში დაფიქსირებულია სხვა ფორმით (ალანდონ) „სომხურ გეოგრაფიაში“. ალანების უმეტესწილად განსახლებული იყვნენ ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ რაიონებში.

ჩვ. წ. აღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები ემთხვევა წერილობითი წყაროების მონაცემებს. ალანებისთვის დამახასიათებელი იყო კატაკომბებში დაკრძალვა. კატაკომბური დაკრძალვების არეალი მოიცავს ტერიტორიებს აღმოსავლეთისკენ მდ. დიდი ლაზიდან ინგუშეთის, ჩეჩნეთის და დაღესტნის საზღვრებამდე. (აქ გამოირიცხება მთიანი ზონა ჩეჩნეთ-ინგუშეთისა) ალანთა ყორღანული სამარხები IV-V საუკუნეებში აღმოჩენილია სამხრეთ დაღესტნის ტერიტორიაზე, რომელსაც მკვლევარები უკავშირებენ მასკუტების ირანულ ტომებს, რომლებიც აქ დაფიქსირებულია წერილობითი წყაროების თანახმად.

საკმაოდ მყარი მტკიცებულებები არსებობს იმის თაობაზე, რომ ხაზართა კაგანატის თავდაპირველ სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თანამედროვე ვაინახების, დაღესტნელების, ადიღეური ჯგუფის ხალხების წარმომადგენლებმა. თვით ხაზარები ხომ ძირითადად არააბორიგენი, ნახევრადსემიტური მოსული ეთნოსი იყო. მოგვიანებით ხაზართა დიდი ნაწილი განდევნილ იქნა ინგუშეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის, ასევე ამჟამინდელი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდან, სტავროპოლიდან, კალმიკეთიდან და კრასნოდარიდან. როგორც ჩანს ხაზართა განდევნის მთავარი მიზეზი გახდა მათ მიერ იუდაისტური რელიგიის მიღება, რომელიც ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობისთვის.

ლეონტი მროველი თავის ნაშრომში „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ გვამცნობს შემდეგს: „... გაძლიერდნენ ხაზარები და დაიწყეს ომი ლეკებთან და კავკასებთან ... კავკასიის შვილებს ხელმძღვანელობდა ტირეტის შვილი ძურძუკი“. როგორც შემდგომ აგრძელებს მემატთანე, ტარგამოსის შთამომავალთა გაერთიანებულმა ძალებმა კავკასებმა, ძურძუკებმა და ლეკებმა „გადალახეს კავკასიის მთები, დალაშქრეს ხაზართა ტერიტორია და უკან დაბრუნდნენ. - ასე, რომ ხაზარეთი დაანგრიეს თვით იმ ხალხებმა, რომელთაც არ უნდოდათ იუდაიზმის მიღება“.

იმავე მემატთანის ცნობით „თუმცა ხაზარებმა, რომლებიც გაერთიანდნენ ერთი მეფის გარშემო, გადალახეს ზღვის კარები, რომელიც ამჟამად იწოდება დარუბანდი“ და შეიჭრნენ ამიერკავკასიაში. „ხაზარებმა

დაიკავეს ორივე გზა, როგორც არის: საზღვაო გზა დარუბანდი და არაგვის კარები“.

მეთოდი

კვლევა ეფუძნება ისტორიული ფაქტების რეალობის შემოწმებას ურთიერთშეჯერების გზით.

შედეგები

აღანებმა X საუკუნისთვის დაიკავეს თანამედროვე ჩრდილო ოსეთის, ბალყარების და ყარაჩაელების მთიანი მისადგომები. აქ ისინი შედიან საკმაოდ ხანგრძლივ და ღრმა კონტაქტებში ადგილობრივ მოსახლეობასთან. ასეთი კონტაქტების შედეგად სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ტომებთან მიმდინარეობს ასიმილაციური პროცესები და მთიან მხარეში, დაახლოებით იალბუზსა და ყაზბეგის მთებს შორის არსებულ ტერიტორიაზე ირანული ელემენტების მიერ გაბატონებული მდგომარეობის დაკავებაზე არის საუბარი, რომელმაც საბოლოო ჯამში საფუძველი ჩაუყარა ოსი ხალხის ეთნიკური ფორმირების პროცესს, რომელიც ქართულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც „ოვსები“.

ზემოთ მითითებულ ადგილზე მცხოვრები კავკასიის მთიელი ტომები ცხადია, აღანებმა გააერთიანეს თავიანთ სახელმწიფოში. ამ გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი იყო აღანებში წარმოშობილი ადრეკლასობრივი ურთიერთობები, რომელიც საკმაოდ მკაფიოდაა დაფიქსირებული VII-IX საუკუნეების წერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებში.

მსჯელობა

აღანური სახელმწიფოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სხვადასხვა გადასასვლელების მათი ხელისუფლების მიერ გაკონტროლება, რომლებზეც გადიოდა „დიდი აბრეშუმის გზა“ ცენტალური აზიიდან ბიზანტიისაკენ, აღანებისთვის ქმნიდნენ ისეთ პირობებს, რათა ისინი გამხდარიყვნენ სასურველი მოკავშირეები არა მარტო კავკასიაში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც. აღანთა როლი განსაკუთრებით გაიზარდა VI საუკუნეში, როცა ირანსა და ბიზანტიას შორის გააფთრებული ბრძოლა წარიმართა ლაზიკისა და სვანეთის დაუფლებისათვის. ამ მნიშვნელოვან ბრძოლებში VI საუკუნეში დასავლეთის აღანები გამოვიდნენ ბერძნების მხარეზე, ხოლო აღმოსავლეთის აღანები კი ირანელთა მხარეს. პროკოფი კესარიელი გვამცნობს აღანთა ასეთი გაორების თაობაზე ბერძნებთან და სპარსელებთან მიმართებაში. სასანიდური ირანის აგრესია შეჩერებულ იქნა და დასავლეთის აღანები გახდნენ საიმედო მოკავშირეები ბიზანტიისა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან მის მიერ წარმოებულ პოლიტიკაში.

ირანის სახელმწიფოს ხელმძღვანელობა არანაკლებ ბიზანტიისა და ინტერესებული იყო ალანებთან კავშირით და ამ კავშირს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

VII-IX საუკუნეებში ალანების დასხვა ჩრდილო კავკასიელი ტომების ისტორია მყარად არის დაკავშირებული ხაზარებთან და ხაზართა კაგანატთან. ამ პერიოდისთვის ალანები დაექვემდებარნენ ხაზარებს და მათი პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ალანთა მმართველი დინასტია ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ხაზართა მმართველებთან და მათგან იღებდა სხვადასხვა ტიტულებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხაზართა გავლენა ალანების მიმართ შენარჩუნებული იქნა IX საუკუნის ბოლომდე და X საუკუნის პირველ ნახევარშიც. აღნიშნული პერიოდისათვის ხაზარეთი ძალზე სწრაფად მიემართება დაცემისაკენ, რითაც ისარგებლეს ალანებმა და თანდათანობით აღიდგინეს დამოუკიდებლობა და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდნენ.

„სომხეთის გეოგრაფია VII საუკუნეში“ არსებობს ცნობები ომების შესახებ. აქ მითითებული ნახური ტომები ლოკალიზდებიან დაახლოებით იმავე ადგილებში, სადაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ. ამ ტომებს შორის „სომხეთის გეოგრაფია“ მოიხსენიებს ნახჩმატსანკებს და ნახჩმატეანკებს, ასევე კუსტკებს (ქისტებს). ლინგვისტების კვლევის თანახმად „ნახჩმატეანკები“ - ესენი არიან ჩეჩენთა ენაზე მოლაპარაკე, ანუ „ნახჩების“ ენაზე მოლაპარაკე ხალხი.

ჩვ. წ. აღრიცხვის VII საუკუნეში ნახები წარმოადგენდნენ რამდენიმე ტომობრივ გაერთიანებას, რომლებიც საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ. ასეთ ტომებს მიეკუთვნებოდნენ კუსტები (ქისტები). ამჟამად დადგენილია, რომ არა მარტო ქისტების ტომობრივი კუთვნილება, ასევე მათი ლოკალიზაციის ადგილიც - მდინარე არმხის ხეობა, რომელიც როგორც ჩანს ამავე ტომის სახელით მოიხსენიებოდა - ქისტეთის წყალი, ხოლო რუსულმა წყაროებმა იგი შემოინახა როგორც მდინარე კისტინკა.

„სამხრეთის გეოგრაფია VII საუკუნეში“ მოიხსენიება აგრეთვე დურცი. მეცნიერები ამასთან დაკავშირებით ერთ აზრზე არიან ჩამოყალიბებულნი, რომ ესენი არიან დურძუკები, რომელთა შესახებ საკმაოდ გამოკვეთილად არის მითითებული „ქართლის ცხოვრებაშიც“ და სხვადასხვა ქართულ წყაროებშიც. ეთნონიმი დურძუკი გვხვდება არაბულ თხზულებებშიც. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ VII-IX საუკუნეებში ისტორიული წერილობითი წყაროების თანახმად ჩეჩენებისა და ინგუშების წინაპრები იყვნენ „ნახჩმატეანები“, „ქისტები“ და „დურძუკები“.

არსებობს მასალები ჩრდილო კავკასიის ცენტრალური რეგიონის დასავლეთის მხარეს ვაინახური მოდგმის ხალხების ცხოვრების შესახებ. ეს მასალები დაცულია ანტიკური ხანის ბერძნულ ისტორიულ წყაროებში, ჩვ. წ. აღ. III საუკუნის ავტორებთან: ლუკიანესთან და კლავდიუს

ელინელთან დაცულ ცნობებში, რომლებშიც გამოყენებულია ძვ. წ. აღ. IV ათასწლეულის ზოსფორის სამეფოში შედგენილი ისტორიული ცნობები, სადაც მეოტიდების (აფხაზურ-ადილეური ტომები) მეზობლად მოხსენიებულია ვაინახური მოდგმის ხალხი „მახლი“, „მალხი“ ტომობრივი გაერთიანება, ხალხი.

ლეონტი მროველი წერს: „ხაზართა მეფემ“ გამოყო თავისი „შვილის უობოსისთვის კავკასიის ქვეყნის ნაწილი მდინარე ლომეხიდან დასავლეთით მთებისმისადგომებამდე. სადაც დასახლდა უობოსიმისი მემკვიდრეები არიან ოსები, ხოლო დურძუკი, რომელიც იყო კავკასის შვილებს შორის ყველაზე გამოჩენილი, წავიდა და დასახლდა მთიან მხარეში, რომელსაც მისცა სახელი თავისი დურძუკეთი და იგი შეიქმნა ხაზართა მეფის ხარკის გადამხდელი. XVIII საუკუნის დიდი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ უძველეს პერიოდში (ე.ი. ჩვენს მიერ განსაზღვრულ პერიოდში) მდინარე არაგვის ზედა მხარიდან აღმოსავლეთისაკენ და მდინარე თერგის ზედა მხარიდან ასევე აღმოსავლეთისაკენ ლაკეთის (ლეკეთის) საზღვრებამდე იწოდებოდა „დურძუკეთად“.

დასკვნა.

ამრიგად, მეცნიერთა დიდი ნაწილის მოსაზრებით ტერმინი „მალხი“ და მასთან დაკავშირებული ტოპონიმები, მაგალითად ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთში არსებული მდინარე მალკას სახელწოდება, ასევე, ამავე მდინარის თერგის შესართავთან ახლოს მდებარე სოფელი მალკა, ბალყარეთის ზემო მხარეში მდებარე სოფელი - მუხოლი, რომელსაც სვანები - მალხარს უწოდებენ, უკავშირდება ვაინახური მოდგმის ხალხს „მალხებს“ და იგი უნდა მომდინარეობდეს მზის ვაინახური სახელწოდებიდან - მალხიდან, რაც ვაინახურ ენაზე მზეს ნიშნავს. ესენი იყვნენ მზის ღმერთის თავყანისმცემელი ხალხი და ისინი იყვნენ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობა და მათი სახელწოდებაც ვაინახური მოდგმის ხალხების საერთო, ზოგად სახელწოდებას წარმოადგენდა. ე.ი. ვაინახური მოდგმის ხალხების „მურძუკების“, „ნახჩმატიანკების“ და „ქისტების“ გვერდით თამამად შეიძლება დავაყენოთ „მალხები“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Miller, K. (1916). *Itineraria*. Stuttgart.
- Латышев, В. В. (1893). *Известия древних писателей, Греческих и Латинских, о Скифии и Кавказе*. Т 1. СПб.
- Армянская география, приписываемой Моисею Хоренскому (1866).
- Прокопии тз Кесарии (1950). *Война с Готами*. Пер. С.П. Кондратьева. М.
- Дешериев, Ю. Д. (1963). *Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горных Кавказских народов*. Грозный.

Vachushti. agwera cakartvelossa (1941). (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოს. (1941). თბილისი).

Крупнов, Е. И. (1971). Средневековая Ингушетия. М.

Kartlis tschovreba (1955). t. I. tbilisi (ქართლის ცხოვრება (1955). ტ. I. თბილისი).

Гумашвили, З. Э. Гумашвили, Л. Э. (2014). *История государства и права Чечни*. Тбилиси.

Аланы и Вайнахи в VII-IX веках.

Заур Гумашвили

Доктор исторических наук

Ассоциированный профессор

Телавского государственного университета

ORCID ID:

E-mail: zaur.gumashvili@gmail.com

Tel: +995 591 01 25 01

Резюме

В статье рассматривается вопрос территориального расселения аланов на Северном Кавказе, указывающий, что занимаемая ими территория в письменных источниках передана схематически. К началу X века они занимали территорию современной Северной Осетии и предгорные районы балкарцев и карачаевцев. Здесь они вступают в довольно длительный и глубокий конфликт с местными аборигенами. В результате таких отношений, среди племён разного этнического происхождения, происходят процессы ассимиляции. В этом процессе речь идёт о преобладающих позициях иранских племён, что послужило началом этнического формирования осетинского народа.

В «Географии Армении в VII веке» упоминаются справки о расселении вайнахских племён на территории Северного Кавказа. К этому времени нахи представляли собой племенные объединения, говорящие на одном и том же языке. К числу таких племён принадлежали «кусты». В этих же исторических источниках, в VII веке, упоминаются «гурци», те же дзурдзуки, вместе с ними упоминаются также нахчматиане. Важным новым открытием в статье является доказательство того, что на Северном Кавказе в этот период существовало ещё одно крупное вайнахское племенное объединение, что вызывает много интересных мнений. Это малхи, поклонники Бога солнца. Малх - солнце, по-чеченски.

Ключевые слова: Северный Кавказ, **Аланы, Вайнахи**, Малхи.

განათლება

**სამედიცინო განათლების რეფორმა საქართველოში:
გამოცდილება, მომავლის ხედვა**

**Medical education reform in Georgia: experience & vision
for the future**

Avtandil Jorbenadze

doctor of medicine,
Chapidze Emergency Cardiology Center
Chairman of the Supervisory Board
ORCID ID: 0000-0001-5008-8600
Avtandil.jorbenadze@ecc.ge
599409010

Tengiz Verulava

doctor of medicine,
Professor at Caucasus University
ORCID ID: 0000-0001-8110-5485
tverulava@cu.edu.ge
577284849

Abstract

As a result of the reorientation in the health sector in Georgia, the foundation was laid for a new system of medical education, built on modern principles. However, the main difficulty in implementing the reforms was the scarce and incomplete state funding of continuing medical education. The health care system suffered from a chronic lack of funding, as the state often did not fulfill its promised obligations. As a result, continuing medical education and recertification cost doctors a significant amount of money.

Since 2003, the approach to the system of continuing medical education has changed, according to which the medical market should be based on self-regulation mechanisms, and medical personnel should be guided by the principles of self-development. As a result, since 2006, continuing medical education of medical personnel has ceased to be a prerequisite. Mechanisms for re-certification of doctors have also been abolished.

Currently, continuing medical education in Georgia is voluntary. A certificate of independent medical practice is issued for life and a doctor is not required to re-certify. For comparison, in the overwhelming majority of European countries, participation in continuing medical education is mandatory. For example, in Austria, Germany, Italy, Switzerland and Hungary, continuing

medical education is compulsory for physicians, while in Norway it is compulsory for general practitioners.

The country's existing medical education system (higher education, residency, continuing medical education and professional development) needs further reform in order to balance the new flow of doctors in the health sector and increase the role of nurses. Given that there is a direct relationship between patient safety, quality of medical care and continuing medical education, it is necessary to ensure compulsory continuing medical education based on the best international experience. Georgia is a European-oriented country, we are likely to soon become members of the European Union, and therefore, along with many other parameters, our medical education system must develop in accordance with the requirements of the European Union.

Key words: medical education, reform, Georgia.

ავთანდილ ჯორბენაძე

მედიცინის დოქტორი

ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ORCID ID: 0000-0001-5008-8600

Avtandil.jorbenadze@ecc.ge

t. 599409010

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

ORCID ID: 0000-0001-8110-5485

tverulava@cu.edu.ge

t. 577284849

აბსტრაქტი

დამოუკიდებელ საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეორიენტაციის შედეგად საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე პრინციპებზე აგებული სამედიცინო განათლების ახალ სისტემას, რომელიც ეხმიანებოდა მსოფლიოს უახლეს გამოცდილებას. თუმცა, რეფორმების გატარებაში უმთავრეს სირთულეს წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან უწყვეტ სამედიცინო განათლებაზე გამოყოფილი მწირი და არასრული დაფინანსება. ჯანდაცვის სისტემა განიცდიდა დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, რადგან სახელმწიფო ხშირად ვერ ახდენდა დაპირებული ვალდებულებების დაფინანსებას. შედეგად, უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღება და რესერტიფიცირება ექიმებს საკმაოდ დიდი თანხა უჯდებოდათ.

2003 წლიდან შეიცვალა მიდგომა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის მიმართ, რომლის მიხედვით სამედიცინო ბაზარი თვითრეგულირების მექანიზმებს უნდა დაყრდნობოდა, ხოლო სამედიცინო პერსონალს თვითგანვითარების პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელა. შედეგად, 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის „სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ“ ბრძანებულება №226 საფუძველზე სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლება სავალდებულო პირობას აღარ წარმოადგენდა. გაუქმდა აგრეთვე ექიმთა და საშუალო მედპერსონალის რესერტიფიცირების მექანიზმები.

დღეისათვის საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლება ნებაყოფლობითია. დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი სერთიფიკატი გაცივმა უვადოთ და ამ სერთიფიკატზე არ არის მიბმული მიღების შემდგომ პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების (ან შენარჩუნების) კრიტერიუმები – ექიმს არ ევალება რესერტიფიკაციის გავლა ან კრედიტების ქულების მოგროვება. შედარებისათვის, ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობა სავალდებულოა. მაგალითისთვის, ავსტრიაში, გერმანიაში და უნგრეთში უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობა ექიმებისთვის სავალდებულოა, იტალიაში ნაციონალური ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ექიმებისათვის, ხოლო შვეიცარიაში ექიმთა ფედერაციის წევრებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობა სავალდებულოა, ნიდერლანდებში და ნორვეგიაში ზოგადი პრაქტიკის ექიმებისათვის უწყვეტი სამედიცინო განათლებაში სავალდებულოა.

ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო განათლების სისტემა (დიპლომამდელი განათლება, რეზიდენტურა, უწყვეტი სამედიცინო განათლება და პროფესიული განვითარება) საჭიროებს შემდგომ რეფორმირებას, რათა მოხდეს ჯანდაცვის სექტორში ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, ექიმების ახალი ნაკადის დაბალანსება და ექთნების როლის ამაღლება. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს პირდაპირი კორელაცია პაციენტის უსაფრთხოებას, სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და უწყვეტ სამედიცინო განათლებას შორის, საჭიროა უწყვეტი სამედიცინო განათლების სავალდებულოობის უზრუნველყოფა, რომელიც დაემყარება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. საქართველო - ევროპული ორიენტაციის ქვეყანაა, სულ მალე, ალბათ, ევროკავშირის წევრები გავხდებით და ამდენად, სხვა მრავალ პარამეტრთან ერთად, ჩვენი სამედიცინო განათლების სისტემა ევროგაერთიანების მოთხოვნების მიხედვით უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

საკვანძო სიტყვები: მედიცინა, რეფორმა, სამედიცინო განათლება, ჯანდაცვის სისტემა.

ქართული სამედიცინო განათლების ფესვები ჯერ კიდევ ლეგენდარული მედეადან და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისა და მათი მრავალრიცხოვანი თანამოაზრეებიდან იღებს სათავეს (Shengelia, 199; 38-41). ქართული სამედიცინო აზროვნება, ჩვენი სამედიცინო კულტურა არა მარტო ადამიანისადმი სამედიცინო დახმარების ხელოვნებაა, არამედ ის ჩვენი ერის კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ქვეყნის ცივილიზებულიობის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა.

სწორედ ამ ტრადიციების გაგრძელებაა 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც იყო პირველი ეროვნული უნივერსიტეტი არამარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. იმავე წლის შემოდგომაზე გაიხსნა საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო:

„სამკურნალო ფაკულტეტი აუცილებელია უნივერსიტეტისათვის, ამ ფაკულტეტზე ჩვენი ხალხის შვილების ლტოლვა ყოველთვის ძლიერი იყო. მისი შექმნა ნიშნავს დიდ გამარჯვებას ამ საქმისა...“

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საბჭოთა პერიოდში მიუღებელი გახდა ერთიანი მძლავრი უნივერსიტეტის არსებობა და საერთოდ ქვეყანაში სპეციალისტების საუნივერსიტეტო მომზადების სისტემა. საბჭოთა, რეჟიმმა სცადა მისი დარღვევა და სხვადასხვა წამყვანი დარგების ინსტიტუტებად გამოყოფა. საყოველთაოდ ცნობილია, საუნივერსიტეტო განათლება საინსტიტუტოსაგან იმითაც განსხვავდება, რომ უნივერსიტეტი ამზადებს არა მარტო ვიწრო სპეციალისტებს, არამედ ერს უზრდის ფართო ერუდიციის მქონე მოქალაქეებს, მამულიშვილებს. შესაბამისად, მიზანი მარტივი იყო - სპეციალისტების მომზადების პროცესში ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდობისთვის მოღვაწეებად, მამულიშვილებად ჩამოყალიბებისათვის ბარიერების შექმნა.

1930 წელს ჩამოყალიბდა სამედიცინო ინსტიტუტი. ამით ცდილობდნენ, სამედიცინო განათლება საინსტიტუტო აღზრდის არტახებში მოექციათ, მაგრამ 10-წლიანი სამედიცინო საუნივერსიტეტო განათლების ტრადიციები არასოდეს არ ჩამქრალა. მისი კედლებიდან გამოდიოდნენ არამარტო ბრწყინვალე ექიმები, არამედ თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწეები. ისინი არა მარტო ჩვენი მოსახლეობის სხეულს კურნავდნენ, არამედ, უპირველესად, ერის სულიერი სიჯანსაღის ერთ-ერთ დარაჯებად იდგნენ.

ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ინვესტიციები როგორც განათლებაში ასევე ჯანმრთელობაში. ადამიანური კაპიტალის კონცეფციის მიხედვით, რომელიც შეიმუშავეს ნობელის პრემიის ლაურეატებმა ტ. შულცმა, გ. ბეკერმა და მ. გროსმანმა, ადამიანის კეთილდღეობისათვის, ეკონომიკური ზრდისათვის საჭიროა განათლებული და ჯანმრთელი მოსახლეობა (ვერულავა, 2019).

განათლებას და ჯანმრთელობას აქვს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რადგან განათლებას და ჯანმრთელობას სარგებელი მოაქვს როგორც ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებისათვის, საერთოდ ქვეყნის კეთილდღეობისათვის (ვერულავა, 2021). რაც უფრო განათლებული და ჯანმრთელია ადამიანი, მით უფრო იზრდება მისი პროდუქტიულობა, რაც თავის მხრივ ზრდის არამარტო ადამიანის, არამედ ქვეყნის შემოსავლებს, რადგან რაც უფრო მეტი განათლებული და ჯანმრთელია მოსახლეობა, მით უფრო მზარდი და მდგრადია ეკონომიკა (Verulava, Dangadze, 2018: 401-406; Verulava, 2019: 57-62). განათლების და ჯანმრთელობის კაპიტალის კონცეფციის საფუძველზე განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა პრიორიტეტად გამოაცხადეს განათლებისა და ჯანდაცვის სფეროები და გაზარდეს მათში სახელმწიფო ინვესტიციები.

უმაღლესი განათლება და პროფესიული ცოდნა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, რაც თავისთავად პოზიტიურად ცვლის სოციალურ ფონს. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, განათლება ჯერ კიდევ არ არის პრიორიტეტი. ამას ადასტურებს განათლებაზე სახელმწიფო ხარჯები, რომელიც შეადგენს მშპ-ის 2.8%-ს. ამ მონაცემით საქართველო ქვეყნების ასეულშიც კი ვერ შედის განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების / მშპ-ს შეფარდების მიხედვით.

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA - Programme for International Student Assessment) უახლესი კვლევის შედეგებით წაკითხულის გააზრების, მათემატიკისა, და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაჯამებული ქულის მიხედვით, საქართველო 78 ქვეყნიდან 70-ე ადგილს იკავებს; ხოლო მსოფლიო ბანკის “ადამიანური კაპიტალის ინდექსი” გვიჩვენებს რომ საქართველოს სკოლის მოსწავლეებში მოსალოდნელი პროდუქტიულობა ყველაზე დაბალია რეგიონის და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით; მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მასწავლების საშუალო ხელფასი მაინც დაბალი რჩება და 40%-ით ჩამოუვარდება ქვეყნის საშუალო ხელფასს, ხოლო მასწავლებლის პროფესია უფრო ნაკლებად მიმზიდველია. შედეგად, მასწავლებლების რაოდენობა მცირდება (PISA 2018).

საქართველოში არსებული უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ვერ პასუხობდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და თანამედროვეობის მზარდ მოთხოვნებს. სამედიცინო პროფესიის პრესტიჟულობამ, დიპლომის (და შესაბამისად საექიმო მოღვაწეობის უფლების) მიღების სიმარტივემ და საბჭოთა პროფესიული დახელოვნების სისტემაში არსებულმა ნაკლოვანებებმა გამოიწვია საექიმო კადრების სიჭარბე და შედარებით დაბალი კვალიფიკაცია.

1991 წლამდე საქართველოში არსებობდა მხოლოდ ერთი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), რომელშიც მისაღები გამოცდების კონკურსი საკმაოდ მაღალი იყო. საბჭოთა სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ექიმთა ადრეული სპეციალიზაცია, რაც ერთი მხრივ, გამოიხატებოდა უკვე პირველ კურსზე სპეციალობის არჩევაში (პედიატრი, ჰიგიენისტი) და მეორეს მხრივ, მე-6 კურსზე სამკურნალო ფაკულტეტის სუბორდინატურაში, მედიცინის ძირითადი სპეციალობების მიხედვით (თერაპია, ქირურგია, მეან-გინეკოლოგია) ორიენტირებული განათლების მიღებაში. 1970-იან წლებში შემოვიდა დამატებით ერთწლიანი ინტერნატურა, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო ექიმის დიპლომისშემდგომი ტრენირება სუბორდინატურაში მიღებულ სპეციალობაში. რაც შეეხება სხვა სპეციალობების ექიმებს, მათი მომზადება ხორციელდებოდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში სპეციალურ ციკლებზე სწავლების მეშვეობით, რომელთა ხანგრძლივობა მერყეობდა 1-დან 5 თვემდე.

განვითარებულ ქვეყნებში დიპლომამდელ ეტაპზე სამედიცინო სასწავლებლებში ფაკულტეტებად დაყოფის პრაქტიკა არ არსებობდა და ექიმი-სპეციალისტების მომზადება იწყება დიპლომისშემდგომ ეტაპზე, რაც სულ ცოტა 3-4 წელს გრძელდება, ხოლო ზოგ სპეციალობაში - 7-8 წელს.

სამედიცინო განათლების საბჭოთა სისტემა ხელს უწყობდა ექიმთა როგორც საერთო რაოდენობის, ასევე ვიწრო სპეციალისტთა სიჭარბეს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ყოველწლიურად 600-800 კურსდამთავრებულ ექიმს უშვებდა შრომით ბაზარზე (Chanturidze, 2009; Gamkrelidze, Atun, Gotsadze, MacLehose, 2002).

ჯანმოს მონაცემების თანახმად, 1980 წელს საქართველოში კურსდამთავრებულების მაჩვენებელი 10000 მოსახლეზე შეადგენდა 30,09-ს, რაც თითქმის ორჯერ მეტი იყო საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. 1988 წელს კურსდამთავრებულების მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და 10000 მოსახლეზე შეადგენდა 52,52-ს. 1988 წლის მონაცემებით საქართველოში მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში მუშაობდა 23 916 ექიმი.

არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდში, ხელისუფლებაზე ზეწოლის შედეგად მკვეთრად გაიზარდა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების და მასში ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა. პოლიტიკური დივიდენდების იოლად მოპოვების სურვილს ეწირებოდა სამედიცინო განათლების განვითარება. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა 1400-

მდე აბიტურიენტი (პრაქტიკულად ყველა, ვინც მისაღებ გამოცდებზე მიიღო დადებითი შეფასება). 1990 წელს სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების 1300-მდე კურსდამთავრებული, რომლებმაც მისაღებ გამოცდებზე მიიღეს უარყოფითი შეფასება, ჩაირიცხნენ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, რომელსაც მანამდე დიპლომამდელი სწავლების არავითარი გამოცდილება არ ჰქონია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც უფრო გაართულა არსებული მდგომარეობა წარმოადგენდა 1991 წლის 14 ივნისს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებ “საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ”, რომლის თანახმადაც შესაძლებელი გახდა კერძო უმაღლესი სასწავლებლების გახსნა სათანადო რეგულაციების დანერგვის გარეშე. აღნიშნული ცვლილების შედეგად ქვეყანაში დაიწყო კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების «ეპიდემია». სამედიცინო სასწავლებლების გახსნის გამარტივებული წესების დაკანონებამ საფუძველი ჩაუყარა იმ უკონტროლო პროცესს, რომლის შედეგი გახდა სამედიცინო სასწავლებლების და სტუდენტების სიჭარბე (გამყრელიძე და სხვები, 1998).

1995 წლისთვის საქართველოს განათლების სამინისტროში რეგისტრირებული იყო 36 უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი (მათ შორის 1 სახელმწიფო). არაოფიციალური ცნობების თანახმად საქართველოში ფუნქციონირებდა აგრეთვე არარეგისტრირებული სასწავლებლები. უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში 1996 წელს სწავლობდა 12000-ზე მეტი სტუდენტი. ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს ექიმების ჭარბ რაოდენობას, რომლის სიდიდე 3-4-ჯერ აღემატებოდა ქვეყნის რეალურ საჭიროებას, ყოველწლიურად კიდევ შეემატებოდა 2000-ზე მეტი სამედიცინო დარგის სპეციალისტი (ნორმატიული აქტები, 1996). 10 ათას მოსახლეზე გადაანგარიშებით ექიმთა რაოდენობა 1,8-ჯერ აღემატებოდა გერმანიის, 1,9-ჯერ აშშ-ის, 2,2-ჯერ კანადის და 4,8-ჯერ ინგლისის შესაბამის მაჩვენებლებს.

ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნების სამედიცინო განათლების სისტემების სტრუქტურის ანალიზის შედეგებისა და ევროგაერთიანების რეკომენდაციების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას, საქართველოს ჯანდაცვის სისტემას ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყოველწლიურად ესაჭიროება 350 კურსდამთავრებული ექიმი და 1400 კურსდამთავრებული ექთან. სამედიცინო განათლების ექსპერტების რეკომენდაციების თანახმად საქართველოს ესაჭიროება 2 სამედიცინო სკოლა.

სასწავლებლების უმრავლესობაში მისაღებ გამოცდებს ჰქონდა ფორმალური ხასიათი, მისაღები გამოცდების კონკურსის მაჩვენებლებით თითოეულ მისაღებ ადგილზე კანდიდატთა რაოდენობა საშუალოდ

1,2-დან 1,3-მდე შეადგენდა. სწავლების ღირებულების და მისი მინიმუმის დადგენის ერთიანი პოლიტიკის რაიმე წესი არ არსებობდა. ფასწარმოქმნას სამედიცინო განათლების სისტემაში არ გააჩნდა შესაბამისი ეკონომიკური ბაზისი.

სამედიცინო სასწავლებლების უმრავლესობაში სწავლება მიმდინარეობდა საბჭოთა ეპოქის უნიფიცირებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე შედგენილი საკუთარი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების სწავლების პროგრამების მიხედვით სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ რამოდენიმე უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში. პედაგოგთა სპეციალობა ხშირად არ შეესაბამებოდა იმ სასწავლო დისციპლინას, რომელსაც ისინი ასწავლიდნენ. სამედიცინო სასწავლებლების კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებების ანალიზმა აჩვენა, რომ ფაქტიურად არ არსებობდა სტუდენტთა მომზადების პირობები.

სამედიცინო განათლების რეფორმის კონცეფცია

სამედიცინო განათლების სრულყოფა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის კონცეფციის 13 მიმართულებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენდა (ჯორბენაძე, ვერულავა, 2021). ამ მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, ერთ-ერთ პირველ უწყებას წარმოადგენდა, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ რთული და მეტად ფაქიზი პრობლემის შესწავლასა და მოწესრიგებას.

უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის რეფორმირების დოკუმენტების პაკეტი საქართველოს მინისტრთა კაბინეტს ჯერ კიდევ 1995 წლის ივლისში წარედგინა. იგი წარმოადგენდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის პაკეტის ნაწილს და ითვალისწინებდა სამედიცინო განათლების სფეროში არსებული ქაოსური პროცესების მოწესრიგებას, სამედიცინო კადრების სწავლებასა და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებას. იმის გამო, რომ სამედიცინო განათლების რეფორმა მოითხოვდა რადიკალურ ნაბიჯებს, მაშინდელმა მინისტრთა კაბინეტმა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მოსაზრებებით განათლების ნაწილი ამოიღო დადგენილებიდან, რითაც მთელი ერთი წლით გადაიდო სამედიცინო განათლებაში არსებული პრობლემების მოწესრიგების დასაწყისი.

მიუხედავად სირთულეებისა, ჯანდაცვის სამინისტრომ მსოფლიო ბანკის აქტიური მხარდაჭერით მოამზადა პრეზიდენტის 1996 წლის 11 ივნისის N379 ბრძანებულება “საქართველოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ”, რომლის უმთავრეს ღონისძიებებს შეადგენდა (ნორმატიული აქტები, 1996):

1. საქართველოს ტერიტორიაზე ახალი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების გახსნის შეჩერება სათანადო რეგულირების მექანიზმების მიღებამდე;

2. სახელმწიფო რეგისტრაციის და ლიცენზიის მქონე უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებს უნდა გაევიდეთ ატესტაცია და აკრედიტაცია;

3. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო სასწავლებლების დიპლომებს და სერთიფიკატებს მხოლოდ მაშინ მიენიჭებოდა იურიდიული ძალა, თუ მათ გასცემდა სასწავლებელი, რომელსაც დადენილი წესით გავლილი ჰქონდა სახელმწიფო რეგისტრაცია, ლიცენზირება, ატესტაცია და აკრედიტაცია.

4. უნდა დაწყებულიყო უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის თანმიმდევრული ლიმიტირება;

5. უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები უნდა დაყოფილიყო 2 და 3 ეტაპიან სასწავლებლებად. ორ ეტაპიან სამედიცინო სასწავლებლებში სწავლების ვადა განისაზღვრა არანაკლებ 5 წლით (საბაზისო და კლინიკური დისციპლინების სწავლება), ხოლო სამ ეტაპიანი სწავლება - მინიმუმ 7 წლით (საბაზისო და კლინიკური დისციპლინების სწავლება და 2 წლიანი ზოგადი რეზიდენტურა);

6. სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის შემოღებულ იქნა მათი მომზადება ზოგად და დარგობრივ რეზიდენტურებში;

7. უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელთა დიპლომიან კურსდამთავრებულებს დამოუკიდებელი პრაქტიკული საექიმო საქმიანობის უფლება ეძლეოდათ სწავლების მესამე ეტაპის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო სალიცენზიო გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

8. თანამედროვე დონის ექიმთა პროფესიული მომზადების მოთხოვნების, აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა ქვეყანაში არსებული რეალური საჭიროების გათვალისწინებით ყოველწლიურად უნდა განსაზღვრულიყო დარგობრივი რეზიდენტურების ადგილები. დარგობრივი რეზიდენტურის პროგრამებით მოსამზადებელი კონტიგენტის შერჩევა უნდა მოწყობილიყო საერთო კონკურსის საფუძველზე.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა:

- საქართველოში სამედიცინო პერსონალის ლიცენზირების პროცესის დაწყებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტების შემუშავება;

- სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში სამედიცინო პერსონალის ლიცენზირების მოწყობას და ამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას;

- თანამედროვე დონის ექიმთა პროფესიული მომზადების მოთხოვნების, აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა ქვეყანაში არსებული რეალური საჭიროების გათვალისწინებით დარგობრივი რეზიდენტურების ვაკანტური ადგილების ყოველწლიური განსაზღვრა.

- ექიმთა პროფესიული მომზადებისათვის ზოგად და დარგობრივ რეზიდენტურაში კანდიდატების საერთო კონკურსის საფუძველზე მიღების დებულების და წესის შემუშავება და დამტკიცება.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა:

- საქართველოს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის თანმიმდევრული ლიმიტირების პროგრამის და წესის შემუშავება და დამტკიცება;

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა მატერიალური ანაზღაურების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება.

მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად შემუშავებულ იქნა ის ძირითადი მიმართულებანი, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სამედიცინო საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაცია. მსოფლიო ბანკის მხრიდან წამოყენებულ იქნა სპეციალური პირობები, რომელთა ქართული მხარის მიერ დაკმაყოფილება აუცილებელი იყო კრედიტის გამოსაყოფად. ამ პირობებს მიეკუთვნებოდა: მედიცინის გარკვეულ სპეციალობებში რეზიდენტურების პროგრამების ანუ პოსტ-დიპლომური მზადების სარეგულაციო ნორმატივების მიღება, სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ლიცენზირებისათვის ნორმატიული აქტების მიღება და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სამედიცინო სასწავლო დაწესებულებებისათვის ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის ლიმიტის დაწესება. მსოფლიო ბანკის ეგიდით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტებისა და უცხოელი ექსპერტების მიერ ერთობრივად მომზადებულ იქნა რეზიდენტურის პროგრამები.

სამედიცინო განათლების სისტემის რეორიენტაცია ეფუძნებოდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აპრობირებული, ერთი მხრივ უმკაცრეს რეგულაციებს და მეორე მხრივ, „მოთხოვნა-მიწოდების“ საბაზრო პრინციპს ანუ კონკურენტუნარიანი ჯანდაცვის მუშაკების შენარჩუნებას და მომზადებას, რისი მიღწევა უწყვეტი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფით და ცოდნის ხარისხის მაკონტროლებელი და მარეგულირებელი მექანიზმებით არის შესაძლებელი. ამ მექანიზმებს წარმოადგენენ სერთიფიცირების, ლიცენზირებისა და აკრედიტაციის პროცედურები.

სერთიფიცირება არის პროცესი, რომლის შედეგადაც წარმოიშობა შრომის ცოდნის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - სერთი-

ფიკატი. სერთიფიკატის მიზანია დაარწმუნოს მომხმარებელი იმაში, რომ სერთიფიცირებულ მედიკოსს წარმატებით აქვს გავლილი განათლების არსებული პროგრამა, ჩაბარებული აქვს გამოცდა ამ პროგრამით, შეფასებულია მისი ცოდნა, გამოცდილება და საჭირო პრაქტიკული დახელოვნება, რაც უზრუნველყოფს სპეციალისტის მიერ პაციენტის მომსახურების სტანდარტის შესაბამის ხარისხს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოქმნილი სიახლეების შესაბამისად იზრდება სერთიფიცირების მოთხოვნები, რაც განაპირობებს ახალი სასწავლო პროგრამის ათვისების აუცილებლობას და შესაბამისად გამოცდას - რესერთიფიცირებას. რესერთიფიცირების მიზანია შემოწმდეს მაძიებლის უწყვეტი კომპეტენტურობა იმ სპეციალობაში, რომელშიც იგი თავდაპირველად იყო სერთიფიცირებული. სხვადასხვა სპეციალობისათვის რესერთიფიკატის მოქმედების ხანგრძლივობა სხვადასხვაა შეიძლება იყოს.

ლიცენზირება არის რაიმე საქმიანობაზე უფლების მოპოვების პროცესი, ხოლო ლიცენზია არის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სამედიცინო ლიცენზია არის ექიმისათვის პროფესიულ საქმიანობაზე ნების დართვის დოკუმენტი. ექიმს პრაქტიკული მოღვაწეობის უფლება ეძლევა მხოლოდ სერთიფიკატის მოპოვების შედეგად. ლიცენზია ექიმს განუსაზღვრავს მისი საქმიანობის მიმართულებას და მოცულობას. სამედიცინო ლიცენზიებს გასცემს ჯანდაცვის სისტემაში არსებული სპეციალური სტრუქტურა. ლიცენზიამ შეიძლება დაკარგოს ძალა თუ ექიმი არ მოქმედებს დადგენილი კანონის და კომპეტენციის ფარგლებში.

ატესტაცია წარმოადგენს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებსა და ნორმატივებთან სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისობის დადგენას. აკრედიტაცია არის ატესტაციის შედეგების ანალიზი და მის საფუძველზე სასწავლო დაწესებულების რეიტინგული შეფასება, სასწავლებლის დონისა და სტატუსის განსაზღვრა. ატესტაციის და აკრედიტაციის დანიშნულებაა: სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნის და ამოცანების (ანუ რომელი პროფილისა და როგორი დონის პროფესიულ კადრებს ამზადებს) შეფასება; სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგიური და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალის, აგრეთვე ჩატარებული მუშაობის შედეგების სახელმწიფო სტანდარტებთან და პროფესიული კადრების მზადების თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობის დადგენა. ატესტაციის და აკრედიტაციის პროცედურის საფუძველზე სახელმწიფო გასცემს ოფიციალურ გარანტიას (სტუდენტებისათვის, სამედიცინო პერსონალისათვის, ჯანდაცვის დაწესებულებისათვის და საზოგადოებისათვის) იმის შესახებ, რომ აკრედიტირებულ სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო

პროცესი ტარდება სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე დონის სამედიცინო კადრების განათლებას და პროფესიულ მომზადებას.

სერთიფიკაციის, ლიცენზირების და აკრედიტაციის პროცედურები მთელ რიგ ქვეყნებში სხვადასხვა სტრუქტურები (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი) ახორციელებენ. აშშ-ში სამედიცინო განათლების სასწავლო პროგრამის და სერთიფიკატის სტანდარტული მოთხოვნების მთავარი დამაკრედიტირებელი ორგანოდ ითვლება ამერიკელ მედიკოსთა ასოციაცია.

1990-იან წლებში საქართველოში პროფესიული ასოციაციების ტრადიციები თითქმის არ არსებობდა. პროფესიული საზოგადოებები განიცდიდა ტრანსფორმაციის სირთულეებს და ვერ იღებდნენ თავის თავზე მაღალი დონის საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქციას. შესაბამისად, საკადრო პოლიტიკის რეორიენტაციის მექანიზმების ამოქმედება გარკვეულ დრომდე ისევ სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე დარჩა.

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების ატესტაცია-აკრედიტაცია ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენდა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების ატესტაცია-აკრედიტაციის პროცესი, რადგან რეფორმით გათვალისწინებული თითქმის ყველა საკითხის მართებული და დროული გადაწყვეტა სწორედ ამ პროცესის გამართულად და მაღალ დონეზე ჩატარებასა და მიღებულ შედეგებზე იყო დამოკიდებული.

1996 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და განათლების სამინისტროს მიერ შექმნილმა სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების საატესტაციო და სააკრედიტაციო კომისიამ. სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ატესტაცია განისაზღვრა სავალდებულოდ 5 წელიწადში ერთხელ. შემუშავდა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების ატესტაცია-აკრედიტაციის ერთიანი კრიტერიუმები და წესები, დებულება და უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების კითხვარი. თითოეულ სასწავლო დაწესებულებას მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განესაზღვრა აკრედიტაციის შედეგად გამოვლენილი სასწავლებლის პედაგოგიური, მატერიალურ-ტექნიკური და კლინიკური ბაზების პოტენციალის გათვალისწინებით.

1996 წლის 15 ნოემბრიდან დაიწყო უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების და მათი სასწავლო კლინიკური ბაზების ატესტაცია-აკრედიტაციის პროცესი, რომელიც შედგებოდა ორი ეტაპისაგან. პირველ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ წინადადება პასუხი გაეცათ კომისიის მიერ შემუშავებულ თვითშეფასების კითხვარზე, ხოლო მეორე ეტაპზე სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა ჯგუფები ადგილზე ამოწმებდნენ თვითშეფასების კითხ-

ვარში მოყვანილი ინფორმაციის სისწორეს, სწავლობდნენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, კლინიკური ბაზების მდგომარეობას და სხვა კერძო საკითხებს. შეიქმნა უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა კომპიუტერული ბანკი, რომელშიც შეტანილი იქნა საქართველოში არსებული სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემები.

1997 წელს დასრულდა უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ატესტაციის პირველი ეტაპი. დადგინდა, რომ სტუდენტთა მზარდი რაოდენობა კიდევ უფრო ართულებდა ისე-დაც ჭარბი ადამიანთა რესურსების მქონე ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობას. ატესტაცია-აკრედიტაციის პროცესს ეტაპობრივად უნდა მოეგვარებინა უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში არსებული რთული მდგომარეობა ცივილიზებული მეთოდებით. 9 სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებას გადაუვადდა ატესტაცია, რაც გულისხმობდა კონტინგენტის მიღების დროებით შეჩერებას საექსპერტო კომისიის მიერ აღნუსხული ნაკლოვანებების გამოსწორებამდე. დარჩენილ 44 სასწავლებელში მიღება შეწყდა 7 ფაკულტეტზე. 32 სასწავლებელს მიეცა სხვა სასწავლებელთან გაერთიანების რეკომენდაცია. ყველა სასწავლებელს დაუწესდა მისაღები კონტინგენტის ლიმიტი.

უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ატესტაცია ითვალისწინებდა სასწავლო დაწესებულებების დიფერენცირებას ორ და სამეტაპიან სასწავლებლებად, თითოეული ატესტირებული სასწავლებლისათვის მისაღები კონტინგენტის ლიმიტის განსაზღვრას და აკრედიტაციას შესაბამისი პროგრამის მიხედვით. შემუშავდა უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის პროგრამა ქვეყნის მოთხოვნილებების და სტუდენტთა მომზადების რეალური პირობების გათვალისწინებით.

სამ საფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება

სამედიცინო საქმიანობა განსაკუთრებულ და სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს, რომელსაც მრავალწლიანი სწავლისა და პრაქტიკის შედეგად ეუფლება ექიმი. სამედიცინო განათლების რეფორმა ითვალისწინებდა სამ საფეხურიანი უმაღლესი განათლების შემოღებას.

დიპლომამდელი უმაღლესი სამედიცინო განათლება გულისხმობს უნივერსიტეტში მიღებულ განათლებას, ანუ უმაღლესი სამედიცინო განათლება (6 სასწავლო წელი). ამ დროს სტუდენტი იძენს შესაბამის პროფესიას, რომელიც დიპლომირებული მედიკოსის სახელითაც არის ცნობილი. ექიმს აქვს უმცროს ექიმად მუშაობის შესაძლებლობა, შესაბამისად არ აქვს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება. უფლება დაასაქმოს უმცროსი ექიმი შესაბამის თანამდებობაზე, ასეთ

დროს ექიმის ფუნქციას უმცროსი ექიმი ასრულებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე ექიმის პასუხისმგებლობის ქვეშ.

დიპლომისშემდგომი დახელოვნება ანუ რეზიდენტურა წარმოადგენს საექიმო საქმიანობის შემადგენელ, უმაღლესის შემდგომი პროფესიული მომზადების ეტაპს ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში. რეზიდენტურის წარმატებით გავლის შემდეგ პირს უფლება აქვს გავიდეს შესაბამის გამოცდაზე, რომლის შედეგადაც მოიპოვებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელ მოწმობას, სახელმწიფო სერტიფიკატს. სერტიფიცირება ეს არის საექიმო პერსონალის პროფესიული ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება. სახელმწიფო სერტიფიკატით განისაზღვრება კონკრეტული სპეციალობა, რომელშიც მუშაობისა უფლებ აქვს ექიმს. შეიძლება ეს იყოს როგორც ფართო პროფილის (პედიატრია) ასევე ვიწრო სპეციალობა (კარდიოლოგია).

ქვეყანაში რეზიდენტურის სისტემას წარმართავს დიპლომის-შემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭო. ექიმებისა და ფარმაცევტების დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი. რეზიდენტურაში ჩარიცხვა ხდება ერთიანი უნიფიცირებული მისაღები გამოცდების საფუძველზე, კონკურსის წესით. რეზიდენტურაში სწავლა ხორციელდება ორი ფორმით: სახელმწიფო დაფინანსებით და კერძო დაფინანსებით.

უწყვეტი სამედიცინო განათლება. სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭების შემდეგ, ექიმს ეძლევა უფლება იმუშაოს დამოუკიდებლად ლიცენზიის შესაბამისი სპეციალობით, მაგრამ მედიცინა სხვა დარგებისგან გამოირჩევა იმით რომ, მედიკოსი (ექიმი) მთელი თავისი პროფესიული საქმიანობის მანძილზე მონაწილეობს საგანმანათლებლო პროცესში. ამგვარად, ექიმის პროფესიული ცხოვრება ერთი უწყვეტი სამედიცინო განათლებაა. უწყვეტი სამედიცინო განათლება გრძელდება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მთელი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში და არის საექიმო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან და ტექნოლოგიებთან დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

საქართველოში საბჭოთა პერიოდში უწყვეტ პროფესიულ განათლებას უზრუნველყოფდა სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, რომელიც დაარსდა 1935 წელს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის სახით. 1941 წელს მას ეწოდა “თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი”, ხოლო 1993 წელს ეწოდა “თბილისის სამედიცინო აკადემია”.

დამოუკიდებელი მოპოვების შემდეგ 1995 წელს დაწყებული ჯანდაცვის რეორიენტაციის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სისტემის სრულყოფა, კერძოდ - რეზიდენტურის და პერსონალის აკრედიტაცია-ლიცენზირების ინსტიტუტების შემოღება. ჯანდაცვის მინისტრის 1996 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით თბილისის სამედიცინო აკადემიას შეეცვალა სახელი და ეწოდა “ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია” ექიმთა დიპლომისშემდგომი მომზადებისა და დახელოვნების სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 24 ნოემბრის N478 ბრძანებულებით კი აკადემიას დაეკისრა სამედიცინო პერსონალის უმაღლესიშემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურა) და უწყვეტი სამედიცინო განათლების, ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კადრების მართვაში საბაზისო დაწესებულების ფუნქცია და ეწოდა “საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია”.

ჩამოყალიბდა უწყვეტი სამედიცინო განათლების თანამედროვე სისტემა, რომელშიც იმთავითვე განისაზღვრა რომ „საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია“ უნდა გამხდარიყო ევროპის „უწყვეტი სამედიცინო განათლების ევროპის სააკრედიტაციო საბჭოსა“ და „მედიკოსსპეციალისტთა ევროპული გაერთიანების“ წევრი. აკადემიას დაევალა მისი საქმიანობა გაეგრძელებინა როგორ ექიმებზე ასევე საშუალო სამედიცინო მედ-პერსონალზეც. აკადემიის სტუქტურა და დასახული ამოცანები მთლიანად პასუხობდა იმდროინდელ ევროპულ სტანდარტს რომელიც 2000-იან წლებში ევრო კავშირის ტერიტორიაზე უსწრაფესი ტემპებით ვითარდებოდა. (ბერია, სურგულაძე, გიორგაძე, 2019).

ჯანდაცვის მინისტრის 1997 წლის 27 ოქტომბრის N 426/ო ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა დებულება რეზიდენტურაში სამედიცინო კადრების პროფესიული მზადების შესახებ. დარგობრივი რეზიდენტურის ანუ სამედიცინო კადრების პოსტდიპლომური პროფესიული მზადების პროგრამების მიზანს შეადგენდა მედიცინის სხვადასხვა სპეციალობებში თანამედროვე დონის სპეციალისტების მომზადება.

1998 წელს დაიწყო ექიმთა და ფარმაცევტთა სერთიფიცირების პროცესი. 1998-2001 წლებში გამოცდები ჩატარდა 45 სპეციალობასა და 37 სუბსპეციალობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23555 ექიმმა და ფარმაცევტმა, ანუ საქართველოში დასაქმებულ ექიმთა 62%-მა. მათგან გამოცდები წარმატებით დაძლია 19950 ექიმმა, რაც სამივე წელს გამოცდაზე გასულთა 87.6%-ია. 2003 წლის 1 იანვრისათვის სერთიფიცირების პროცესში გამოცდებზე გასული 27036 ექიმიდან თავისი ცოდნის დონე და აზროვნების უნარი დაამტკიცა მხოლოდ

23287-მა, ანუ 86,1%-მა, 6972 ახალკურსდამთავრებულთაგან ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით გამოცდა წარმატებით ჩააბარა 4531-მა, ანუ მხოლოდ 65,4%-მა (გამყრელიძე, ოსაძე, 2003).

შეიქმნა სამედიცინო მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტი, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამედიცინო მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას. დეპარტამენტის მიერ მომზადდა რეზიდენტურის პროგრამები ოჯახის ექიმის, შინაგანი მედიცინის, ინფექციურსნეულებათა, ინტენსიური თერაპია-კრიტიკული მედიცინის, პედიატრიის, ნევროლოგიის, ქირურგიის, ტრავმატოლოგია-ორთოპედიის, მეანობა-გინეკოლოგია და პერინატალური მედიცინის, რადიოლოგიის, ფსიქიატრიის, ფთიზიატრიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტის სპეციალობებში. შეიქმნა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლისათვის საგანმანათლებლო სტანდარტი.

ოჯახის ექიმის განვითარებაზე ორიენტაცია

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ოჯახის ექიმის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. უმაღლესი სამედიცინო განათლების არსებულმა სისტემამ გამოიწვია ექიმთა როგორც საერთო რაოდენობის, ისე ვიწრო სპეციალისტთა სიმრავლე და საკმაოდ დიდი დისბალანსი ზოგადი პრაქტიკის ექიმთა და სპეციალისტთა შორის. მაგალითად, საერთაშორისო პრაქტიკით, ექიმთა საერთო რაოდენობაში ზოგადი პრაქტიკისა და ოჯახის ექიმთა წილი 50-60%-ია. საქართველოში პირიქით - ექიმთა 70% არიან ვიწრო სპეციალისტები და ზოგადი პრაქტიკის ექიმები მხოლოდ 30%, მაშინ როდესაც სწორედ ეს უკანასკნელები უნდა აწარმოებდნენ პირველად სამედიცინო დახმარებას, რაც განსაკუთრებით ეფექტურს და შედარებით იაფს ხდის მთლიანად სამედიცინო მომსახურებას. ამიტომაც ჯანდაცვის დარგში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახდა პირველად ჯანდაცვასა და ოჯახის ექიმებზე ორიენტირებულ სისტემაზე თანდათანობითი გადასვლა.

ოჯახის ექიმი გახდა ძირითადი საყრდენი ახალი ჯანმრთელობის დაცვის სისტემისათვის და ამდენად მათი პროფესიონალიზმი ერთ-ერთი გადაწყვეტი ფაქტორია სისტემის სრულყოფილი მუშაობისთვის. ამ მიმართულებით მსოფლიო ბანკის პროექტმა აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ბრიტანულ “ნოუ-ჰაუ” ფონდთან. ამ თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა სასწავლო პროგრამა ოჯახის ექიმისათვის და თბილისის რამდენიმე პოლიკლინიკის ბაზაზე განხორციელდა მისი რეალიზაცია.

საექთნო საქმის განვითარების ხელშეწყობა

საბჭოური მოდელის მიხედვით, ექთნები ნაკლებად კვალიფიცირებულნი იყვნენ და ძირითადად წარმოადგენდნენ ექიმთა დამხმარ-

რეებს. ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესში გამოიკვეთა საშუალო სამედიცინო პერსონალის ადგილისა და როლის ახლებური განსაზღვრის აუცილებლობა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, საექთნო საქმე წარმოადგენს სამედიცინო სისტემის ცალკე დარგს, რომელიც ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, უზრუნველყოფს ავადმყოფის მოვლას და ზრუნავს მის გაჯანსაღებაზე (Nursing care, 1987).

საქართველოში ექთნის ფუნქციები გაცილებით ვიწროა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, ექთნის სოციალური სტატუსი როგორც საზოგადოებაში, ასევე სამედიცინო დაწესებულებაში გაცილებით დაბალია. ამით აიხსნება, რომ ერთ ექიმზე მოდის 0.9 ექთანი, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში აღნიშნული თანაფარდობა შეადგენს 1 : 2 – 4-თან. ფუნქციების შეზღუდვა და პასუხისმგებლობის შემცირება აქვეითებს საექთნო პერსონალის პროფესიონალიზმს. ექთნების დაბალ პროფესიულ დონეს იწვევს საბაზისო განათლების დაბალი დონე, სამედიცინო ცოდნის უწყვეტი განათლების სისუსტე.

საქართველოში საექთნო საქმიანობის გაძლიერებას ხელი შეუწყო ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსმა, რომელმაც ორგანიზაცია გაუკეთა ექთნების სწავლებას საზღვარგარეთის საექთნო სკოლებში (მაგ., აშშ-ის ჯორჯიის შტატში, ატლანტის საექთნო სკოლაში). (ჯანდაცვის სისტემები, 2002). საექთნო საქმიანობის როლის ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მთავარი ექთნის თანამდებობის შემოღებამ. 1996 წელს შეიქმნა საქართველოს ექთანთა ასოციაცია.

ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალურმა ცენტრმა დაიწყო მუშაობა ექთნების ახალი პროფესიული სტანდარტების დამუშავებაზე, სამედიცინო დაწესებულებების მთავარი და უფროსი ექთნების უფლებამოსილებების გაზრდაზე, საექთნო საქმის ორგანიზებისა და მართვის სფეროს გაფართოებაზე.

ახალი ტიპის ხელმძღვანელი ექთნების მოსამზადებლად უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრის ბაზაზე განხორციელდა „ლიდერი ექთნის“, საექთნო ჩვევების, ბეზიქალების კვალიფიკაციის ამაღლების, ექთან-ნეონატოლოგების კვალიფიკაციის ამაღლების, ზოგადი პრაქტიკის კურსები, სხვა უწყვეტი საექთნო განათლების პროგრამები. აღსანიშნავია, რომ ექთნების უწყვეტი განათლების ცენტრები შეიქმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

„ატლანტა-თბილისის სამედიცინო პარტნიორული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა „ლიდერი ექთნის“ მოსამზადებელი კურსი, რომელსაც წარმართავს უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრის საექთნო კომპონენტი. კურსის ჩამოყალიბების მთავარ მიზანს შეადგენდა იმ ძირითადი ბირთვის მომზადება, რომელზე

დაყრდნობით ადგილებზე მოკლე დროში უნდა დანერგილიყო ექთნების ცოდნის ამაღლების ახალი ფორმები და მეთოდები.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საექთნო საქმის მაღალი სტანდარტების დონეზე განვითარებისათვის აუცილებელი გახდა უმაღლესი საექთნო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება. უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრის საექთნო კომპონენტის ჩამოყალიბებით მოკლე ვადებში ქვეყანაში შეიქმნა საექთნო კადრების გადამზადების ახალი სისტემა. (ჯანდაცვის სისტემები, 2002) გოგაშვილი, 1998). აღნიშნულმა ღონისძიებებმა მყარი საფუძველი შექმნა, რათა სათანადო დონეზე განხორციელდეს ექთნების სერთიფიცირება და ლიცენზირება.

დღეისათვის ისევ პრობლემად რჩება ექთნების დეფიციტი. ექიმებისაგან განსხვავებით შედარებით ნაკლები ექთანი ამთავრებს სასწავლებელს. საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა 2016 წელს დაამთავრა 23-მა ქართველმა სტუდენტმა, (გოგაშვილი, 1998), მაშინ, როდესაც საშუალო ევროპული მაჩვენებლით, ქვეყანამ წელიწადში 1400 ექთანი უნდა აწარმოოს (ადამიანური რესურსი, 2012: 27). ქვეყანაში ექთნების მცირე რაოდენობა მეტყველებს საექთნო საქმის ნაკლებად პოპულარიზაციაზე. ამის მიზეზებია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები და აკადემიური თუ პროფესიული მზადებისათვის შესაბამისი სტიმულაციის (საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ფინანსური წახალისების) სისტემების არარსებობა.

ჯანდაცვის მენეჯერების ჩამოყალიბება

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მენეჯერთა და ადმინისტრატორთა რგოლს. ამ რგოლის სისუსტის გამო გარკვეული სიძნელებები იქმნებოდა ადგილებზე. ამ თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკის პროექტის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა სამედიცინო მენეჯმენტში გადასამზადებელი კურსების ორგანიზება, რომლის ჩატარება რეგულარულად დაიწყო უწყვეტი სამედიცინო განათლების ცენტრში. მთავარი ექიმებისათვის სპეციალურად მომზადდა პერიოდულად ტარდებოდა ჯანდაცვის ეკონომიკის და მართვის კურსები. ამავე ცენტრში და შესაბამის კლინიკურ ბაზებზე ჩატარდა საექთნო საქმის გადამამზადებელი კურსებიც. დღეისათვის, საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში ხორციელდება ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

ამგვარად, საქართველოში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეორიენტაციის შედეგად საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე პრინციპებზე აგებული სამედიცინო განათლების ახალ სისტემას, რომელიც ეხმარებოდა მსოფლიოს უახლეს გამოცდილებას. თუმცა, რეფორმების გატარებაში უმთავრეს სირთულეს წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან

უწყვეტ სამედიცინო განათლებაზე გამოყოფილი მწირი და არასრული დაფინანსება. ჯანდაცვის სისტემა განიცდიდა დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, რადგან სახელმწიფო ხშირად ვერ ახდენდა დაპირებული ვალდებულებების დაფინანსებას (კახიშვილი, 2011). შედეგად, უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღება და რესერტიფიცირება ექიმებს საკმაოდ დიდი თანხა უჯდებოდათ.

2003 წლიდან შეიცვალა მიდგომა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის მიმართ, რომლის მიხედვით სამედიცინო ბაზარი თვით-რეგულირების მექანიზმებს უნდა დაყრდნობოდა, ხოლო სამედიცინო პერსონალს თვითგანვითარების პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელა. შედეგად, 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტის „სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ“ ბრძანებულება №226 საფუძველზე სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლება სავალდებულო პირობას აღარ წარმოადგენდა (გზირიშვილი, 2012). გაუქმდა აგრეთვე ექიმთა და საშუალო მედიკოსონალის რესერტიფიცირების მექანიზმები.

დღეისათვის საქართველოში უწყვეტი სამედიცინო განათლება ნებაყოფლობითია. დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაცივმა უვადოთ და ამ სერტიფიკატზე არ არის მიბმული მიღების შემდგომ პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების (ან შენარჩუნების) კრიტერიუმები – ექიმს არ ევალება რესერტიფიკაციის გავლა ან კრედიტების ქულების მოგროვება. შედარებისათვის, ევროპის ქვეყნების დიდ უმრავლესობაში უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობა სავალდებულოა. მაგალითისთვის, ავსტრიაში, გერმანიაში და უნგრეთში უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობა ექიმებისთვის სავალდებულოა, იტალიაში ნაციონალური ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ექიმებისათვის, ხოლო შვეიცარიაში ექიმთა ფედერაციის წევრებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობა სავალდებულოა, ნიდერლანდებში და ნორვეგიაში ზოგადი პრაქტიკის ექიმებისათვის უწყვეტი სამედიცინო განათლებაში სავალდებულოა.

ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო განათლების სისტემა (დიპლომამდელი განათლება, რეზიდენტურა, უწყვეტი სამედიცინო განათლება და პროფესიული განვითარება) საჭიროებს შემდგომ რეფორმირებას, რათა მოხდეს ჯანდაცვის სექტორში ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, ექიმების ახალი ნაკადის დაბალანსება და ექთნების როლის ამაღლება. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს პირდაპირი კორელაცია პაციენტის უსაფრთხოებას, სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და უწყვეტ სამედიცინო განათლებას შორის, საჭიროა უწყვეტი სამედიცინო განათლების სავალდებულოობის უზრუნველყოფა, რომელიც დაემყარება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. საქართველო - ევ-

როპული ორიენტაციის ქვეყანაა, სულ მალე, ალბათ, ევროკავშირის წევრები გავხდებით და ამდენად, სხვა მრავალ პარამეტრთან ერთად, ჩვენი სამედიცინო განათლების სისტემაც ევროგაერთიანების მოთხოვნების მიხედვით უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

adamianuri resursi jandatsvis seqtorsshi. Situatsiuri analizi. Jandatsvis sp`eros barometri. (2018). Tbilisi. (ადამიანური რესურსი ჯანდაცვის სექტორში. სიტუაციური ანალიზი. ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი. (2018). თბილისი.).

Beria, G. Surguladze, V. Giorgadze, T. (2019). uts`kvet`I sameditsino ganatlebis problematik`a da mnishvneloba saqartveloshi. Jandatsvis politik`a, ekonomik`a da sotsiologia. № 5 (2). Tbilisi (ბერია, გ. სურგულაძე, ვ. გიორგაძე, თ. (2019). უწყვეტი სამედიცინო განათლების პრობლემატიკა და მნიშვნელობა საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია. № 5 (2). თბილისი.).

Gamkrelidze, A. Aladashvili, A. Vasadze, O. Top`uria, Z. Khup`enia, G. Ramishvili, B. Ag`dgomelashvili, M. Nozadze, G. (1998). Saqartvelos umag`lesi saganmanatleblo dats`esebulebebis shests`avlis shedegebi. Samecniero shromata k`rebuli. Jandatsvis martvis natsionaluri tsentri. Tbilisi. (გამყრელიძე, ა. ალადაშვილი, ა. ვასაძე, ო. თოფურია, ზ. ხუფენია, გ. რამიშვილი, ბ. აღდგომელაშვილი, მ. ნოზაძე, გ. (1998). საქართველოს უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები. სამეცნიერო შრომათა კრებული. ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი. თბილისი.).

Gamkrelidze, A. Atun, R. Gotsadze G. and MacLehose L. (2002) Health Care Systems in Transition. European Observatory on Health Systems and Policies. WHO. № 4(2).

Gamkrelidze, A. Vasadze, O. (2003). Saqartvelos janmrtelobis datsva saukuuneta mijnaze. Mokle istoriuli mimokhilva. Tbilisi. (გამყრელიძე, ა. ვასაძე, ო. (2003). საქართველოს ჯანმრთელობის დაცვა საუკუნეთა მიჯნაზე. მოკლე ისტორიული მიმოხილვა. თბილისი.).

Gzirishvili, d. (2012). Damoukidebeli saqartvelo-socialuri da janmrtelobis datsvis sistemebi. Tbilisi. (გზირიშვილი, დ. (2012). დამოუკიდებელი საქართველო – სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები. თბილისი).

Gogashvili, M. Garsevanishvili, K. (1998). utsqveti saektno ganatlebis sistemis chamoqalibeba sakartveloshi. sametsniero shromata krebuli. jandatsvis martvis natsionaluri tsentri. tbilisi. (გოგაშვილი, მ. გარსევანიშვილი, კ. (1998). უწყვეტი საექონო განათლების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში. სამეცნიერო შრომათა კრებული. ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი. თბილისი).

Verulava. T. (2019a). janmrtelobis kapitali. ekonomikis mdgradi ganvitarebis paktori. ekonomika da biznesi. N 11 (1). tbilisi. (ვერულავა, თ. (2019ა). ჯანმრთელობის კაპიტალი. ეკონომიკის მდგრადი განვითარების ფაქტორი. ეკონომიკა და ბიზნესი. № 11 (1). თბილისი).

Verulava, T. (2019b). Health Capital, Primary Health Care and Economic Growth. Eastern Journal of Medicine.

Verulava, T. (2021). pirveladi jandatsvis sistema da misi roli janmrtelobis kapitalis amaghlebashi. tbilisi. (ვერულავა, თ. (2021). პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამოღლებაში. თბილისი).

Verulava, T. Dangadze, B. (2018) Health Capital and Economic Growth: Evidence from Georgia. The Open Public Health Journal.

Kakhishvili, N. (2011). ekimta raodenoba da khariskhi. netgazeti. 28.11.2011. (კახიშვილი, ნ. (2011). ექიმთა რაოდენობა და ხარისხი. ნეტგაზეთი. 28.11.2011. <http://www.netgazeti.ge/GE/81/News/7143/>.

mostsavleta shepasebis saertashoriso programa PISA 2018: sakartvelos angari-shi (2020.) tbilisi. (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში. (2020). თბილისი).

Chanturidze, t. et al.(2009). Health System in transitions.WHO. Vol.11, №8.

Shengelia, R. (1999). Study of the history of medicine in Georgia. Croatian Medical Journal . № 40(1). Tbilisi.

Sakartvelos prezidentis 1996 tsilis 11 ivnisi brdzanebuleba sakartvelos umaghlesi sameditsino ganatlebis sistemis srulqofis damatebit ghonisdziebata shesakheb. sakartvelos janmrtelobis datsvis sistemis reporma. normatiuli aktebi. natsili II. (1996). tbilisi. (საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 ივნისის ბრძანებულება საქართველოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა. ნორმატიული აქტები. ნაწილი II. (1996). თბილისი).

Nursing care – summary of a European study. WHO. 1987.

Jandatsvis sistemebi gardamaval etapze. Sakartvelo (2002). (ჯანდაცვის სისტემები გარდამავალ ეტაპზე. საქართველო. (2002).

Jorbenadze, A. (1997). ganatlebis tatbir-seminari. sameditsino ganatlebis ganvitarebis sakhelmtsifo programa. (ჯორბენაძე, ა. (1997). განათლების თათბირ-სემინარი. სამედიცინო განათლების განვითარების სახელმწიფო პროგრამა).

Jorbenadze, A. (1995). sakartveloshi umaghlesi sameditsino ganatlebis 75-e da tbilisi sakhelmtsipo sameditsino universitetis 65-e tsilisTavi. tbilisi. (ჯორბენაძე, ა. (1995). საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების 75-ე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 65-ე წლისთავი. თბილისი.).

Jorbenadze, A. Verulava, T. (2021). janmrtelobis sotsialuri dazghveva sakartveloshi: ganvitarebis barierebi. ekonomika da biznesi. N 13 (2). tbilisi. (ჯორბენაძე, ა. ვერულავა, თ. (2021). ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა საქართველოში: განვითარების ბარიერები. ეკონომიკა და ბიზნესი. № 13 (2). თბილისი).

Реформа медицинского образования в Грузии: опыт и видение будущего

Автандил Джорбенадзе

доктор медицины

Председатель наблюдательного совета

Центра неотложной кардиологии им. Чапидзе

ORCID ID: 0000-0001-5008-8600

Avtandil.jorbenadze@ecc.ge

599409010

Тенгиз Верулава

доктор медицины,

Профессор Кавказского университета

ORCID ID: 0000-0001-8110-5485

tverulava@cu.edu.ge

577284849

Резюме

В результате переориентации в сфере здравоохранения в Грузии был заложен фундамент новой системы медицинского образования, построенной на современных принципах. Однако, главной трудностью в проведении реформ было скудное и неполное финансирование государством непрерывного медицинского образования. Система здравоохранения страдала от хронической нехватки финансирования, поскольку государство часто не выполняло свои обещанные обязательства. В результате непрерывное медицинское образование и перееаттестация обходилось врачам в значительную сумму денег.

С 2003 года изменился подход к системе непрерывного медицинского образования, согласно которому медицинский рынок должен основываться на механизмах саморегулирования, а медицинский персонал - руководствоваться принципами саморазвития. В результате, с 2006 года непрерывное медицинское образование медицинского персонала перестало быть обязательным условием. Также упразднены механизмы перееаттестации врачей.

В настоящее время непрерывное медицинское образование в Грузии является добровольным. Свидетельство о независимой медицинской практике выдается пожизненно и от врача не требуется проходить повторную сертификацию. Для сравнения, в подавляющем большинстве европейских стран участие в непрерывном медицинском образовании обязательно. Например, в Австрии, Германии, Италии, Швейцарии и

Венгрии непрерывное медицинское образование является обязательным для врачей, а в Норвегии это обязательно для врачей общей практики.

Существующая в стране система медицинского образования (высшее образование, резидентура, непрерывное медицинское образование и повышение квалификации) нуждается в дальнейшем реформировании, чтобы сбалансировать новый поток врачей в секторе здравоохранения и повысить роль медсестер. Учитывая, что существует прямая взаимосвязь между безопасностью пациентов, качеством медицинского обслуживания и непрерывным медицинским образованием, необходимо обеспечить обязательное непрерывное медицинское образование на основе лучшего международного опыта. Грузия - страна европейской ориентации, мы, вероятно, скоро станем членами Евросоюза, и поэтому, наряду со многими другими параметрами, наша система медицинского образования должна развиваться в соответствии с требованиями Евросоюза.

Ключевые слова: Грузия, медицинское образование, реформа, сертификация.

კულტუროლოგია

**კულტურულ-ისტორიული ურბანული ლანდშეფტის მართვის
გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და XXI საუკუნის
ურბანული გამოწვევები (ავსტრალია, ჩინეთი, ეკვადორი, პაკისტანი,
ტანზანია, იტალია, ნიდერლანდები და საქართველო)**

**Cultural-historical urban landscape management experience in different
countries of the world and 21st century urban challenges (Australia,
China, Ecuador, Pakistan, Tanzania, Italy, the Netherlands and
Georgia)**

Ketevan Akhobadze

Doctor of Social Sciences

Georgian National Academy of Sciences

Senior specialist

Tel: +995 551 145080

E-mail: akhobadze21@gmail.com

ORCID:0000-0003-0534-9124

Abstract

The article is dedicated to the UNESCO World Heritage Program, in particular, the issues of preservation and protection of historic urban landscapes. The article discusses how the UNESCO World Heritage Program seeks to fulfill its mission of preserving the World Cultural Heritage, which is of particular universal importance to humanity, both for present and future generations.

We understand well that cities differ in their culture and historical development. Uncontrolled urbanization threatens the heritage and often raises the issue of its deterioration and destruction, which raises the fear of losing the identity in the society, the important “places” for them, the local cultural monuments. These issues are well reflected in the UN and UNESCO documents.

In the conditions of globalization, cities are so similar in financial, technological, informational and other characteristics that they lose their different appearance and become like analogues. Therefore only culture and heritage is the only resource that always separates peoples, cities and differentiates from each other. Powerful cities creatively incubate, creating a stimulating and engaging environment in a variety of cultural fields to showcase the unique features of their local culture that increase international visibility in a global context.

The values of the society and the ways of their expression are reflected in the culture. Cultural resources are a distinguishing feature of our cities. Therefore, these UN recommendations were developed in 2011 to better implement

urban management programs. Such are the HUL approaches for all UNESCO member countries that voluntarily agree to take action that does not necessarily seek to change existing doctrines or approaches to conservation, but is an additional tool of cultural policy proposed by UNESCO, in which the overall objectives of urban development can be seen, however, clearly shows the value of cultural variety, which distinguishes them.

The article provides 7 guidelines that describe the need for and application of HUL approaches in different countries, showing examples of their experiences. The article provides a comparative analysis of current processes in Georgia, as well as the need to use HUL approaches.

Key words: Culture, Cultural Values, Society, Ecology, Ecology of Culture, HUL models, UN, UNESCO

ქეთევან ახოზაძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

უფროსი სპეციალისტი

ტელ: +995 551 145080

E-mail: akhobadze21@gmail.com

ORCID: 0000-0003-0534-9124

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამას, კერძოდ, ისტორიული ურბანული ლანდშაფტების შენარჩუნებისა და დაცვის საკითხებს. სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ ცდილობს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამა შეასრულოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მისია, რომელსაც კაცობრიობისთვის განსაკუთრებული უნივერსალური მნიშვნელობა აქვს, როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი თაობებისთვის.

კარგად გვესმის, რომ ქალაქები განსხვავდებიან თავისი კულტურით და ისტორიული განვითარებით. უკონტროლო ურბანიზაცია მემკვიდრეობას საფრთხეს უქმნის და ხშირად მისი გაუარესება-განადგურების საკითხი დგება, რაც საზოგადოებაში იდენტობის, მათთვის მნიშვნელოვანი „ადგილების“, ადგილობრივი კულტურის ძეგლების დაკარგვის შიშს იწვევს. გაეროს და იუნესკოს დოკუმენტებში კარგად იკვეთება ეს პრობლემატიკა.

გლობალიზაციის პირობებში, ქალაქები იმდენად ემსგავსებიან ფინანსური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სხვა მახასიათებლებით, რომ კარგავენ თავიანთ განსხვავებულ იერსახეს და ანალოგებივით ხდებიან. ამიტომ **მხოლოდ კულტურა და მემკვიდრეობაა ის ერთადერთი რესურსი**, რომელიც ყოველთვის გამოყოფს ერთმანეთისგან

ხალხებს, ქალაქებს და განასხვავებს. ძლიერი ქალაქები შემოქმედებით ინკუბატორებს, კულტურის სხვადასხვა სფეროში მასტიმულირებელ და მიმზიდველ გარემოს ქმნიან, რათა წარმოაჩინონ თავიანთი ადგილობრივი კულტურის უნიკალური თვისებები, რომელიც გაზრდის საერთაშორისო ხილვადობას გლობალურ კონტექსტში.

საზოგადოების ღირებულებები და მათი გამოხატვის გზები - კულტურაში აისახება. კულტურის სფეროს რესურსები კი ჩვენი ქალაქების ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშან-საშუალებაა. ამიტომ შემუშავდა 2011 წლის გაეროს ეს რეკომენდაციები, რათა უკეთესად განხორციელდეს ურბანული მენეჯმენტის მიმართულების პროგრამები. ასეთია HUL მიდგომები UNESCO-ს იმ ყველა წევრ-ქვეყნისათვის, რომელიც ნებაყოფლობით, თანახმაა განახორციელოს ქმედებები, რომლის მიზანი სულაც არ არის შეცვალოს არსებული დოქტრინები ან მიდგომები დაცვა-კონსერვაციის კუთხით, არამედ UNESCO-სგან შემოთავაზებული, **კულტურის პოლიტიკის დამატებითი ინსტრუმენტია**, რომელშიც მსოფლიო ურბანული განვითარების საერთო მიზნები ჩანს, თუმცა კარგად იკვეთება სხვადასხვა კულტურული ღირებულებაც, რომელიც მათ განასხვავებს.

სტატიაში მოცემულია 7 სახელმძღვანელო, რომლებიც აღწერს HUL მიდგომების საჭიროებას და გამოყენებას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, სადაც ნაჩვენებია მათი გამოცდილების მაგალითები. სტატიაში მოცემულია საქართველოში მიმდინარე პროცესების შედარებითი ანალიზი, აგრეთვე HUL მიდგომების გამოყენების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, კულტურის ღირებულებები, საზოგადოება, ეკოლოგია, კულტურის ეკოლოგია, HUL მოდელები, გაერო, იუნესკო.

შესავალი

სინამდვილეში, საკმაოდ ძნელია, გაარჩიო, სად იწყება „საზოგადოება“ და სად მთავრდება „ბუნება“...

(*ჰარვი 1993:31, 28*)

გამოთქმა „კულტურის ეკოლოგია“, რომელიც დღევანდელობაში ფართოდ გავრცელდა, ადამიანის ყოველდღიური ქცევის ნორმებს გულისხმობს იმ გარემოში, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს. მაგრამ ტერმინი „ეკოლოგია“ როგორი შინაარსითაც არ უნდა გამოვიყენოთ, ალბათ პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მთელ მსოფლიოში განვითარებული გამოწვევების ფონზე, ეკოლოგიური მოძრაობა, უფრო ფართოდ გაიშალა. ბუნების და კულტურის შენარჩუნება-გადარჩენის საკითხი, რომელიც ადამიანის ბიოსფეროსთან ჰარმონიულ ურ-

თიერთობას ეხება, დღეს განსაკუთრებულად მწვავედ დგას.

ნამახვანი ჰესის გარშემო დაწყებულმა სკანდალმა, როცა 2021 წლის 28 თებერვალს ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე, პროტესტის ნიშნად, ათასობით ადამიანი შეიკრიბა, კვლავ გამახსენა 40-იოდე წლის წინანდელი ისტორია.

ჯერ კიდევ 1988 წ., სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე (მოსკოვი, 27-29 დეკემბერი), რომელიც „ეკოლოგიის“ პრობლემების განხილვას მიემდგნა, უდიდესმა ქართველმა ენათმეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის შემდეგ, ერთ-ერთმა პირველმა ტერმინი „კულტურის ეკოლოგია“ გააჟღერა და ასე ჩამოაყალიბა: „კულტურის ეკოლოგია“ განიხილავს ადამიანს არა როგორც ბიოლოგიურ ობიექტს, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს ფიზიკური გარესამყარო, არამედ როგორც სოციალურ-კულტურულ ობიექტს, რომელიც გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებს ადამიანურ გარემოსთან და რომელზედაც ზემოქმედებას ახდენს ესა თუ ის სოციალური გარემო“. მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ამ პრობლემაზე და აღნიშნა, რომ ჩვენ, ადამიანები, „...თითქმის მთლიანად უგულვებელვყოფთ „კულტურის ეკოლოგიის“ პრობლემებს, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს, ფიზიკური გარემოს სიწმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებს კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები. ამგვარ ენათა და კულტურათა მოსპობა და გადაშენება ისეთივე კატასტროფაა კულტურულ-ეკოლოგიური თვალსაზრისით, როგორც გარესამყაროს უკიდურესი დაბინძურება - ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგიის თვალსაზრისით... ჩვენ „წითელ წიგნში“ შეგვაქვს ცხოველთა და მცენარეთა სახელები, რომელთაც გადაშენება ემუქრებათ და ამით ვაფრთხილებთ კაცობრიობას, მაგრამ გვავიწყდება თვითონ ადამიანი და მისი კულტურა, როდესაც გულგრილად შევცქერით ხალხებისა და ენების გადაშენებას,.. რომლებიც თავად წარმოადგენენ კაცობრიობის ისტორიისა და საკაცობრიო კულტურის ნაწილს“ (თ. გამყრელიძე. ლიტერატურული საქართველო., 13.01.1989).

თამაზ გამყრელიძემ სწორედ ამ კრებაზე დააყენა საკითხი, მოეწვიათ სპეციალური სესია, რომელიც კულტურულ-ეკოლოგიური პრობლემის განხილვას მიემდგნებოდა და „კულტურის ეკოლოგიის“ მეცნიერულ საფუძვლებს ჩამოაყალიბებდა (ფაქტიურად, ეს ახალი დისციპლინის შექმნას მოასწავებდა, რომელსაც ქართველმა მეცნიერმა, იმ მომენტისათვის, პირობითად - „ადამიანისა და საზოგადოების ეკოლოგია“ უწოდა).

მოგეხსენებათ, **ურბანული ლანდშაფტი ადამიანის ჩარევის პროდუქტია, როცა ადამიანმა - გარკვეული ადგილისთვის დამახასიათებე-**

ლი არქიტექტურული, კულტურული და სოციალური გამოხატულებებით - გარემო შეცვალა. ამიტომ მიიჩნევენ, რომ პეიზაჟი, გარემომცველ ბუნებასთან „ადამიანის უძველესი და ამჟამინდელი ურთიერთობების სარკეა“ და ადგილობრივი კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ეს ურბანული პეიზაჟები ხშირად გამოხატავენ თანამედროვე ხელოვნების გამოვლინებებს (სკვერების გაფორმება ქანდაკებებით თითქმის ყველა ქვეყანაში, დაკარგული ბაღები ინგლისში და ა.შ.), როცა ძველი სივრცეების ნაცვლად იქმნება ახალი, უფრო კომფორტული, ხელმისაწვდომი, სადაც კარგად ჩანს შემოქმედის, მისი შემოქმედების და ინოვაციის ერთობლივი პროდუქტი. ასეთი ურბანული პეიზაჟის შემთხვევა უხვადაა, სადაც თვალსაჩინოა, გარემოს ადამიანი მისთვის სარგებლის მომტანად როგორ ხდის, როგორ თანაარსებობენ ისინი მისთვის ჰარმონიულ გარემოში.

მეთოდები

შესასწავლი საკითხი განხილულია საქართველოში, კერძოდ თბილისის ურბანული განაშენიანების მაგალითებზე. ნაშრომი ემყარება თბილისის დამახინჯებული გარემოს „უსახური“ შენობა-ნაგებობებით კომპლექსურად შეკრებილ მასალას და მათ შესახებ არსებულ ოფიციალურ მონაცემებს, რომელიც შედარებულია 7 ქეისის საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ ექსპერიმენტებთან, რომელიც HUL მიდგომების საჭიროებას და გამოყენებას აღწერს. კვლევისას გამოყენებულია შედარებითი მეთოდი.

შედეგები

სტატიაში მოცემულია 7 სახელმძღვანელო, რომლებიც აღწერს HUL მიდგომების საჭიროებას და გამოყენებას სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, სადაც ნაჩვენებია მათი გამოცდილების მაგალითები. სტატიაში მოცემულია საქართველოში მიმდინარე პროცესების შედარებითი ანალიზი, აგრეთვე HUL მიდგომების გამოყენების აუცილებლობა.

მსჯელობა

გაეროს ოფიციალური დოკუმენტებიდან ცნობილია, რომ ამჟამად, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ურბანულ გარემოში ან ქალაქში ცხოვრობს. დღევანდელ გლობალიზაციისა და ურბანიზაციის სამყაროში ქალაქები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უფრო ფართო საერთაშორისო განვითარების ჩარჩოში, რადგან დიდი რაოდენობით მეტროპოლიები და შუალედური ქალაქები ვითარდება უპრეცედენტო ტემპით. წინასწარი პროგნოზირებით, მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდა (პოპულაციის რაოდენობის ძალიან სწრაფი მატება, რომელიც მუდმივი სიჩქარით მიმდინარეობს, ქ.ა.) და ურბანიზაცია ნიშნავს, რომ

კაცობრიობის 70% 2050 წლისთვის იცხოვრებს ქალაქებში (გაერო, 2015).

ქალაქებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური შემოქმედების და კულტურული მრავალფეროვნების განვითარების, აგრეთვე მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისათვის. იტალიელი მეცნიერის **ფრანჩესკო ბანდარინის** და თანამოაზრის, **რონ ორსის** თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავლისთვის, **ქალაქები როგორც სასიცოცხლო რესურსი ისე აღიარონ**. ქალაქები დინამიური ორგანიზმები არიან: სოციალური სტრუქტურები და მოთხოვნილებები ყოველთვის ვითარდება და ფიზიკური ქსოვილიც მუდმივად ეგუება. ამ კონტექსტშია განსახილველი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-კონსერვაციის საკითხი, რადგან ხშირად, ის არ ინტეგრირდება ან მცირედ ინტეგრირდება, როდესაც ფართო ურბანულ განვითარებაზე მუშაობა ხდება (Bandarin, Ron van Oers, 2015).

ამიტომ, გახდა აუცილებელი ურბანული მენეჯმენტის განახლება მომხდარიყო, რადგან „განვითარება და „ურბანული მემკვიდრეობის დაცვა“ ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესად კი არ დარჩენილიყო, არამედ მათი ინტეგრირება მომხდარიყო. და აი, 2011 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის რეკომენდაციით შემუშავდა ახალი მიდგომები - ისტორიული ურბანული ლანდშაფტის - Historic Urban Landscape (HUL) მიმართულებით. ეს გლობალური მიდგომა, მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ, არაერთ ქალაქში, წარმატებით გამოიყენა - ქალაქების მდგრადობისათვის. სამომავლოდ, HUL-ის გამოყენება აი რას გულისხმობდა: *მულტიდისციპლინარული პრაქტიკა და ეროვნული (რეგიონალური) ჩარჩოების ჩართვა, მათ შესახებ ჩვენი ცოდნის გაღრმავება და მსოფლიო ქალაქებისათვის მზარდი კოოპერატიული ქსელების გაზრდა*.

რაში გამოიხატება HUL მიდგომის საჭიროება? თუ ეს საკითხი ჩვენში იწვევს ინტერესს, გაეროს მასალებში უნდა ჩავიხედოთ, სადაც კარგად არის ახსნილი, რომ ქალაქები დღეს - „ცოდნის, კულტურული მრავალფეროვნების ცენტრი და ბიზნესის და მრავალფეროვანი ინდუსტრიების კერაა“, სადაც საზოგადოების განვითარების ის გზები კარგად ჩანს, რომელიც ცვლილებებსა და ინოვაციებს ეყრდნობა. ქალაქი ხომ ბუნებრივი და ადამიანის ევოლუციის პროდუქტია, რომელზეც გავლენა აქვს სწრაფ ურბანიზაციას და არამდგრად განვითარების პროცესებს, რადგან კარგად ვიცით, რომ ცუდად დაგეგმილი და შემდეგ უკვე, ასევე ცუდად განხორციელებული ურბანული ზრდა იწვევს ქალაქის ხარისხის გაუარესებას, რაც პირდაპირ აისახება საზოგადოებაზე - მოსახლეობის ჭარბი რაოდენობა, სტანდარტული და მონოტონური განვითარება შენობა-ნაგებობების სიმკვრივის, საზოგადოებრივი სივრ-

ცეების დაკარგვა, არასათანადო ინფრასტრუქტურა, სოციალურ იზოლაციასთან ერთად, ურბანული სიღარიბე, როცა რესურსების არამიზნობრივ და არამდგრად გამოყენებას აქვს ადგილი; ამას დაემატა კლიმატის ცვლილებების და ეკოლოგიის კუთხით მწვავე საკითხები, რომელიც მთელი მსოფლიოს წინაშე დგას. ყველა ეს საკითხი, არაერთი შეხვედრის, კონფერენციის განხილვის მთავარი საგანია. ამიტომ, ამ მიზნით, შემუშავდა, შეიქმნა სახელმძღვანელო, სადაც ასახულია ისტორიული ურბანული ლანდშაფტისადმი (HUL) პრაქტიკული მიდგომები, თეორიული ინფორმაცია რესურსების „ქეისების“ სახით, ექსპერტების კვლევის შედეგები, კონკრეტული ქალაქების შესწავლით მიღებული. ეს ყველაფერი ხომ ჩვენთვისაა საჭირო და მნიშვნელოვანი, რათა სწორად გავუმკლავდეთ გამოწვევებს და ცვლილებებს და დავიცვათ ჩვენი ურბანული გარემო ჩვენივე კეთილდღეობისათვის“ (UNESCO World Heritage Centre).

დღეს როცა ამ საკითხებს ვიხილავთ და ვმსჯელობთ, ისტორიული გარემოს დრო-სივრცული ახალი გააზრება - უმნიშვნელოვანესი გახდა. განსახილველად თბილისის ურბანული განაშენიანების მაგალითიც საკმარისია - დამახინჯებული გარემო „უსახური“ შენობა-ნაგებობებით. ეს ვიზუალური მხარე!

რაც შეეხება თბილისის რეალობის პრაქტიკულ მხარეს, პრობლემები დაახლოებით ასე გამოიყურება:

მოგეხსენებათ, რომ მშენებლობის სექტორი, დღეისათვის, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი სექტორია. ოფიციალური მონაცემებით ცნობილია, რომ 2017 წლისათვის მასზე ეკონომიკის 9.3% მოდიოდა, თუმცა 2018 წლის პირველ ნახევარში სამშენებლო სექტორში კლება დაფიქსირდა და წილი 8.6%-მდე შემცირდა. 2014-2017 წლებში მშენებლობის სექტორის ზრდა საშუალო წლიური ზრდა 12% იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით მშენებლობა მხოლოდ ტრანსპორტის და საფინანსო საქმიანობის სექტორებს ჩამორჩება. თითქოს, მშენებლობის სექტორის ზრდის სწრაფი ტემპი საქართველოს ეკონომიკას ზრდის, დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის, მაგრამ ამ პროცესს თან გარკვეული პრობლემები ახლავს. თუ არსებულ ოფიციალურ ინფორმაციას დავეყრდნობით, პრობლემების საფუძველი - მშენებლობების დაახლოებით 80%-ის თბილისში და ბათუმში კონცენტრირება, არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა და სამშენებლო ნებართვების გაცემის არასწორი პრაქტიკაა.

საქართველოში სამშენებლო სექტორს 4 კანონი და 6 მთავრობის დადგენილება არეგულირებდა, მაგრამ ექსპერტების თვალსაზრისით, 2018 წელს (ივლისი) პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ ამოქმედებით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს ავტორობითაა შემუშავებული და 2022 წლის იანვრიდან უნდა ამოქმედდეს) პარალელურად, უკვე არსებული მარეგულირებელი დოკუმენტები - ძალას დაკარგავენ. თუმცა მსოფლიო ბანკი, საქართველოში ყველაზე სუსტ მხარედ, მშენებლობის ხარისხის კონტროლს მიიჩნევს.

ხელისუფლებას სატრაბახოდ მიაჩნდა ისიც, რომ ნებართვების გაცემის სიმარტივით (2013 წლამდე), საქართველო მსოფლიოში მე-2 ადგილზე იყო. რეალურად კი შეფასების კომპონენტებში მშენებლობის ხარისხის კონტროლის ინდექსის შემოტანამ ნათლად გამოავლინა მშენებლობის ხარისხის გაუარესება. თბილისის „ქოტურმა მშენებლობებმა“ (რომელიც გარკვეული მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში, მშენებელს ინტენსიური განაშენიანების კოეფიციენტის (კ2 კოეფიციენტი) გაზრდის საშუალებას აძლევს) კორუფციული რისკების ზრდა გამოიწვია და ამის გამო, 2017 წლის ბოლოს „ზონალური საბჭო“ გაუქმდა და მისი ფუნქციები თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს გადაეცა. ცვლილების შედეგად, კ2 კოეფიციენტის გაზრდის ნებართვების გაცემა მნიშვნელოვნად შემცირდა (https://www.transparency.ge/sites/default/files/msheneblobis_sektori_sakartveloshi.pdf).

ქართულ ინტერნეტ-სივრცეში არსებული მწირი მასალიდანაც შეიძლება დასკვნა გაკეთდეს: როცა რაიმე ფუჭდება, თავის მართლებისათვის ურთიერთგადაბრალების ხერხს მიმართავს პასუხისმგებელი ორგანოც და პირებიც... ამის ნათელი მაგალითია - თბილისში, ნუცუბიძისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის ზემოთ, მთის ფერდობზე გაჩენილი ნაპრალი, რომელიც მეწყრული პროცესების გააქტიურებას უკავშირდება დარისგამოც, თბილისის მერიამ 15 მარტს მიმდებარე მაჭავარიანის ქუჩაზე მოძრაობა შეზღუდა. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა თეა გოდოლამემ ტერიტორიის მონახულების შემდეგ განაცხადა, რომ წინასწარი დაკვირვებით, მეწყრის შეჩერება შეუძლებელი იქნება, რადგან მისი გააქტიურება ბუნებაში უხემ ადამიანურ ჩარევით მოხდა და თბილისის მერიის მიერ არასწორად დაგეგმილმა საგზაო სამუშაოებმა და სამშენებლო პროცესებმა გამოიწვია. თ.გოდოლამემ ქალაქის ხელისუფლებას გეოლოგიური რისკების გაუთვალისწინებლობაში დაადანაშულა. მსგავსი მოსაზრება გეომორფოლოგმა ლაშა სუხიაშვილმა გამოთქვა, რომ ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური მდგომარეობა მეწყრულ პროცესებს უწყობს ხელს, ადამიანურმა ჩარევამ კი პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა. თუმცა, მისივე თქმით, „ნაკლებად სავარაუდოა“, რომ მეწყრის ჩამოწოლა რაიმე საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას. თავის მხრივ, თბილისის მერიის ხელმძღვანელმა პირებმა განაცხადეს, რომ მეწყრული პროცესის შესწავლა მიმდინარეობს, უახლოეს დღეებში დასრულდება და რომ მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, თბილისის

მერია გარემოზე ზემოქმედების რისკებს მუდმივად აფასებს (/ <https://civil.ge/ka/archives/407458>/თბილისი მეწყრის საფრთხე ემუქრება.19/03/2021 - 21:00).

აი კიდევ ერთი ინფორმაცია, სადაც **მარტო ვაშლიჯვრის** პრობლემა არ ჩანს: „თბილისში, ვაშლიჯვრის თავზე მთის ფერდზე გაჩენილი ნაპრალის სიღრმე, პირველადი შეფასებით, 19 მეტრია, დაძრული უნდა იყოს დაახლოებით 500 000 კუბური მეტრი მიწა. გეოლოგები ამბობენ, რომ ეს ადგილი, ისევე როგორც, მაგალითად, **მთაწმინდის ქედი**, სეისმურად არამდგრადია და სიფრთხილეა საჭიროა... აქ მეწყრული პროცესები ბუნებრივად აქტიურია, თუმცა ადამიანის ჩართულობა, რომელიც რიგ შემთხვევებში რისკების შეფასების და დაზღვევის გარეშე ხდება, პროცესს აჩქარებს და მასშტაბებს უზრდის...იმ ადგილის ქვემოთ, სადაც მთას ნაპრალი გაუჩნდა, მერიას ახალი გზა გაჰყავს, რომლითაც ვაშლიჯვარი გეოვანის გამზირს დაუკავშირდება. პარალელურად შენდება საცხოვრებელი და სხვა ფუნქციის მქონე ნაგებობები მთის ქედზე“. ამავე წყაროს მიხედვით: „...თბილისის არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზეც ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია, მათ შორის, ფერდობი მაჭავარიანის ქუჩის თავზე, სადაც ინტენსიური მშენებლობების ნებართვებია გაცემული და მიმდინარეობს კიდევ აქტიური განაშენიანება, საშუალო და ნაწილობრივ მაღალი საფრთხის გეოდინამიკურ არეალად არის მონიშნული“ (<https://ka.warbletoncouncil.org/paisaje-urbano-12972>).

„გეოლოგები, დარგის სპეციალისტები და არქიტექტორები წლებია ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქალაქის მართვა ხდება გაუაზრებლად იმდენად, რომ დედაქალაქის მერია ვერ იცავს ვერც განაშენიანებას, ვერც ლანდშაფტს და ვერც მოქალაქეებს. სწორედ ეს გაუაზრებელი და არათანმიმდევრული პოლიტიკა ანგრევს თბილისს. საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის ჩარევა ბუნებრივ პროცესებში, თუ ის არ ეყრდნობა ძალიან დიდი სიზუსტით შესრულებულ საპროექტო და კვლევით სამუშაოებს. ჩვენს რეალობაში ინფრასტრუქტურული სამუშაოები იწყება ისე, რომ ხშირად არ არსებობს შესაბამისი კვლევები და მასალები, რომელიც პროექტისთვის მზადდება, ზოგჯერ მხოლოდ ფორმალური შინაარსისაა. სამწუხაროდ, გახშირდა უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე თვალის დახუჭვის შემთხვევებიც, რაც ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა, რადგან ნებისმიერი თვალის დახუჭვა შეიძლება ქალაქს მორიგ ტრაგედიად დაუჯდეს“ - არქიტექტორი ანა ბიბილაშვილი.

„თბილისის მერია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობასა და აღდგენა-რეკონსტრუქციაზე, რაც მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებასაც გულისხმობს,

ყოველწლიურად დაახლოებით **45-დან 50 მილიონამდე ლარს ხარჯავს**. მიზანი თბილისის მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნაა. პარალელურად, ქალაქის მთავრობა იძლევა სამშენებლო ნებართვებს გეოლოგიურად სახიფათო ზონებში და თავის ინიცირებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გარემოზე ზემოქმედების კომპონენტს სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს“ (<https://www.radiotavisupleba.ge/a/31158230.html/ნასტასია არაბული, 18 მარტი, 2021>).

ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა, ლისის ქედი, გლდანი, მთაწმინდა - (ტვერელის ეკლესია, რომლის გვერდითაც მშენებლობა მიმდინარეობს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს კი კანონის თანახმად, ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალი აქვთ, რაც მათ სიახლოვეს განაშენიანებას უნდა ზღუდავდეს), ის არასრული ჩამონათვალია, რომლის შესახებაც ინფორმაციები უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში პრესაში გაჩნდა, თავისი დარღვევებით და საშიშროებით, სადაც კარგად ჩანს მოქალაქეების, ჟურნალისტების, სახელმწიფო მოხელეების და ექსპერტების დამოკიდებულება პრობლემასთან. სპეციალისტების და გულშემატკივარი მოქალაქეების გარდა, არავის აინტერესებს როცა ბრძანებას ხელს აწერენ, ან მშენებლობას იწყებენ, რომ დამცავი ზონის კრიტერიუმები დადგენილია, მისი მხოლოდ აღსრულებაა საჭირო.

საქმიანობის დაწყების წინ, სულ მცირე, საჭიროა გაიაზროთ, რომ აუცილებელია მშენებლობის „... საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა;

მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მშენებლობები უკანონოდ მიმდინარეობს, რაც ლანდშაფტთან საკმაოდ უხეში დამოკიდებულებით გამოიხატება. თბილისის მერის ხელმძღვანელობა კი ამტკიცებს, რომ ყველა მშენებლობა კანონიერად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის უსაფრთხოდ მიმდინარეობს (<https://www.radiotavisupleba.ge/> ნასტასია არაბული, 2019, 26 მარტი/).

დამნაშავეს ძებნა ამ სტატიის მიზანი სრულიადაც არ არის. მე მხოლოდ კონკრეტულ მაგალითებს გამოვიყენებ, რომ უფრო ნათელი გახდეს, როგორ ზრუნავენ სხვადასხვა ქვეყანაში ქალაქის განაშენიანებაზე, მათ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელიც ქალაქების გარკვეულ ადგილებში (ძირითადად ცენტრში) მდებარეობს და რა კონკრეტული მოდელებით უდგებიან არსებული პრობლემატიკის მოგვარებას.

კარგად გვესმის, რომ ქალაქები განსხვავდებიან თავისი კულტურით და ისტორიული განვითარებით. უკონტროლო ურბანიზაცია მემკვიდრეობას საფრთხეს უქმნის და ხშირად მისი გაუარესება-განადგურების საკითხი დგება, რაც საზოგადოებაში იდენტობის, მათთვის მნიშვნელოვანი „ადგილების“, ადგილობრივი კულტურის ძეგლების დაკარგვის შიშს იწვევს. გაეროს და იუნესკოს დოკუმენტებში კარგად იკვეთება ეს პრობლემატიკა.

მაინც როგორ შეიძლება, კულტურა და კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა დაეხმაროს ქალაქებს ამ გლობალიზაციის პროცესებში?

პასუხი ერთია: გლობალიზაციის პირობებში, ქალაქები იმდენად ემსგავსებიან ფინანსური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სხვა მახასიათებლებით, რომ კარგავენ თავიანთ განსხვავებულ იერსახეს და ანალოგიებით ხდებიან. ამიტომ **მხოლოდ კულტურა და მემკვიდრეობაა ის ერთადერთი რესურსი**, რომელიც ყოველთვის გამოყოფს ერთმანეთისგან ხალხებს, ქალაქებს და განასხვავებს. ძლიერი ქალაქები შემოქმედებით ინკუბატორებს, კულტურის სხვადასხვა სფეროში მას-ტიმულირებელ და მიმზიდველ გარემოს ქმნიან, რათა წარმოაჩინონ თავიანთი ადგილობრივი კულტურის უნიკალური თვისებები, რომელიც გაზრდის საერთაშორისო ხილვადობას გლობალურ კონტექსტში.

საზოგადოების ღირებულებები და მათი გამოხატვის გზები - კულტურაში აისახება. კულტურის სფეროს რესურსები კი ჩვენი ქალაქების ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშან-საშუალებაა. ამიტომ შემუშავდა 2011 წლის გაეროს ეს რეკომენდაციები, რათა უკეთესად განხორციელდეს ურბანული მენეჯმენტის მიმართულების პროგრამები. ასეთია HUL მიდგომები UNESCO-ს იმ ყველა წევრ-ქვეყნისათვის, რომელიც ნებაყოფლობით, თანახმაა განახორციელოს ქმედებები, რომლის მიზანი სულაც არ არის შეცვალოს არსებული დოქტრინები ან მიდგომები დაცვა-კონსერვაციის კუთხით, არამედ UNESCO-სგან შემოთავაზებული, **კულტურის პოლიტიკის დამატებითი ინსტრუმენტია**, რომელშიც მსოფლიო ურბანული განვითარების საერთო მიზნები ჩანს, თუმცა კარგად იკვეთება სხვადასხვა კულტურული ღირებულებაც, რომელიც მათ განასხვავებს.

მოგვხსენებათ, რომ გაერო 1976 წლიდან ყოველ 20 წელიწადში, საბინაო და მდგრადი განვითარების საკითხებზე კონფერენციებს ატა-

რებს, რომელიც 2016 წელსაც ჩატარდა. „HABITAT III“ - კონფერენციაზე აქცენტი გაკეთდა და შემუშავდა 17 მიზნის 2030 წლამდე ურბანული განვითარების გამოწვევებზე ზემოქმედების გეგმა, მათი შესაძლო მდგრადი განვითარებისათვის. ამ დოკუმენტში გაეროს განათლების მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO, 2015) აცხადებს, რომ:

„იმ დროს, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება განვითარების სამომავლო მიზნებს განიხილავს, მთელი ძალისხმევა უნდა ფოკუსირდეს კულტურაზე... დაწყებული კულტურული მემკვიდრეობიდან, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიებითა და კულტურული ტურიზმით, რომელიც არის მამოძრავებელი ძალა, მდგრადია როგორც ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი განზომილებებით ისე - მამოძრავებელი“.

ამ მიმართულებით UNESCO უკვე მუშაობს: კულტურის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, შემუშავდა პროგრამა - „კულტურა მდგრადი ურბანული განვითარების ინიციატივებისათვის“.

იუნესკოს ექსპერტების განმარტებით, „ისტორიული ურბანული ლანდშაფტის ურბანული ტერიტორია...კულტურული და ბუნებრივი ღირებულებების ისტორიული ფენის შედეგი... რომელიც ფართო ურბანულ კონტექსტში ვრცელდება და გულისხმობს: ძეგლის (შენობის) ტოპოგრაფიას, გეომორფოლოგიას, ჰიდროლოგიას და ბუნებრივ მახასიათებლებს... როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე გარემოს, მისი ინფრასტრუქტურას მიწის ზემოთ და ქვემოთ, ღია სივრცეებს და ბაღებს, ურბანული სტრუქტურის ყველა სხვა ელემენტს, ასევე მოიცავს სოციალურ და კულტურულ წეს-ჩვეულებებს და ღირებულებებს, ეკონომიკურ პროცესებს და არამატერიალურ კულტურულ ფორმებს, რომლების მრავალფეროვნებასა და იდენტობასთანაა დაკავშირებული“ (იუნესკო, 2011).

მიმაჩნია, რომ იუნესკოს მიერ 2015 წელს გამოცემული სახელმძღვანელო - „**The HUL Guidebook/Managing heritage in dynamic and contrastly changing urban environments/UNESCO's recommendation on the Historic Urban Landscape (Australia, China, Ecuador, Pakistan, Tanzania, Italy, Netherlands,** უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქალაქების დაგეგმარება-მშენებლობის საქმეში ჩართული სპეციალისტებისა და ბიზნესმენებისათვის, რადგან იმ მნიშვნელოვან ცოდნას იძლევა, რომელიც დაგეგმვის და ცვლილებების მართვისათვისაა. დოკუმენტში, რეკომენდაციის სახით, ექსპერტები განხორციელების 6 პუნქტიან გზას, როგორც თვითონ უწოდებდნენ - „ექვს კრიტიკულ ნაბიჯს“ გვკარნახობენ (იხ. იუნესკო, 2011).

იუნესკოს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ურბანული მემკვიდრეობის რთულ გარემოში წარმატებით მართვისათვის, საჭიროა - სანდო მუდმივგანვითარებადი ინსტრუმენტები, რომელიც ინტერდის-

ციპლინარული და ინოვაციური ინსტრუმენტების სპექტრს უნდა მოიცავდეს, რომლის ოთხ განსხვავებულ კატეგორიად დაყოფა შეიძლება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ურბანული მემკვიდრეობის მართვის, წარმატებული მენეჯმენტის მისაღწევად, ამ ოთხი კატეგორიის პოლიტიკა და ქმედებები, ერთდროულად, მიმართული უნდა იყოს და მოერგოს ადგილობრივ მოთხოვნა-განაცხადებს, რადგან ისინი არიან - ურთიერთდამოკიდებულნი.

ახლა ვნახოთ, რა ინსტრუმენტებზეა საუბარი და რას ეხება ეს რეკომენდაციები:

დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, მათი ურბანული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების დასადგენად, **საზოგადოების ჩართულობა** უნდა გაძლიერდეს, შეიმუშაონ ხედვები, დაისახონ მიზნები, შეთანხმდნენ მოქმედებებზე მათი მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის. ამ ინსტრუმენტმა თემებს შორის ხელი უნდა შეუწყოს კულტურათშორის დიალოგს, მათი ისტორიის, ტრადიციების, ღირებულებების, მოთხოვნილებების და მისწრაფებების შესწავლით და ჯგუფებში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, მოლაპარაკების დროს, შუამავლის როლი განახორციელოს;

ცოდნადადაგეგმარება ხელსუწყობს მემკვიდრეობის ავთენტურობის და მთლიანობის დაცვას. ცხოვრების ხარისხისა და ურბანული სივრცის გასაუმჯობესებლად, მათ უნდა აღიარონ მემკვიდრეობის კულტურული მნიშვნელობა და მრავალფეროვნება, უზრუნველყონ მონიტორინგი და ცვლილებების მართვა. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კულტურული და ბუნებრივი მახასიათებლების ასახვა, რათა მემკვიდრეობის, სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების შეფასება გამოყენებული იქნას დაგეგმვისა და დიზაინის მდგრადობის, უწყვეტობის მხარდასაჭერად.

მარეგულირებელი სისტემები, ურბანული მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური კომპონენტების მართვისათვის, შეიძლება შეიცავდეს სპეციალურ განკარგულებებს, აქტებს ან მითითებებს, მათი სოციალური და ეკოლოგიური ღირებულებების ჩათვლით. ხოლო ტრადიციული და ჩვეული სისტემები უნდა აღიარონ და განამტკიცონ კიდევ საჭიროებისამებრ.

ფინანსური ინსტრუმენტები მიმართული უნდა იყოს ქალაქის ტერიტორიების გაუმჯობესებისაკენ, მხოლოდ მემკვიდრეობის, მისი ღირებულებების დაცვის გათვალისწინებით. ისინი მიზნად უნდა ისახავდნენ შემოსავლების მომტან ინოვაციური განვითარების მხარდაჭერას და შესაძლებლობების გაზრდას, რომელიც ტრადიციების ფესვებიდან მოდის. გარდა სახელმწიფო და საერთაშორისო ფონდების თანხებისა, ფინანსური ინსტრუმენტები უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივ დონეზე კერძო ინვესტიციების წასახალისებლად. მიკ-

როკრედიტი და სხვა მოქნილი დაფინანსების მექანიზმები ადგილობრივი მეწარმეების მხარდასაჭერად და დასახმარებლად, აგრეთვე სახემწიფო-კერძო პარტნიორობის განსხვავებული მოდელები გვევლინება „ისტორიული ურბანული ლანდშაფტების“ (HUL) ფინანსური მიდგომების მდგრადობის გარანტად.

ეს მიდგომები ნათელი მას შემდეგ გახდა, როცა იუნესკოს ეგიდით შვიდი კვლევა ჩატარდა: **ბალარატი (ავსტრალია), შანხაი (ჩინეთი), სუჟოუ (ჩინეთი), კუენკა (ეკვადორი), რაულპინდი (პაკისტანი), ზანზიბარი (ტანზანია), ნეაპოლი (იტალია) და ამსტერდამი (ნიდერლანდები).** აქედან ხუთი ქალაქი: ბალარატი, კუენკა, შანხაი, სუჟოუ და რაულპინდი (Ballarat, Cuenca, Shanghai, Suzhou, and Rawalpindi) საპილოტე ქალაქები იყო HUL პროგრამისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა UNESCO-ს ეგიდით შანხაიში - **მსოფლიო მემკვიდრეობის სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი** აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში (WHITRAP). თითოეული „ქეისი“ წარმოადგენს სხვადასხვა ძეგლების მაგალითზე HUL ინსტრუმენტებს, დამახასიათებელს თითოეული ადგილობრივი კონტექსტისათვის (<https://gohulsite.files.wordpress.com/2016/10/wirey5prpznidqx.pdf>).

საქმე ანუ „ქეისი N1“ - ბალარატი (ავსტრალია) (Ballarat, Australia)

სიუზან ფაიადი, ქალაქ Ballarat-ის მემკვიდრეობის სტრატეგიის კოორდინატორი

პროფესორი **კირ რივსი**, ავსტრალიის ისტორიის ფედერალური უნივერსიტეტის (CRAH) ერთობლივი კვლევითი ცენტრის დირექტორი (Susan Fayad, Coordinator Heritage Strategy, City of Ballarat and Prof. Keir Reeves, Director, Collaborative Research Centre in Australian History (CRAH) Federation University Australia)

ბალარატი მეტ-ნაკლებად ცნობილია მე-19 საუკუნის შუა წლებიდან, როგორც ვიქტორიანული პერიოდის „ოქროს ციებ-ცხელების“ ქალაქის ნიმუში. ის ავსტრალიაში, ვიქტორიას შტატის დასავლეთ რეგიონში მდებარეობს და ქვეყნისათვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან შტატის უდიდესი ქალაქია და რეგიონის ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელია.

Ballarat-ის კულტურის და მემკვიდრეობის ერთობლიობა, ფაქტურად მთავარი მიზეზია, რის გამოც, რეგიონში ქალაქის ახალი მაცხოვრებლების, კულტურული და ტურისტული მიმართულების ვიზიტორთა დიდი რაოდენობაა, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას როგორც ეკონომიკური, სოციალური, ისე ჯანმრთელობის კუთხით, ხელს უწყობს. ბალარატის მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდა კუენკასა და ზანზიბარის მაგალითების მსგავსია. ასეთი ზრდა ერთ-ერთ ყველაზე

მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება, რომელიც ქალაქის ეკონომიკურ განვითარებაზე ახდენს გავლენას, როგორც მოკლე, საშუალო, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

2013 წელს ხელი მოეწერა WHITRAP-ის საპილოტო პროგრამას UNESCO-ს HUL მიდგომის განსახორციელებლად მთელი მუნიციპალიტეტის უფრო მდგრადი მომავლისკენ. ახლა განვიხილოთ, რას გულისხმობდა ბალარატში ცვლილებების მართვა.

ბალარატის HUL მოდელის განხორციელების ძირითადი მიზანი მდგრადი ცვლილებების უზრუნველყოფის ჩარჩოს შექმნა იყო. HUL-ის საპილოტო პროექტის ეტაპი მოიცავდა: **დღეს, ხვალ, ერთად: ჩვენი ხედვა 2040-სთვის...** (*Today, Tomorrow, Together: The Ballarat Strategy - Our Vision for 2040*) მიდგომის ინტეგრირებას, რომელიც მოსახლეობის სამომავლო ზრდასთანაა კოორდინირებული.

Ballarat Strategy - მთელ მუნიციპალიტეტში გრძელვადიანი დაგეგმვისთვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც მემკვიდრეობის ღირებულებებსა და საზოგადოების იდენტობას მდგრადი განვითარებით აბალანსებს, მნიშვნელოვანია და შეესაბამება HUL-ის პრინციპებს. ამ სტრატეგიით ორგანიზებული იქნა, როგორც საზოგადოების ყველა ინიციატივა, ჩართულობის პროგრამის მეშვეობით, ისე სახელწოდებით **Ballarat Imagine** - ყველაზე დიდი „სათემო საუბარი“, რომელიც ოდესმე ჩატარდა ქალაქ ბალარატში.

ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი ღონისძიებები მოეწყო. მათ შორის, ორი საერთაშორისო სიმპოზიუმი. ღონისძიებებს შეუერთდა სხვადასხვა სათემო ფორუმი, რომელიც საზოგადოების მონაწილეობას და პროცესში საზოგადოების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა. მამოძრავებელი ძალა და დამხმარე ორგანო ქალაქი ბალარატის ადგილობრივი ხელისუფლება იყო, რომელშიც კვლევის მიზნით გაერთიანდა: *ავსტრალიის ისტორიის კვლევითი ცენტრი (CRAH)*, *ავსტრალიის ფედერაციული უნივერსიტეტის კვლევითი და ციფრული ინოვაციების ცენტრი (CeRDI)*, *ავსტრალიის დიაკინის უნივერსიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი აზიასა და წყნარი ოკეანეში (CHCAP)*. ამ პარტნიორობამ WHITRAP-ის, UNESCO-ს ფორუმის, ICOMOS-ის და ისტორიული ქალაქების ლიგის, ასევე ავსტრალიაში დაფუძნებული მრავალი ორგანიზაციის მეშვეობით HUL პრინციპების შემუშავება გამოიწვია. საპილოტე პროცესის განმავლობაში, პრიორიტეტი იყო: Ballarat მოდელის განვითარებისათვის ორი ონლაინ ინსტრუმენტის შექმნა: www.hulballarat.org.au და www.visualisingballarat.org.au, რაც თანამშრომლობის პლატფორმას და გადაწყვეტილებების მხარდაჭერას უზრუნველყოფდა, რომელიც ქალაქის შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავდა და ადვილად მისაწვდომს ხდიდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ HUL მიდგომა ძალზე წარმატებული

საპილოტე სქემაა, რომელმაც საერთაშორისო დონეზე წარმოაჩინა ბალარატი და მისი მიმდებარე რეგიონები. ბალარატის პოლიტიკურმა ლიდერებმა საბოლოო სტრატეგია 2015 წელს ერთხმად მიიღეს, აღნიშნეს, რომ ისინი, HUL მიდგომის განხორციელებას, ისტორიულ ქალაქში ცვლილებების მართვას სახელმძღვანელო ჩარჩოში გააგრძელებენ. ახალი ხედვით და მიდგომებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ცვლილებებთან გამკლავების ახალი მოდელი მართლაც შეიმუშავა, რომლის საფუძველია: ადგილობრივი იდენტობა, განსაკუთრებულობა, გამორჩეულობა, ადგილობრივი ღირებულებები და ლოკალიზებული მიდგომები, რომელიც ხალხზეა ორიენტირებული და პარტნიორობისა და თანამშრომლობის მოდელს, Ballarat-ის შესახებ კულტურაზე დაფუძნებული ახალი ტიპის ცოდნის მიღებას და პრობლემების შემოქმედებითი მიდგომებით გადაჭრას ემყარება. სამომავლო ქმედებების დასაგეგმად, ამ ყველაფერმა, შესაძლებელი გახადა ქალაქის კულტურული იდენტობის გამორჩეულობა განესაზღვრათ.

საქმე ანუ „ქეისი N2“ - შანხაი (ჩინეთი) (Shanghai, China; Suzhou, China)

ამ ქეისში ორი ობიექტი განიხილება - შანხაიში და სუოუში.

მდინარე ჰონგკუ შანხაის ცენტრში, ჰონგკოს რაიონის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ამ ტერიტორიის ისტორიული ურბანული ლანდშაფტის ფენები საუკეთესოდ გამოხატავს განვითარების ხანგრძლივ ისტორიას, ცინის დინასტიიდან დათმობების პერიოდამდე, თანამედროვეობამდე.

არქეოლოგიური აღმოჩენის თანახმად, პირველი დასახლება შანხაიში გაჩნდა დაახლოებით 4000 წლის წინ. მრავალწლიანი განვითარებისა და რეცესიის შედეგად, შანხაი მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი გახდა ცინგის დინასტიის დროს (1616-1912). შანხაის გახსნამდე (1848), რაც ოპიუმის პირველ ომში დამარცხების შედეგი იყო (1840-1842), უკვე არსებობდა აყვავებული ბაზარი რამდენიმე პატარა, „სათევზაო სოფლით“, რომელთა შენობები ახლაც ჰონგკოს ისტორიული ქუჩების გასწვრივ დგას.

როდესაც ტერიტორია იაპონურმა ჯარებმა დაიკავეს (1932-1945), მრავალი ქარხანა, მაღაზია და საცხოვრებელი კორპუსი განადგურდა და მთელი ტერიტორია „დაკნინების პერიოდში“ შევიდა. 1945-1949 წლებში და მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ურბანული მშენებლობა მწირი იყო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მკვეთრად იზრდებოდა, რადგან დევნილთა უზარმაზარი რაოდენობა გადაადგილდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, მცირე და საშუალო ბიზნესის გარკვეული საქმიანობა განახლდა. 1949 წლის შემდეგ აშენებული მრავალი ადგილობრივი ტრადიციული სახლი და საზოგადოებრივი შენობა დღემდე გამოიყენება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც ადგილობრივი ინდუსტრიების გარდაქმნა დაიწყო, ჰონგკოს რეგიონში და ჰონგკუს ნავსადგურში მრავალი ქარხანა გაუქმებული აღმოჩნდა. ურბანული განახლების დროს, ზოგიერთი შენობა და ქარხანა ახალ საცხოვრებელ კორპუსებად გადაკეთდა, მაგრამ წყლის სისტემა და ურბანული ქსოვილი დაცული დარჩა. ამიტომ ამ რაიონში, კვლავ შენარჩუნებულია ისტორიული არქიტექტურა, საზოგადოებრივი ობიექტები და ძველი ურბანული სივრცეები. ამ ძეგლის გარშემო არსებული გარემო ადამიანთა დასახლების, ქალაქის განვითარებისა და კულტურათა გაცვლის ხანგრძლივ ისტორიას წარმოადგენს.

HUL მიდგომით, რომელიც ამ ძეგლის მუდმივობას დრო-სივრცეში განიხილავს, მართვის კუთხით, შეთავაზებული იქნა რეკომენდაციები (ძეგლის დაცვა-გადარჩენასა და ტერიტორიის განვითარებას შორის ბალანსის გათვალისწინებით), რათა მიაღწიონ ე.წ. „ძეგლის უწყვეტობას“ და თან, მდინარე ჰონგკუს მიდამოებში ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდეს...

ამ სამი მიზნის მისაღწევად, პროცესში გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტია **საზოგადოების მონაწილეობა**, რომელიც ადგილობრივ დაგეგმარებაში, ღია დისკუსიებში და მითხოვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი პოლიტიკის კორექტირებაში მონაწილეობს. ადგილობრივმა მთავრობამ ჩაატარა კონსულტაციები ადგილის განვითარების შესახებ, სამეცნიერო ინსტიტუტებისა და სოციალური ასოციაციების მონაწილეობით. უფრო მეტიც, მრავალი ადგილობრივი სამშენებლო პროექტი სოციალურთან ერთად, ბიზნეს რესურსს მოიცავდა, რომლის დახმარებით, ადგილობრივი სამრეწველო მექანიზმები და ისტორიული შენობები განახლდა.

ეკონომიკური განვითარების წახალისების აუცილებლობის თვალსაზრისით, შემოქმედებითი ინდუსტრიების აღორძინება და ახლის დანერგვა ადგილობრივი პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

შანხაის მაგალითზე HUL-ის ეფექტი კარგად არის წარმოდგენილი. მართალია, ამის განხორციელებას 10 წელი დასჭირდა, რათა მდინარე ჯონგკუს ისტორიული უბნის გარემო შეეცვალათ. გადაწყდა, რომ ისტორიული ტერიტორიების ურბანული განახლებისთვის, ძეგლის სრული კონსერვაცია ჩაენაცვლებინათ ისტორიული შენობებით, ახალი მასალითა და სივრცეებით - კონსერვაციის ჩარჩოების დაცვით. ტერიტორია იმდენად შეიცვალა და გაუმჯობესდა, რომ 2016 წელს „ადგილის ტრადიციული საცხოვრებელი სახლები“, რომელიც 11 უბანს მოიცავს, შანხაის ისტორიული რაიონების დაცვის სიაში შევიდა.

ვუჯიანგის რაიონი, სუჯოუ, ჩინეთი C H I N A Wujiang District, Suzhou

ამ მიმართულებით, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩინეთში მეორე პროექტიც განხორციელდა. **სოფელი შუანგ ვანი**, რომელიც მდებარეობს სუჯოუს რაიონში, ვუჯიანგის რაიონის სამხრეთ ნაწილში (თითქმის 2500 მცხოვრები), მდინარე იანძის დელტის სხვა ეკოლოგიურად სუფთა სოფლების მსგავსია. მთავარი არხის გასწვრივ განვითარებული, იგი ჩვეულებრივი სოფლის საცხოვრებლისგან და XX საუკუნის დასაწყისის ნაგებობებისაგან შედგება. აქვეა XVII საუკუნის ქვის პორტალი, რომელიც სოფლის თემისთვის მნიშვნელოვანი სიმბოლური ელემენტია. სოფლის ხალხური ხასიათი, გარშემორტყმული მინდვრებითა და გუბეებით, განსაკუთრებული სოფლის ლანდშაფტით, გაგახსენებთ **ფეი სიატონგის** „გლეხთა ცხოვრებას ჩინეთში« (1939, Fei Xiatong, Peasant Life in China). ჩინეთის სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის მამამ, თავის ძირითად კვლევებში, ის გზა გაანალიზა, სოფლის მეურნეობის საქმიანობასა და აბრეშუმის წარმოებაში როგორ მონაწილეობდნენ Wujiang ფერმერები. **ეს ადგილობრივი იდენტურობის ელემენტია, რომელიც დღესაც ცოცხალია.**

2015 წლის აპრილში, შუანგ ვანის ადგილობრივმა მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ XJTLU-ს ურბანიზაციის კვლევით ინსტიტუტთან, რომ HUL-ის მიდგომის გათვალისწინებით, მდგრადი განვითარებისათვის ადგილობრივი ფორმები შეესწავლათ. გამოიყო 4 მლნ. მუ. მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგან სიტუაცია მოითხოვდა, ნახევარი თევზის ტბების სახნავ მიწად გადაკეთებას, რომელიც სოფლის ლანდშაფტის პოტენციური შეცვლით და ფერმერების შემოსავლის დაკარგვით უნდა მომხდარიყო. ისტორიული წყლის ლანდშაფტის იდენტურობის შესანარჩუნებლად, RIU-ს ექსპერტებმა 2019 წლამდე თევზის ტბების ეტაპობრივი გადაკეთების პროგრამა შეიმუშავეს. განვითარების ამ სქემა შეიცავდა შემდეგ წინადადებებს: სოფლის მთავარი არხების გასწვრივ არსებული საზოგადოებრივი სივრცის, ისტორიული გარემოს შენარჩუნება-გაუმჯობესება და ახალი მომგებიანი კულტურების, როგორიცაა ვარდები - აღდგენას. სოფლის ტურიზმის განვითარების კუთხით, სოფლის ჩრდილოეთ – სამხრეთის შიდა მაკავშირებლები როგორც «მწვანე გზები» ისე განისაზღვრა, რომლის მიზანს, ნელი მობილობისათვის შესაფერისი ტროტუარების და გამწვანების შექმნა წარმოადგენდა. **სოფლის რებრენდინგის შემუშავებაში** (ვარდის ბაღები, ვარდის ჩაის სახლები, სტუმრებისათვის guests houses, განწვანება და ა.შ.) ადგილობრივი ტექსტილის მეწარმეებიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას და სოფლის მდგრადი მართვისათვის, HUL-ის პრინციპების თანახმად, მხარდასაჭერად, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვაც მოხდა (იგულისხმება როგორც მიგრანტები, ისე ძირძველი

მოსახლეობა), რადგან შემუშავებულიყო თანამონაწილეობის საბოლოო სქემა, რომელშიც ადგილობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვის საკითხებზე იყო ყურადღება გამახვილებული. განვითარების პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ტექსტილის საქმიანობის მხარდაჭერისათვის, შემოთავაზებულია ღონისძიებები განსაკუთრებით საფუძვლიანად განიხილეს. შემდეგ, განვითარების ეს სქემა 2015 წლის ივლისში ადმინისტრაციულ დონეზე განსახილველად გადაეცა (Wujiang District). ამის შედეგად ადგილს **“ჩინეთის ლამაზი სოფლის”** წოდება მიენიჭა, რამაც მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის გაზრდა გამოიწვია. პირველი მიღწევა „მწვანე გზების“ სისტემების განხორციელებით გამოიხატა, რომელიც 2015 მარტში დასრულდა. სოფლის მოსახლეობას და ტურისტებს უკვე შეუძლიათ ისარგებლონ საცალფეხო ბილიკებით, რომლებიც ულამაზესი მცენარეებითა და ვარდებითაა მორთული. დაიწყეს სოფლის ლანდშაფტის გარდაქმნა და მიიღეს თევზსაჭერი ტბების გადაკეთების პროგრამა. ეს იყო ადგილის მდგრადი განვითარების და მემკვიდრეობის პროგრამის პირველი ნაბიჯი.

საქმე ანუ „ქეისი N3“ - კუენკა, ეკვადორი (Kuenca, Ecuador)

კუენკას მატერიალური ფასეულობები ისტორიული, ბუნებრივი და სოციალური პროცესების კომბინაციის შედეგია. კუენკას მდებარეობამ ველზე, რომელიც ბორცვებით და ოთხი მდინარითაა გარშემორტყმული, ქალაქის იერსახე განაპირობა. ზოგიერთი გორაკი წმინდა ადგილს წარმოადგენს და ხედებით გამოირჩევა, რომელსაც უძველესი მოსახლეობა იყენებდა. მდინარეების ნაპირები მწვანე პარკებადაა ქცეული. არქეოლოგიური, გეომორფოლოგიური და გარემოსდაცვითი განსხვავებული ფენები ინფორმაციას გვაწვდის ურბანული განვითარების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, გამოხატავს მემკვიდრეობის ნაგებობების ეკლექტურ ნაზავს, რომელთა მემკვიდრეობითი ღირებულება უფრო მისი საერთო ღირებულებით განისაზღვრება, ვიდრე მხატვრული ან ტიპოლოგიურით.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნომინაცია, კუენკის ისტორიულ ცენტრსა და ქალაქის არამატერიალურ და სოციალურ კომპონენტებს შორის ურთიერთობას უსვამს ხაზს. ლათინური ამერიკის სხვადასხვა საზოგადოებისა და კულტურის წარმატებული შერწყმა განსაცვიფრებელი ფორმით, კუენკის დაგეგმარებით და ქალაქის პეიზაჟით, ლანდშაფტითაა სიმბოლიზებული. ამასთან, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ეს ბალანსი შეიცვალა ტურიზმის ეკონომიკური საქმიანობის ზეგავლენით. ვაჭრობა მნიშვნელოვანი ტრადიციული საქმიანობაა კუენკაში, რომელიც აშკარად ჩანს ისტორიული ცენტრის მუნიციპალურ ბაზრებზე. გარდა ამისა, ქუჩებში,

მუნიციპალურ ბაზრებთან ერთად, სურსათის, ხელოვნების, ხელობისა და ტანსაცმლის მნიშვნელოვანი არაფორმალური ბაზარია განვითარებული. მკვიდრი მოსახლეობა, თავისი ტრადიციული ჩაცმულობით, ამ საქმიანობის მთავარი მონაწილეა. ისინი კუენკის არამატერიალურ მემკვიდრეობას განასახიერებენ, ხოლო ტურისტებისათვის კი მთავარი ღირსშესანიშნაობაა. ისეთ ადგილები კუენკაში, როგორიცაა სიმონ ბოლივარის, სან ფრანცისკოს, მარისკალ ლამარის და სხვა ქუჩები (არამატერიალური აქტივები), ეკონომიკური საქმიანობის ცენტრია. ტურიზმის გაძლიერებამ არამატერიალური რესურსის განაწილების და გამოყენების დივერსიფიკაცია (ლათ. *diversificatio* ცვლილება, მრავალფეროვნება; კაპიტალის კონცენტრაციის ერთ-ერთი ფორმა) გამოიწვია. ისტორიული ცენტრის მრავალფუნქციონირება სხვადასხვა პირობითაა განპირობებული, რომელშიც ძალიან დიდ როლს ანთროპოლოგიური ფენები, გასტრონომია, ხელნაკეთობები, ძირძველი რიტუალები და სხვა არამატერიალური კულტურული რესურსი თამაშობს.

ურბანულ სივრცეში მემკვიდრეობის გააზრების სირთულის გამო, საჭირო გახდა ინტერდისციპლინარული კვლევითი ჯგუფის შექმნა (მოწვეული იქნა გარემოს დაცვის, ეკონომიკის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, გეოლოგიის, არქიტექტურისა და სოციოლოგიის ექსპერტები).

PUH_C კვლევითი პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი 2015 წელს კუენკის მუნიციპალიტეტს, უნივერსიტეტსა და WHITRAP-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაა. ამ შეთანხმების მთავარი მიზანი კი კუენკაში HUL მიდგომის ერთობლივი კვლევა იყო. ასევე, შედეგის მაჩვენებელია - საინფორმაციო ბიულეტენის, სტატიების გამოცემა, სემინარები და საერთაშორისო კონფერენციები, პროექტის ნაწილის გამოქვეყნება, რომელიც შესაძლებელი 2017 წელს გახდა, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ნიდერლანდების ფონდების დახმარებით.

საქმე ანუ „ქეისი N4“ - რაულპინდი, პაკისტანი (Rawalpindi, Pakistan)

რაულპინდის ძველი ცენტრი ბაზრებისა და სამეზობლო უბნების მჭიდროდ შეფუთული ტერიტორიაა, რომელმაც განვითარების და ურბანული ცხოვრების მდგრადი ინიმუმი შექმნა. ადრეული ფორმირებებიც კი საოცრად კარგად იკითხება თანამედროვე რაულპინდში. ესაა - მემკვიდრეობის, ტრადიციების, სხვადასხვა რელიგიის და კულტურის გადაკვეთა, თანაარსებობა, რომელიც მრავალფეროვანი რელიგიური შემოხაზების, ტრადიციული ბაზრებით, მრავალენოვნებით, განსხვავებული ღვთისმსახურებით და რელიგიური ფესტივალებით, ხელოვნებით, მუსიკით, საკვებით და ყოველდღიური ცხოვრებით

ვლინდება. ძველი ქალაქი XVIII-XX საუკუნეების საცხოვრებელი და კომერციული შენობების მრავალფეროვნებას ინარჩუნებს, სადაც გაფორმების თვალსაზრისით, არც ერთი შენობა ერთნაირი არაა და დასავლურ-აღმოსავლური დიზაინის ფორმების სინთეზია: ჰორი-ზონტზე ტაძრის გუმბათები და მეჩეთის მინარეთები ისახება, რომელიც მოსახლეობისათვის ერთგარ ნიშნულსაც კი წარმოადგენს, რომ ბაზრის ლაბირინთებში გზა გაიკვლიონ (ანუ გეოგრაფიული მარკერის როლს ასრულებს).

ძველი ქალაქის არსებობის არცერთ ეტაპზე, მის დაცვაზე ან გაფორმებაზე არავის უზრუნვია. **ფიზიკურად ის გადაარჩინა მოსახლეობის სურვილმა - თაობიდან თაობაში შეინარჩუნონ თავიანთი ცხოვრების ტრადიციული წესი.** ამ საზოგადოების ერთობლიობამ, ანუ **სოციალურმა კაპიტალმა**, მიუხედავად მჭიდრო დასახლებისა, სოციალური დამაბულობის და ღარიბი ინფრასტრუქტურისა, ქალაქის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად შეინარჩუნა და შეადუღა წარსული. სწორედ ეს, არამატერიალური მემკვიდრეობის არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან შერწყმა ანიჭებს ისტორიულ რაულპინდს მნიშვნელობას. HUL-ის პროცესის დასაწყებად რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. რაულპინდის ისტორიული ურბანული ლანდშაფტის პროექტის (RHULP) მონაწილეებს ეთხოვათ მოემზადებინათ მასალები, სახელმწიფოებრივ დონეზე შექმნილი დოკუმენტისათვის - „პაკისტანი 2025: ერთი ერი - ერთი ხედვა“, Pakistan 2025: One Nation – One Vision, HUL-ის მიდგომების გათვალისწინებით (პაკისტანის მთავრობა 2014).

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პაკისტანში „მემკვიდრეობის ინფორმირებულობის“ დონე დაბალია. ამ ქვეყანაში, მემკვიდრეობის დაცვა ლიმიტირებული, შეზღუდულია და ისტორიული ქალაქების დაცვის მცირე გამოცდილება გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, HUL-ის ძირითადი მოდელი მათ სრულად გაიაზრეს და ყველა პარტნიორის მიერ, ავტომატურად და სწავად იქნა მიღებული.

საქნე ანუ „ქეისი N5“ - ზანზიბარი, ტანზანია (Zanzibar, Tanzania)

ქვის ქალაქი ზანზიბარი ზანზიბარის კუნძულების ადმინისტრაციულ, სოციალურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს 1,3 მმ მოსახლეობით 2,460 კმ² ფართობზე. XIX საუკუნის ბოლომდე ეს ძველი ქალაქი ძლიერი და ფართო სავაჭრო ქსელის მთავარი კერა იყო, რომელიც სამ კონტინენტზე სამ რეგიონს აკავშირებდა: აღმოსავლეთ აფრიკას, ინდოეთის ნახევარკუნძულს და სპარსეთის ყურეს. ვაჭრობის ზენიტის პერიოდში, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ამ ძველი ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი კოსმოპოლიტიზმი იყო. ყოველივე ამან, თავისთავად, ინდოეთის ოკეანეების ბასეინის

ხალხების, მათი იდეების და ღირებულებების შერწყმას შეუწყო ხელი და გაამძლიერა. „ქვის ქალაქს“ მნიშვნელოვანი სივრცული და სოციალური ღირებულება მიენიჭა.

XX საუკუნის დასაწყისამდე ზანზიბარში ურბანიზაციის ისტორია ძირითადად მისი ცენტრის ისტორიით, „ქვის ქალაქით“ გამოიხატებოდა. მიუხედავად ამისა, ქვის ქალაქსა და ნაპირის „მეორე მხარეს“ შორის მდინარის ნაკადმა, რომელიც Ng'ambo-ს სახელითაა ცნობილი, შექმნა დანაყოფი, რომელიც „სივრცულ გამყოფად“ გარდაიქმნა. 2000 წელს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ქვის ქალაქის ეს ნაწილი, N'gambo-ს ტერიტორია ბუფერული ზონის ნაწილი გახდა და ქალაქის ნაწილის სტატუსი დაკარგა. მართვის კონტექსტში, ქვის ქალაქის ამ უნივერსალური ღირებულების (OUV) სვეტს საფრთხე დაემუქრა - ის შეზღუდულ სოციალურ და გარემო სივრცეში აღმოჩნდა და აქედან გამომდინარე, მისი მომავალი განვითარებაც შეფერხდა.

ზანზიბარის ქეისის ექსპერტების მუშაობის პროცესში, შემდეგი პრობლემა გამოიკვეთა: „ქვის ქალაქსა“ და Ng'ambo-ს შორის ურთიერთ-საწინააღმდეგო კავშირი, რომელიც განვითარების სტატეგიის ახალი იდეები ჩამოყალიბებისათვის, კონსერვაციის მენეჯმენტის ახალ მიდგომებს მოითხოვდა. სწორედ აქ ჩაერთო HUL-ის მიდგომებები. მათ შესთავაზეს სოციალური უწყვეტობის ფონზე ახალი მეთოდოლოგია. შეიმუშავეს ქალაქ ზანზიბარის ახალი გენერალური გეგმა (Zans-Plan, 2015), რომელშიც N'gambo გახდა ახალი ქალაქის ცენტრი; **გამოწვევა იმაში მდგომარეობდა, რომ იქმნებოდა უწყვეტობა „ქვის ქალაქსა“ და ქალაქის ცენტრს შორის.** ამრიგად, N'gambo-ს განვითარებისათვის HUL მიდგომის განხორციელება გულისხმობდა - ამ ორი სივრცის უნიკალურობის წარმოჩენას, სივრცითი დაგეგმის საშუალებით. Ng'ambo Tuitakayo პროექტი მიზნად ისახავდა კონსერვაციის და მემკვიდრეობის მენეჯმენტი განხილული ყოფილიყო ფართო კონტექსტში, რაც ქალაქ ზანზიბარის ძლიერ ურთიერთკავშირს, დინამიკას და ინკლუზიურობას შექმნიდა.

2013 წელს დაიწყო N'gambo-ს კვლევა, ისტორიული ანალიზი და მეპინგი. არამატერიალური მემკვიდრეობის შესახებ კვლევა კვლავ გრძელდება.

ამ საპილოტე სამუშაოსთან ერთად, პარალელურად, საცხოვრებლის შესახებ მცირე პროექტიც განხორციელდა. ყველა ეს კვლევა შეხვედრით (2014) დასრულდა, სადაც საზოგადოებას Ng'ambo პროექტის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააცნეს. პროექტმა საზოგადოებას საშუალება მისცა უკეთ გაეცნო ზანზიბარის სოციალური და კულტურული ღირებულებები, რაც ქალაქის მოსახლეობის სამოქალაქო შეგნების ამაღლების საწინდარი გახდა. **„ხალხის მიერ დაგეგმვა“** - ეს იყო მათთვის გზავნილი, რათა კონსერვაციის მენეჯმენტსა და მდგრადი განვითარებისაკენ სვლას შორის, პარტნიორობის ახალი სტრატეგიული გაგება შექმნილიყო.

Ng'ambo Tuitakayo პროექტში HUL მიდგომის განხორციელება გახდა „ადგილობრივი გეგმის“ (LAP, Local Area Plan) შემუშავების საფუძველი, სივრცითი სტრატეგიისა და ურბანული დაგეგმარების ინსტრუმენტი: **რომ ზანზიბარში, ძლიერი მამოძრავებელი ძალა და მდგრადი განვითარების ფაქტორი კულტურა გახდეს!**

**საქმე ანუ „ქეისი N6“ - იტალია, ნეაპოლი
(Italy, Naples)**

ალესიო რე, CSS-Ebla-ს გენერალური მდივანი (იუნესკოს საერთაშორისო მე-2 კატეგორიის ცენტრის დამფუძნებელი - კულტურის ეკონომიკის და მსოფლიო მემკვიდრეობის საკითხებზე კვლევის მიმართულებით - ITRECH; ტორინოს უნივერსიტეტის დამხმარე პროფესორი კულტურის პროექტებისა მართვის, კულტურის ინდუსტრიების და გლობალურ ბაზრებზე მენეჯმენტის მიმართულებით;

ნეაპოლი, იტალიის ერთ-ერთი მთავარი ისტორიული ქალაქია, მშენებლობის რამდენიმე ფენით, თარიღდება. რეალურად, ნეაპოლის ისტორიული ქალაქის ცენტრის ავთენტური კულტურული უნიკალობა სხვადასხვა ფენის, კულტურული თვითგამოხატვის ფორმების მრავალფეროვნებითაა გამოწვეული, მისი სოციალური სიცოცხლისუნარიანობით, იმ ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ადგილს როგორც ნამდვილ ცოცხალ მემკვიდრეობად (რე, სანტაგატა, 2011; Re, Santagata)

ადგილობრივი განვითარებისათვის, კულტურის როგორც რესურსის ისე გააზრებას და ამისთვის, HUL-ის რეკომენდაციების გათვალისწინება, როგორც ჩანს, იტალიის ძველი ისტორიული ქალაქების ბედის საკითხთან დაკავშირებით, ცენტრალური და ფართო განხილვის საკითხია. ამიტომ დაკვირვებისათვის არჩეული იქნა ნეაპოლის ისტორიული ცენტრი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობადაა აღიარებული (სიაში 1995 წლიდანაა შესული). მოსამზადებელი დოკუმენტაციის მომზადება 2011 წელს დაიწყო, რომელსაც თან ერთვის HUL-ის რეკომენდაციები. ამან ექსპერტებს, რეალური შესაძლებლობების გააზრების და პრაქტიკულად გამოყენების საშუალება მისცა. მათ განსაზღვრეს ჩარჩოები და შექმნეს სამუშაო სტრუქტურის გეგმა. სინამდვილეში, ამ ინსტრუმენტებმა **ძეგლის დაცვა რეალურად უზრუნველყო** და სხვადასხვა მიზნის შესასრულებლად, მაგალითად, როგორიცაა - კულტურის ინდუსტრიის, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და ქალაქის ქსელის განვითარება - **ინვესტიციები მოიზიდა**.

ცვლილებების მართვისათვის მათ კვლევები ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ გასტრონომია (იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში “პიცის” დამზადების ხელოვნება საცდელ სიაშია წარდგენილი), კერვა და ხელნაკეთობები, საშობაო სასცენო ხელოვნება (კუჩია, მარელი, სანტაგატა, 2007; დე კარო, მარელი, სანტაგატა, 2008; Cuccia, Marrelli,

Santagata, 2007; De Caro, Marrelli, Santagata, 2008), ასევე, როგორც ქალაქის ისტორიულ ცენტრში, ადგილობრივი შემოქმედებითი ინდუსტრიის ყველა სხვადასხვა სექტორი (მათ შორის, მუსიკალური პროდუქცია, რომელიც უდავოდ კულტურული ფასეულობების არაჩვეულებრივი და რთული სისტემის ყველაზე სასიცოცხლო და ავთენტური გამოხატულებაა) წარმოადგენს და განიხილება - ისტორიული ქალაქის კულტურული და ეკონომიკური ღირებულების შექმნის შესაძლებლობა (საშუალება). ამიტომ მათი გადარჩენის გარანტიის მოპოვებისთვის ბრძოლა პირველია, ქალაქის ავთენტური ისტორიული მნიშვნელობის (ლოკალურ თემში) შენარჩუნებისათვის.

შესაძლებლობების სამოქმედო გეგმების სტრუქტურირებისას (მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის აქტივები) გამოჩნდა, რომ საჭიროა კომბინირებული პროცესი კონსერვაციასა და განვითარებისათვის, რაც ახალი კულტურისა და ინოვაციების უწყვეტი წარმოებით, ქმნადობით მიიღწევა. ასევე აუცილებელია ქმედებები: ახალგაზრდა ანტრეპრენიორების მხარდაჭერა, შემოქმედებით სექტორებში შესაძლებლობების განვითარება (capacity building), ქალაქის ცენტრში ისტორიული ტერიტორიების (ადგილის) ხელახალი გამოყენების სტიმულირება, ახალი დამწყები-start up ინიციატივების მასპინძლობა და კონკრეტული ზომების მიღება: ქალაქის ისტორიული სივრცეების, მაცხოვრებლებსა და მომსახურე პერსონალს შორის კავშირ-ურთიერთობების საგამყარებლად. ყველა ეს ღონისძიება ტურისტულ სექტორთან გაერთიანდა, რომელსაც განვითარების ძლიერი პოტენციალი და კვალიფიკაცია გააჩნია.

იტალიელი ექსპერტები და დარგის მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმისა, მემკვიდრეობის რესურსების მართვის მიმართ მიდგომების შეცვლისათვის, ნეაპოლის ისტორიულ ცენტრში, HUL მიდგომის გამოყენების პირველი მცდელობა მნიშვნელოვან ძალისხმევას წარმოადგენს, ზოგიერთი გამოწვევის მოგვარებას, **სათანადო გადაწყვეტის პოვნა მაინც სჭირდება, რაც კვლავ პრობლემატურია**. მათივე თვალსაზრისით, სამომავლო განვითარებისთვის, კულტურისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ეფექტურად ინტეგრირებული მიდგომის შემოღების აუცილებლობა - აშკარაა.

ნამდვილად ვემხრობი კოლეგების აზრს, რომ კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ძეგლების გარდა (როგორც ისინი უწოდებენ „ფიზიკური მემკვიდრეობა“), კულტურის მთელი კონცეფცია, რეალურად მდგრადი განვითარების შესაძლებლობების შესაქმნელად, პოტენციურ რესურსს და სტაბილურობის ფაქტორს წარმოადგენს - მაღალი სოციალური პრობლემების მქონე ქალაქისთვის, რომელიც ეძებს გადაწყვეტის გზებს.

საქმე ანუ „ქეისი N7“ - ამსტერდამი, ნიდერლანდები (Amsterdam, Netherlands)

დოქტორი ლოეს ველდპაუსი, ნიუკასტლის უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელი (Dr. Loes Veldpaus, Research Associate at Newcastle University); იოჰან ჯ. სვარტი (Johan J. Swart)

ქეისი ამსტერდამში ჩატარებულ კვლევებს შეეხება, რომელიც HUL-ის მოდელით ეფექტურად განხორციელდა. ამსტერდამის სამუშაო ჯგუფში მიიჩნევენ, რომ HUL არ იყო „მარტივი“ განსახორციელებელი. პირველად, რთული იყო გზის არჩევა, „ადგილის“ იდენტიფიცირება. დოქტორმა ველდპაუსმა ტაქსონომეტრიაზე დაფუძნებული კვლევა ჩაატარა, რათა დაედგინა - **ურბანული და მემკვიდრეობის მართვის პოლიტიკაში განსხვავება**, პროცესები და დეპარტამენტები, ვისთანაც ეს საკითხები უნდა განხილულიყო. შეირჩა ზამთარში ამსტერდამის ჰერენგრაბტი. The Canal Ring Area - როგორც მსოფლიო მემკვიდრეობა, წარმოადგენს ამსტერდამის ისტორიული ურბანული ლანდშაფტის - ადგილის (ტერიტორიის) მკაფიო ნიმუშს.

ლანდშაფტის კონვენციაზე დაყრდნობით (CoE, 2000), ნიდერლანდებმა განახორციელა Belvedere პროგრამა (Feddes, 1999), როცა კულტურული მნიშვნელობის ობიექტის იდენტიფიცირების ინტეგრაცია და სტიმულირება მოახდინეს. ლანდშაფტური და მემკვიდრეობის მენეჯმენტის ამგვარად ინტეგრირებული აქტიური სტიმულირების მოქმედებებმა, საფუძველი დაუდო ნიდერლანდების ეროვნული მემკვიდრეობის შესახებ კანონის განახლებას (ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში - RCE, 2016). ბელვედერის და ვენის მემორანდუმის (UNESCO, 2005) ფონზე, ამსტერდამი 2010 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციაში (De Jong et al., 2009) ელოდებოდა UNESCO-ს რეკომენდაციას ისტორიული ურბანული ლანდშაფტის შესახებ (HUL), რათა გამოეყვანა თავისი მზადყოფნა - გამოიყენოს ლანდშაფტური მიდგომა და ამით, თავისი პოზიციონირება გააკეთოს საცდელი სიისათვის უკვე შერჩეულ ობიექტების (Pereira Roders, 2013). ე.ი. მთავარი მიზანია, მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციის კონტექსტში, მიდგომების ფართოდ გამოყენება მოხდეს.

HUL მოდელის გამოყენებით, ნიდერლანდებში ჩატარებული კვლევა, მნიშვნელოვანი იყო. ტაქსონომიაზე (კლასიფიკაციაზე) დამყარებული ანალიზი ამსტერდამში მემკვიდრეობის დაცვისათვის HUL მოდელის გარშემო დისკუსიის და მისი გამოყენების საშუალებას იძლევა. დიდკუსია მიმდინარეობდა ურბანული დეპარტამენტის და მუნიციპალიტეტის დონეზე. ამ თემაზე ჩატარდა სამი სემინარი. ამ აქტივობათა მიზანი იყო - კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის პოლიტიკის სწორი მიმართულება.

სემინარებზე დისკუსია მიმდინარეობდა იმის გასარკვევად - არსებული პოლიტიკა და მიდგომები ხელს უწყობს თუ, ხელს უშლის HUL-ის მოდელის იმპლემენტაციას (დანერგვას, განხორციელებას).

„მემკვიდრეობის ოფიცრების“ ყურადღება უფრო ობიექტებზე და ტერიტორიებზე იყო მიპყრობილი, ვიდრე ღირებულებების განსაზღვრაზე და დაცვაზე. ისინი ყველაზე კარგად იცნობენ ლანდშაფტს, ამიტომ „ადგილის დაუცველობის“ დადგენაზე და მოპოვებაზე იყვნენ კონცეპტირებული. ეს კი, ცვლილებების მართვისადმი (მენეჯმენტი) განსხვავებულ მიდგომებს გულისხმობდა.

ზოგადად, ამსტერდამში განხილულმა საკითხებმა ექსპერტებს დაანახა, რომ საჭიროა ინტეგრირებული თანამონაწილეობა და თანამშრომლობა. და რომ, ამ ინსტრუმენტების საშუალებით, რეკონსტრუქციების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივ დონეზე საერთო გადაწყვეტილების მიღება ადვილია. ასეთი ინსტრუმენტები მემკვიდრეობის და ურბანული დეპარტამენტების მუშაობას აადვილებს, როცა დეფინიციებსა და მიდგომებში არსებული განსხვავებები დგინდება და განისაზღვრება. ამსტერდამის ქეისი გვამცნობს, რომ ექსპერტ-ოფიცრებმა მემკვიდრეობის ერთი მთლიანი კონცეფცია პატარა ნაწილებად დაყვეს და ნაბიჯ-ნაბიჯ არსებული გამოწვევების შესწავლით მათი მოგვარება დაიწყეს. ასეთმა მიდგომამ, ნაწილ-ნაწილ განხილულიყო საბაზისო თემები, შესაძლებელი გახდა - ადგილობრივი მმართველობის სისტემაში გამოეცადად ასეთი ახალი სპეციფიკა, როცა - ერთი საკითხის შესწავლა, მასში გარკვევა, მეორის განხილვისათვის - საწყისი წერტილი გახდებოდა.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული საქმეები გვიჩვენებს, რომ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამას ექსპერტები რეკონსტრუქციაში მიმართულებებს აძლევენ, რათა ფოკუსირება მოხდეს ყოვლისმომცველი მარკეტინგის მნიშვნელობის პროგრამის განხორციელებაზე, რომელიც შეეხება ადგილის ბრენდის ცნობიერების და განათლების საკითხებს, რითაც პროგრამისა და მისი მნიშვნელობის შესახებ გლობალურ ცოდნას, აგრეთვე, დაფინანსებას გაზრდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

https://www.transparency.ge/sites/default/files/msheneblobis_sektori_sakartveloshi.pdf (ნანახია: 21.04.21)

<https://ka.warbletoncouncil.org/paisaje-urbano-12972> (ნანახია: 21.04.21)

<https://civil.ge/ka/archives/407458> (ნანახია: 21.04.21)

<https://civil.ge/ka/archives/407458> თბილისის მეწყრის საფრთხე ემუქრება.

19/03/2021 (წანახია:21.04.21)

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31158230.html>/წასტასია არაბული,
18/03/2021 (წანახია:21.04.21)

<https://www.radiotavisupleba.ge/a/> წასტასია არაბული,26 მარტი,
2019(წანახია:21.04.21)

<http://www.historicurbanlandscape.com/>

<http://www.historicurbanlandscape.com/themes/196/userfiles/download/2017/6/19/hkmnquzjahrenkba.pdf>

<https://mysay.ballarat.vic.gov.au/ballarat-heritage-plan>

<http://whc.unesco.org/> UNESCO World Heritage Centre

<http://www.iccom.org/> ICCROM - International Centre for the Study of Preservation and Restoration of Cultural Property

<http://www.icomos.org/en/ICOMOS> - International Council on Monuments Sites

<https://arkadyosipov.ru/articles/ekologiya-goroda/>Игорь Лауткин

<https://bezotxodov.ru/jekologija/jekologicheskie-problemy-gorodov>

<https://ka.warbletoncouncil.org/ecologia-urbana-38>

<https://socialjustice.org.ge/ka/products/kumshvadi-kalakebi-globalizatsiis-urban-uli-gamotsvevebi>

<https://ge.boell.org/ka/2020/10/28/mcvane-sakitkhebi-2020-clis-saarchevno-programebshi>

<https://urbanforensics.files.wordpress.com/2012/09/inthenatureofcities.pdf>

THE_HUL_GUIDEBOOK_Managing_heritage_in_d.pdf (This guidebook was launched at the 15th World Conference of the League of Historical Cities in Bad Ischl, Austria in 2016)

UNESCO (2015) <http://en.unesco.org/themes/culture-sustainable-development>

UNESCO Recommendation on the Historic Urban Landscape http://portal.unesco.org/en/ev.php-URL_ID=48857&URL_DO=DO_TOPIC&URL_SECTION=201.html

The management plan of the Historic Centre of Naples is available at this link:

<https://www.comune.napoli.it/flex/cm/pages/ServeBLOB.php/L/IT/IDPagina/14142>

The HUL Guidebook/Managing heritage in dynamic and contrastly changing urban environments/UNESCO's recommendation on the Historic Urban Landscape (Australia, China, Ecuador, Pakistan, Tanzania, Italy, Netherlands, 2015)

<https://gohulsite.files.wordpress.com/2016/10/wirey5prpznidqx.pdf>

<http://historicurbanlandscape.com/themes/196/userfiles/download/2016/6/7/wirey5prpznidqx.pdf>

https://www.researchgate.net/publication/282919042_The_Historic_Urban_Landscape_Managing_Heritage_in_an_Urban_Century

Context_Document-def-georgian.pdf.pdf/დავოსის დეკლარაცია, 2018

Akhobadze, K. (2018). Sakhelmtsifo da Kulturis Politika. Tbilisi: gamomtsemloba "universali" (ახობაძე, კ. (2018). სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“).

Bandarin, F. Ron van Oers. (2012). The Historic Urban Landscape: Managing Heritage in an Urban Centry. ISBN: 978-1-119-96809-2

Gamkrelidze, T. (1988). Ekologia da Kultura: gamosvla "SSRK mecnierebata akademiis" saerTo krebaze (Moskovi, 27-29 dekemberi). litereturuli saqartvelo. 13.01.1989 (თ. გამყრელიძე. ეკოლოგია და კულტურა: გამოსვლა "სსრკ მეცნიერებათა აკადემიის" საერთო კრებაზე (მოსკოვი, 27-29 დეკემბერი, 1988 წ.). ლიტერატურული საქართველო. 13.01.1989)

Культурно-Исторический Опыт Управления Городскими Ландшафтами в Разных Странах Мира и Вызовы 21 Века (Австралия, Китай, Эквадор, Пакистан, Танзания, Италия, Нидерланды и Грузия)

Кетеван Ахобадзе

Доктор социологических наук

Старший специалист

Национальной Академии Наук Грузии

Тел: +995 551 145080

E-mail: akhobadze21@gmail.com

ORCID: 0000-0003-0534-9124

Резюме

Статья посвящена Программе всемирного наследия ЮНЕСКО, в частности, вопросам сохранения и защиты исторических городских ландшафтов. В статье рассмотрено, как Программа всемирного наследия ЮНЕСКО стремится выполнить свою миссию по сохранению всемирного культурного наследия, имеющего особое универсальное значение для человечества, как для нынешнего, так и для будущих поколений.

Мы хорошо понимаем, что города различаются по своей культуре и историческому развитию. Неконтролируемая урбанизация угрожает наследию и часто поднимает вопрос его ухудшения и разрушения, что вызывает страх потерять самобытность в обществе, важные для них «места», местные памятники культуры. Эти вопросы хорошо отражены в документах ООН и ЮНЕСКО.

В условиях глобализации города настолько схожи по финансовым, технологическим, информационным и другим характеристикам, что теряют различный вид и становятся аналогами. Поэтому только культура и наследие – это единственный ресурс, который всегда отделяет народы, города и отличает их друг от друга. Мощные города творчески инкубируют,

создавая стимулирующую и увлекательную среду в различных областях культуры, чтобы продемонстрировать уникальные особенности своей местной культуры, которые повышают международную известность в глобальном контексте.

Ценности общества и способы их выражения отражены в культуре. Культурные ресурсы - отличительная черта наших городов. Таким образом, эти рекомендации ООН от 2011 года были разработаны для более эффективного выполнения программ городского управления. Таковы подходы HUL для всех стран-членов ЮНЕСКО, которые добровольно соглашаются принять меры, которые не направлены на изменение (не обязательно) существующих доктрин или подходов к сохранению, но являются дополнительным инструментом культурной политики, предложенным ЮНЕСКО, в котором видны общие цели мирового городского развития, хотя также ясно очевидны различные культурные ценности, которые их отличают

В статье представлены 7 руководящих кейсов, в которых описывается необходимость и применение подходов HUL в разных странах, а также приводятся примеры их опыта.

Дается сравнительный анализ текущих процессов в Грузии, а также необходимость использования подходов HUL.

Ключевые слова: Культура, Культурные Ценности, Общество, Экология, Экология Культуры, Модели HUL, ООН, ЮНЕСКО

წყაროთმცოდნეობა

ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს
ტერიტორიებისათვის შედგენილი დავთრების კლასიფიკაციის
საკითხისათვის

**For the Question of Classification of the Registers (*Defters*) Compiled
for the Territories of Georgia Conquered by the Ottomans**

Davit Sartania

PhD in history, Iv. Javakhishvili State
University, Museum of TSU, Head of Ivane Javakhishvili Center
ORCID ID: 0000-0002-5248-2801
davit.sartania@tsu.ge
595 31 13 21

Dali Nikolaishvili

PhD in Geography, Iv. Javakhishvili State
University, Department of Geography, Professor
ORCID ID: 0000-0002-6540-3682
dali.nikolaishvili@tsu.ge
599 71 06 25

Avtandil Ujmajuridze

Historian, Ivane Javakhishvili Center
ORCID ID: 0000-0001-8571-0455
ujmajuridzeavto@gmail.com
591 26 80 21

Abstract

The Ottoman Empire, in its attempt to consolidate its dominance on the conquered territories, tried to wipe out the local rules and traditions and introduce Ottoman ones instead. For this purpose, specially assigned Ottoman officials used to thoroughly register the conquered territory (settled areas, population, types and rates of taxes, ownership of land and other real estate, etc.) and used to establish a new administration system and charge the local people with various Ottoman taxes. All these taxes were fixed in special books, the Registers (*defteri*). The Registers were made in two copies and were proved by the Sultan with a personal *tughra* (seal and signature). One copy of the Register was sent back to the officials on the occupied territory and another copy was kept at the Sultan's royal court chancellery. As for the Registers, they came in various types, but the Registers compiled for Georgia, were of three types only: the

Great Register (*defteri mufassal*), Small Register (*defteri icmal* or *defteri mucmel*) and Register of Changes (*loklama*). The Great Register gave detailed data about a certain area and its inhabitants. It gave the exact number of inhabitants of a concrete settlement, the types and amounts of taxes applied, the religious background of the population, etc. The Small Register showed the Ottoman officials' ownership of the individual settlements of the same territory. The Ottoman officials of different ranks were given concrete settlements as remuneration and they owned a part of the taxes gained from them, with the remained portion of the taxes sent to the central treasury. With time, the owners of different settlements changed and this process is described in the latter Register, so called Register of Changes.

Key words: Gurjistan Vilayet, old Ottoman registers, the Great Register (*defteri mufassal*), Small Register (*defteri icmal* or *defteri mucmel*), Register of Changes (*loklama*).

დავით სართანია

ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის ცენტრი
ORCID ID: 0000-0002-5248-2801
davit.sartania@tsu.ge
595 31 13 21

დალი ნიკოლაიშვილი

გეოგრაფიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
ORCID ID: 0000-0002-6540-3682
dali.nikolaishvili@tsu.ge
599 71 06 25

ავთანდილ უჯმაჯურიძე

ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრი
ORCID ID: 0000-0001-8571-0455
ujmajuridzeavto@gmail.com
591 26 80 21

აბსტრაქტი

ოსმალეთის იმპერია დაპყრობილ ტერიტორიებზე თავისი ბატონობის განსამტკიცებლად ცდილობდა მოეშალა არსებული წეს-წყობილება და თავისი დაემკვიდრებინა. ამ მიზნით სპეციალურად დანიშნული ოსმალთა მოხელეები დაწვრილებით აღწერდნენ დაპყრობილ ტერიტორიას (დასახლებული ადგილები, მოსახლეობა, გადასახადები,

მიწაზე და სხვა საკუთრების ფლობის უფლებები და ა. შ), რის საფუძველზეც აწესებდნენ მართვის ახალ ადმინისტრაციულ სისტემას და მოსახლეობას აიძულებდნენ გადაეხადათ მრავალგვარი ოსმალური გადასახადები. ყველაფერი ეს ფიქსირდებოდა აღწერის სპეციალურ წიგნებში, რომლებსაც დავთრები (*defteri*) ეწოდებოდა. ისინი ორ ეგზემპლარად დგებოდა და დამოწმებული იყო სულთნის პირადი თულრით (ხელმოწერა და ბეჭედი). დავთრის ერთი ეგზემპლარი ინახებოდა სულთნის კანცელარიაში და მეორე კი ადგილზე, რომლის აღწერაც იყო მოცემული დავთარში. ეს დავთრები სხვადასხვა სახისა იყო. საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიებისთვის კი იყო შედგენილი სამი ტიპის დავთარი: დიდი ანუ ვრცელი დავთარი (*defteri mufassal*), მოკლე დავთარი (*defteri icmal or defteri mucmel*) და ცვლილებების დავთარი (*Ioklama*). დიდ დავთარში დეტალურად იყო აღწერილი განსაზღვრული ტერიტორია თავისი მცხოვრებლებით. მასში მოცემული იყო მოსახლეობის რაოდენობა კონკრეტული კომლების ჩამოთვლით, გადასახადების სახეები და ოდენობები, მცხოვრებთა რელიგიური სტრუქტურა და ა. შ. მოკლე დავთარი კი ასახავს ოსმალ მოხელეების საკუთრებას ამ ტერიტორიის დასახლებულ ადგილებში. ისინი კი მათთვის სულთნის მიერ იყო ნაბოძები სამხედრო ოპერაციებისას გამოჩენილი დამსახურებისათვის. დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით ამ საკუთრების მფლობელები იცვლებოდნენ და ეს პროცესი აისახებოდა ცვლილებათა დავთარში.

საკვანძო სიტყვები: გურჯისტანის ვილაიეთი, ოსმალური დავთრები, დიდი დავთარი (*defteri mufassal*), მოკლე დავთარი (*defteri icmal or defteri mucmel*), ცვლილებების დავთარი (*Ioklama*).

შესავალი

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ოსმალური წერილობითი წყაროები, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია მოსახლეობის აღწერის დავთრებს. ისინი თანდათან შემოდიან სამეცნიერო მიმოქცევაში. პირველად დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ გზაზე გადადგა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ, რომელმაც ქართულად თარგმნა და ვრცელი გამოკვლევა დაურთო 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარს“. ამასთან ერთად სერგი ჯიქიამ თურქოლოგიის ქართული სკოლაც შექმნა და მისმა მოწაფეებმა თუ მოწაფეთა მოწაფეებმა თურქეთის არქივებში არაერთი ძეგლი გამოავლინეს, თარგმნეს და შემოიტანეს სამეცნიერო მიმოქცევაში.

მოსახლეობის აღწერის ოსმალური დავთრები, როგორც არაერთხელ აღნიშნულია ამ დარგის სპეციალისტთა (ს. ჯიქია, მ. სვანიძე, ც. აბულაძე,

ნ. შენგელია, ზ. შაშიკაძე, მ. მახარაძე) მიერ, მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია სქართველოს ონომასტიკის, ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად. ყველა ეს დავთარი მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველა ერთგვაროვანი ინფორმაციის შემცველი არაა. ისინი სხვადასხვა ხასიათისაა. ამიტომ საჭიროა მათი შინაარსობრივი დაჯგუფება, რაც მათი კონკრეტული დანიშნულების ნათელყოფაში დაგვეხმარება. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ვინაიდან ზემომოხსენიებული სპეციალისტების მიერ საკმაოდ ბევრი ოსმალური დავთარი ითარგმანა ქართულად და გამოიცა, მათმა მრავალფეროვნებამაც ამ დავთრების კლასიფიკაციის საჭიროება წარმოშვა. საკითხში უკეთ გარკვევისათვის საჭიროა მოკლედ ამ დავთრების შედგენის თავდაპირველ ისტორიასაც გადავხედოთ.

თურქოლოგი მიხეილ სვანიძე საგანგებოდ მიმოიხილავს ოსმალურ საქმისწარმოების ისტორიას და აღნიშნავს, რომ ტყავის აღმნიშვნელი ძველ ბერძნული სიტყვა *diphtherata* „დავთრის“ ფორმით შევიდა და დამკვიდრდა ჯერ სპარსულ ენაში, ხოლო შემდეგ არაბულში და ბოლოს თურქულშიც. საბოლოოდ ამ სიტყვით აღინიშნა სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის მიერ სხვადასხვა სახის აღწერის ოფიციალური მასალები, რომლებიც ცალკე წიგნების ფორმით იყო შექმნილი (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 11-12). ეს სიტყვა ქართულშიც შემოვიდა ანალოგიური შინაარსით და ასეც გამოიყენებოდა (ჯავახიშვილი, 1996: 416-417).

დაპყრობილი მხარეების აღწერა უმნიშვნელოვანესი აქტი იყო ოსმალეთის იმპერიისათვის, რადგანაც ამ მხარეების მოსახლეობისათვის გაწერილი გადასახადი იყო მთავარი შემოსავლის წყარო სახელმწიფოსათვის. ამიტომ ოსმალები ამ საქმეს დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. სულთანის კარზე არსებობდა სპეციალური თანამდებობა, რომელსაც „ბაშ-დავთარდარი“ ეწოდებოდა. იგი ხელმძღვანელობდა ამ უზარმაზარ იმპერიაში ყველა სახის დავთრების შედგენას. „*მისი ნებართვის გარეშე არავის ჰქონდა უფლება აეღო ან გაეცა ერთი ახჩაც კი... ბაშ-დავთარდარი ადგენდა მთელი წლის შემოსავალ-გასავლის რეესტრებს, იწერდა ნაშთებს, რასაც წარუდგენდა დიდ ვეზირს, ხოლო ვეზირი, თავის მხრივ, ამას სულთანს მოახსენებდა*“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 26).

ბაშ-დავთარდარის თანამდებობის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი ომის დროს თან ახლდა ლაშქარს. ოსმალებს ხომ წესად ჰქონდათ, როგორც კი დაიპყრობდნენ ახალ ტერიტორიას, მაშინვე შეუდგებოდნენ მის აღწერას. ოსმალები დამორჩილებული ტერიტორიებს ან ხარკს ადებდნენ ან აღწერდნენ და უშუალოდ იერთებდნენ. ამის თაობაზე შენიშნავს მიხეილ სვანიძე, რომ სულთან აჰმედ მეორის (1451-1481 წწ.) დროს ოსმალეთის იმპერია ძალიან გაიზარდა. „*ევროპასა და აზიაში დაპყრობილიქნა ახალ-ახალი ტერიტორიები. მაგრამ*

აღწერილ იქნა არა იმპერიის მთელი ტერიტორია, არამედ ის, რომელიც უშუალოდ ინკორპორირებული (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.) იყო ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ, ხოლო ვასალური და მოხარკე ქვეყნები ... აღწერას გადაურჩნენ“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 29).

საქართველოს შემთხვევაშიც ანალოგიურად მოხდა. მაგალითად, ოსმალებმა არაერთხელ აღწერეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული მხარეები, ვინაიდან ისინი უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, ხოლო დასავლეთ საქართველოს მხარეებისგან მხოლოდ ხარკსა და საჩუქრებს ჯერდებოდა.

ოსმალეთის ხელისუფლებას შემუშავებული ჰქონდა დავთრების შედგენის წესი. მიხეილ სვანიძის მიხედვით იგი შემდეგში მდგომარეობდა: „ვიდრე დაპყრობილი ქვეყნებიდან ოსმალეთის არმია უკან იქნებოდა გაწეული, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხე-სიმაგრეებში ათავსებდნენ მცირერიცხოვან გარნიზონებს. ამის შემდეგ დარჩენილ ციხე-სიმაგრეებს ხშირად სულთნის სპეციალური ბრძანებით ანგრევდნენ. ეს ღონისძიება... იქით იყო მიმართული, რომ, ჯერ ერთი, იქ არ ყოფილიყო საჭირო სამხედრო ძალების დაბანდება და, მეორე, ადგილობრივ გამგებლებს არ ჰქონოდათ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. შემდეგ, როგორც წესი, სიფაჰიებს, რომლებიც შეადგენდნენ ოსმალეთის არმიის მთავარ ძალას, ეძლეოდათ თიბარები ახალ დაპყრობილ ქვეყნების სოფლებსა და ციხე-სიმაგრეებში“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 34-41).

სიფაჰებისთვის კი რომ თავიანთი შემოსავალი განესაზღვრათ და აგრეთვე გარკვეული ნაწილი ოსმალეთის ხაზინაშიც შესულიყო, საჭირო იყო ახალდაპყრობილი ტერიტორიისა და მოსახლეობის აღწერა. სწორედ აღწერით დგინდებოდა ყველა ის რესურსი, რაც ამ დაპყრობილ ტერიტორიაზე არსებობდა. ამიტომ ამ აღწერას ოსმალეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა. „აღწერის ჩასატარებლად დავთრის შესადგენად სულთნის მთავრობის მიერ ინიშნებოდა სპეციალური კომისია. ამ კომისიაში შედიოდა ემინი და ქათიბი (მწერალი). ემინი იყო სულთნის რწმუნებული. იგი აწარმოებდა აღწერას და პასუხისმგებელი იყო მის ჩატარებაზე...“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 34-41).

შედეგები

ყოველივე ზემოთმოცემული მსჯელობის შემდეგ ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს მხარეებისათვის შედგენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული დავთრები შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

- დიდი (ვრცელი, დაწვრილებითი) დავთარი (defter mufassal);
- მოკლე (მცირე) დავთარი (defteri icmal ან defteri mucmel);
- ცვლილებების დავთარი (იოკლამა დავთარი).

მსჯელობა

ოსმალეთის იმპერიაში დავთრის სხვადასხვა სახეობები არსებობდა. მიხეილ სვანიძის მიხედვით იყო: სულთნის დივნის ჩანაწერები (Muhimme defterleri), ოსმალეთის მთავრობის დადგენილებათა დავთრები (Ahkam defterleri), ყოველდღიური შემოსავლებისა და ხარჯის აღრიცხვის დავთრები (Ruznamce), საანგარიშო დავთრები (Muhasebe defterleri) და სხვა. მათ გვერდით არსებობდა ოსმალების მიერ დაპყრობილი მხარეების აღწერის დავთრები. ისინი მ. სვანიძის მიხედვით „ორი სახისა იყო: 1. დიდი (დაწვრილებითი) დავთარი (defter mufassal) და 2. მცირე დავთარი (defteri icmal ან defteri mucmel) (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 13). ოსმალური სიტყვებს „მუფასალს“ (defter mufassal) და „იჯმალს“ (defteri icmal) ქართულად შეესატყვისება ვრცელი (დიდი, დაწვრილებითი) და მოკლე (მცირე).

ამდენად, მ. სვანიძის მიხედვით ოსმალების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებისთვის დგებოდა 2 სახის დავთარი: ვრცელი და მოკლე. დაპყრობილი მოსახლეობის აღწერის შემთხვევაში 2 სახის დავთარზე საუბრობს პროფესორი ნოდარ შენგელიაძე: „მოსახლეობის აღწერის შედეგად დგებოდა ორი დავთარი, ე.წ. „მუფასალ დავთარი“ და „იჯმალ დავთარი“ (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016: 10). მ. სვანიძის აზრით ამ უკანასკნელს ზოგჯერ თიმარ დავთარსაც უწოდებდნენ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 13). ეს იმიტომ, რომ მასში ყველა შემოსავალი, რასაც მოცემული დაპყრობილი მხარე იძლეოდა, დასახლებული ადგილების მიხედვით თიმარების მფლობელებზე იყო განაწილებული. ამდენად, ეს სახელი „თიმარ დავთარი“ მოკლე დავთრის შინაარსზე მიუთითებს და მის დანიშნულებასაც განსაზღვრავს, თუმცა ამ სახელით დავთრის ახალი სახე არ გვეძლევა.

ორივე სახის დავთარს, ვრცელი იქნებოდა იგი თუ მოკლე, ოსმალეთის საიმპერატორო კანცელარია ადგენდა, მაგრამ იგი დაპყრობილ მხარეში მოსახლეობის უშუალო აღწერას საჭიროებდა. ამიტომ მისი ძირითადი მასალის შექმნა ადგილზე ხდებოდა, რომლის საბოლოო გაფორმება სულთნის კანცელარიაში სრულდებოდა და სულთნის თულრით (ბეჭდით) მტკიცდებოდა. თითოეული დავთრის დანიშნულება განსხვავებული იყო, მაგრამ მათ აერთიანებდა ყველა სახის შემოსავლის ზუსტი აღრიცხვა.

„მას შემდეგ, როცა რეგისტრირებული იყო შემოსავლის ყველა წყარო და შემოწმებული იყო ყველა საჭირო დოკუმენტი, - წერს მ. სვანიძე, - სააღწერო კომისია იწყებდა დიდი (დეტალური) დავთრის შედგენას და რედაქტირებას. შემდგომ დგებოდა შემაჯამებელი ანუ მცირე დავთარი... ეს მცირე დავთარი ადრეულ პერიოდში, სულთან სულეიმან ბრწყინვალემდე, წარმოადგენდა დიდი დავთრის

შემოკლებულ რედაქციას და არაფერს შეიცავდა ისეთს, რაც არ შედიოდა დიდ დავთარში... მას შემდეგ, როცა შედგებოდა დიდი და მცირე დავთრები, ისინი ეგ ზავნებოდა პორტას და მათ ამტიცებდნენ სულთნის ბრძანებით და თუღრის დასმით. დავთრები ორ-ორ ცალად იწერებოდა. დამტკიცების შემდეგ ერთი ცალი რჩებოდა სტამბოლში, ხოლო მეორე იგ ზავნებოდა ადგილზე, იმ მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც იყო შედგენილი... თურქულმა საკადასტრო დავთრებმა განიცადეს ცვლილება სულეიმან კანუნის გამეფების შემდეგ, 1520 წ. [შემდეგ] ... ყოველგვარი გადასახადიდან ნატურით შეტანილია დავთარში მისი ფულადი ღირებულება (ახჩებში). ყადის დამხმარე გადასცემდა ემინს ჰუჯათს (სასამართლოს გადაწყვეტილებას) თითოეული საგნის ნომინალური ღირებულების შესახებ. ემინი ამ დოკუმენტს ინახავდა ან უგ ზავნიდა პორტას, რომელიც ამტკიცებდა წარმოდგენილ ფასებს და უგ ზავნიდა ემინს დავთარში შესატანად. ამ საკითხის მოგვარებას უნდებოდნენ დაახლოებით ორ წელიწადს“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაზა დავთარი, 1979: 34-41).

საქართველოს სხვადასხვა მხარის შესახებ შედგენილი დავთრები სწორედ ახალი წესით შედგენილი დავთრებია. ეს იმიტომ, რომ ახალი ტიპის დავთრების შედგენის წესის შემოღებამდე ანუ დაახლოებით 1520 წ. საქართველოს რომელიმე მხარე დაპყრობილი და ოსმალეთის მიერ ინკორპორირებული არ ყოფილა.

დიდი ანუ ვრცელი დავთრები ისეთი დავთრებია, სადაც ტერიტორია აღიწერება თანამიმდევრობით ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით. მიეთითება, თუ რომელი დასახლება (სოფელი, რაბათი, ციხე-სიმაგრე) რომელ ნაპიეს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რომელ ლივასა (სანჯაყში) და ვილაიეთში შედის. ზოგჯერ მიეთითება თუ სად იწყება სოფელი და სად მთავრდება, ვის ემეზობლება, რომელი მიკროტოპონიმი მდებარეობს მის ფარგლებში თუ მფლობელობაში (უბანი, მამული, ვენახი, სათესველი, სამოვარი, არხი). ჩამოთვლილია დასახლებაში მცხოვრები კომლები ოჯახის უფროსი მამაკაცის სახელისა და მამის სახელის მოხსენებით. იქვეა მითითება თითოეულის რელიგიურ კუთვნილებაზე. შემდეგ კი ამ დასახლებაზე გაწერილი გადასახადებია ჩამოთვლილი, მათი ფიზიკური ოდენობისა (ქილა, მანი, ბათმანი, ...) და ფულად ერთეულში (ახჩა) გამოხატვით. ამის მიხედვით ვიგებთ, თითოეულ სოფელში თუ რა სახის სამეურნეო აქტივობას ჰქონდა ადგილი და რა ოდენობით იყო იგი დაბეგრული. საბოლოო ჯამში, კი ყოველივე ეს დასახლებებისა და სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციული ერთეულების (ნაპიე, ლივა, ვილაიეთი) სამეურნეო სტრუქტურასა და სპეციალიზაციაზე გვიქმნის საკმაოდ ნათელ წარმოდგენას, რომ არაფერი ვთქვათ კიდევ მთელ რიგ რეტროსპექტიულ შესაძლებლობებზე, რომელიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტს აძლევს კვლევის ფართო არეალს.

საპირისპირო სურათი გვაქვს **მოკლე დავთარში**. აქ მხოლოდ დასახლებებია დასახელებული და აღნიშნულია თუ ვის ეკუთვნის იგი და რამდენი აქვს მისგან შემოსავალი ამ პირს. ამდენად, ამ დავთრიდან ბევრი რამის გარკვევა არაა შესაძლებელი. იგი გამოდგება ტოპონიმის შესასწავლად და ამა თუ იმ დასახლების ადმინისტრაციული მიკუთვნებულობის დასადგენად. ამიტომ საისტორიო გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა. რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს, მისგან შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა ოდენობის გადასახადი ჰქონდა დაკისრებული ამა თუ იმ დასახლებას. ეს კი საშუალებას გვაძლევს მოკლე დავთრის მონაცემი შევადაროთ სხვა წყაროს და პირველ რიგში, დიდი დავთრის ცნობებს და სამეურნეო ცხოვრების განვითარების დინამიკა დავინახოთ. როგორც უკვე აღინიშნა, მ. სვანიძე ამ ტიპის დავთარზე ამბობს, რომ „ზოგჯერ მას **თიმარ დავთარსაც** (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.) უწოდებენ“-ო (ჩილდირის ეპილეტის ჯაბა დავთარი. 1979: 13). ეს ხომ კანონზომიერია, რადგან აქ ოსმალთა ფეოდალების - სიფაჰებისათვის გასამრჯელოს სანაცვლოდ გადაცემული დასახლებებია აღრიცხული. სულთანს ნებისმიერ დროს შეეძლო მათი ჩამორთმევა და სხვისთვის ბოძება, რადგანაც შემოსავლის მომცემი ტერიტორიები მათ სამემკვიდრეოდ კი არ ეძლეოდათ, არამედ სამსახურის სანაცვლოდ ანუ სანამ სულთნის არმიაში მსახურობდნენ. საქართველოში სამსახურის სანაცვლოდ ბოძებულ მიწებს **საკარგავი** ეწოდებოდა. ოსმალეთის იმპერიაში საკარგავის 3 ფორმა არსებობდა: ხასი, ზიამეთი და თიმარი. ხასი ძალიან დიდ და ვრცელ ტერიტორიას გულისხმობდა შესაბამისი დიდი შემოსავლით და იგი მხოლოდ იმპერიის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებს ეძლეოდა. ზიამეთი უფრო დაბალი რანგის მოხელეებისათვის იყო დაწესებული. თიმარი კი ყველაზე დაბალი სიდიდის მფლობელობის ფორმა იყო, თუმცა თიმარის მფლობელები ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა იყო. მიწების მფლობელობის ასეთ ფორმას **თიმარული სისტემა** ერქვა და ამიტომ მათი თიმარ დავთრებად მოხსენიება ლოგიკურიცაა - სულთნის ხელისუფლება ამ დავთრის მიხედვით ადვილად არკვევდა, მოცემული ტერიტორიის ცალკეული ნაწილები თუ ვისთვის ჰქონდა მას ბოძებული და შემოსავლად რამდენ ახჩას იღებდა. ამდენად, ხსენებული ტიპის დავთარი თავისი **სიმოკლის** გამოა **მოკლე (იჯმალ) დავთარი**, ხოლო დანიშნულების მიხედვით **თიმარ დავთარია**.

ამდენად, მოკლე დავთარს ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მათ სამსახურში მყოფი პერსონების საკონტროლო ფუნქცია ჰქონდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯერ ვრცელი დავთარი დგებოდა და შემდეგ, როცა გარკვეული იყო თუ რომელ დასახლებას ოსმალთა ხელისუფლებისათვის რა ოდენობის შემოსავლის მიცემა შეეძლო, მის ბაზაზე ადგენდნენ მოკლე დავთარს. მოცემული მხარის დაპყრობაში მონაწილე ფეოდალებს

- სიფაჰებს სულთანნი, თავისი ბარათებით (ბერათი, berat), თითოეულს გარკვეულ დასახლებულ ტერიტორიას უბოძებდა, ზოგს ხასებად, ზოგს ზიამეთებად და უმრავლეობას თიმარებად. ვრცელი დავთარი რომ აღწერის მთავარი დოკუმენტი იყო ჩანს იქედანაც, რომ კანუნ-ნამე სწორედ ვრცელ დავთარს დაერთვოდა წინ და არა მოკლე დავთარს.

საინტერესო საკითხია აღწერის პერიოდულობა.

მიხეილ სვანიძე ეყრდნობა უნგრელი მეცნიერის კალდი ნადის კვლევას, რომელიც ამბობს, რომ ოსმალთა დაპყრობილი პროვინციების აღწერა ადრე 10 წელიწადში ერთხელ ხდებოდა, მაგრამ მერე (XVII ს.) ამას ვერ ახერხებდნენ. „XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან და შემდგომ ოსმალეთის იმპერიაში ფაქტიურად აღარ ტარდებოდა პროვინციების აღწერა და დავთრების შედგენა. არსებითად წარმოებდა ძველი დავთრებიდან ხელახალი გადაწერა. უმთავრესად ადგენდნენ თიმარ დავთრებსა და საგადასახადო რეესტრებს. მათში ფიქსირებული იყო ხასების, ზეამეთებისა და თიმარების ყოველწლიური შემოსავალი და გადასახადების ოდენობა, რომლებიც დაფუძნებული იყო, ადრე, ე.ი. XVII საუკუნეში შედგენილ აღწერის დავთრებზე“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979:32).

ამგვარი ვითარება გვაქვს საქართველოს დაპყრობილი მხარეების მიმართაც. ყოველ 10 წელიწადში ხელახალი დავთრების შედგენა ოსმალებს რომ შესძლებოდათ, მაშინ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიებისათვის ჩვენ უფრო მეტი დავთარი გვექნებოდა ხელთ დღეს, ვიდრე გვაქვს. ჩვენ მოგვეპოვება სამცხე-საათაბაგოს ანუ როგორც ოსმალები უწოდებდნენ ჩილდირის ვილაიეთის 2 სრული აღწერა. ესაა 1574 წლისა (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016) და შემდეგ 1595 წლის (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1941) აღწერები. თუმცა ამ დავთრებიდან ჩანს, რომ მათ წინ უსწრებდა სხვა აღწერები, რომელთა მასალები ჩვენს ხელთ არაა, მაგრამ მათში ხშირია მითითებები ძველ დავთრებზე. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი 1574 წლის დავთრიდან: „ვენახი სულეიმან ჯაზირის ძისა... ძველი დავთრის თანახმად წელიწადში იძლევა 50 [ახჩას]“ (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016: 144) „ვენახი მუჰიდისა... ამჟამად კარა ალის ხელშია... ძველი დავთრის თანახმად წელიწადში 60 [ახჩას იძლევა]“ (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016: 175). „ვენახი აბდულჰამიდისა, ამჟამად ჰუსეინის ხელთაა, ... იხდიდა ძველი დავთრის თანახმად წელიწადში 40 [ახჩას]“ (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016: 183).

გამოდის, რომ 1574 წლისათვის ოსმალებს უკვე ჰქონიათ ეს მხარე აღწერილი და საგანგებო დავთარიც შეუდგენიათ. 1574 წ. ხელახლა, მეორედ აუწერიათ მესხეთი, ხოლო შემდეგ კი 1595 წელს მესამედ,

როგორც მ. სვანიძე შენიშნავს, ბოლოჯერ ჩატარებით აღნიშნული პროვინციის აღწერა (ჩილდირის ეპილეტის ჯაბა დავთარი, 1979: 32).

მართალია, აღწერის ჩატარება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ მას ხშირად არც მიმართავდნენ ხოლმე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთხელ აღწერილს შემდეგ პერიოდულად არ ამოწმებდნენ და რაიმე ცვლილებას არ აღრიცხავდნენ. როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, „*ოსმალთა მოხელეების დიდი ნაწილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, ხელფასს არ ღებულობდა ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტიდან, მაგრამ მათ ნება ეძლეოდათ აენაზღაურებინათ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება გადასახადებით, რომლითაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობას ბეგრავდნენ. ამ სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭირო იყო ზუსტი ცოდნა იმპერიის შემოსავლის ყველა წყაროსი და თვალყურის დევნება ცვლილებებისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა დროთა ვითარებაში*, (ხაზგასმა ჩვენი, ავტ.), რათა გაერკვიათ რამდენად შეეფერებოდა შემოსავალი, რომლის ჯამი აღნიშნული იყო დავთარში და ბარათი (*berat*), ე.ი. სულთნის მიერ ფეოდალის მფლობელისათვის გაცემული დოკუმენტი გასამრჯელოს შესახებ, რომელსაც ისინი იღებდნენ მოსახლეობის დაბეგვრის შედეგად აკრეფილი გადასახადისაგან“ (ჩილდირის ეპილეტის ჯაბა დავთარი, 1979: 29).

ზ. შაშიკაძე და მ. მახარაძე თურქი ისტორიკოსის სინასი ალტუნ-დაგის ნაშრომზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ „საგადასახადო კანონების მიხედვით, ამა თუ იმ ტერიტორიაზე კონტროლის საკითხი, დაყოფა და გადამოწმება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა“ [აქარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, 2011, გვ. 6]. თუმცა, ეს წესი არ გამორიცხავს ცვლილებები მყისიერადაც აღერიცხათ. და აქ დგება საკითხი, თუ სად, რომელ დავთარში უნდა მომხდარიყო ამ ცვლილებების შეტანა და არნუსხვა?

რადგანაც ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყველა დავთარს აქვს მინაწერები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველ 3 წელიწადში რეალური ვითარების გადამოწმებისას უნდა გაკეთებულიყო მოქმედ დავთრებში უკვე მომხდარი ცვლილებების მიწერა. მაგრამ დროის ხანგრძლივ პერიოდში მომხდარ ცვლილებებს დავთრის თავისუფალ ადგილებზე, ველზე ყოველთვის ვერ მიაწერდნენ, ვინაიდან ფურცლის თუნდაც დიდი ფორმატი უსასრულოდ ბევრ ახალ ჩანაწერს ვერ დაიტევდა. თანაც იმპერიის კარზე და ადგილზე არსებულ ორ იდენტურ დავთარში ზუსტად ერთი და იგივე ჩანაწერის გაკეთება არცთუ ისე რეალურად განსახორციელებელი იქნებოდა. დავთარი ხომ 2-2 ეგზემპლარად დგებოდა, ერთი იმპერიის დედაქალაქში ინახებოდა და მეორე იქ, სადაც დაბეგრილი მოსახლეობა იმყოფებოდა. ამიტომ მყისიერად ამ დავთრებში ცვლილებების შეტანა ვერ მოხერხდებოდა. ნებისმიერი

სახელმწიფოს ბიუროკრატიული საქმისწარმოება კი წერილობით გაფორმებულ დოკუმენტებზეა დამყარებული. შეუძლებელია სულთნის მიერ გამოცემული „ბარათი (berat)“ ან ამ განკარგულებით მომხდარი ფაქტი ცალკე (ზემოთ ხსენებული დავთრის მიღმა) არ აღნუსხულიყო. როგორც ჩანს, ასეც ხდებოდა და ამასვე გვიდასტურებს დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „ჩილდირის ელაიეთის ჯაბა დავთარი“.

აღნიშნული დოკუმენტი დაცულია ბულგარეთში, სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში. იგი ფოტოპირების სახით საქართველოში ჩამოიტანა ისტორიკოსმა კარლო მეშველიანმა, რომელიც ქართულად თარგმნა ქალბატონმა ცისანა აბულაძემ და გამოიცა 1979 წელს მიხეილ სვანიძის გამოკვლევის წამძღვარებით (ჩილდირის ელაიეთის ჯაბა დავთარი. 1979).

სანამ ამ დავთრის შინაარსს შევხებოდეთ, მანამდე ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ ტერმინ „ჯაბაზე“.

ც. აბულაძე აღნიშნავს: „ჯაბა დავთარი“, ფეოდალთა საშემოსავლო დავთარი უნდა ყოფილიყო, სწორედ ასეთია სიტყვა „ჯაბას“, სალექსიკონო მნიშვნელობაც“ (ჩილდირის ელაიეთის ჯაბა დავთარი, 1979: 73-74). თუმცა ნათქვამის საილუტსრაციო მასალის დამოწმების სანაცვლოდ იქვე სქოლიოში საპირისპიროს წერს: „*caba* ოსმალურ კანუნ-ნამეებსა და საგადასახადო დავთრებში სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ჯაბა ეწოდება იმ პირს, რომელსაც ჩიფთლიქი და მიწის ნაკვეთი არ გააჩნია. რეაიას, რომელიც უცოლოა და ცხოვრობს მამასთან და დამოუკიდებელია, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთი, ჯაბას უწოდებენ...“ (მართალც ამ მნიშვნელობითაა სიტყვა „ჯაბა“ თურქოლოგ ა. ტვერტინოვასთანაც (Аграрный строй османской империи..., 1963: 199). მაშ, რა შუაშია სიტყვა „ჯაბა“ ამა თუ იმ დავთართან?

ც. აბულაძე მოცემული დავთრის აღწერისას ამბობს, რომ „სათაური გვიანდელიმინაწერია. იგი შესრულებულია ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და მელნით. გარკვეული მოსაზრებით დავთარს გამოცემაშიც მინაწერისეული დასათაურება შერჩა“ (ჩილდირის ელაიეთის ჯაბა დავთარი, 1979: 70). ხოლო ცოტა ქვემოთ ისევ უბრუნდება ამ საკითხს და წერს: „მავან პირს ჩილდირის დავთარი „ჯაბად“ დაუსათაურებია. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არცერთი დღემდე გამოცემული დავთარი ოფიციალურად არ იწოდება „ჯაბად“ (ჩილდირის ელაიეთის ჯაბა დავთარი, 1979: 73). თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როდესაც 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ რუს მოხელთა მიერ „ჯაბად“ იყო მონათლული და ს. ჯიქიამ დაადგინა, რომ ამ დავთართან სიტყვა „ჯაბას“ არავითარი კავშირი არა აქვს (ჯიქია, 1958: 36-37; ჩილდირის ელაიეთის ჯაბა დავთარი, 1979: 73).

საქმე ისაა, რომ 1828 წელს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ახალციხის ფაშის მდიდარი ბიბლიოთეკასთან ერთად,

ხელთ იგდეს რუსებმა ოსმალებისაგან ახალციხის განთავისუფლების შემდეგ. იგი პეტერბურგში გაიგზავნა, მაგრამ მალე უკანვე დააბრუნეს, რადგანაც დასჭირდათ სხვადასხვა მიწებზე საკუთრების უფლების გასარკვევად. იგი კანცელარიაში გაატარეს და აქ მოიხსენიეს იგი პირველად, როგორც „ჯაბა“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 64). რუსეთის ადმინისტრაცია და კერძოდ, ახალციხეში მყოფი მოხელეები ვარაუდობდნენ, რომ ამ დავთრის მიხედვით გაერკვეოდნენ საკითხში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. სვანიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ „*მესაძლებელია ეს იდეა (მოცემული დავთრით მიწისმფლობელთა საკითხის გადაწყვეტა, ავტ.) მთავრობას ადგილობრივმა ბეგებმა მიაწოდეს*“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 65). ეს ვარაუდი გასაზიარებელია, რადგანაც ამ ბეგების გარდა ვის ეცოდინებოდა ოსმალური დავთრების მნიშვნელობა? ეს ბეგები ხომ საკუთარი უფლებების დამტკიცებას ცდილობდნენ და ოსმალურ დავთარს იშველიებდნენ. იქნებ, სიტყვა „ჯაბა“ ან მასთან რაიმე მიმსგავსებული სხვა სიტყვა გამოიყენეს ბეგებმა მოცემული დავთრის აღსანიშნავად, მაგრამ რუსმა მოხელეებმა იგი „ჯაბად“ აღიქვეს.

მაგრამ საკითხი მაინც ღია რჩება. რა მოეჩვენა რუს მოხელეს, როცა მან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“ ჯაბა უწოდა და ასევე რატომ მოუვიდა აზრად სოფიაში მყოფ გადამწერს, რომ ჩილდირის ვილაიეთისადმი მიძღვნილ დავთრისათვისაც „ჯაბა“ ეწოდებინა? ორ სხვადასხვა პირს, სახვადასხვა დროსა და ადგილას დაპყრობილი მოსახლეობის აღწერის დავთრისათვის ერთი და იგივე სიტყვა „ჯაბა“ რატომ უნდა ეწოდებინა?

ასეა თუ ისე ჩილდირის ვილაიეთისადმი მიძღვნილი დავთარი ქართულად თარგმნილია და მინაწერისეული სათაურის შენარჩუნებითაა გამოცემული. მას მოკლედ, მაგრამ ამომწურავად ახასიათებს ც. აბულაძე: „*უცნობი პირისაგან „ჯაბად“ სახელდებული ჩილდირის ეაილეთის დავთარი თავისი მონაცემებით შეიძლება მიგვეჩნია იჯმალ (defter-i icmal) მცირე დავთრად, ან თიმარ დავთრად (defter-i timar), მაგრამ ჩვეულებრივი თიმარ დავთრისაგან განსხვავებით იგი შედგენილია არა ადგილზე მომუშავე საგანგებო კომისიის მიერ, რომელიც სოფელ-სოფელ აგროვებდა და აზუსტებდა მონაცემებს, არამედ თანდათანობით, კანცელარიის მოხელეების მიერ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დავთარში მასალა ჩაწერილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით და არა გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით. ეს არის საკანცელარიო (ხაზგასმა ეკუთვნის ც. აბულაძეს, ავტ.) ჟურნალი, სადაც რეგისტრირებულია სულთანისაგან ბოძებული დირლიქი - თიმარი, ზემოთი თუ ხასი; მითითებულია ლენის ადგილმდებარეობა - დასახელებულია ლივა, ნაჰიე, კარიე; მფლობელის სახელი, წლიური*

შემოსავალი და სულთნისაგან საკარგავის მიღების თარიღი“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 74).

ამ ტიპის დავთარს მ. სვანიძე „არასრულ იჯმალ დავთარს“ უწოდებს. იგი იმოწმებს ბოსნიის მაგალითს (ავტორი ჰ. შაბანოვიჩი) და წერს: „...სულეიმანის დროიდან გვაქვს **ორი ახალი ტიპის იჯმალ (მცირე) დავთარი**. პირველი ტიპი წარმოადგენდა ისეთ **სრულ იჯმალ დავთარს**, რომელშიც მოცემული იყო ცნობები მოსახლეობის შესახებაც... გვხვდება მეორე ტიპის **არასრული იჯმალ დავთარი** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია, ავტ.), რომელიც სისტემატიურად არ დგებოდა... ამ ტიპის დავთარი შედგენილი იყო არა ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ, არამედ ცენტრალური დევთერ-ხანეს მოხელეთა მიერ“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 42).

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ორივე ავტორი, ც. აბულაძე და მ. სვანიძე განწყობილია, რომ სოფიის ბიბლიოთეკაში დაცული დავთარი იჯმალ დავთარს მიაკუთვნონ, მაგრამ აშკარად სახეზეა მისგან განსხვავება და მიხეილ სვანიძე არასრულ იჯმალ დავთარად თვლის, ხოლო ც. აბულაძე საკანცელიარო ჟურნალად. თუმცა ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ქალაქ სოფიაში დაცული დავთრების კატალოგში ჩვენთვის საინტერესო დავთარი მოხსენიებულიაო, როგორც **იოკლამა დავთარი** (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 73) (ხაზგასმა ეკუთვნის ც. აბულაძეს, ავტ.). ქალბატონი ც. აბულაძე არ ეთანხმება კატალოგის შემდგენელს და აღნიშნავს: „**იოკლამა დავთარი... საკონტროლო, შემმოწმებელი დავთარია**. იგი შეიძლება დგებოდეს ერთი და ორი წლის მანძილზე და არა 38 წლის განმავლობაში. ასე რომ კატალოგში წყაროს რაობა მტკიცედ განსაზღვრული არ არის“ (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1976: 73).

ჩვენ სათანადო მასალების ხელმიუწვდომლობის გამო დაბეჯითებით რაიმეს თქმა გვიძნელდება, მაგრამ გვიჩნდება კითხვები: რატომ არ შეიძლება იოკლამა დავთარი, რომელსაც ც. აბულაძის აზრით საკონტროლო მნიშვნელობა აქვს, 2-3 წლის მეტი ხნისთვის შედგეს? ანუ რატომ არ შეიძლება, რომ დავუშვათ ამგვარი ჩანაწერები სისტემატიურად ტარდებოდეს და ეს შემოწმებული, დაზუსტებული ინფორმაციები ცალკეული მხარეებისა და წლების მიხედვით თანდათანობით შედიოდეს ამ მიზნით შექმნილ დავთარში? ეს კითხვები ჩვენ სოფიის ბიბლიოთეკის კატალოგის შემდგენელის მხარეზე გვამყოფებს.

ერთი რამ კი ცხადია და ნათელი, რომ ჯაბა დავთარად წოდებული დოკუმენტი თვისებრივად განსხვავდება იჯმალ დავთარისაგან და მას მისგან გამოცალკავება და დამოუკიდებლად განხილვა სჭირდება. პირველ რიგში, უნდა გათვალისწინებულიქნას, რომ ჯაბა დავთარი დგებოდა ოსმალთა ხელისუფლების კანცელარიაში განსხვავებით ვრცელი და მოკლე დავთრებისა. ეს უკანასკნელნი ხომ იქმნებოდა

აღსაწერ ადგილებზე - ტერიტორიის სოფელ-სოფელ შემოვლით. მეორეც, ჯაბა დავთარში არაა დაცული აღსაწერი ტერიტორიის სრული გეოგრაფიული მომცველობა, როგორც ეს ვრცელ და მოკლე დავთრებშია მოცემული; მესამეც, აქ არაა დაბეგრული მოსახლეობის კომპლექტი და არც ცალკეული გადასახადის სახეებია ნაჩვენები; მეოთხეც, აქ არაა ლენის - ხასის, ზიამეთის თუ თიმარის ყველა მფლობელი მოცემული ტერიტორიის სრული გეოგრაფიული მომცველობით ჩამოთვლილი. ამის მსგავსი რამ „ჯაბა დავთარში“ არაფერია. მას მხოლოდ ერთი თავისებურება აქვს. ესაა გარკვეული ინფორმაციის დალაგება ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით ანუ ჯაბა დავთარში სხვადასხვა სახის ინფორმაცია საკუთრების ფლობის თემაზე დავთარში შეტანილია წლების აღმავალი მიმდევრობით.

უნდა დაისვას კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს ეს? ვრცელი და მოკლე დავთრის შედგენის შემდეგ რისთვის უნდა ყოფილიყო აუცილებელი კიდევ ერთი დავთრის შექმნა, სადაც ქრონოლოგიურად იქნებოდა მასალები შეტანილი? ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პასუხი მარტივია. გარკვეული სივრცის მქონე ტერიტორია აღიწერებოდა ადგილზე მონახულებით და დგებოდა ვრცელი და მოკლე დავთრები. ანუ ვრცელი და მოკლე დავთრების შედგენა, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელებულიყო ის, ერთჯერადი მოვლენა იყო. ამ მოვლენას დავთრის საბოლოო გაფორმების თარიღისა და სულთნის თუღრას დაესმა აგვირგვინებდა. ჯაბა დავთარი კი სულთნის კანცელარიაში წლიდან წლამდე ივსებოდა ახალ-ახალი ინფორმაციით და ამდენად, მისი შედგენა არ იყო ერთჯერადი აქტი. აქ უნდა გავიხსენოთ ქალბატონი ც. აბულაძე, რომელმაც ჯაბა დავთარს „საკანცელიარო ჟურნალი“ უწოდა. ამ „საკანცელიარო ჟურნალში“ სულთნის კანცელარიის მოხელეს თანდათანობით შეჰქონდა ახალ-ახალი ინფორმაცია. ეს ახალი ინფორმაცია კი იყო უკვე წლების წინ შედგენილი ვრცელი და მოკლე დავთრებში აღწერილი მამულის მესაკუთრის ცვლილება. ჯაბა დავთარში სწორედ ამგვარი ინფორმაციაა მოცემული.

მოვიყვანოთ მაგალითები.

ჯაბად წოდებული დავთრის პირველივე გვერდი იწყება წლის აღნიშვნით. ესაა ჰიჯრით 106 წელი, რომელიც ჩვენი წელთაღიგვხვით უდრის 1694-1695 წწ. (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 100). ამ წლის ქვეშ მხოლოდ 2 სოფელია დასახელებული. მათგან პირველია სოფელი ფერთასორი. მას თან ახლავს შემდეგი ინფორმაცია: ეკუთვნის ოლთისის ლივის მზვარეს ნაჰიეს და იხდის 3000 ახჩას. აქვეა მოხსენიებული პერსონა ვინმე სულეიმანი, ალბათ თიმარის მფლობელი. იგივე გვერდზე შემდეგი წელია მოხსენიებული: ჰიჯრით 107, რომელიც ჩვენი წელთაღიგვხვით 1695-1696 წწ. უდრის. სოფელ ფერთასორის შესახებ ინფორმაცია აქაც იგივე სიზუსტით მეორდება და

იცვლება მხოლოდ პერსონის დასახელება. ახლა სულეიმანის ნაცვლად მუსტაფა მეჰმედის ძე წერია. აქედან მხოლოდ შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მომდევნო წელს დავთარში ხსენებული სოფლის - ფერთასორის ხელახლა ჩაწერა მხოლოდ ერთმა გარემოებამ გამოიწვია - შეიცვალა თიმარის მეპატრონე: იყო სულეიმანი და გახდა მუსტაფა მეჰმედის ძე. გადის დრო და ახლა 1714 წ. იგივე სოფელი ვინმე ომერის მფლობელობაშია გადასული და ახლა თიმარის ოდენობა 3000-დამ 2000-მდეა დასული (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 142). როგორც ეტყობა სოფელში სამეურნეო აქტივობა დაქვეითდა.

იგივე ვითარება გვაქვს ჭაჭარაქის ლივის ჭაჭარაქის ნაჰიეს სოფელ მამაჩიხეთში. აქ 1717-18 წლების ქვეშ სოფლის თიმარის მფლობელია ვინმე მუსტაფა (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 151), მაგრამ 1721-22 წწ. თიმარი უკვე ოსმანის ხელშია (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 172). ორივე შემთხვევაში თიმარის ღირებულება 3000 ახჩაა.

ახლა მოვიყვანოთ ისეთი მაგალითი, სადაც თიმარის ოდენობა იცვლება. ეს გარემოება ჩვენს მსჯელობაზე გავლენას არ ახდენს, რადგან დროთა განმავლობაში მოცემულ სოფლებში სამეურნეო მდგომარეობა ან უმჯობესდებოდა ან უარესდებოდა. ამის ნიმუშად ვნახოთ არტანუჯის ლივის არტანუჯის ნაჰიეს სოფელი მეიდანი. ამ სოფლის თიმარი 1716-17 წლების ქვეშ მიეცა ვინმე ალი ოსმანის ძეს და თიმარის შემოსავალი შეადგენდა 1200 ახჩას (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 147). 1721-22 წწ. სოფელ მეიდნის თიმარი ეძლევა იაკუბსა და ფეიზულლაჰს, ოსმანის ძეთ, საზიარო წესით და ახლა თიმარის ღირებულება უკვე გაზრდილია და უდრის 1750 ახჩას (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 166-167). მალე, 1725-26 წწ. იცვლება თიმარის მეპატრონე და ახალი მფლობელი ხდება მეჰმედ ...-ის ძე და თიმარის ღირებულება 875 ახჩამდე დადის (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 186). იგივე ოდენობა დასტურდება 1730-31 წწ., როცა სოფელი მეიდანი თიმარად გადადის ოსმან და მეჰმედ ხალისალის ძეთა ხელში საზიარო მლობელობის წესით (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი, 1979: 201).

ამდენად, ვფიქრობთ საკითხი გარკვეული უნდა იყოს, მაგრამ მეტი სინათლის შესატანად მოვიყვანოთ მაგალითები ქართულად თარგმნილი სხვა დავთრებიდან, რომლებიც ჩვენი აზრით ანალოგიური ტიპისაა.

აღნიშნული საკითხის გარკვევაში კიდევ უფრო გვეხმარება ქართულად თარგმნილი კიდევ ერთი დავთარი, რომელიც „ჯაბა დავთრის“ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ. ესაა დავთარი, რომელსაც ეწოდება „მანასკერტის ნაჰიე ხსენებულ ლივში“. იგი მოცემულია წიგნში „ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ“ (ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, 2013). ამ წიგნის სარჩევში ჩვენთვის საინტერესო დავთარი

მოხსენიებულია როგორც „იჯმალ დავთარი ტაო-კლარჯეთის ისტორიისათვის“. მას წიგნში უჭირავს 356–478 გვერდები და მასში მოცემულია ჩანაწერები 1732 წლიდან 1737 წლის ჩათვლით (ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, 2013). მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

„გაიგზავნოს! ალი ფაშას ქეთხუდობის ჟამს არზუჰალი შერიფს ებოძა. იგი დათვალიერებაზე გამოცხადდაო ითქვა. მაღალი ბრძანებით იგი შერიფს ებოძა. 149 წლის 2 ზილ ჰიჯეს [3.4. 1737 წელი], ნაჰიეში არსებული სოფელი გურლისა და სხვათაგან 5999 ახჩა თიმარი მას შეუერთდა. დაიწერა 21 რები ულ ევველის 50 წლისა [19. 7. 1737 წ.]. 25 რები ულ ევველი იმავე წლისა [23. 9. 1737 წ.]“ [ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, 2013: 374].

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სულთანი ბრძანებს, რადგან ვინმე შერიფი დათვალიერებაზე გამოცხადდა და ამის გამო მას არზუჰალი ებოძოსო. შემდეგ კი „ნაჰიეში არსებული სოფელი გურლისა და სხვათაგან 5999 ახჩა თიმარი მას შეუერთდა“-ო. სულთნის თითოეული ეს წყალობა სათანადოდ დათარიღებული. არზუჰალის ბოძება 1737 წლის 3 აპრილს მომხდარა, ხოლო სოფელი გურლისა იმავე წლის 19 ივლისს. მესამე თარიღი - 1737 წლის 23 სექტემბერი კი ამ მოვლენების რეგისტრაციის თარიღი უნდა იყოს.

ამ დავთარში კიდევ ერთი ჩანაწერია მოცემული, რომლის დასაწყისია საინტერესო:

„გაიგზავნოს! ცვლილება იქნას შეტანილი ჰუსეინის მფლობელობაში არსებულ არფალიკში, (ხაზგასმა ჩვენი, ავტ.) ყოველი მათგანი მისი მფლობელი იყოს.“ [ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ, 2013: 370].

ვინმე ჰუსეინის მფლობელობაში არსებულ არფალიკში სულთანი ბრძანებს შეტანილიქნას ცვლილებაო. თუ რა ცვლილებაა ეს, მომდევნო სტრიქონებშია მოცემული. ჩვენი მსჯელობისათვის გაგრძელება კი არა უკვე ციტირებული წინადადებაა მთავარი, რომელიც გვამცნობს, რომ უკვე არსებულ მოცემულობაში ანუ სულთნისგან ჰუსეინისთვის ბოძებული არფალიკის ცვლილება მოხდესო. ამ დავთარში ამგვარი ჩანაწერი სხვა არაა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი განზოგადება შეგვიძლია. სხვა ჩანაწერები ფაქტის მხოლოდ კონსტატაციაა, აქ კი საქმე გვაქვს სულთნის მიერ გაცემული ბრძანების ციტირებასთან. ეს კი რაღაც განსაკუთრებული ვითარების გამო უნდა მომხადრიყო. საკმაოდ ბუნდოვან ტექსტში ეს განსაკუთრებულობა მაინც ჩანს: „ალის მცველი, ხსენებული ჰასანი, იბლიანად ამყოფოს გამჩენმა, დაცვაში მყოფი ხსენებული სანჯაყის ლაშქრით იყო, იგი მის ლაშქარში არ გამოცხადდაო, ითქვა, მის თიმარს ყურადღება არ მიაქცია. მის ხელთ არსებული მაღალი ბრძანება უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია.... როდესაც არზა გამოვიდა,

ხსენებული თიშარით ქაფას ველზე მყოფი ლაშქრით მეჰმედს არ ეახლა. იგი არზით ჰუსეინს ებოძა. დაიწერა 17 რეზი ულ ევველს 50 წლისა [15.7. 1737 წელი]. რეგისტრირებულიქნა 18 [რეზი ულ ევველს] 50 წლისა [16.7. 1737 წელი]“. (ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ. 2013: 370-371).

რა თქმა უნდა, ასეთ თავხედობას სულთანნი ვერ მოითმენდა და საგანგებო ბრძანებით ჰუსეინის არფალიკში ცვლილება შეიტანა და მას დასჯილის თიშარი, რომელიც კარგად არ ჩანს ვინაა და რას ფლობდა, უწყალობა.

ახლა ჩვენ რომ მივუბრუნდეთ, ჯაზა დავთრად წოდებულ დოკუმენტებს, სადაც აღმავალი ქრონოლოგიით არის შეტანილი სხვადასხვა ცნობები და ზემოთ განხილულ წინადადებას დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ჯაზად წოდებული დავთარი და მისი ანალოგიურებიც ცვლილებებისთვის გათვალისწინებულ დავთრად შეიძლება მივიჩნიოთ. აქედან კი შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დავთრებს, რომლებმაც სოფიის ბიბლიოთეკის კატალოგის შემდგენელი იოკლამა დავთარს ეძახის, მ. სავანძე „არასრულ იჯმალ დავთარს“ უწოდებს, ხოლო ც. აბულაძე „საკანცელიარო ჟურნალს“, ჩვენ შეიძლება ქართულად „ცვლილებების დავთარი“ ვუწოდოთ.

ყოველივე ზემოთმოცემული მსჯელობის შემდეგ ოსმალების მიერ დაპყრობილი საქართველოს მხარეებისათვის შედგენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული დავთრები შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ:

- დიდი (ვრცელი, დაწვრილებითი) დავთარი (defter mufassal);
- მოკლე (მცირე) დავთარი (defteri icmal ან defteri mucmel);
- ცვლილებების დავთარი (იოკლამა დავთარი).

დასკვნა

ამდენად, მესამე ტიპის დავთარი (იოკლამა) ჩვენ უნდა გამოვყოთ პირველი ორისაგან და განსაკუთრებით კი უნდა გამოვაცალკავოთ მეორისაგან - მოკლე დავთრისაგან, როგორც მისგან თვისებრივად განსხვავებული. მათ ჰქონდათ თავიანთი კონკრეტული დანიშნულება: მოკლე დავთარი სულთნის მიერ თიშარების ბოძებას ასახავდა მხარის დაპყრობისთანავე, ხოლო ცვლილებათა დავთარი მოკლე დავთრის შედგენის მერე განხორციელებულ ცვლილებებს აღნუსხავდა. ისინი, როგორც საისტორიო წყარო, ჩვენ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან. მოკლე დავთარი ამა თუ იმ მხარის დაპყრობისას მხარის გეოგრაფიულ მომცველობას, მასში შემავალი დასახლებებისა და თითოეულზე დაკისრებული გადასახადის ჯამურ ოდენობას გვიმხელს. ცვლილებათა დავთარი კი საშუალებას გვაძლევს დროის გარკვეულ მონაკვეთზე

განვითარებულ ეკონომიკურ თუ პოლიტიკური მოვლენების დინამიკას დავაკვირდეთ. ესენია:

თითოეულ დასახლების გადასახადის გაზრდა თუ დაკლება, რაც ნიშნავს აქ სამეურნეო აქტივობის ამალღებას ან დაქვეითებას და ამით მხარის ეკონომიკური ვითარების სურათს წარმოგვადგენინებს;

თიმარების მფლობელთა ცვლა ირიბად პოლიტიკურ სტაბილურობაზე მიგვანიშნებს, რადგან თუ სულთანს ხშირად უწევს თიმარების მფლობელების დასჯა ანუ თიმარების ჩამორთმევა და სხვათათვის გადაცემა, მოცემულ მხარეში ოსმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის ხარისხს გვისურათხატებს. ამიტომ თურქეთის არქივებში ამ ტიპის დავთრების გამოვლენა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა საშუალებას მოგვცემს დაპრობილ ტერიტორიაზე ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი თიმარების მფლობელთა ლოიალობისა თუ წინაღმდეგობის პოლიტიკური საფუძვლები მოვიძიოთ.

მადლიერება

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველი ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით“ (HE-18-448).

გამოყენებული ლიტერატურა

acharis livis vrceli da mokle davtrebi. osmakuri teqsti, targmani, gamokvleva, komentarebi da fotoaslebi gamosacemad moamzades zaza shashikadzem da mirian makharadzem. (აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. (2011) ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.)

gurjistanis vilaietis didi davtari, turquli teqsti gamosca, targmani, gamokvleva, komentarebi da winasityvaoba qartul rusul enebze daurto sergi jiqiam. Tbilisi, t. 1, 1947, t. 2, 1941; t. 3, 1958. (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიამ. თბ., ტ. 1, 1947; ტ. 2, 1941; ტ. 3, თბ., 1958).

svanadze m. (1990). saqartvelo-osmaletis istoriis narkvevebi, tbilisi. (მ. სვანიძე (1990), საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბილისი).

osmaluri vrceli da mokle davtrebi tao-klarjetis shesaxe (XVI-XVIII saukuneebi). osmaluri teqsti qartuli targmabit, shesavlit, mcire shenishvnebia da faqsimalleebit gamosacemad moamzada prof. nodar shengeli. Tbilisi. (ოსმალური ვრცელი და მოკლე დავთრები ტაო-კლარჯეთის შესახებ (XV-XVIII საუკუნეები) (2013). ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, მცირე შენიშვნებითა და

ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბილისი).

qse: qartuli sabchora enciklopedia. Tbilisi, t. 8. ქსე: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1984). თბ., 1984, ტ. 8).

childiris eailitis jaba davtari (1694-1732). turkuli teqsti qartuli targmaniT gamosacemad moamzad cisana abuladzem, gamoikvleva daurto mikheil svanidzem. Tbilisi. (ჩილდირის ეაილეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წწ.) (1979). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ. თბილისი)ი

javakhishvili, iv. (1996). qartuli sigelmcodneoba anu diplomatika. ix. iv. javakhishvili, txzulebani 12 tomad, t. IX, Tbilisi. (ჯავახიშვილი, ივ. (1996). ქართული სიგელმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტ. IX, თბილისი).

1574 wlis gurjistanis vilaietis vilaietis didi davtari, osmaluri davtari, osmaluri teqsti qartuli targamniT, shesavliT, shenisvnebia da faqsimileebit gamosacemad moamzada nodar shengeliამ, tbilisi. (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (2016), ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2016).

Аграрный строй османской империи XV-XVII вв. (1963) Документы и материалы. Составление, перевод и комментарии А.С. Твертиновой. М.

К вопросу о классификации реестровых книг (defters), составленных для территорий Грузии, завоеванных османами

Давид Сартания, Дали Николаишвили, Автандил Уджмаджურიдзе

Резюме

Османская империя для укрепления своего господства на завоёванных территориях старалась стереть местный порядок и утвердить свои правила. С этой целью специально назначенные османские должностные лица тщательно регистрировали завоёванную территорию (населенные пункты, население, налоги, право собственности на землю и другую недвижимость и т.д.), в результате чего создавали новую административную систему правления, а жителей заставляли платить разные османские налоги. Все эти налоги фиксировались в специальных реестровых книгах (defteri). Реестровые книги создавались в двух экземплярах и были заверены личной тугрой султана (печатью и подписью). Один экземпляр отправляли обратно на место, а другой хранился в канцелярии султана. Реестровые книги были разными, но книги, составленные для Грузии, были только трех типов: Большой дефтер (муфассальный), Малый дефтер (icmal или tampon mustel) и дефтер изменений (Йоклама). Большой дефтер детально описывает определённую территорию и их жителей. В нем указывается точное количество жителей конкретного поселения, виды и размеры на-

логов, религиозная структура населения и т.д. Малый дефтер отражает собственность конкретных османских служащих на населенных пунктах той же территории. В качестве вознаграждения определённые поселения передавались во владении османских должностных лиц, которые получали часть налогов. Со временем по разным причинам владельцы различных населенных пунктов менялись, и этот процесс описан в третьем типе реестровых книг, т.н. в дефтере изменений.

Ключевые слова: Османские реестровые книги (defteri), Большой дефтер (муфассальный), Малый дефтер (icmal или tampon mustel), Дефтер изменений (Йоклама).

საარქივო საქმე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივის „გზამკვლევი“

The “Guide” of Archive of the Georgian National Academy of Sciences

Manana Makhateli

Head of Archive of the Georgian

National Academy of Sciences

ORCID ID: 0000-0002-3621-177X

e-mail: matiane@science.org.ge

Tel. 598 10 78 17

Abstract

The purpose of the Guide is to provide interested persons with information about the funds protected in the archives of the National Academy of Sciences of Georgia, which include 122,425 storage units. The archives contain documents of those scientific institutions that have functioned in Georgia under different statuses since 1917 and on the basis of which the Academy of Sciences of the Soviet Socialist Republic of Georgia was created in February 1941 (since 1991 it has been called the Academy of Sciences of Georgia, and from 2007 the National Academy of Sciences Georgia).

Over time, the Academy underwent structural changes, the network of scientific-research institutions included in it has been expanded, the number of scientific departments has been increased, and in 2007 a fundamental reform was carried out, which was duly reflected in the formation of the funds structure of the archives of Academy. This letter provides information on the activities of the governing body of the Academy - materials reflecting the activities of the Presidium, scientific departments, other structural units, as well as information about personal archives.

Key words: Georgian National Academy of Sciences, archive, archival units, structure of the Archive.

მანანა მახატელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის არქივის უფროსი

ORCID ID: 0000-0002-3621-177X

E-mail: matiane@science.org.ge

ტელ. 598 10 78 17

აბსტრაქტი

„გზამკვლევის“ მიზანია დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში დაცული ფონდების შესახებ, რომელიც მოიცავს 122 425 შესანახ ერთეულს. არქივში დაცულია იმ სამეცნიერო დაწესებულებების დოკუმენტებიც, რომლებიც სხვადასხვა სტატუსით ფუნქციონირებდა საქართველოში 1917 წლიდან და რომელთა ბაზაზე 1941 წ. თებერვალში ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია (1991 წლიდან ეწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2007 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია).

აკადემიაში დროთა განმავლობაში ხორციელდებოდა სტრუქტურული ცვლილებები, ფართოვდებოდა მასში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი, იზრდებოდა სამეცნიერო განყოფილებების რაოდენობა, 2007 წ. ჩატარდა ძირეული რეფორმა, რაც სათანადოდ აისახა აკადემიის არქივის ფონდების სტრუქტურის ფორმირებაზე. წინამდებარე წერილში წარმოდგენილია ინფორმაცია აკადემიის მმართველი ორგანოს - პრეზიდიუმის, სამეცნიერო განყოფილებების, სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი მასალების, აგრეთვე, ცნობები პირადი არქივების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, არქივი, საარქივო ერთეულები, არქივის სტრუქტურა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დაარსდა 1941 წელს საქართველოს სახკომსაბჭოს 10 თებერვლის №183 დადგენილებით. აკადემიის დაარსებას კი შემდეგი პრეისტორია აქვს. 1917 წელს თბილისში ნიკო მარის თაოსნობით დაარსდა პირველი სამეცნიერო დაწესებულება „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი“ (კიპი), რომელმაც რამდენჯერმე შეიცვალა სახელი. 1931 წელს „კიპი“ გადაკეთდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტად, რომლის ბაზაზეც 1932 წელს დაარსდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი, რომელსაც 1933 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს განყოფილება ეწოდა. ეს უკანასკნელი 1935 წელს გადაკეთდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად. აკადემიის დაარსებისთანავე შეიქმნა არქივი, რომელმაც

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისგან მემკვიდრეობით მიიღო „კიאי“-ს, ზემოთ ხსენებული ფილიალებისა და განყოფილების საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ აკადემიის პრეისტორიას.

დღეის მდგომარეობით აკადემიის არქივში დაცულია პრეზიდენტისა და აკადემიის სისტემაში მყოფი სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საარქივო დოკუმენტები, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 122 425 შესანახ ერთეულს. არქივში დაცულია, აგრეთვე, გამოჩენილი მეცნიერების, აკადემიის წევრების: სიმონ ჯანაშიას, ნინო ხოშტარია, შოთა მესხიას, ანდრია აფაქიძის, ნანა ხაზარაძის, ლია მელიქიშვილის, გიორგი მჭედლიშვილის, ტარასი კვარაცხელიას, ვაჟა გვახარიას, ვაგან მამასახლისოვის, ევგენი ხარაძის, ვლადიმერ ჭიჭინაძის, ვ.ვორონინის, ალექო თავხელიძის, კონსტანტინე მარჯანიშვილის პირადი ფონდები.

„გზამკვლევის“ მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას იმ დოკუმენტებზე, რომელიც დაცულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში.

დროთა განმავლობაში იცვლებოდა აკადემიის სტრუქტურა, რომელთა გათვალისწინებით არქივში განყოფილებების ფონდების განლაგება და ანაწერების ნუმერაცია ასე ჩამოყალიბდა:

- 1/2 - საქმეთა მმართველობის ბუღალტერია
- 1/3 - საგემო-საფინანსო განყოფილება
- 1/4 - ცენტრალური ბუღალტერია
- 1/5 - ასპირანტურა
- 1/6 - საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება
- 1/7 - მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება
- 1/8 - ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება
- 1/9 - მედიცინის პრობლემათა განყოფილება
- 1/10 - ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება
- 1/11 - ენისა და ლიტერატურის განყოფილება
- 1/12 - საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო
- 1/13 - უცხო ენათა კათედრა
- 1/14 - კადრებისა და ასპირანტურის განყოფილება
- 1/15 - საგარეო ურთიერთობათა განყოფილება
- 1/16 - გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება
- 1/17 - ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება
- 1/18 - დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება
- 1/19 - მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება
- 1/20 - უცხოური წყაროების შემსწავლელი კომისია
- 1/21 - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

- 1/22 - საკონტროლო სარევიზიო ჯგუფი
 - 1/23 - ცენტრალური არქივი
 - 1/24 - ცენტრალური საინვენტარიზაციო ჯგუფი
 - 1/25 - საოქმო განყოფილება
 - 1/26 - საქმეთა მმართველობა
 - 1/27 - კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
 - 1/28 - ფილოსოფიის კათედრა
 - 1/29 - შრომის დაცვის განყოფილება
 - 1/30 - სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილება
 - 1/31 - სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭო
 - 1.32 - საუწყებათაშორისო ურთიერთობების განყოფილება
- დღეისათვის ამ განყოფილებებიდან აღარ ფუნქციონირებს 14, მაგრამ მათი საარქივო დოკუმენტები ექვემდებარება მუდმივ შენახვას.
- დღეისათვის კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების ფონდების ანაწერები ასე გამოიყურება:
- 1/6 - საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება
 - 1/8 - ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება
 - 1/9 - ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება
 - 1/11 - ენის, ლიტერატურისა ხელოვნების განყოფილება
 - 1/16 - საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება
 - 1/17 - ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება
 - 1/18 - დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება
 - 1/19 - მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება
 - 1/21 - სოფლის მეურეობის მეცნიერებათა განყოფილება
 - 1/2 - ეკონომიკური სამმართველო
 - 1/14 - კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველო
 - 1/30 - სამეცნიერო-საორგანიზაციო სამმართველო
- ადმინისტრაციულ აპარატის სამსახურები:
- 1/1 - კანცელარია
 - 1/15 - უცხოეთთან ურთიერთობის სამსახური
 - 1/23 - აკადემიის არქივი
 - 1/25 - საოქმო სამსახური
 - 1/33 - იურიდიული სამსახური
 - 1/34 - კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური
 - 1/35 - სამეურნეო სამსახური
 - 1/36 - აკადემიის სტამბა
- ზემოთ ჩამოთვლილი განყოფილებები და სამსახურები ვალდებულნი არიან, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ არქივს ჩააბარონ მათი მუშაობის პროცესში შექმნილი და საარქივო წესით დამუშავებული დოკუმენტები.

პრეზიდენტის ფონდები იყოფა ძირითად და არაძირითად ფონდებად.

ძირითადი ფონდებია:

1/1 - პრეზიდენტის კანცელარიის სამსახური

1/14 - კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველო

1.25 - საოქმო განყოფილების სამსახური

1/30 - სამეცნიერო-საორგანიზაციო სამმართველო

წარმოგიდგენთ პირველი ფონდის პირველი აღწერის კანცელარიის საარქივო დოკუმენტების ჩამონათვალს: პრეზიდენტის სხდომათა ოქმები, საქართველოს სსრ კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, ბრძანებები, განკარგულებები 1941-1990წწ., 1991-2021 საქართველოს მთავრობის დადგენილებები, ბრძანებები, განკარგულებები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბრძანებები და განკარგულებები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების და სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაციის მასალები და ახალი დაწესებულებების შექმნა, აკადემიის წესდება, აკადემიაში ახალი ვაკანსიების შექმნის კვლევა-ძიების პერსპექტივები. ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშები, არა მარტო აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, არამედ აკადემიის სისტემაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ასევე ინდივიდუალური ანგარიშები, როგორც აკადემიკოსების, ასევე წევრ-კორესპონდენტების, თანამშრომელთა ჯილდოზე წარდგენის მასალები და მიმოწერა, პრემიების დაწესება, სახელმწიფო და სახელობით პრემიაზე წარდგენის მასალები, მასალები და მიმოწერა კადრების საკითხებზე, მასალები და მიმოწერა საიუბილეო და საზეიმო სხდომების და კონფერენციების შესახებ, მიმოწერა საზღვარგარეთის ქვეყნებში მეცნიერების მივლინებასთან დაკავშირებით და მივლინების ანგარიშები, აკადემიისა და მისი დაწესებულებების წესდებები, მასალები სამეცნიერო შრომების პრემიაზე წარდგენისა და პრემიის მინიჭების შესახებ. კონგრესების, სიმპოზიუმების, სესიების, კონფერენციების, თათბირების მასალები, მიმოწერა და მასალები აკადემიის, მისი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობაზე. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების ერთობლივი სესიების მასალები და სტენოგრაფიული ანგარიშები. მიმოწერა უცხოეთის დაწესებულებებთან სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებზე, მასალები აკადემიის დაწესებულებებისათვის კატეგორიის მინიჭების შესახებ, მასალები ვაკანსიების და არჩევნების ჩატარების შესახებ, აკადემიისა და მისი დაწესებულებების მასალები მუდმივ და დროებით გამოფენებში, მიმოწერა კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებზე, არქეოლოგიურ გათხრებზე გაცემული „ღია ფურცლები“, პეტრე იბერის იუბილეს

აღნიშვნის მასალები, მასალები სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის დაარსების შესახებ და ა.შ.

1/25 საოქმო განყოფილება 1975 წლამდე შედიოდა კანცელარიაში, ხოლო 1975 წლიდან დღემდე არსებობს, როგორც ცალკე სტრუქტურული ერთეული და მის საარქივო მასალებში შესულია შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების ოქმების დედანი, დადგენილებები;

საერთო კრების ოქმის მასალები;

პრეზიდიუმის სხდომათა ოქმები;

პრეზიდიუმის სხდომათა ოქმების მასალები;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან გამართული თათბირების ოქმების დედანი და მასალები;

პრემიერული ნაშრომები;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებად არჩეულ პირთა პირადი საქმეები და არჩევის მასალები.

1/14 კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველოს საარქივო დოკუმენტები მოიცავს 1941-2015 წლებს. 1941 წლიდან 1968 წლის ჩათვლით ცალკე ფუნქციონირებდა კადრების განყოფილება, ცალკე ასპირანტურის. 1969 წელს ასპირანტურის განყოფილება შეუერთდა კადრების განყოფილებას და ეწოდა კადრების და ასპირანტურის განყოფილება. 2008 წელს ეწოდა კადრების სამსახური, ხოლო 2017 წლიდან იწოდება კადრებისა და სპეციალურ დავალებათა სამმართველოდ. არქივში დაცულია აღნიშნული სამმართველოს 1941-2015 წლის მასალები და მისი ანაწერები მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

ცნობები თანამშრომელთა პირად შემადგენლობაზე;

აკადემიაში შემავალი ინსტიტუტების პირადი შემადგენლობის აღრიცხვის ფურცლები;

სპეციალისტების აღრიცხვა;

ცნობები დისერტაციების დაცვის შესახებ;

აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების შემადგენლობის სიები;

სამეცნიერო დაწესებულებების წლიური სტატისტიკური ანგარიშები ფორმა №84-კ;

მიმოწერა და დადგენილებები შტატების შესახებ;

აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ანგარიში ფორმა 5-ნკ;

მიმოწერა გარდაცვლილ გამოჩენილ მეცნიერთა ღვაწლის უკვდავყოფის შესახებ;

მიმოწერა თანამშრომელთა დაჯილდოებასა და საპატიო წოდებაზე წარდგენის შესახებ;

თანამშრომელთა ატესტაციის მასალები;

მონაცემები სამეცნიერო დაწესებულებათა დაარსებაზე, მეცნიერთანამშრომელთა შემადგენლობასა და სტრუქტურაზე;

ახალგაზრდა სპეციალისტების მოთხოვნისა და განაწილების გეგმა;

გარდაცვლილი მეცნიერებისა და წევრ-კორესპონდენტების პირადი საქმეები;

ასპირანტთა პირადი საქმეები;

საკანდიდატო მინიმუმის გამოცდების მიმღები საგამოცდო კომისიების სხდომათა ოქმები;

ასპირანტურაში მიღებისა და გამოშვების გეგმა;

მიმოწერა მთავრობის ჯილდოზე წარდგენილ პირთ შესახებ;

ბრძანებები და განკარგულებები პირად შემადგენლობაზე;

1/30 პრეზიდიუმის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილება შეიქმნა 1974 წელს. 2008 წელს მიენიჭა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურის სტატუსი, ხოლო 2017 წელს გადაკეთდა სამმართველოდ და ეწოდა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამმართველო. მისი საარქივო მასალები მოიცავს 1974-2017 წლებს და ანაწერებში შესულია შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ანგარიში, როგორც ქართულად, ასევე რუსულ ენაზე;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კრებისთი გეგმა;

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმა;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო თანამშრომლობის გეგმა სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო ორგანიზაციებთან (1981-85წწ.) და მიმოწერა;

რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური ხუთწლიანი პროგრამები (1986-90წწ.);

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის 1991 წლის გეგმა და ანგარიში;

საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში ფუნდამენტური კვლევის პროგრამები 1991-2000 წწ.;

მასალები მეცნიერების განვითარების კონცეფციისთვის;

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პროექტები, რომლებმაც მოიპოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტები;

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ანგარიშები და ექსპერტული შეფასებები.

არქივში დაცულია სამეცნიერო განყოფილებების მუშაობის პროცესში შექმნილი ყველა დოკუმენტი, რომლებიც ანაწერებში ასეთი სახით არის წარმოდგენილი:

ზემდგომი ორგანოების დადგენილებები და განკარგულებები;

ბიუროს სხდომის ოქმები;

საერთო კრების ოქმები;

განყოფილების კვარტალური გეგმები;

განყოფილებაში შემავალი ინსტიტუტების მუშაობის შემმოწმებელი კომისიის ოქმები;

ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმები;

ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშები;

აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების ინდივიდუალური მუშაობის ანგარიშები;

მიმოწერა შტატების შესახებ;

მიმოწერა მოძმე რესპუბლიკების აკადემიებთან;

სამეცნიერო ყრილობებში, კონგრესებში, კონფერენციებში მონაწილეობის ამსახველი მიმოწერა, ანგარიშები და სხვ.;

მიმოწერა და მასალები სამეცნიერო კადრების მომზადებაზე და ასპირანტურაზე;

განყოფილებაში შემავალ დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წლიური გეგმები;

მასალები სამეცნიერო ურთიერთობათა შესახებ საზღვარგარეთის დაწესებულებებთან და ცალკეულ მეცნიერებთან;

საგამომცემლო საქმიანობა და საგამომცემლო გეგმები;

მასალები და მიმოწერა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევის შესახებ;

მიმოწერა სახელობით პრემიაზე შრომების წარდგენის შესახებ;

სახელობითი პრემიების მინიჭების მასალები;

აკადემიის გრანტებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები;

სამეცნიერო კონგრესების და სესიების ჩატარების მასალები და სხვ.

საინტერესო დოკუმენტებს მოიცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული „საქართველოს შესახებ უცხოური წყაროების შემსწავლელი კომისიის“ ფონდი 1/20, სადაც წარმოდგენილია შემდეგი მასალა:

ვილჰელმ ფრეიგანგის წერილები კავკასიისა და საქართველოს შესახებ დ.კაციტაძე - „ფასიპი ჰაფის ცნობები საქართველოს შესახებ“

ელ.დოჩანაშვილი - „ასოლიკის ცნობები საქართველოს შესახებ“

ჯ.გიუნაშვილი - „შარაფხან ბედლისის ცნობები ამიერკავკასიისა და საქართველოს შესახებ“

ნ.გიოშვილი - რომელის მოგზაურობა საქართველოში

გ.ფუთურიძე - „ევლია ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ“

ნ.ჯიაძე - „რობერტ პერტერი მოგზაურობა საქართველოში“

დ.ჯანელიძე - „შარლ კლოდ დე პეისონელი“

ე.ცაგარეიშვილი - „სუმბატ სპარაპეტი - ჟამთააღმწერლობა“

რ.ვილბრაჰამი - „მოგზაურობა ერზერუმიდან ვანის ტბამდე და თავრიზამდე“

ე.დოკვაძე - „მასალები ანთიმ ივერიელის შესახებ“
ლ.ფარულავა - „გრ.ფერადის ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და მონასტრების შესახებ“
გ.გელაშვილი - „რაინექსის მოგზაურობა საქართველოში“
ო.ჟუჟუნაძე - „რუსული მატთანეების ცნობები საქართველოს შესახებ“
ექვთიმე თაყაიშვილი - „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერები“
ექვთიმე თაყაიშვილი - „წყაროები საქართველოსა და საზოგადოდ კავკასიის შესახებ“
მასალები ექვთიმე თაყაიშვილის ორტომეულისათვის
ათონის ივერთა მონასტრის აქტები და სხვ.

(გაგრძელება იქნება)

Путеводитель по архиву Национальной Академии Наук (НАН) Грузии

Манана Махатели

Заведующая архивом НАН Грузии

ORCID ID: 0000-0002-3621-177X

Эл. почта: matiane@science.org.ge

Тел. 598 10 78 17

Резюме

Цель «Путеводителя» - познакомить заинтересованных лиц с материалами, хранившимися в архиве Национальной Академии Наук Грузии. Документы информируют нас о предыстории создания названной Академии с 1917 по 1940 годы.

В феврале 1941 г. была создана Академия наук Грузинской ССР. С момента основания Академии архивные документы этого научного учреждения были собраны в архивах Академии наук и до сих пор являются важной научной ценностью для исследователей.

Во вновь созданной Академии наук Грузинской ССР были созданы два научных отдела. Избраны 16 действительных членов Грузинской Академии и сформирован состав Президиума.

В архиве Академии хранятся документы научных отделов Президиума НАН Грузии, Научных отделов, различных научно-исследовательских учреждений, входящих в систему Академии до 2006 года, личные дела выдающихся ученых, членов Академии.

Документы, хранящиеся в архиве, полностью отражают всю деятельность Академии с момента ее создания до сегодняшнего дня.

Ключевые слова: Национальная Академия Наук Грузии, архивные документы, Путеводитель по архиву Национальной Академии Наук Грузии

რედაქციას პროზაიკოს-მხატვარი ეწვია

ქრისტიანული საოცრება: „სუმელას“ მონასტერი თურქეთში

Christian Wonder: “Sumela” Monastery in Turkey

Rezo Adamia

Writer and Painter

t. 2-98-73-34

Abstract

The article expresses the deep emotions of the writer and painter felt after seeing the Trinity Cathedral located in the mountains near the city of Trabzon in Turkey. The author shares his thoughts about the Christian era of the history of the Laz, the cultural – historical remnant of which is the Trinity Cathedral.

რეზო ადამია

მწერალი და მხატვარი

t. 2-98-73-34

ტრაპიზონი და მისი შემოგარენი, მიწისქვეშეთიდან დაწყებული, ცივილიზაციათა კულტურის და ხელოვნების ძეგლებითაა სავსე. ქალაქი თავის დროზე წარმოადგენდა ტრაპიზონის უძლიერესი იმპერიის ცენტრს, რასაც ადასტურებს უმთავრესი ციხის ნანგრევების თავზე, ქვეყნის მოთვალთვალედ დაშენებული იმპერატორის ოდა, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია შემორჩენილი...

დღევანდელი დღე მზიანი და ნათელი დაიწყო, უსასრულობაში ჩამირული, ერთ დროს ლაზეთის ზღვა, უხმოდ გაწოლილა და კოსმიურად თვლემს.

ბატონი ნეჯათი, ტრაპიზონის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ბატონი წათე ბაწაში, საქართველოს კონსულის გიორგი ჯანჯღავას მოადგილე, და თქვენი მონა-მორჩილი ქალაქიდან გავდივართ მამათა მონასტრის „სუმელას“ მოსანახულებლად. დღეს ჩემი პირადი და მთავარი ამოცანაა მიტოვებული ისტორიული ძეგლის ფერწერულ ტილოზე გადატანა.

გზადაგზა გვეგებება ულამაზესი პეიზაჟები, კოხტად მოწყობილი თურქული სოფლები, საგულდაგულოდ დამუშავებული ყანები და ეზოები. ყოველი სოფლის ცენტრში აღმართული თეთრი მინარეთები, რომლებიც მედიდურად გადმოჰყურებენ თავიანთ სოფლებს, ზეცისკენ უცნაურად რომ მიელტვიან და მითოლოგიური, ღრუბლისფერი ჩიტვიტით საამოდ გასუსულან. აქაური მეჩეთების უმრავლესობას გააჩნია

ურთიერთისაგან განსხვავებული არქიტექტურა, მაგრამ ეს მინარეთები უჩვეულო გეომეტრიული ფორმისაა. დღევანდელ საპლანეტაშორისო რაკეტებს მოგაგონებთ. შორეულ ეპოქაში უცხოპლანეტელებმა ხომ არ ასწავლეს არაბთა წინაპრებს? უთუოდ აქ, არაბთა უძველესი ცივილიზაციის ხაზგასმული ელემენტებია ჩასახული. ურთიერთზე გადაბმული სოფლები და კანტიკუნტი დასახლებებიც შეწყდა. მშვენიერი კეკლუცი ხეობა თანდათან ვიწროვდება და ხშირტყიანი მთები უფრო და უფრო გოლიათურნი ხდებიან; მათ უწყვეტ წყებას ბოლო არ უჩანს, თითქოს დამძიმდა და მოიქუფრა ხეობა. მუქი კლდეებნარევი მთები გახშირდა, მრავალი მათგანი წაგორავებულ ან წაწოლილივით გადაწეილია სიგრძივად, ზოგიერთი გაავებული დევებივით ზეაღმართულან და ასე გავდივართ მშვენიერებათა სანახაობის და აღტაცებების მომგვრელ რამდენიმე ათეულ კილომეტრს. მოულოდნელად, ჩვენს წინ აღიმართა საოცრება, უზარმაზარი კლდოვანი მთა და მის მკვრივსა და უდრეკ მკერდზე მიდულაბებული ვერცხლისფრად ანთებული მონასტერი, რომლის ღვთიურ შუქს სამოთხედ უქცევია სივრცე და გარემო. სამწუხაროდ, უკაცრიელია აქაურობა. ათას ხუთას წელზე მეტს ჩქეფდა ამ მიწაზე ქრისტიანული ცხოვრება და ბერმონაზვნური მოღვაწეობა. დღე და ღამე გაისმოდა ეკლესიური ტკბილგალობანი და უფლის მადიდებელი ლოცვანი ქვეყნის, სულის და ხალხის გადასარჩენად. ზოგიერთ რელიგიათა ფანატიზმმა და გულქვაობამ ჩააქრო ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია, „სუმელა“ და მისი დონის თუ უფრო ამაღლებული, სულიერი და კულტურული ცენტრები მოშალეს და უკაცრიელ უდაბნოდ აქციეს. აუცილებელია შექმნა შენი ეროვნული ხელოვნება და გააძლიერო საკუთარი რელიგია. ამით გაამდიდრებ კაცობრიობას, მაგრამ დამხვედრ კულტურას, თუ შენს მეზობლად მყოფს, რომელიც წარმოადგენს უძველესს, უნიკალურს და განუმეორებელს, ნუ დაანგრევ და ნურც მოსპობ. მათი და ჩვენი კულტურის მრავალფეროვნებითაა დედამიწა და სიცოცხლე საინტერესო. თუ არადა, ოი! როგორი მოსაწყენი, ერთფეროვანი და გაბრტყელებული იქნებოდა ეს ქვეყანა. სიცოცხლე გვაწვალებს, თითქოს გვტანჯავს. დედამიწაზე ხელოვნებათა და კულტურათა სიმრავლე რომ არ იყოს, განადგურებული სული რა მალე შეაბერდებოდა წამებულ სხეულს და უაზრო მარტვილობას დაემსგავსებოდა ამქვეყნიურობა. სხვისი ბუდის მიმთვისებელნი, უნამუსო და გრძელნისკარტა ფრინველები, უხსოვარი დროიდან არ აკლდა ჩვენს ჯვარცმულ საქართველოს.

კოლხურ-ლაზური კულტურის ძეგლებს აქ მიზანმიმართულად მხოლოდ ბიზანტიურს მიაკუთვნებენ. დღევანდელი ლაზები კი - ჩვენებურებიაო, გვეუბნებიან და სრული ჭეშმარიტებაა. ბიზანტიის იმპერია დღეს არ არსებობს და სამუდამო განსასვენებელშია. ლაზურ-

ქართული მარად უკვდავი ეროვნული ფენომენი პლანეტის სახეზეა. ჩვენი კულტურისა და ხელოვნების გამომზეურება თითქოსდა მათთვის მრავალ პრობლემას წარმოშობს.

ოცნება „სუმელა“, როგორც კი გამოგვეცხადა და ჩვენს წინაშე ამალგებული წარსდგა ღვთისა და სამყაროს უდიდეს ტაძრად, იმისმა კოსმიურობამ, საკვირველმა სულიერებამ და სრულიად უცხო გარემომ ტანში ჟრუანტელი ამიტება და მკლავებზე ბურძღლები დამაყარა. მონასტერში დროის უქონლობის გამო არ ავსულვარ და იქაურობა არ დამითვალღიერებია, თორემ მწარედ გავღიზიანდებოდი, დეტალურად რომ მეხილა უსასტიკესი იმპერიებისგანა ორჯერ დაპყრობილი „სუმელა“, ლაზური სიამაყე „სუმელა“, ჯვარს გაკრული მაცხოვარივით, მიმტევებლობით ყველას პატიებს და შორს გამხედვარი წმინდანურად მეტყველებს; არა იცინა, რასა იქმან!.. ლაზური მონასტრის პირველადი სახე, მიწის ქვეშ რომ ინახება, „სუმელას“ ბიბლიურ-კოსმიური სული-ერებითაა გაჟღენთილი და ამ უზარმაზარ კლდე-მთასთან ვერაფერი მიწიერი ძალა ვერ გაყრის...

ასე რომ, მონასტერში ასვლით აურაცხელ შთაბეჭდილებას და ცოდნას კი მივიღებდი. მაგრამ ამ დროისათვის ჩემთვის მცირედი ვირჩიე „სუმელას“ მთლიანი ხედის, ფერწერული ტილოს შექმნის სახით. მხატვრის ცხოვრების შინაარსს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ამ სახის საქმიანობა ამართლებს. როგორც მხატვარ-პეიზაჟისტს სჭირდება ისეთი შესაფერი ადგილი ავირჩიე და სამუშაოდ მოვეწყვე. „სუმელა“ კი განდგომილი უცხო პლანეტასავით უსასრულობის სივრცეში რაინდულად იმზირებოდა. ამალგებულს მოწმენდილ ბორცვზე, ბატონი ნეჯითი და ბატონი წათე ხმელი ხის ტოტებისგან ცეცხლს ანთებენ და ცისფერ-ნაცრისფერებში არეული კვამლის სვეტიც აღიმართა. მაგრამ ფერწერამ და „სუმელამ“ ძალაუნებურად, ერთმანეთისგან გამოგვეყო. ბატონმა ნეჯითმა ერთი ჭიქა რაქიც დამალევინა, თევზი და შავი პური მიმაყოლებინა. შინაგანად უფრო ავენთე და ამ წუთებში ალბათ ნახევრად გიჟს ვგავდი. ატეხილი ენთუზიაზმით დავიწყე, „სუმელასთან“ ერთად უზარმაზარ ქანდაკებად აღმართული წმინდა მთის ხატვა და მოულოდნელად იწყება უფლისმიერი საოცრების გამოცხადება მუქი ლურჯი ცის სიღრმიდან, კოსმიური ცურვით დინჯად წამოვიდა თეთრი მტრედისფერი ღრუბელი, გარკვეული დროით „სუმელას“ გადაეფარა, ზეციურად მიეალერსა და თბილი ვერცხლისფერი ანგელოზის ნის-ლოვანი კაბა ჩააცვა; გაათბო, შორეულიდან მოყოლებული ჭრილობები მოუშუშა და მთლიანად ციურ ტაძრად გარდასახა... შემდგომ, თანდათანობით, ზეძალამ მოხსნა თეთრი მზიური სამოსელი და მოკრძალებით განზე მიდგა, წუთებში გაირინდა, მერმე თითქოსდა შეუმჩნევლად ამოდრავდა, უზარმაზარ მთის ქიმს ნელი სვლით გადაუარა და დასავლეთის ცის შორეულ სილურჯეში გაქრა. მისგან განწმენდილი

მონასტერი მზის შუქზე ათასობით წმინდა სანთლად აენთო, ალივლივდა და ღრმა საიდუმლოებით მოსილი „სუმელა“ მონასტრისეულ ლოცვად გარდასახა. სრული სწრაფვაა აქ ზეცისაკენ და მთლიანად სამყაროსეული სივრცეს განეკუთვნება. ამ დროს „სუმელას“ წმიდა სავანე ყველასათვის ღმერთივით ახლობელია და შორეულიც... უსასრულო ფიქრს, უდიდეს საიდუმლოებას და რამხელა სევდას მოიცავს ეს ლეგენდა მონასტერი. აბა, ვინ მოსთვლის, რამდენი თაობის ბერებს ულოციათ. უამრავ ბერს სიბერე შეჰპარვია ამ სამოთხეში და სიკვდილს სიცოცხლე აუყრია მათთვის, სხეულიდან განდევნილი სულიც ცის უსასრულობაში აჭრილა. წარსულის იდუმალების სკივრში ყოველივე ჩაკეტილი. ამჟამად მათი ნიჭი-გენია და ღვთისნიერი სულიერება შორეულშია მოფარებული, ცოცხალი ადამიანებისათვის გაუცხოებული და მიუწვდომელი...

ყოველი დროის ფუნჯის ოსტატებს და გენიებსაც გაუჭირდებოდათ იმ კოსმიური სილამაზის და ღვთიურობის გადმოცემა, რაც წმინდა მთის ირგვლივ ტრიალებს. სრულიად სხვა სილამაზეა აქ, უფრო ღრმად ქცეული კოსმიური სურათი. წუხელ უწვიმია და საკმაოდ ცივა. ამჟამად მზე თავის გულუხვობით გვაწვდის სხივებს და ხალისიან განწყობას. დღის მთლიან მონაკვეთში აქაურობა ყოველ ხუთ წუთში იცვლის თავის იერსახეს, ფერს, განწყობილებებს და კოლორიტს. ვინ მოსთვლის იმ ფერების სიუხვეს, რა ფერთა უთვალავი გამაც ტრიალებს. ვერც ერთი დიდი კომპოზიტორის მუსიკა ვერ შეედრება მათ მუსიკალობას, რომელიც მოტივის უხმო სივრციდან მომდინარეობს. აქ მხოლოდ სამყაროსა და ღვთის მუსიკა ორკესტრირებს. კომპოზიტორებისგან სრულიად განსხვავებულები არიან, მაგრამ დაბეჯითებით მჯერა: ბეთჰოვენი, მოცარტი, შოპენი, ბახი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, ვერდი, ბიზე, ტოსკანინი და ვაგნერი გასაოცარ მუსიკას ჩამოჰკრეფდნენ ამ საოცარი მთის გარემოდან.

მზე გაგვექცა! რაგინდ ეფერო და ესიყვარულო ამ გავარვარებულ დისკს, ის მაინც ერთი წამითაც არ ჩერდება... უმზეოდ დარჩენილ ქვეყანას მოუსადამოვდა და სიბნელეში გაეხვია. ამავე დროს კოსმიურმა შემოღამებამ სრულიად განსხვავებული ციური შუქები ჩამოგზავნა, სადაც შეზავებულია უთვალავ ვარსკვლავთა სხივთა ნიუანსები. აქაური ღამის სილამაზეს ახლავს ჩრდილთა გოლიათური მოჩვენებებიც.

მზე შეუმჩნევლად დაშორდა დედამიწის ჩვენს მხარეს და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიისმაგვარი მუსიკა ქუხილით გაიყოლა...

„სუმელას“ მონასტერი IV ან III საუკუნისაა, უფრო ადრეული თუ არა. ეგრისის სამეფოში თუ ლაზიკაში, იმ პერიოდში შენდება არქეოპოლისის ორმოც მოწამეთა ეკლესია, რომლის მხოლოდ ფუნდამენტია აღმოჩენილი და კიდევ რამდენიმე უძველესი სალოცავი; დამპყრობელი ბიზანტიის იმპერიის პერიოდში, მონასტრის გაფართოვება და კედლების ამაღლება ხდება XI –XII საუკუნეებში; შემდგომ ისევ მეორედ განახლება XIV

საუკუნეში. ამჟამინდელი არქიტექტურა და მთლიანი ფასადის სახე დასაშვებია XIV საუკუნისა მოჰყვებოდეს.

ლეგენდაა ეს მთა! მთის ქიმზე გადაკრული ბუნებრივი ტყის ზოლი მუქ მომწვანო ლურჯად გამოიყურება, შემდეგ, გრანიტივით ჩამოირეცხება უზარმაზარი კლდის კედელი, მრავალფერად აფერადებული ზოგჯერ ვერცხლისფერია, შიგადაშიგ მოვარდისფრო, ეგერაგერ ნათელი წითელი აგურისფერი გადაჰკრავს; კლდის კიდეზე მომწვანო კეთილშობილი ფერები თამაშობენ, მთლიანი კედლის ფერთა მრავალსახეობას კალმით ვერ აგიწერთ, უფრო მიახლოებით, ფუნჯით ვეცდები დავხატო. მდიდრულსა და დიად „სუმელას“ მთის ძირიდან ვეებერთელა შერეულ ხეთა ტყე აწევს, უშველებელი ნაძვის ხეებით და წიწვნარით გიგანტური წაბლის ხეთა რიგია ირგვლივ. ამ ძლიერი ტყის ენერგიით ქვემოდან მიწისძიერი სიძლიერით ზევით ეზიდება და ზეციური ამაღლებისაკენ აჰყავთ მონასტერი. კოლხური ვერცხლის მონეტად ქცეულ ლაზურ „სუმელას“ ვერ მოერია ვერაგი დრო, ვერც უცხო რელიგია, რომელიც მეხივით ჰქექს მის ირგვლივ... სრულიად სხვა სილამაზეა აქ, მშვენიერებაზე და დიადურობაზე უფრო მაღალი, სამყაროს უსასრულობასთან წილნაყარი. კრისტალური ჰაერით, ფრესკული ცისფერებით, მიწის მშვენიერებით და უხილავი სილამაზით გაჯერებულია „სუმელას“ ქმნილება. სრული სახით მხოლოდ უფალი გრძნობს და ხედავს მის ფიქრებს, გამჭირვალე სევდას, მარტვილობას, უფალივით უდანაშაულოს ჯვარზე გაკვრას, რითაც მონასტრის ყოველი ფერი, ხაზი, ფორმა, სახე და განწყობილება - მარადიულობის დრამას შეერწყა, გასაიდუმლოებულია, გაუცხოებულია, გამარტოხელებულია და ლაზური სიმბოლო „სუმელა“ მისეულ სევდის ოკეანეში მონარნარე, თეთრ იალქნიანი ია-იასფერ ნავად გარდაქმნილა, რომელშიც ლეგენდად ქცეულ ლაზს სათევზაო ოქროსფერ ბადეზე ხელი უშვია. ოი! შენდა ბედო ჩვენო, ზოგან ლაზის ხსენება რომ უხერხულია და მის კულტურაზე საუბარი მავანთა გამღიზიანებელია. ლაზი ხალხი ოდითგანვე მძიმე ბედის მქონეა, „სუმელა“ ლაზის წმიდათა წმინდა სახე და მისი სულიერი მთლიანობის სიმბოლოა...

სურათზე მუშაობა ჩქარი ტემპით უნდა წარმართო, თორემ მალე მთის ბინდი ჩამოწვება და უფრო დაბნელდება. არც თურქული რაქა მერევა და არც მთის სიცივე, მხოლოდ „სუმელამ“ მშთანთქა და მთლიანად მას ვეკუთვნი.

ძველკოლხურ სივრცეში ყველაზე ლამაზად და ღრმა შინაარსით სიტყვა „ლაზი“ ჟღერს; ასეთია ჩემი შინაგანი ხედვა და განცდა... ილოცე, ჩემო ლაზო, იქ სადაც შავმა ბედმა გარგუნა, ილოცე გამუდმებით, რათა გადარჩინო შენი ჯიში და ჯილაგი.

„სუმელაც“ შენზე ილოცებს, კეთლო და რაინდო ლაზო, მოვა დრო და „სუმელას“ უძველეს მონასტერში ლაზი კაცი დამთვალიერებლად

კი არ მივა, არამედ მომლოცველად, მრევლად და პატრონად. ისტორია ბორბალივითაა, განსაკუთრებით ერი თუ ტომი, ლაზი და „სუმელა“ მომავალში სახარებასავით გამოთლიანდებიან. გზა ყოველთვის ძველისძველ გზის ნაკვალევს უბრუნდებაო! მდინარე დროთა ჟამში თავის პირვანდელ კალაპოტში დგებაო! ასეა ძველისძველთა ნაამბობი. „სუმელას“ სურათზე მუშაობისას ეს ფიქრებიც მიღრღნიდა გონებას, ხოლო ჩემი მეგობრების, ბატონი ნეჯათის და ბატონი წათეს კეთილმეგობრული საუბარი სასიამოვნო ფონს მიქმნიდა.

დადამდა. მეგობრები და სუფრა დროებით დავტოვე, მერმე „ეტიუდნიკში“ მასალები, ფუნჯები და სხვადასხვა წვრილმანები ჩავალაგე. დავკეტე და ხელსაწყოები, ნივთები, „სუმელას“ წერტილდასმულ სურათთან ერთად, მანქანასთან ჩავიტანე. ჩვენთან ახლოს მუქი მწვანე ფერის უკაცრიელი საგუშაგო დგას. მეორედ ავტომატებით შეიარაღებულმა სამხედროებმა ჩამოგვაკითხეს და მეგობრულად გაგვესაუბრნენ. ერთ-ერთი ლაზი იყო, რიგითი ჯარისკაცი, სულ გვიღიმოდა, ძალიან კარგი ვაჟკაცი ჩანდა. ბატონი ნეჯითი და ბატონი წათე გამოელაპარაკნენ, ჩემი ვინაობაც მოახსენეს, ეფენდი გურჯი რესამიო (ეს ბატონი ქართველი მხატვარიო). გაუხარდა და განცვიფრებული მიყურებდა. მერმე სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

ჩვენს გარდა არავინაა?! ვდგავარ სიბნელეში აქაური ღამე გაუგონარ და არნახულ იდუმალ სილამაზეს გვთავაზობს. მუქ უზარმაზარ სვეტად აღმართულა „სუმელას“ კლდე-პერანგი მთა, შავ ფიქრ-დარდად თავს დაგვდგომია და უხმო მუსიკა მოდის მისგან, მხოლოდ გენიალური ბეთჰოვენი თუ ამოიკითხავდა ამ უხილავ ნოტებს... ღამეულმა სიბნელემ წამებული „სუმელაც“ მიიერთა და სევდიან მდუმარებაში ჩაიძირა. ბებერი მთვარე აღმოსავლეთიდან ამობრუნდა და გამართოხელდა. გაოგნებული მივჩერებივარ ამ სურათებს, საიდანღაც ჩალისფერი ძალღი, დინჯი ნაბიჯით მომიახლოვდა, მუხლიდან კოჭამდე დამყნოსა, მხოლოდ თვითონ იცის, როგორი დიაგნოზი დამისვა: მჯერა, ეს დათვივით ძალღი ჩემი ზნეობის გარკვევაში შეცდომას არ დაუშვებს... მაგრამ მაინც ძალღია! შესაძლებელია, მთელი დღე შორიდან გვითვალთვალებდა. შორეული ისტორიიდან გამომდინარე, აქ ყველა გითვალთვალებს, გსწავლობს და სწავლობენ მას. შენ და მე ... ძალღი დგას უძრავად და თვალებში მიყურებს. ცხოველებიდან ყველაზე მეტ დროს ძალღი და კატა უყურებს ადამიანს თვალებში - ძალღის თვალები ადამიანზე არანაკლებ კეთილია. კატისა მატყუარა და ცბიერი... მერე ძალღს თოხის ტარის სიმსხო კუდი შეუტოვდა, მაშინვე ვიგრძენი - ჩვენი დამმაკაცება იწყებოდა. მორიდებით და მოზომილად გასრიალებულ შუბლზე ხელი გადაუსვი, თვალები არც კი დაუხამხამებია, ისე მიყურებს. ბანჯგვლიანსა და მეჭეჭიან ნიკაპზე გაშლილი მარჯვენა ხელის თითებით მოვეფერე და ბაქული-მეთქი, წყნარი ხმით მივმართე, ძალღს გაეღიმა, დათვივით

ხახა დააღო და ხელების ლოკვა დაიწყო... ბატონმა წათემ მითხრა, მაშინ ზემოდან გაოგნებული გიყურებდითო. ბატონო ნეჯეთი ცუდის მოლოდინის განცდისგან დაპატარავდაო და წარბები შუბლზე ჰქონდა აყრილიო.

მიუხედავად სიბნელისა, სამივე დავფაცურდით და ადგილმდებარეობა საგულდაგულოდ მოვასუფთავეთ. ძაღლს საჭმელიც დავუყარეთ, მაგრამ პირი არ დაუკარებია და არც კი დაუყნოსავს. ჩვენს წასვლის მერე შეჭამს, აბა რა იქნება, ჩავილაპარაკე და „სუმელას“ ნახატიდან დაწყებული, ყველაფერი მანქანაში ჩავალაგე. ძაღლი, ქუჩის განაპირას დინჯად იდგა და თვალს არ გვაშორებდა. ბატონმა წათემ მანქანა დაქოქა და ძრავის ხმა მთელს ხეობას მოედო. ბატონი ნეჯეთი და მე მანქანაში ჩავსხედით და ადგილიდან დავიძარი. ყოველივე უკან დაგვრჩა. მშობლიური განუყრელობით, მხოლოდ მთვარე და ვარსკვლავები მოგვდევენ ბნელით მოცულ ხეობაში.

ქრონიკა და ინფორმაცია

სიახლეები ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, რომელსაც საფუძველი 1912 წ. ჩაეყარა, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კულტურული ცენტრი და განმტკიცებულია. ის კულტურული მემკვიდრეობის უდიდეს მონაპოვარს ინახავს. მასში დაუნჯებულია უნიკალური მხატვრული და ისტორიული ღირებულების არტეფაქტები. ექსპონატების საერთო რაოდენობა 230000-მდეა, რომლების თავს იყრის არქეოლოგიის, პალეონტოლოგიის, ნუმისმატიკის, უძველესი ქართული ხელნაწერების, ძველნაბეჭდი წიგნების, ეთნოლოგიური ძეგლების, სახვითი ხელოვნების (ფერწერული და ჭედური ხატები), ქსოვილებისა და ნაქარგობის, ფოტოარქივისა და ა.შ. კოლექციებში.

მუზეუმის, როგორც საზოგადოებრივი სივრცის, საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულების განვითარების, კვლევით-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული ცოდნისა და სამუზეუმო პრაქტიკის გაზიარების მიზნით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებთან, უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ესენია:

- 2010 წ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წ. საქართველოს ეროვნულ მუზეუმი;
- 2016 წ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ

სააგენტო;

- 2016 წ. ბათუმის ნობელის მუზეუმი;
- 2016 წ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი;
- 2016 წ. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი;
- 2017 წ. ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ

მუზეუმი;

➤ 2017 წ. ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი, ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი და რეჯეპ ტაიპ ერდოღანის რიზეს უნივერსიტეტი;

- 2018 წ. კრაკოვის ეროვნული მუზეუმი;
- 2018 წ. სოხუმის უნივერსიტეტი;
- 2019 წ. აჭარის საარქივო სამმართველო;
- 2020 წ. ქუთაისის ევროპის უნივერსიტეტი;
- 2021 წ. ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

1968 წლიდან გამოიცემა მუზეუმის ყოველწლიური სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო მუზეუმის მეცნიერთანამშრომელთა კვლევების შედეგებს, არამედ იბეჭდება სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრების პუბლიკაციები და ასევე სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში იმართება რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციები, ასევე ჩართულია ერთობლივ კონფერენციებში. კერძოდ:

➤ 2016 წ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმში გაიხსნა ევროპის მემკვიდრეობის დღეებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურის სტრატეგია“.

➤ 2017 წ. მუზეუმი მონაწილეობას იღებდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“

➤ 2017-18-19-20 წწ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მემორანდუმის ფარგლებში ჩართული იყო საქართველოს ეროვნული არქივის საერთაშორისო კონფერენციებში „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“

➤ 2018-2019 წწ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მემორანდუმის ფარგლებში ჩართული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს VIII-IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო“- (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)

➤ 2019 წ. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეექვსე სამერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

➤ 2020 წ. The VII International Scientific Conference Dedicated to the 185th Anniversary of Seyyid Azim Shirvani. (Turkey, Ardahan)

➤ 2020 წ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია-„ახალი რეალობა-მუზეუმი და პანდემია“.

➤ 2021 წ. FUNDAMENTAL AND APPLIED RESEARCH IN THE MODERN WORLD Proceedings of X International Scientific and Practical Conference (Boston, USA)

➤ 2021 წ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მემორანდუმის ფარგლებში ჩართულის სსიპ. აჭარის მუზეუმის საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში „მუზეუმი და გლობალიზაცია“.

➤ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მონაწილეობას ღებულობს შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ პროექტებში და მათ შორის არის რამოდენიმე პროექტის გამარჯვებული:

➤ 2014-2017 წწ. ქსოვილებისა და ნაქარგობის განყოფილების მიერ წარდგენილი პროექტი: „ძველი ქართული ნაქარგობის სამეცნიერო-ისტორიული კვლევა და შესრულების ტექნიკის შესწავლა“- დანერგვა (FR/590/2-150/13)

➤ 2015-2017 წწ. ხელნაწერ და ძველნაბეჭდ კოლექციათა განყოფილების მიერ წარდგენილი პროექტი-ჯრუჭის მონასტერი და მისი საგანძურის სამეცნიერო კატალოგიზაცია (FR/286/1/14)

➤ 2019-2021წწ. ქსოვილებისა და ნაქარგობის განყოფილების მიერ წარდგენილი პროექტი: „უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები და საილუსტრაციო მასალები ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის“ (საგრანტო ხელშეკრულება #YS-19-806).

მუზეუმის შემოქმედებითი გუნდი არ კმაყოფილდება მიღწეულით და ახალი საინტერესო პროექტების განსახორციელებლად ემზადება.

ახალი წიგნები

Roin metrveli, Battle of Didgori, Tbilisi, 2021

This work is dedicated to the 900th anniversary of the great victory of the Georgian people in the Battle of Didgori. Based on the comparison of Georgian and foreign narratives and other materials against the general background of the history of Georgia in the XI-XII centuries, the monograph presents important events of the reign of David IV the Builder. Particular attention is paid to the causes and consequences of the Didgori battle, the conquest and return of Tbilisi, the capital to the United Kingdom of Georgia.

Роин Метрвели Дидгорская Битва, Тбилиси, 2021

В настоящей книге на основе изучения и сопоставления материалов различных источников, научной литературы и исторических сведений второй половины XI и первой четверти XII вв. максимально достоверно представлен обзор деятельности Давида IV Строителя; широко рассматриваются вопросы, связанные с Дидгорской битвой; кроме того, предпринята попытка проследить взаимосвязь между происходившими в тот период в Грузии событиями и мировыми процессами.

ნიკო მარი, ლაზეთი, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2021

ნიკო მარის 1910 წელს გამოქვეყნებული ჩანაწერები – „მოგზაურობა თურქეთის ლაზეთში“ ქართულ ენაზე სრული სახით პირველად ქვეყნდება. ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს სამეცნიერო მნიშვნელობა. ის მკვლევარმა ჯერ მოხსენების სახით წაიკითხა, შემდეგ კი რუსულ ენაზე ორ ნაწილად გამოაქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის მოამბეში. წიგნი სამი თავისაგან შედგება: I. მოგზაურობა, II. ტერიტორია, III. მოსახლეობა და მისი ყოფა. წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია პუბლიკაციის ორივე ნაწილის ქართული თარგმანი, აგრეთვე, რუსული გამოცემის ფოტოტიპირი ვარიანტი. ნაშრომს ერთვის მერაბ ჩუხუას წინათქმა და საძიებლები ორივე ენაზე. რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ.

იუვალ ნოახ ჰარარი, ჰომოდეუსი, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2021.

თანამედროვე ადამიანი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წყალობით, პლანეტა დედამიწის მზრდანებლად იქცა. სამომავლო მიზნად რაღას და ისახვს კაცობრიობა? როგორ დაიცვას მყიფე მსოფლიოს მის მიერვე შექმნილი დამანგრეველი ძალებისგან? მკითხველის წინაშეა „ნიუ-იორკ ტაიმის“ ბესტსელერის, კრიტიკოსთა მიერ საერთაშორისო მოვლენად აღიარებული „საპიენსის“ ავტორის, იუვალ ნოახ ჰარარის ახალი, ორიგინალური და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი წიგნი. თარგმნა ნიკა სამუშიამ.

ელგუჯა ხინთიბიძე, წყაროთმცოდნეობა, გამომცემლობა ლოგოსი, თბ., 2021

წიგნში გაერთიანებულია ერთი ჯგუფი ავტორის სამეცნიერო ნარკვევებისა, რომლებიც, ძირითადად, მანამდე შეუსწავლელი პირველწყაროების გამოვლენისა და ინტერპრეტირების საფუძველზე, ქართველოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა უცნობ ფაქტსა და ახლებურ დასკვნებს წარმოაჩენს. მასში განხილულია: ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია; დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები; უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში; უცნობი მასალა ესპანეთის არქივებიდან.

მიხაკო წერეთელი, სუმერული და ქართული, გამომცემელი iBooks, თბ., 2021

სახელოვანი ქართველი სუმეროლოგის ეს ადრეული წიგნი ეძღვნება სუმერულ და ქართულ ენებს შორის მსგავსების დადგენას გრამატიკისა და უშუალოდ სიტყვათა შედარების საფუძველზე, რაც, არსებითად, ერთ-ერთი პირველი ქართული ნაშრომია ამ სფეროში და, შესაბამისად, საფუძველს უყრის ქართული ენის შესწავლას ახალი მიმართულებით.

მოსე ჯანაშვილი, ისტორია მართლმადიდებელ ეკლესიისა, გამომცემელი iBooks, თბ., 2021

ნაშრომი, რომელიც ჯერ კიდევ 1912 წ. გამოქვეყნდა, პირველი მცდელობაა ქართულ ენაზე მართლმადიდებელი ეკლესიის გაბმული ისტორიის გადმოცემისა. მასში გაეცნობით საინტერესო ისტორიულ მასალას, ასევე ტერმინოლოგიას, რომელიც ძველ დროს გამოიყენებოდ ლიტურგიაში. დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი ისტორია ქართული ეკლესიისა მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის, განვითარების გააზრებისთვის, და მნიშვნელოვანია დღესაც.

დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური შეუღლებანი ძველ საქართველოში, გამომცემელი „ჩემი გამომცემლობა“, თბ., 2021

წიგნი ეხება საქართველოს ისტორიის საინტერესო სფეროს, როგორცაა პოლიტიკური შეუღლებები. წიგნში იხილავთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების მეფეთა და დიდგვაროვანთა შეუღლებებით სრულდებოდა.

იოანე ბატონიშვილი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, გამომცემელი: iBooks, თბ., 2021

იოანე ბატონიშვილი შეკუმშული ფორმით გადმოგვცემს კახეთის, ქართლის, იმერეთისა და ოდიშის თავად-აზნაურთა წარმომადგენლების გვარებს და მათ მოკლე ისტორიას. “აღწერა” მნიშვნელოვანი წყაროა ქართული ისტორიული გენეალოგიის შესასწავლად.

წიგნი წარმოაჩენს დიდი ქართველი მეცნიერის, დიმიტრი თუმანიშვილის მრავალწლიანი კვლევისა და ფიქრის შედეგს. ნაშრომი განსაკუთრებით ღირებულია იმით, რომ ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში არ არსებობს მსგავსი სახელოვნებათმცოდნეო და კულტუროლოგიური ანალიზის შემცველი გაბმული ტექსტი XX საუკუნის ქართული ხელოვნების შესახებ. მასში განხილული და ჩამოყალიბებულია ზოგადად ამ ეპოქის კულტურის განვითარების წინაპირობები და თავისებურებები, ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიული, სოციალური თუ კულტურული კონტექსტები, გაანალიზებულია არაერთი ყურადსაღები მოვლენა, რომლის მომსწრე და მოწაწილედ თავად ავტორი იყო. ტექსტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში დასმულია ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც ორიგინალურადაა დანახული და აღქმული ავტორის მიერ, სააზროვნო იმპულსებს იძლევა და სხვადასხვა საკითხზე სამომავლო კვლევის ჩატარების პერსპექტივას სახავს. წიგნი 2014-2015 წლებში ავტორების მიერ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რადიოსათვის გაკეთებული ჩანაწერების ციკლის საფუძველზე შეიქმნა. მისი ტექსტი ავტორის მიერ არ არის გამოსაცემად მომზადებული. გამომცემლები შეეცადნენ, მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ საუბრის ავტორისეული მანერა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ტექსტს და მკითხველის მეხსიერებაში აცოცხლებს დიმიტრი თუმანიშვილის საჯარო გამოსვლების სიღრმეს, უშუალობასა და არტისტიზმს.

ალექსანდრე ქიშიშიშევი, სტეფანე ქიშიშიშევი, გაცოცხლებული ძველი ტფილისი (ორი წყარო დედაქალაქის ისტორიისთვის), გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2021

წიგნი მოიცავს რუსულ ენაზე დაწერილ ორ ბიოგრაფიულ ნაშრომს – სტეფანე ქიშიშიშევის ”40-იანი წლების თბილისსა“ და ალექსანდრე ქიშიშიშევის ”პირად მოგონებებს“. ორივე მათგანი თბილისის ისტორიის მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდს (1845-1853 წწ.) ასახავს. მთარგმნელმა მიხეილ შალვაშვილმა, წიგნში მოყვანილი ფაქტების გადასამოწმებლად, ძირითად წყაროდ აღნიშნული პერიოდის გაზეთი ”Кавказ“-ი გამოიყენა.

აღნიშნული წყაროები ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს თბილისის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ზურაბ ბრაგვაძე, კოლხეთი და იბერია, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2021

წიგნში თავმოყრილია გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალების ანალიზი, რომელიც შესწავლილია კოლხეთისა და იბერიის ისტორიის ფონზე. სტატიები წლების მანძილზე ქვეყნდებოდა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში და წიგნი არქეოლოგიური საქმიანობის ერთგვარი შეჯამების მცდელობაა.

დანართის სახით წარმოდგენილია ტაბახმელის N4 სანგრის არქეოლოგიური ვითარების ამსახველი სურათი. აღნიშნული სანგარი არქეოლო-

გიურად შესწავლილი პირველი და დღემდე ერთადერთი საბრძოლო ობიექტია საქართველოში.

Aleksandre Daushvili, Andro Kacharava, The Democratic Republic of Georgia, struggle for independence 1918-1921, Tbilisi, 2020

Every single epoch of Georgia's fascinating history is rich with dramatic events, compelling narratives, and sometimes even the most controversial political figures. This book covers the short, but significant period in Georgian history from 1918 to 1921 when the first Independent Georgian Democratic Republic was born until its very demise due to the swift and brutal dismantlement by Soviet Russia's Red Army. The reader will become witness to the daily struggle of the country and its people, as they begin the long and arduous road to building and protecting an independent and free society during an extremely difficult political and economic environment. Translated by Anka Tabukashvili

დალი ნიკოლაიშვილი, დავით სართანია, ავთანდილ უჯმაჯურიძე, დარე-ჯან კირთაძე, მანანა კვეტენაძე, მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2021

შედგენილია XVI-XIX სს-ების ოსმალური დავთრების მიხედვით და ასახავს დაპყრობილი ისტორიული მესხეთის მდგომარეობას. მოცემულია სოფლების, ნასოფლარების, სათესველებისა თუ სხვა ობიექტების გადასახადთა სახეები და რაოდენობები. გაანალიზებულია ოსმალური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (ვილაიეთის, ლივის, ნაჰიეს) სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი. ლოკალიზებული და იდენტიფიცირებულია ბევრი ძველი ქართული ისტორიული ტოპონიმი. გამოვლენილია ქართული სუბსტარტი ტოპონიმების, ანტროპონიმების, სამეურნეო ყოფისა თუ მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით. კვლევის შედეგები ასახულია აგრეთვე სათანადო დიაგრამებზე, რუკებსა და ცხრილებში.

შერმადინ შარია, ბედიის სამონასტრო კომპლექსი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2021

წიგნი ეძღვნება ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლის, ბედიის სამონასტრო კომპლექსის ისტორიას და მის დღევანდელ მდგომარეობას. მასში აღწერილია კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი, კარიბჭე-სამრეკლო, საეპისკოპოსო სასახლე, გალავანი, წმ. მოციქულების ანდრია პირველწოდებულისა და იოანე მახარებლის სახელობის ეკლესიები; სათანადო ადგილი ეთმობა ბედიის მონასტრის საგანძურსა და წერილობით ძეგლებს; ნაჩვენებია ბედიის სამონასტრო კომპლექსის მდგომარეობა ოკუპაციის პირობებში. წიგნში შეტანილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

დავით ჭითანავა, ბეჟან ხორავა, ქეთევან ციმინტია, იოსებ შენგელია, სამეგრელოს სოფელი ძველად (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2021

სამეცნიერო ლიტერატურის, საისტორიო წყაროების, მათ შორის, საარქივო მასალების, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის, საბჭოთა პერიოდისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის პერიოდული პრესისა და საველე-ეთნოგრაფიული მასალების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პირველად მონოგრაფიულად შესწავლილია სამეგრელოს სოფლის ისტორია, რასაც არამხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვსავს მნიშვნელოვანი მასალა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძველი და თანამედროვე სამეგრელოს სოფლის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გამოუქებას.

ზურაბ პაპასჭირი, ზურაბ ხონელიძე, ლია ახალაძე, ჯემალ გამახარია, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა, კახაბერ ყალიჩავა, აფხაზეთი საქართველო, თბ., 2021.

წარმოდგენილი კოლექტიური გამოკვლევა არის კიდევ ერთი მცდელობა დამაჯერებელი და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაეცეს საერთო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეთნოკულტურული სხეულის განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბების ახალ ტალღას. მასში შეჯამებულია ბოლო 30 წლის განმავლობაში ქართველ ისტორიკოსთა კვლევების შედეგები; ობიექტურად და მიუკერძოებლადაა გაანალიზებული საქართველოს ძირძველი კუთხის – აფხაზეთის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან XXI ს-ის დამდეგის ჩათვლით; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ე.წ. „სადავო საკითხებზე“, რომელთა ირგვლივაც არ წყდება ფსევდომეცნიერული სპეკულაციები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველო-აფხაზეთის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მეგზური ავტორებისთვის

სტატიის წარმოდგენის ტექნიკური პარამეტრები:

სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულ ვერსიით Word-ის ფორმატში (*.doc ან *.docx) გაფართოებით), შრიფტით Sylfaen, ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ავტორის გვარი, მაგალითად, akhalkatsi.doc. სტატიის მოცულობა (გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და სხვა ტიპის დანართების ჩათვლით) უნდა იყოს არანაკლებ ხუთი (10 ათასი ნიშანი) და არაუმეტეს 20 კომპიუტერული გვ ISBN 978-9941-9747-8-6 ერდისა (40 ათასი ნიშანი). სტატია წარმო-დგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით; ინტერვალი 1; შრიფტის ზომა 11; ოთხივე მხრიდან დატოვებული მინდორი 2,54 სმ.

სტატიის სტრუქტურა:

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით. ნაშრომი სტრუქტურირებული უნდა იყოს IMRAD (Introduction, Methods, Results, Discussion) ფორმატის მიხედვით.

სტატიის სათაური: სტატიის სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ და სტატიის ორიგინალ ენებზე (შრიფტის ზომა 12, გამუქებული). იწერება შუაში. ინგლისურენოვანი სათაური ფორმდება მთავრული ასოებით. სათაური უნდა იყოს მოკლე, კონკრეტული (არა ზოგადი) და ასახავდეს სტატიის შინაარსს. მოერიდეთ შემოკლებებს, აბრევიატურებს, ორიენტირდით მაქსიმალურად ფართო საზოგადოებაზე.

სათაურის ზემოთ მარცხენა მხარეს უნდა მიეთითოს დარგი/ქვედარგი.

ავტორი/ავტორები: სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) ინგლისურ და სტატიის ორიგინალ ენებზე უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ.ფოსტა, ORCID კოდი (თუ ჯერ არ ხართ დარეგისტრირებული, დარეგისტრირდით ვებ. მისამართზე: <https://orcid.org/>).

აბსტრაქტი (მოკლე შინაარსი): ინგლისურ და სტატიის ორიგინალ ენებზე 200-250 სიტყვა (დაახლ. კომპიუტერული ნაბეჭდი ერთი გვერდი). ავტორს შეუძლია აბსტრაქტი წარმოადგინოს მეორე უცხო ენაზე (ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური, ესპანური და ა. შ.) აბსტრაქტი უნდა იყოს ინფორმაციული, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე. ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. აბსტრაქტი გა მო ყოფილია ცალკე სტატიისგან. ამიტომ, მითითებები თავიდან უნდა იქნეს აცილებული;

აბსტრაქტში კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფრის მთქმელი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცულობას, მაგრამ ხელს არ უწყობს სტატიის შინაარსის გახსნას. მოკლედ, უნდა იყოს არსებითად ორიგინალური. საჭიროა მოკლე და ფაქტობრივი აბსტრაქტი. ორიგინალური. საჭიროა მოკლე და ფაქტობრივი აბსტრაქტი.

საკვანძო სიტყვები/key words: სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები (5-8). გამოიყენეთ მხოლოდ მიღებული შემოკლებები.

სტატიის შესავალი/Introduction: გამოკვეთილი უნდა იყოს: პრობლემის

არსი; თქვენი მიზნები; როგორია თქვენი ჰიპოტეზა; თქვენი ნაშრომის მნიშვნელობა; რა იყო გაკეთებული ადრე (ლიტერატურის მიმოხილვა, გამოყავით რამდენიმე ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაშრომი, მათ შორის უკანასკნელი გამოცემები; რეკომენდირებული არ არის დიდი რაოდენობა დამოწმებული ლიტერატურისა, რომელსაც კავშირი არა აქვს თემასთან, ან არამიზნობრივი ჩანართები საკუთარ მიღწევებზე); რა შედეგებს მიაღწიეთ. წარმოდგენილი უნდა იყოს ლაკონურად;

მეთოდები/Methods: სსტატია უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად აგებული, ანუ უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. აღწერეთ როგორ შეისწავლეთ დასმული საკითხი: მოიყვანეთ ვრცელი ინფორმაცია;

შედეგები/Results: შედეგები უნდა იყოს ნათელი და მოკლე. დაალაგეთ ეს პარაგრაფი ჰიპოთეზების/თეზისების მიხედვით. მონაცემების გასაზოგადებლად გამოიყენეთ გასაგები ილუსტრაციები (დიაგრამები, ცხრილები, სურათები და სხვ). ილუსტრაციები და ტექსტი არ უნდა იმეორებდეს ერთმანეთს. ილუსტრაციების დასახელებებს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მოწოდებული მასალა უნდა წარმოდგეს ინტერპრეტირებულად: მკითხველები ხშირად უყურებენ ჯერ ილუსტრაციებს – შემდეგ კითხულობენ. ამიტომ, ილუსტრაციები უნდა იყოს გასაგები და ინფორმაციული;

მსჯელობა/Discussion: ამ პარაგრაფში წარმოჩენილი უნდა იყოს ნაშრომის შედეგების მნიშვნელობა და არ იმეორებდეს მათ. თავი აარიდეთ ვრცელ ციტატებსა და გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვას. გამოკვეთეთ რას ნიშნავს თქვენი შედეგები (რა მნიშვნელობა აქვთ მათ). მსჯელობა უმნიშვნელოვანესი ნაწილია, იგი უნდა შეესაბამებოდეს შედეგებს. არ ღირს იმ ნაშრომების იგნორირება, რომელთა შედეგები ეწინააღმდეგება თქვენსას – გამართეთ მათთან დისკუსია და დაარწმუნეთ მკითხველი თქვენს სისწორეში. განიხილეთ თქვენი შედეგების შინაარსი, შეადარეთ თქვენი შედეგები მანამდე არსებულ კვლევებს.

დასკვნები: ამ პარაგრაფში წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის მთავარი დასკვნები.

გამოყენებული ლიტერატურა: დასახელებული ლიტერატურა დაწყაროები ლაგდება ანბანთრიგზე.

მადლიერება: სტატიის ბოლოს, ცალკე პარაგრაფში, შენიშვნებამდე, მადლიერება გამოხატეთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც დაგეხმარნენ კვლევისას. ეს პარაგრაფი არ მიუთითოთ სქოლიოს სახით სათაურთან ან სხვაგვარად.

სქოლიო: შეეცადეთ, ხშირად არ გამოიყენოთ სქოლიო. თუ რაიმე მნიშვნელოვანია, ის ტექსტში ჩაწერეთ, სხვა შემთხვევაში გამორიცხეთ. სქოლიო დანომრეთ არაბული ციფრებით თანმიმდევრულად ტექსტის დამუშავების პროგრამების საშუალებით. სხვა შემთხვევაში შეძლება მიუთითოთ ვარსკვლავის ნიშანი(*), ხოლო შენიშვნა გამოიტანოთ იმავე გვერდზე ტექსტის ბოლოს.

ლიტერატურის დამოწმების წესი

გამოსაქვეყნებელ სტატიებში ციტირება და ბიბლიოგრაფია გაფორმებული უნდა იყოს APA სტილის მიხედვით. ავტორებმა უნდა გამოიყენონ Microsoft Word-ის ბიბლიოგრაფიის ხელსაწყო (REFERENCES), ან ბიბლიოგრაფიის

მენეჯმენტის პროგრამები (მაგ. Mendeley, Zotero, RefMan, Endnote, JabRef).

მითითების სტილი: გამოკვლევისა და წყაროს მითითება ხდება სტატიის შიგნით: მრგვალ ფრჩხილებში უნდა მოთავსდეს ინდექსი, სადაც მიეთითება ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი ორიგინალის ენაზე (**სახელის ინიციალი არ არის სჭირო**), ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ ორწერტილი და შესაბამისი გვერდი. მაგ.: (თაყაიშვილი, 1920: 23).

გაითვალისწინეთ, რომ ყველა წერილობითი მასალა, რომელიც მითითებულია ტექსტის შიგნით, ასევე შეტანილი უნდა იყოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც და პირიქით. გამოუქვეყნებელი მასალა და პირადი კავშირების გზით მიღებული ინფორმაცია არ არის რეკომენდირებული იყოს ლიტერატურის ჩამონათვალში, მაგრამ შეიძლება აღნიშნული იყოს ტექსტში. თუ ეს მასალები მითითებულია ლიტერატურის ჩამონათვალში, მაშინ ის უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალში მასალის მითითების სტანდარტულ სტილს. გამოუქვეყნებელი გამოკვლევის დასახელების ბოლოს დარტული სიტყვა - „ბეჭდვაში“ ნიშნავს, რომ ნაშრომი გამოსაქვეყნებლად მიღებულია.

გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების მითითება ტექსტის შიგნით და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში:

სტატიას ბოლოს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც ლაგდება ანბანთრიგზე. არაქართულენოვანი ლიტერატურა და წყაროები, სადაც გამოყენებულია ლათინური შრიფტი (მაგ. ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), მიეთითება ორიგინალის ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები, სადაც არ არის გამოყენებული ლათინური შრიფტი (მაგ. ქართული, სომხური), წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ტრანსლიტირებული ფორმით, ისე - ორიგინალის ენაზე. ქართული ლიტერატურის და წყაროების ტრანსლიტირება უნდა განხორციელდეს „რომანიზაციის ქართული ეროვნული სისტემის მოდელზე“ (იხ. www.google.com – ამ დასათაურებით). ტრანსლიტირაციის შრიფტი შეგიძლიათ გააინსტალიროთ კომპიუტერში, ან ქართული ტექსტის ტრანსლიტირება განხორციელოთ პროგრამულად (მაგ., <https://translit.net/ge/>; <http://ge.translit.cc/>). ტრანსლიტირებული ფორმა ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ორიგინალს. ამავე დროს წერტილები და მძიმეები უნდა დაისვას ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

ინდექსის ფორმა განისაზღვრება გარკვეული წესით. ქვემოთ მოგვაქვს კონკრეტული მაგალითები.

ზოგადი სავალდებულო წესი: თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ ლიტერატურის ჩამონათვალში დახრილად (კურსივით) ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ სტატიას ვიმოწმებთ, დახრილად (კურსივით) ვბეჭდავთ ჟურნალის, კრებულის ან გაზეთის სახელწოდებას, შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნალი“, „კრებული“, „გაზეთი“.

1. წიგნი ერთი ავტორით –

ა). მითითება ტექსტის შიგნით:

კეკელიძე, 1987: 45

იმავე ავტორის იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:

k'ek'elidze, k'. (1987). dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria (V-XVIII ss.). tbili-

si: gamomtsemloba „metsniereba“ (კეკელიძე, კ. (1987). ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“).

ბ). მითითება ტექსტის შიგნით

Успенский, 2001: 45

იმავე ავტორის იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:

Успенский, Ф. (2001). История Византийской Империи. т. 2. М.: изд. «Наука».

გ). მითითება ტექსტის შიგნით

Sayse, 1882: 56

იმავე ავტორის იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:

Sayse, A. H. (1882). *The Cuneiform Inscriptions of Van. part 7. JRAS 14.*

დ). ერთი ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე წიგნი -
k'ak'abadze, s. (1921)a. *dasavlet sakartvelos saek'lesio sabutebi. ts'. 1. t'p.* (კაკაბაძე, ს. (1921)ა. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*. წ. 1. ტფ.).

k'ak'abadze, s. (1921)b. *dasavlet sakartvelos saek'lesio sabutebi. ts'. 2. t'p.* (კაკაბაძე, ს. (1921)ბ. *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*. წ. 2. ტფ.).

ე). წიგნი ორი ავტორით –

მითითება ტექსტის შიგნით

მეფისაშვილი, თუმანიშვილი, 1989; 120

იმავე ავტორების იგივე ნაშრომი გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში:

mepisashvili, r. tumanishvili, d. (1989). *banas t'adzari. tb.:* gamomtsemloba „merani“ (მეფისაშვილი, რ. თუმანიშვილი, დ. (1989). *ბანას ტაძარი*. თბ.: გამომცემლობა „მერანი“).

ვ). წიგნი ორზე მეტი ავტორით –

ქორიძე და სხვები, 2000: 45

იგივე ნაშრომი ლიტერატურის ჩამონათვალში:

koridze, n. akhvlediani g. giorgadze d. dvali, r. (2000). *sakartvelo gardamaval khanashi. tbilisi: gamomtsemloba “evrik'a”*). (ქორიძე, ნ. ახვლედიანი, გ. გიორგაძე, დ. დვალი რ. (2000). *საქართველო გარდამავალ ხანაში*. თბ.: გამომცემლობა „ევრიკა“).

ზ). წიგნი ავტორის გარეშე, რომელსაც ჰყავს შემდგენელი ან რედაქტორი -
მითითება ტექსტის შიგნით

ქრონიკები, 1897: 48

იგივე წიგნი ლიტერატურის ჩამონათვალში:

kronik'ebi da skhva masala sakartvelos ist'oriisa da mts'erlobisa. (1897). *shek'rebili, kronologiurad dats'qobili da akhsnili t. zhordaniias mier. ts'. 2. t'p.* (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. (1897). *შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ*. წ. 2. ტფ.).

ზემოთ მოყვანილ (1: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ) შემთხვევებში დახრილად იბეჭდება წიგნის სათაური.

2. სტატია ჟურნალიდან

ა). მითითება ტექსტის შიგნით

ჯაველიძე, 2020: 21

იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:

Javelidze, n. (2020). K'at'olik'uri simboloebi XIII s. kartvel mepeta mon-etebeze. matsne. Ist'oriis, arkeologiis, etnologiisa da khelovnebis ist'oriis seria. № 2. tbilisi. (ჯაველიძე, ნ. (2020). კათოლიკური სიმბოლო XIII ს. ქართველ მეფეთა მონეტებზე. თბ.).

ბ). სტატია პერიოდული გამოცემიდან-

მითითება ტექსტის შიგნით

შანიძე, 1962: 67

იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:

shanidze, ak'. (1962). basili ezosmodzghvris ist'oriuli tkhzulebis erti sherqvnili adgilis gamartvisatvis. tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi. t'. 99. (შანიძე, აკ. (1962). ბასილი ეზოსმოდღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. 99.)

გ). სტატია კრებულიდან-

მითითება ტექსტის შიგნით

მუსხელიშვილი, 2019: 110

იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:

muskhelishvili, d. (2019). kartveli erisa da skhelmtsipo t'erit'oriis chamoqalibebis problemisatvis. Sametsniero k'rebuli midzghvnili roin metreveleis 80 tslistavisadmi. tbilisi: gamomtsemloba "artanuji". (მუსხელიშვილი, დ. (2019). ქართველი ერისა და სახელმწიფო ტერიტორიის ჩამოყალიბების პრობლემისათვის. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი. თბ.: გამომცემლობა „არტანუჯი“).

ზემოთ მოყვანილ (2: ა, ბ, გ) შემთხვევებში დახრილად იწერება ჟურნალის, პერიოდული გამოცემის ან კრებულის კრებულის სახელწოდება.

3. სტატია გაზეთიდან-

ა). მითითება ტექსტის შიგნით

გურგენიძე, 1999: 8

იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:

gurgenidze, d. (1999). brdzola gadarchenistvis. iberia-spekt'ri. № 5. tbilisi. (გურგენიძე, დ. (1999). ბრძოლა გადარჩენისთვის. იბერია-სექტრი. № 5. თბ.) ბ). საგაზეთო სტატია ავტორისა და სათაურის გარეშე –

მითითება ტექსტის შიგნით

გაზეთი „ივერია“. 1897: 2

იგივე სტატია ლიტერატურის ჩამონათვალში:

gazeti „iveria“(1897). №2, t'pilisi (გაზეთი „ივერია“. (1897). №2, ტფილისი).

ორივე შემთხვევაში დახრილად იწერება გაზეთის სახელწოდება.

4. საენციკლოპედიო ან ქრესტომათიული სტატია –

shoshiashvili, n. (1975). abuserisdzeni. kartuli sabtchota entsik'lopedia. t'. 1, tb. (შოშიაშვილი, ნ. (1975). აბუსერისძენი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 1, თბ.).

Силогава, В. (2001). Анисская Епархия. Православная Энциклопедия. т. II. М.

დახრილად იბეჭდება ენციკლოპედიის სახელწოდება.

5. ისტორიული წყაროები –

ა). „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები

მითითება ტექსტის შიგნით

ლეონტი მროველი, 2008: 50

ან

ბასილი ეზოსმოდღვარი. 1959: 80

იგივე წყარო ლიტერატურის ჩამონათვალში:

Leont'i mroveli. (2008). tskhoreba kartvela mepeta da pirveltaganta mamata da natesavta. kartlis tskhovreba. Mtavari redakt'ori r. Met'reveli. tbilisi: gamomtsemloba "meridian". "artanuji". (ლეონტი მროველი. (2008). ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“. „არტანუჯი“).

basili ezosmodzhvari. (1959). tskhovreba mepet-mepisa tamarisi. kartlis tskhovreba. t'. II. t'ekst'i dadgenili qvela dziritadi khelnats'eris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tb.: gamomtsemloba „sabtchota sakartvelo“. (ბასილი ეზოსმოდღვარი. (1959). ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტ . II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.).

ბ). „ქართლის ცხოვრების“ ანონიმური თხზულება -

მითითება ტექსტის შიგნით

ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 105

იგივე წყარო ლიტერატურის ჩამონათვალში:

tskhorebai mepet-mepisa davitisi. (2008). kartlis tskhovreba. Mtavari redakt'ori r. Met'reveli. tbilisi: gamomtsemloba "meridian". "artanuji". (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. (2008). ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“. „არტანუჯი“).

ორივე (5: ა, ბ) შემთვევაში დახრილად იწერება კრებულის სახელწოდება (ქართლის ცხოვრება).

გ). „ქართლის ცხოვრების“ თხზულების ცალკე გამოცემა

მითითება ტექსტის შიგნით

ჟამთააღმწერელი, 1987: 45

იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:

zhamtaaghmts'ereli. (1987). asts'lovani mat'iane. t'ekst'i gamosatsemad moamzada,shesavali, shenishvnebi, leksik'oni da sadzieblebi daurto r. k'ik'nadzem. tb.: gamomtsemloba „metsniereba“. (ჟამთააღმწერელი. (1987). ასწლოვანი მატიაწე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“).

დახრილად იწერება წყაროს სათაური.

6. თხზულება „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ სერიიდან-

ა). მითითება ტექსტის შიგნით:

იოვანე საბანის-ძე, 1963: 67

იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:

Iovane sabanis-dze. (1963). ts'amebai ts'midisa da net'arisa mots'amisa

qrist'eisisa haboisi, romeli ets'ama kartls shina kalaksa t'philiss, khelita sark'onoztaita, gamotkumuli iovane dzisa sabanisi brdzanebita krist'eis mier samoel kartlisa k'atalik'ozisaita. dzveli kartuli agiographiuli lit'erat'uris dzegebi. t. I. (V-X ss.). das-abetchdad moamzades i. abuladzem, n. atanelishvilma, n. gogudzem, l. kajaia, ts. Kurtsik'idzem, ts. Tchank'ievma da ts. jghamaia i. abuladzis khelmdzghvanelobita da redaktsiit. (იოანე საბანის-ძე. (1963). წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი, რომელი ეწამა ქართლს შინა ქალაქსა ტფილისს, ჳელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე მისა საბანისი ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.).

დახრილად იწერება თხზულების სათაური.

ბ). ანონიმური თხზულება „ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ სერიიდან

მითითება ტექსტის შიგნით:

მარტვილობად ევსტათი მცხეთელისაჲ, 1963: 31

იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:

Mart'vilobai evst'atati mtskhetelisi. (1963). Mart'vilobai da mokalakobai evstat'ati mtskhet'elisi. dzveli kartuli agiographiuli lit'erat'uris dzegebi. t. I. (V-X ss.). dasabetchdad moamzades i. abuladzem, n. atanelishvilma, n. gogudzem, l. kajaia, ts. kurtsikidzem, ts. Tchank'ievma da ts. jghamaia i. abuladzis khelmdzghvanelobita da redaktsiit. tbilisi. (მარტვილობად ევსტათი მცხეთელისაჲ. (1963). მარტვილობად და მოქალაქობად ევსტათი მცხეთელისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. (V-X სს.). დასაბეჭდად მოამზადეს ი. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ.).

დახრილად იწერება წიგნის სათაური.

7. თხზულება სერიიდან „გეორგიკა“-

მითითება ტექსტის შიგნით

თეოდოსი განგრელი, 1940: 40

იგივე ავტორი ლიტერატურის ჩამონათვალში:

teodosi gangreli. (1940). georgik'a. bizant'ieli mwerlebis cnobebi saqrtvelos shesakheb. tsigni IV. nak'veti I. berdnuli tekst'i kartuli targmaniturt gamotsa da ganmart'ebibi daurto s. qaukhchishvilma. tbilisi. (თეოდოსი განგრელი. (1940). გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. წიგნი IV. ნაკვეთი I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ.) დახრილად იწერება წიგნის სათაური.

8). ხელნაწერთა აღწერილობა –

მითითება ტექსტის შიგნით

A ფონდის აღწერილობა, 1973: 230

იგივე წიგნი ლიტერატურის ჩამონათვალში:

A pondis aghts'eriloba. (1973). kartul khelnats'erta aghts'eriloba. qopili saek'lesio

muzeumis (A) k'olektsiis. sheadgines da dasabetchdad moamzades t. bregadzem, ts. Kakhabrishvilma, t. Mgaloblishvilma, m. Kavtariam, l. Kutateladzem da i.jghamadzem el. met'revelis redaksiit. t. II. tb. (A ფონდის აღწერილობა. (1973). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მაგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ი. ჯღამაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით. ტ. II. თბ.).

დახრილად იწერება წიგნის სახელწოდება.

9. გამოქვეყნებული ისტორიული საბუთი -

ა). იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი ერთია: მითითება ტექსტის შიგნით დოლიძე, 1970: 57

იგივე თხზულება ლიტერატურის ჩამონათვალში:

(დოლიძე, ი. (1970). ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბ.).

ბ). იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი ორზე მეტია: მითითება ტექსტის შიგნით

ენუქიძე და სხვები, 1984: 47

იგივე წიგნი ლიტერატურის ჩამონათვალში:

ენუქიძე, თ. და სხვები (1984). ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ.). ორივე (ნ: ა, ბ) შემთხვევაში დახრილად იწერება წიგნის სათაური.

10. საარქივო მასალა-

სტატიის შიგნით

ფონდი 210: 50

ლიტერატურის ჩამონათვალში

ფონდი 210. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 210. აღწერა 3. საქმე 14.

11. ციფრული წიგნის დასამოწმებლად იხელმძღვანელებთ ნაბეჭდი წიგნის მითითებისთვის არსებული წესებით. სტანდარტული ელემენტების გარდა ბიბლიოგრაფიაში ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის მიუთითეთ URL მისამართი და წვდომის თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ URL მისამართი არ არის საკმარისი; დაურთეთ მაქსიმალური ინფორმაცია გამოცემის შესახებ, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძებნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ URL მისამართი შეიცვლება. თუ გვერდის ნომრები არ არის აღნიშნული, ციტირებული მონაკვეთის ადგილმდებარეობა მიუთითეთ აღწერილობითად, მაგ. წამმღვარებული ქვესათაურით.

ა.: სახელი გვარი, წელი, სათაური, გამოცემის ნომერი (გამოცემის ადგილი: გამომცემელი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Julian Samora and Patricia Vandel Simon. (2000). A History of the Mexican-American People, rev. ed. (East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University), under "Civil War in Mexico," <http://www.jsri.msu.edu/museum/>

pubs/MexAmHist/ chapter14.html#six (19.12.2005).

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Samora Julian and Patricia Vandel Simon. (2000). A History of the Mexican-American People. Rev. ed. East Lansing, MI - Julian Samora Research Institute, Michigan State University.. <http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six> (19.12.2005).

სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას მიუთითეთ წიგნის ფორმატიც.

ა.: სახელი გვარი, წელი, სათაური (გამოცემის ადგილი: გამომცემელი,), წიგნის ფორმატი.

Thomas H. Davenport and John C. Beck. (2001). The Attention Economy: Understanding the New Currency of Business (Cambridge, MA - Harvard Business Scholl Press). TK3 Reader e-book.

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. წიგნის ფორმატი.

Hellman, Hal. (2004). Great Feuds in Technology - Ten of the Liveliest Disputes Ever. New York: John Wiley. Rocket e-book.

შესაძლებელია ინტერნეტ წყაროები შევიდეს ლიტერატურისა და წყაროების საერთო ჩამონათვალში ან გაკეთდეს ცალკე ჩამონათვალი (მაგალითად, ლიტერატურისა და წყაროთა ჩამონათვალის შემდეგ).

ილუსტრაციების წარმოდგენის ინსტრუქცია

ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში ჩასმული ან ცალკე ფაილის სახით.

ილუსტრაციები უნდა წარმოადგინოთ შემდეგ ფორმატში:

EPS (ან PDF): დიაგრამები, ცხრილები და სქემები, ყველა გამოყენებული ფონტით;

TIFF (ან JPEG): ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი, რუკები, გაფართოება მინიმუმ 300 dpi;

TIFF (ან JPEG): შავ-თეთრი გრაფიკული ნახატი, ავტოგრაფიული ჩანახატი, გაფართოება მინიმუმ 1000 dpi;

TIFF (ან JPEG): კომბინირებული (ფერადი და შავ-თეთრი) სურათი, გაფართოება მინიმუმ 500 dpi.

ტექსტში გამოყენებული ილუსტრაციები თანმიმდევრულად დანომრეთ. თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა. წარწერები დაწერეთ ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს სათაურს და მოკლე აღწერას. გააკეთეთ მოკლე წარწერა, მაგრამ განმარტეთ ყველა გამოყენებული სიმბოლო და აბრევიატურა. თავი აარიდეთ ვერტიკალურ მწკრივებს; ილუსტრაციებზე წარწერისათვის გამოიყენეთ შემდეგი შრიფტები: სტატიის ქართულ ვერსიისათვის Sylfaen; ინგლისური ვერსიისათვის Times New Roman; სტატიის სხვა ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში უნიკოდის შრიფტები. შრიფტის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 9. ილუსტრაციების წარწერები შესაძლებელია იყოს დახრილი შრიფტით;

შესაძლებელია ილუსტრაციები ტექსტში მხოლოდ დაინომროს, ხოლო გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ დაერთოს ჩამონათვალი შესაბამისი განმარტებებით;

თუ ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფული ჩანახატები და სხვ.) დასკანერებულია წიგნიდან, უნდა მიეთითოს წიგნის სრული დასახელება. ასევე, თუ ილუსტრაცია გადმოღებულია ინტერნეტიდან, უნდა მიეთითოს სრულყოფილად, როგორც ეს მინიშნებულია ლიტერატურის დამოწმების წესში. ასეთ შემთხვევაში ილუსტრაციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ ფორმატს;

ტექსტში ჩართული ილუსტრაცია არ შეიძლება გაყოფილი იყოს გვერდიდან გვერდზე გადასვლისას;

ცალკე ფაილად წარმოდგენილი ილუსტრაციის ზომა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატს;

ილუსტრაციების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს.

• ტექსტში ზომა-წონის ერთეულები წარმოდგენილი უნდა იყოს **სი** სისტემით (**ერთეულთა საერთაშორისო სისტემა**, ან შემოკლებით **სი** - ფრანგ. *Système international d'unités, SI*). წყაროში სხვა ზომა-წონის ერთეულის დასახელების შემთხვევაში, იქვე, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს **სი** სისტემის შესაბამისი ზომა-წონის ერთეული.

• წელთაღრიცხვისათვის უნდა გამოიყენოთ გრიგორიანული სტილი. წყაროებში სხვა კალენდარული სისტემების თარიღების დასახელების შემთხვევაში, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს გრიგორიანული კალენდრის შესაბამისი თარიღი. ქრისტეს შობამდემოვლენების დათარიღებისათვის უნდა გამოიყენოთ პეტავიუსის სისტემა ნულოვანი წლის გარეშე (მაგ.: „ძველი წელთაღრიცხვით“; „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“; „ქრისტემდე“).